# ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ

№ 8 (468) ◆ 23 – 29 თებერვალი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## „ბათუმში გამართული აქციები სავალალო შედეგით შეიძლება დასრულდეს...“



ვშიშობ, თუ ასე გაგრძელდა, აჭარაში ვარდების რევოლუცია ნამდვილად არ მოხდება — იქ ტყვია უკვე გავარდა და თუ მხარეთა განწყობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ბათუმში გამართული აქციები სავალალო შედეგით შეიძლება დასრულდეს. მით უმეტეს, რომ ასლან აბაშიძე ედუარდ შევარდნაძე არ გახლავთ. ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ის წავა იმაზე, რაზეც ყოფილი პრეზიდენტი არ წავიდა. გვ.3

## რა გეგმები აქვს საქართველოს გენერალურ პროკურორს?!



ჩვენ ვერ დავიწყებდით აგენტურის ამუშავებას ჟურნალისტებს შორის, ეს მიუღებელია. ამ მცდელობას შესაძლოა უფრო მძიმე შედეგები მოჰყოლოდა.

მე წინასწარ არ ვიცი, ვისთან მიმიყვანს კვალი... ეს ეხება იმ პერიოდს, როდესაც ძველი აქციზური მარკები ახლით შეიცვალა. მაშინ საგადასახადო შემოსავლების მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი იყო... არ მინდა დაკონკრეტება, მაგრამ აქ იკვეთება თანამდებობრივი დანაშაულის ნიშნები.

ჩვენ ალბათ მალე დავამთავრებთ ისეთი აქტივობით მუშაობას, როგორითაც ახლა ვმუშაობთ... აღარ გვინდა ქვეყანაში ნევროზული ფონი იყოს ამ დაპატიმრებებით...

**„ყველაფერი გაირკვევა და თუ ვინმემ უკანონოდ ისროლა, დაისჯება“** გვ.7

## „სად იყო ჩემს დროს ასეთი კორუფცია“

**„კომუნისტების დროს რომ პრესა თავისუფალი ყოფილიყო, კმაყოფილი ვიქნებოდი“**



დიდი უგუნურებაა თავისუფალი მედიის შეზღუდვა.

...განა ბიზნესის წინააღმდეგ გამოვდივარ, მაგრამ პატიოსნება ბიზნესმენსაც მოეთხოვება...

...პრეზიდენტის ოჯახი აქამდე ცოტა თავაშვებულად ცხოვრობდა. როგორ შეიძლებოდა, ოჯახის ყველა წევრი წარმატებული ბიზნესმენი ყოფილიყო, ასეთი ნიჭიერი როგორ იყო ყველა? გვ.6

## „არის ბნელი, რომელსაც თავისი სინათლე გააჩნია“



**„ჭკუას კი არ გასწავლით, აღსარებას ვამბობ თქვენ წინაშე“** გვ.13

### საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი: გვ.12

მარხვის დაწყებას წინ უძღოდა ურთიერთმიტევებისა და ურთიერთშენდობის საყოველთაო რიტუალი. მანამდე კი, რამდენიმე დღით ადრე, უფალმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა ჩვენ, ქართველებს, „რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი...“

მცხეთაში, დედაეკლესიაში, სვეტიცხოვლის ჯვარს მირონი სდისო — ერთმანეთს ატყობინებდნენ მორწმუნეები და მცხეთისაკენ მიისწრაფოდნენ.

## რატომ იჩენს „კვირის პალიტრა“ ამ საკითხით ასეთ დაინტერესებას?!



**საქართველოს ბოლომდე დადგენილი და დელიმიტირებული საზღვარი დღემდე არ გააჩნია(!).**

### „საქართველოს პრეზიდენტს რუსეთში არჩევანი აღარ დაუტოვეს“(?!)

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს 63 კვკმ ტერიტორია ჩამოეჭრა(?!) ...ამ თემას მიყრუება არ ეგების. ეს ხომ თითოეული ქართველისთვის ძალზე მტკივნეული თემაა. როგორ შევინარჩუნებთ წინაპრების ნალოლიავებ და დიდი სისხლის ფასად შენარჩუნებულ ტერიტორიებს, რომელიც შთამომავლობას უნდა გადავცეთ. რა პასუხი უნდა გავცეთ მომავალ თაობებს, თუ დღეს ასე უდიერად (რბილად რომ ვთქვათ) ვეპყრობით ჩვენი ქვეყნის სახეს... გვ.5,11

*...ეჰ, ჩემო უცნობო რესპონდენტო, ჩინ-მედლებისათვის და სიგელებისათვის სტატიები არასოდეს დამიწერია...*

## ახალდანიშნულ მინისტრთაგან ვის უწინასწარმეტყველებთ ყველაზე წარმატებულ კარიერას? *მკითხველის ლეიცინეი* გვ.35

## „კინაღამ გავგიჟდი — კაცი დაჭერილი იყო და თავისას მაინც არ იშლიდა“

**საქართველოს აღმავლობისთვის მებრძოლი თუ საერთაშორისო დონის თაღლითი...**

„რას შვრები, ბიჭო, რა შანსს უშვებ ხელიდან? დაწერე, რომ უდანაშაულო ვარ და გამიშვი, სამუშაოზე ერთი ათი დღე აღარ მიხვიდე და მილიონ დოლარს მოგცემო“. მეც დამიპირა „გადაგდება“. გვ.5,11

### სამხედრო თემაზე: გვ.8,9

## ახალ მინისტრებს არბენინებენ?!

მიხეილ სააკაშვილმა ახალი ინიციატივა წამოაყენა — წელს, ზაფხულიდან, მინისტრები და მათი მოადგილეები, ათ-ათდღიან სამხედრო შეკრებებს გაივლიან სამხედრო ნაწილებში... პრეზიდენტმა მინისტრები სამხედრო შეკრებებზე ათ კმ-იანი კროსებითაც დააშინა, მაგრამ მალევე შეუმსუბუქა „სასჯელი“ — ვინ რამდენსაც შეძლებს, მეთაური იმდენს არბენინებსო.

## ქერა თმა წარსულს ჩაჰბარდა



„მზე“ ალბათ მოამზადებს ახალ პროექტს, რაც მე ბოლო „ღამის მზერაში“ ვაცნობე მაყურებელს, თუმცა იმ საღამოს არ მითქვამს, რომ ჩემთან ერთად გავიდოდა ახალი პროექტი, რადგან ზუსტად ვიცოდი, მას არ წავიყვანდი. გვ.22

ქერა თმა წარსულს ჩაჰბარდა, ახალ ფერში იმდენი ფული მაქვს გადახდილი, რომ მას არც ერთი ტელევიზიის გამო არ შევიცვლი.

**გმადლობთ, რომ კითხულობთ! — „კვირის პალიტრა“**

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## რას ჩამოიტანს სააკაშვილი ამერიკიდან

საქართველოს პრეზიდენტი ოკეანის გაღმა გაემგზავრა. აშშ-ის პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის გარდა, მიხეილ სააკაშვილი ჯორჯ სოროსსა და ფინანსური წრეების სხვა წარმომადგენლებს შეხვდება.

გამგზავრებამდე სააკაშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ ვიზიტისთვის საჭირო თანხების დაზოგვას ვერ მოახერხებს. „სამწუხაროდ, ამჯერად სამთავრობო თვითმფრინავით მივფრინავთ, რადგან ამხელა დელეგაციას ვერც ერთი შემოვლითი რეისით ვერ წავიყვან. ევროპაში კი ხშირად ვიფრენ ჩვეულებრივი რეისებით და ჩვენს ავიაკომპანიას რეკლამას გავუკეთებ, როგორც მოვიქეცი მოსკოვში, სადაც ჩაფრენის დროს ისე დამხვდნენ, თითქოს უცხო პლანეტიდან ჩავსულიყავი. ვერ წარმოედგინათ პრეზიდენტის მგზავრობა ჩვეულებრივი ავიარეისით“, — განაცხადა პრეზიდენტმა, რომელიც საქართველოში 27 თებერვალს დაბრუნდება.

## უფრო ძვირი დაუჯდებათ

სააკაშვილი არც დაპირებასა და არც მუქარას შეუსრულებელს არ დატოვებს, — ასეთია საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია კორუმპირებულთა და გადასახადების ურჩ გადამხდელთა მიმართ. თუ მუქარის ობიექტები დათქმულ ვადამდე არ მოახდენენ მითვისებული სახელმწიფო ქონებისა და დამალული გადასახადების ლეგალიზაციას, როგორც პრეზიდენტი ამბობს, უფრო ძვირი დაუჯდებათ. ვინც ხელისუფლების მოთხოვნას დააკმაყოფილებს, ხელშეუხებლობის გარანტიას მიიღებს და ახალი მთავრობის დაპირებისამებრ გამარტივებული საგადასახადო სისტემა გაუადვილებს საქმიანობას.

კულუარული ინფორმაციით, ქართველ ბიზნესმენთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა უკვე შეიგნო, რომ „რაც არ ერგებათ, არ შეერგებათ“ და „ფულებიც დაყაჭეს“, რის შემდეგაც მშვიდად სძინავთ და დაპატიმრების შიშით უცხოეთში გასაქცევად არ ემზადებიან. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ირაკლი ჩუბინიშვილის განცხადებით, სააკაშვილის დაპირება უკვე ოფიციალურად შევიდა ძალაში და ბიზნესმენებს ფიქრისათვის მარტის ბოლომდე აქვთ დრო — თუ 1-ელი აპრილისთვის შესაბამის დეკლარაციას არ წარადგენენ და არ მიუთითებენ თავიანთ ანგარიშვალდებულებას საგადასახადო სისტემასთან, პროკურატურისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების შემოწმებისაგან მათ ველარაფერი დაიცავთ. ჩუბინიშვილის განცხადებით, იუსტიციის სამინისტრო უკვე მუშაობს შესაბამის კანონპროექტზე, რომელიც უახლოეს მომავალში წარედგინება საზოგადოებას. თუმცა, როგორც სამართალდამცველები ამბობენ, ეს ვერაფერს უშველის „ომეგასა“ და „მაგთიკომს“. ჩუბინიშვილის განცხადებითვე ცხადი ხდება, რომ აღნიშნული შეღავათები ამ კომპანიებს არ შეეხება.

## აბაშიძე ისევ ურჩობს...

ასლან აბაშიძე კვლავაც ურჩობს და აცხადებს, რომ თბილისში ჩამოსვლას უახლოეს მომავალში არ აპირებს. მიხეილ სააკაშვილს კი, ჩანს, ჯერ არ ავსებია მოთმინების ფიალა და ხელქვეითს გონზე მოსასვლელად დროს აძლევს. ამასთანავე, მიანიშნებს, რომ აჭარის ლიდერის ყოველ კვირაში ერთხელ მოსკოვში სტუმრობა და თბილისში პრეზიდენტის მიწვევაზეც კი უარის თქმა, სხვა რომ არაფერი, „ცუდი ტონია“, რაც მომავალში შესაძლოა არავის და მათ შორის, აბაშიძესაც არ შერჩეს. როგორც პრეზიდენტი ამბობს, ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს მოუწევს ამ გაფრთხილება-მინიშნების გათვალისწინება იმ პრეზიდენტისაგან, რომლის სახელს ანგარიშს უწევენ ევროპაში.

ბათუმში სტუმრად მყოფ ვალტერ შვიმერისთვის 20 თებერვალს მოწყობილი „სისხლიანი სანახაობისთვის“ აბაშიძე 28 მარტს აუცილებლად მიიღებს პირველ სერიოზულ დარტყმას, აცხადებენ ორგანიზაცია „ჩვენი აჭარის“ წევრები. რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა ხმას არ მისცემს საპარლამენტო არჩევნებში „აღორძინებას“, რომლის სათავესთან ამჯერადაც „შეუცვლელი“ ასლან აბაშიძე დგას. აჭარაში სამოქალაქო დაპირისპირების მცდელობის გაგრძელების შემთხვევაში, მას პასუხს მოსთხოვენ ევროკავშირის ის სტრუქტურებიც, რომლებსაც იგი ასე ხშირად სტუმრობს და ცენტრალურ ხელისუფლებას ნაირ-ნაირ ბრალდებებს უყენებს.

აბაშიძის ოპოზიციის თქმით, შევარდნაძის ეპოქაში გაწონასწორებულისა და დიპლომატის სახელით ცნობილ აბაშიძეს, ჩანს, რეალობის აღქმის ალღო ღალატობს, რასაც შესაძლოა სავალალო შედეგი მოჰყვეს. პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, რომ თუ საჭირო გახდება, მოსალოდნელი დესტაბილიზაციის აღკვეთის მიზნით, აჭარის ურჩი ხელისუფლის მიმართ სერიოზული ღონისძიებები გატარდება.

## ოქუაშვილი იბრძვის

„ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებელი ზაზა ოქუაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მის წინააღმდეგ გენერალურ პროკურატურას ბევრი პრეტენზია აქვს, თავისუფალია, რადგან მას სამართალდამცველებისაგან დეპუტატის იმუნიტეტი იცავს. თუმცა, ოქუაშვილი ვერაფრით ათავისუფლებს ჩაფხუტიანი, ფარებითა და ხელკეტებით შეიარაღებული ძალოვნებისაგან თავის კომპანიას, რის გამოც საკუთარი მასმედიის საშუალებებით ხელისუფლებას უიარაღო ომი გამოუცხადა. მან კომპანია „ომეგა ჯგუფის“ თანამშრომლებსა და სხვა მხარდამჭერებთან ერთად თბილისში საპროტესტო აქციები წამოიწყო და აცხადებს, რომ თუ უახლოეს მომავალში არ შეუშვებენ კუთვნილ ოფისში, პროტესტის სხვა ფორმებსაც მიმართავს.

„საპროტესტო აქციაზე ოქუაშვილის მიერ გამოყვანილი მუშების უკან კონტრაბანდისტები და კრიმინალები დგანან. ჩვენ პროკურატურაში ფირმის ოთხი თანამშრომელი, ფირმების დირექტორები დავიბარეთ, მაგრამ ისინი აჭარის ტერიტორიაზე იმალებიან. მათ ნაცვლად რატომღაც დეპუტატები ოქუაშვილი და ჩხეიძე გველაპარაკებიან“, ამბობს გენერალური პროკურორი და დასძენს, რომ ოქუაშვილს სახელმწიფოს გარდა, სასამართლოში მამაც უჩივის, რომელიც შვილსა და რძალს ქონების უკანონოდ ხელში ჩაგდებას სდებს ბრალად.

ოქუაშვილის მხარდამჭერები საპროტესტო აქციების განახლებას დღეიდან გეგმავენ.

## ნადარეიშვილის შემცვლელს ეძებენ

აფხაზეთის უზენაესი საბჭო კვლავაც უმაღლესი ხელმძღვანელის გარეშეა. თამაზ ნადარეიშვილისა და მისი მთავრობის გადადგომის შემდეგ, 21 თებერვალს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ახალი კანდიდატის არჩევის მცდელობა ამაო აღმოჩნდა. ნადარეიშვილის შემცვლელი სააკაშვილთან შეთანხმების შემდეგ უნდა დასახელებულიყო. თუმცა, პრეზიდენტთან ამ საკითხზე კონსულტაციები არ გამართულა.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე კი სამი კანდიდატურა განიხილებოდა: მესხია, გვაზავა და გვაძაბია. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წევრებმა არჩევანი ვერავისზე შეაჩერეს. ადა მარშანიას აზრით, ეს რთული საკითხია და საჭიროა კონსულტაციები ქვეყნის ხელისუფლებასთან. ნადარეიშვილს კი ვერაფრით გაუგია, რატომ ფერხდება ამ საკითხის მოგვარება. მისი აზრით, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის საკითხს ვიღაც შეგნებულად აჭიანურებს. ახალი კანდიდატურის ვინაობა ნადარეიშვილს თურმე ვერაფრით გაუგია და აცხადებს, ვინც უნდა იყოს იგი, მის სინდისზე იქნება, დღეს რაც ხდებაო.

ამასობაში „ტყის ძმა“ დათო შენგელია „აფხაზეთის გათავისუფლების კავშირს“ უერთდება. კავშირი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის აფხაზეთის ბიუროს ინიციატივით შეიქმნა, სამეგრელოში არსებულ თითქმის ყველა პარტიას აერთიანებს და მისი მთავარი მიზანი აფხაზეთის დაბრუნება იქნება.

## ბიწაძე ჩხეიძეს შეცვლის?

კულუარული ინფორმაციებით, პარლამენტის თავმჯდომარის, ნინო ბურჯანაძის მეუღლე ბადრი ბიწაძე მალე დიდ თანამდებობაზე დაინიშნება. როგორც ამბობენ, ბიწაძე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტს დაიკავებს.

უშიშროების საბჭოს მდივანი ვანო მერაბიშვილი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს და აცხადებს, რომ ყოფილი სამხედრო პროკურორის, ბადრი ბიწაძის ამ თანამდებობაზე დანიშვნა, ჯერჯერობით, დღის წესრიგში არ დგას. მისი თქმით, იმის გამო, რომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტი შსს-ის შემადგენლობაში უნდა შევიდეს, ბადრი ბიწაძის დანიშვნა-არდანიშვნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება შს მინისტრმა გიორგი ბარამიძემ უნდა მიიღოს. სავარაუდოდ, 25 თებერვლის შემდეგ გაირკვევა, რას აპირებს ბარამიძე (როცა იგი აშშ-დან დაბრუნდება). თუ ბარამიძე ბიწაძეს აღნიშნულ პოსტზე დანიშნავს, შესაძლოა ამ ფაქტს ბარამიძის „ორდღიანი“ ყოფილი მოადგილის, პეტრე ცისკარიშვილის უკმაყოფილება და შესაბამისი მწვავე კომენტარები მოჰყვეს.

## „დაწყვილება“ დასრულდა

28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში 5 ბლოკი და 37 პარტია მიიღებს მონაწილეობას. დაწყვილების ვადა პარტიებს 21 თებერვალს ამოეწურათ. ბლოკის შექმნის შესახებ ბოლო განაცხადით, ცესკოს ჯუმბერ პატიაშვილის „ერთობამ“ და „ინტელექტუალთა ლიგამ“ მიმართეს. საარჩევნო ბლოკები შექმნეს მრეწველებმა და ახალმა მემარჯვენეებმა, ედპ-მ და ტრადიციონალისტებმა, მონარქისტებმა და კონსერვატორებმა, ჰელსინკისა და ღვთისშვილთა კავშირებმა. რესპუბლიკური პარტია და ეროვნულ ძალთა გაერთიანება კი არჩევნებში ნაციონალებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას.

გავრცელებული ინფორმაციით, 28 მარტის არჩევნებში ნაციონალების სიით მონაწილეობას აპირებს გერმანიაში საქართველოს ელჩი კოტე გაბაშვილი, რომელიც უახლოეს პერიოდში აპირებს სამშობლოში დაბრუნებას.

## თავისუფლება მასმედიას

საქართველოს ლეიბორისტული პარტია, რომელიც ჯერაც პარლამენტს გარეთ საქმიანობს, ახალი საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის, რომლის განხორციელების შემთხვევაში მასმედია გადასახადებისაგან სავსებით გათავისუფლდება.

პროექტის ავტორს, ლეიბორისტ ჯონდი ბაღათურიას მიაჩნია, რომ სიტყვის თავისუფლებისა და მედიის დამოუკიდებლობის საფუძველს სწორედ მისი ფინანსური დამოუკიდებლობა წარმოადგენს. ბაღათურიას განცხადებით, მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და გაუმართავი ეკონომიკა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ საინფორმაციო საშუალებებმა დამოუკიდებლად იარსებონ. აქედან გამომდინარე, თითქმის ყველა მათგანს საგადასახადო დავალიანებები თუ სხვა სახის ფინანსური პრობლემები აქვს.

ბაღათურიას პროექტის თანახმად, მასმედიის ყველა ორგანო ძველი საბიუჯეტო დავალიანებებისგან გათავისუფლდება. „ამ მეთოდით შანტაჟისტებს მოვუსპობთ პრესის საქმიანობაში ჩარევის სურვილს და იმ მექანიზმებს, რითაც მედიის ორგანოებს საბიუჯეტო დავალიანებების არსებობის მიზეზით დახურვით ემუქრებიან“, — განაცხადა ბაღათურიამ.

28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ლეიბორისტული პარტია კანონპროექტის წარდგენას პარლამენტის ბიუროს პირველივე სხდომაზე აპირებს.

ბაღათურიას განმარტებით, მასმედიის გადასახადებისგან გათავისუფლება სახელმწიფო ბიუჯეტისთვის დიდი დანაკლისი არ იქნება, „ახალფეხადგმული“ საინფორმაციო საშუალებების განვითარებისთვის კი ეს მნიშვნელოვან შეღავათს წარმოადგენს.

## შუქი გვექნება, ოღონდ ორი წლის შემდეგ

ენერგეტიკის ახალი მინისტრ ნიკა გილაურის განცხადებით, საქართველოს ყველა მოქალაქეს და მით უმეტეს, 100%-იან გადამხდელს ელექტროენერგია უნდა მიეწოდებოდეს, ანუ „შუქი აუცილებლად უნდა იყოს“. თუმცა, კითხვაზე: გვექნება თუ არა ელექტროენერგია, გილაური ჟურნალისტებს პასუხობს, რომ ზუსტად რაიმეს თქმა ამ ეტაპზე არ შეუძლია. თავის მიერ მომზადებული პროექტის განხორციელების შემდეგ კი ენერგეტიკის მინისტრი „ბნელეთიდან გამოსვლის“ რეალურ შესაძლებლობაზე მიანიშნებს, მაგრამ ამისათვის თითქმის ორი წელი მოგვიწევს ლოდინი. სწორედ ამ დროში აპირებს გილაური ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის მოწესრიგებას. მანამდე კი ენერგეტიკის სამინისტროს უფლებებისა და ფუნქციების გაზრდის მოთხოვნით იგი პარლამენტის წინაშე საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენას აპირებს. ბნელეთიდან გამოსვლის 2-წლიანი ვადის გამო კი თავს იმით იმართლებს, რომ მძიმე მემკვიდრეობა ერგო. „ამორტიზებულია ჰესები და ქსელები. ენგურჰესის წყალსაცავში წყლის დონე მინიმალურია. ქვეყანაში ენერგეტიკული პოლიტიკის გამტარებელი სამინისტროა, მაგრამ აუცილებელია კანონმდებლობასა და საბაზრო წესებში ცვლილებები შევიდეს, რათა სისტემის ყველა ოპერატორმა საკუთარი ფუნქციები და პასუხისმგებლობა კონკრეტულად იცოდეს“, — აცხადებს გილაური, რომლის აზრით, დროა ენერგეტიკის სფეროში „გადაბრალების პოლიტიკა“ დასრულდეს, რადგან „დარგს განტევების ვაცი არ სჭირდება“.

მინისტრი დონორ ორგანიზაციებთან კონსულტაციებსაც გეგმავს, რათა მათი რეკომენდაციებით განხორციელებული რეფორმა დაიხვეწოს და სრულყოფილი გახდეს. ქართველი ექსპერტ-ენერგეტიკოსების აზრით, ახალი მინისტრი საქმეში ჩაუხედავია და გულუბრყვილო დასკვნებს აკეთებს.

## სიტუაცია ცუდ ფაზაში შედის

აჭარაში სიტუაცია კვლავაც დაძაბულია. გავრცელებული ინფორმაციით, ჩოლოქზე 22 თებერვალს „კმარას“ აქტივისტები სცემეს. მათ ბათუმში არ უშვებდნენ იმის გამო, რომ ახალგაზრდების ჯგუფს თბილისიდან ბათუმში საპროტესტო პლაკატები მიჰქონდათ. აჭარის სამართალდამცველთა განცხადებით კი „კმარელები“ ცემის ფაქტებს თხზავენ და სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა.

აჭარის შს მინისტრი ჯემალ გოგიტიძე კი უკმაყოფილოა მიხეილ სააკაშვილის გამონათქვამის გამო, რითაც მან აჭარის უშიშროების მინისტრის მოადგილე ბანდფორმირებების ორგანიზებაში დაადანაშაულა და დასვა კითხვა: რის საფუძველზე არსებობს აჭარაში უშიშროების სამინისტრო? ჯემალ გოგიტიძე აცხადებს, რომ პრეზიდენტი არასწორადაა ინფორმირებული. მისი თქმით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს კონსტიტუცია, რომელიც აღიარებს საქართველოს კონსტიტუციას და აჭარაში უშიშროების სამინისტროც მის საფუძველზე არსებობს. გოგიტიძის აზრით, პრეზიდენტის ასეთი განცხადებები ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციისკენ არ არის მიმართული... და ძალიან ცუდ ფაზაში შედის. „მე ამის შიში მაქვს. როგორ გამოვალთ მდგომარეობიდან, უკვე ვერ ვხვდები“, — აცხადებს ჯემალ გოგიტიძე.

ბათუმში 22 თებერვალს ახალი დანაშაული დაფიქსირდა. დაუდგენელმა პირებმა ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ოფისი გადაწვეს, კავშირის ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ავთო დარჩია კი სასტიკად სცემეს. „ჩვენი აჭარის“ ლიდერები მომხდარის გამო პასუხისმგებლობას ასლან აბაშიძის ხელისუფლებასაც აკისრებენ. კობა ხაბაზისა და ქრისტიან-დემოკრატების წარმომადგენელთა განცხადებით, ავთო დარჩიას ცემა და ოფისის გადაწვა აჭარის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის, ვაჟა თაბაგარის ბიძის, „სტიოპას“ ბანდის ნახელავია.

## ლუსტრაცია იწყება?

ახალი ხელისუფლება ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღებას აპირებს და უშიშროების სამინისტროს არქივების გახსნას გეგმავს. არქივის გახსნა მიხეილ სააკაშვილის მოთხოვნის შესაბამისად მოხდება და სავარაუდოდ, საკმაოდ რთული და მტკივნეული პროცესი დაიწყება. „ლუსტრაცია“ ლათინური სიტყვაა და მსხვერპლშეწირვით განწმენდას ნიშნავს. როგორი განმარტება მიეცემა ამ სიტყვას ქართულ რეალობაში, როგორ მოხდება განწმენდა და ვინ იქნება მსხვერპლი, ალბათ, მომავალი გვიჩვენებს.

უშიშროების სამინისტროს უკვე ყოფილი ჩინოსნების ვარაუდით, ლუსტრაციის პროცესის დაწყების შემდეგ შეიძლება ბევრ ოჯახში შეიქმნას ტრაგიკული სიტუაცია. მათ აზრით, ხელისუფლების ინიციატივა უცხო სპეცსამსახურების პროვოცირებულია და ქართველებს შორის უნდობლობისა და მტრობის გაღვივებას ისახავს მიზნად. უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე გიგი უგულავა კი თვლის, რომ ლუსტრაციით საქართველოში დეკომუნიზაციის პროცესი დაიწყება და საზოგადოებას ეცოდინება იმ პირთა შესახებ, რომლებიც სადღეგრძელოს თქმის დროსაც კი ასმენდნენ თანამეინახეებს. სხვათა შორის, უშიშროების არქივში ამჟამად დაცული მასალები ლუსტრაციის სრულყოფილად ჩასატარებლად საკმარისი არ არის. არქივის დიდი ნაწილი 1991-92 წლების მოვლენების დროს გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა, ნაწილი კი ქართველებისთვის ხელმიუწვდომელ რუსულ არქივებშია დაცული.

## რიგითი კრიმინალი თუ წინასწარგანზრახული პროვოკაცია?

გასულ შაბათს, დაახლოებით საღამოს შვიდის ნახევარზე მორიგი ტრაგედია დატრიალდა. სოფელ თამარაშენისა და ცხინვალის საზღვართან ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა ავტომატით ცეცხლი გაუხსნა ორ კაცს, რომელთაგან ერთ-ერთი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო მეორე მძიმედ არის დაჭრილი.

თამარაშენის მოსახლეობა მკვლელის სასწრაფოდ მოძებნასა და დასჯას მოითხოვს. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის, ალეკო სუხიტაშვილის თქმით, დანაშაული შემდეგნაირად მოხდა: თამარაშენელი ელგუჯა ვახტანგიშვილი ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის მშენებლობაზე მუშაობდა. იქვე იყო დარაჯი თამაზ ყავლაშვილიც. თამარაშენსა და ცხინვალს პატარა ჭალა ჰყოფს ერთმანეთისაგან, სადაც თამაზ ყავლაშვილის შვილი ნადირობდა. სავარაუდოდ, იგი ცხინვალის მხრიდან შენიშნეს და იმ მიზეზით, აქ რატომ ნადირობო, ტრაგედია დატრიალდა ყავლაშვილსა და ოსი ეროვნების პირს შორის. ურთიერთშელაპარაკების შემდეგ, მომხვდურმა თოფი წაართვა ყავლაშვილს, რომელმაც საშველად უხმო მამასა და ელგუჯა ვახტანგიშვილს. მკვლელმა ქურთუკიდან დაკეცილი ავტომატი ამოიღო და მათ ცეცხლი გაუხსნა. სროლის შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა ელგუჯა ვახტანგიშვილი, ხოლო თამაზ ყავლაშვილმა მძიმე ჭრილობები მიიღო. საბედნიეროდ, უვნებელი გადარჩა მისი შვილი.

ალეკო სუხიტაშვილის ინფორმაციით, მკვლელის ვინაობა, ჯერჯერობით, უცნობია, თუმცა არსებობს ოპერატიული მონაცემები, რომლითაც მისი დადგენა არის შესაძლებელი. ერთი ვერსიით, მკვლელობა პროვოკაციული სცენარის ნაწილია, რაც ქართველ და ოს მოსახლეობას შორის ურთიერთობის გამწვავებას ისახავს მიზნად(!). ამის წინა პირობა უკვე არსებობს — გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე მისულ ქართველ სამხედროებსა და რუს ცისფერჩაფხუტიანებს შორის მწვავე კამათი გამართულა, რაც საბედნიეროდ ჩხუბში არ გადაზრდილა.




## ბინ ლადენი ხაფანგშია?!

„ამერიკისა და ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა „ალ-ქაიდას“ ლიდერის, უსამა ბინ ლადენის ადგილსამყოფელი დაადგინეს“, — იუწყება ლონდონური გაზეთი „სანდი ექსპრესი“.

სტატიაში სათაურით „ბინ ლადენი ვირთხასავით გაება ხაფანგში“ მითითებულია, რომ მსოფლიოს პირველი ტერორისტი 50 ერთგულ ფანატიკოსთან ერთად პაკისტანის ქალაქ კვეტის მახლობლად მთებს აფარებს თავს და მასთან ერთად იმყოფება მოძრაობა „თალიბანის“ ლიდერი მოლა ომარიტი. აშშ-ის სპეცსამსახურები დარწმუნებული არიან, რომ ამჯერად ტერორისტები გაქცევას ველარ შეძლებენ.

# „ბათუმში გამართული აქციები სავალალო შედეგით შეიძლება დასრულდეს...“



როდის დაიწყება მუშაობა ახალ საგადასახადო კოდექსზე...

გასულ კვირას ვითარება საშინაო პოლიტიკაშიც გამწვავდა. თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ რევოლუციის შემდეგ საქართველოში ყველა სახელმწიფო თანამდებობის პირი გადადგა, ასე უნდა მომხდარიყო აჭარაშიც. მაგრამ რატომღაც, ამ რეგიონის ლიდერი თავის სახელს რეგიონის მოსახლეობასთან აიგივებს და მისადმი გამოთქმულ ნებისმიერ შენიშვნას თუ განცხადებას მოსახლეობისადმი გამოთქმულ განცხადებად ასაღებს. როგორი მიუღებელიც არ უნდა იყოს ეს მოვლენა, ნებისმიერ რეგიონთან გაცილებით უფრო ფრთხილი დამოკიდებულებაა საჭირო, ვიდრე თუნდაც, პარლამენტთან ან კანცელარიასთან — სადაც ნოემბერში ვითარების შეცვლა ნორჩი „კმარელების“ მონაწილეობით მოხერხდა. ჩვენი დროებისთვის ამ და სხვა, უაღრესად საჭირბოროტო საკითხებზე სასაუბროდ ამჯერად პოლიტოლოგი **სანდრო თვალჭრელიძე** მოვიწვიეთ:

**— რამდენად რეალურია ბათუმში მოვლენათა იმ სცენარით განვითარება, როგორც ეს თბილისში, ვარდების რევოლუციის დროს ხდებოდა?**

— ვშიშობ, თუ ასე გაგრძელდა, აჭარაში ვარდების რევოლუცია ნამდვილად არ მოხდება — იქ ტყვია უკვე გავარდა და თუ მხარეთა განწყობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ბათუმში გამართული აქციები სავალალო შედეგით შეიძლება დასრულდეს. მით უმეტეს, რომ ასლან აბაშიძე ედუარდ შევარდნაძე არ გახლავთ. ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ის წავა იმაზე, რაზეც ყოფილი პრეზიდენტი არ წავიდა (ხომ ხედავთ ცემა-ტყეპა უკვე დაწყებულია). ალბათ, ასეთ შემთხვევაში, აჯობებდა, არჩევნებამდე დაგვეცადა, სადაც რეალურ და ერთპიროვნულ გამარჯვებას „აღორძინება“ ნამდვილად ვერ მიაღწევდა. ამის შემდეგ კი ხელახალი, რიგგარეშე არჩევნები უნდა ჩატარებულიყო და ყველაფერი, ძალიან ადვილად არა, მაგრამ მაინც ნაკლებმტკივნეულად და, რაც მთავარია, კანონიერ ფარგლებში მოგვარდებოდა. ის, რაც ახლა ხდება, არჩევნებამდე აჭარაში ნამდვილად ვერ მიგვიყვანს. მოვლენათა ესკალაცია ბევრად უფრო ადრე დაიწყება და, როგორც გითხარით, შესაძლოა სავალალოდაც დასრულდეს — ვფიქრობ, უკვე დროა, რევოლუციური მუხტი დავივიწყოთ და ქვეყანა სახელმწიფოებრივი აზროვნებით ვმართოთ. თუმცა, ალბათ გამოცდილებაც ცხოვრებასთან ერთად მოვა...

მთლად ასეთი დრამატიზებაც ალბათ არ უნდა იყოს მართებული. მე ყოველთვის ვიყავი მომხრე ახალგაზრდა კადრებისა, მაგრამ არა ასე ტოტალურად. უპირველესად, ეს ეკონომიკას შეეხება, რომელიც, დამეთანხმებით, სახელმწიფოს ნორმალური განვითარების უმთავრესი ფაქტორი გახლავთ. ბევრჯერ მითქვამს — ეკონომიკა მსუბუქი ყოფაქცევის ქალი არ არის, რომ მესვეურები წელიწადში ერთხელ იცვალოს და მათი შეხედულებისამებრ, დროის მოკლე ინტერვალებში სხვადასხვაგვარად განვითარდეს. მკვეთრი ანტიკორუფციული კამპანია აუცილებლად უნდა იყოს გაძლიერებული ლიბერალური საგადასახადო კოდექსით — განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რადგან ერთი დაჭერილისა და დასჯილის ადგილზე სხვა გამოჩნდება და კორუფცია კვლავ ფესვებს გაიმაგრებს...

რევოლუციიდან სულ რაღაც სამიოდე თვეში ახალი ხელისუფლების მიმართ საჭოჭმანო კითხვები გაჩნდა. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, საგანგაშო და ავისმომასწავებელი აქ არაფერია. თვისებრივად ახალი სახელმწიფოს შექმნას ყოველთვის თან ახლავს შეცდომებიც, გაურკვევლობაც და, რაღა თქმა უნდა, სირთულეები, რომლებიც ხალხმა და ხელისუფლებამ ერთად უნდა გადალახოს, რადგან ცალ-ცალკე არც ერთს გამოუვა რაიმე და არც — მეორეს. როგორც მოსალოდნელი იყო, გენერალურ პროკურატურას პირველი დაბრკოლება ანტიკორუფციულ ბრძოლაში შეხვდა — როდესაც კერძო ბიზნესში არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით აღძრული გამოძიება მედიის უფლებათა შელახვას „გადააწყდა“ და საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქციაც გამოიწვია. ბუნებრივია, როდესაც მავანნი რამდენიმე წლის წინ ბიზნესის აწყობის შემდეგ პრესისა და ტელემაუწყებლობის საშუალებებსაც ქმნიდნენ, მათი მეშვეობით, უპირველესად, სწორედ ამ ბიზნესის დაცვა ჰქონდათ ჩაფიქრებული. კორუფციულ გარიგებებსა და პოლიტიკურ ინტრიგებზე დამყარებულ სახელმწიფოში არავინ არაფრისგან იყო დაზღვეული. ამიტომაც მსხვილ ბიზნესში სერიოზულ განაცხადზე პრეტენზიების მქონე ადამიანი, მყარი სახელისუფლებო კავშირების მიუხედავად, მინიმუმ დეპუტატი უნდა ყოფილიყო, მაქსიმუმ კი მასმედიის რამდენიმე საშუალების მფლობელი. იმის გამო, რომ ტელევიზია ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ ბიზნესის სფეროს განეკუთვნება, არათუ საქართველოში, მთელ მსოფლიოშიც არ არსებობს მეტ-ნაკლებად წარმატებული ელექტრონული მედიის საშუალება, რომლის უკანაც მძლავრი ფინანსური დაჯგუფება არ იდგეს (შედარებით იაფფასიანი ტექნოლოგიური პროცესების გამო, ამ მხრივ, გაზეთებს დამოუკიდებლად არსებობის უფრო მეტი შანსი აქვთ). აქედან გამომდინარე, დაუშვებელია, კორუფციასთან ბრძოლის მოტივით მედიის ამა თუ იმ საშუალების ნებისმიერი ფორმით შევიწროება გაამართლო. სახელმწიფოებრიობის განვითარებისთვის ეს ყოველთვის წამგებიანი იქნება — თუ დანარჩენ მედიას ჭკუა ეყო და კოლეგა ჟურნალისტებს მხარი დაუჭირა, დისკრედიტებული გამოვა ხელისუფლება იმის მიუხედავად, ჰქონდა თუ არა შეჭმული სახელმწიფოსა და ხალხის კუთვნილი მილიონები ამ ტელევიზიის მფლობელ ბიზნესმენს. თუ დანარჩენი მედია „ბრალდებულ“ ტელევიზიას გაემიჯნა, ეს თავისთავად გამოიწვევს სამოქალაქო საზოგადოების გაყოფასაც, რის შემდეგაც დემოკრატიაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება, რადგან ხელისუფლება მაშინ არის დემოკრატიული, როდესაც მას ხალხის ურყევი ნება აკონტროლებს. ხალხის ნება კი ურყევი მაშინ არის, როცა ყველა სოციალურ ფენას ერთი მიზანი — სახელმწიფოს შენება — ამოძრავებს და არა თვითგადარჩენის ინსტინქტი...

გამოსავალი, ასეთ შემთხვევაში, კანონის უპირობო დაცვა იქნება, რომელიც კონკრეტული დანაშაულის გამოძიებას გულისხმობს და არა მედიის ბლოკირებას იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვინ არის მისი მფლობელი.

ახალი ხელისუფლება, ახალი წესრიგის დამყარებისას, ბიზნესთან მიმართებაში ადრე თუ გვიან სერიოზულ პრობლემებს რომ წააწყდებოდა, ამის შესახებ ჯერ კიდევ რევოლუციის პირველ დღეებში ვწერდით. კორუფციასთან ბრძოლის ზღვარი თავიდანვე მკაცრად უნდა განსაზღვრულიყო, მანამდე კი ხელისუფლებას ფინანსური ამნისტია უნდა გამოეცხადებინა. მით უმეტეს, რომ დღეს ხელისუფლებაში მყოფთაგან უმრავლესობა შევარდნაძის რეჟიმის უსახურობას უპირველესად სწორედ კაბალური საგადასახადო რეჟიმით ხსნიდა. მაშინდელი ოპოზიცია და დღევანდელი ხელისუფლება მიუკიბ-მოუკიბავად აცხადებდა, რომ უაზრო საგადასახადო სისტემა დიდსა და პატარას აიძულებდა, სახელმწიფო ჩინოსნებს გარიგებოდნენ და ბიზნესის შესანარჩუნებლად გადასახადები დაემალათ. დაემალათ სახელმწიფოსთვის, თორემ გასული ათი წლის მანძილზე მსხვილფეხა ჩინოსნებმა მეწარმეთაგან ამ გზით მილიონები იშოვეს. რევოლუციის შემდეგ ჩინოსნებს იჭერენ და ამ ფულს აბრუნებინებენ. თუმცა, როგორც ახლახან პრეზიდენტმა განაცხადა, ფულის გადახდა უკანასკნელ თეთრამდე ბიზნესმენებსა და მეწარმეებსაც მოუწევთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ციხეში აღმოჩნდებიან (სხვათა შორის, „ლევ“ განბაჟებასთან დაკავშირებით, „მეორედ გადახდის“ პრობლემის წინაშე უბრალო ავტომფლობელებიც დადგნენ)... „ფინანსურ ამნისტიაზე“ საუბრისას პრეზიდენტს, ვფიქრობ, აუცილებლად უნდა ეხსენებინა ახალი, ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი, რომლის შემოღებაზეც რევოლუციამდე ბევრს ლაპარაკობდნენ, უფრო სწორად, ახსენა, მაგრამ განხილვა ასე, სექტემბერ-ოქტომბრისთვის დაიწყებაო. ეს ფაქტორი განსაკუთრებით მწვავედ და სავალალოდ აისახება ქართული ეკონომიკისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მცირე და საშუალო ბიზნესწარმოების განვითარებაზე, თორემ „ბობოლა ბიზნესმენებს“ შევარდნაძის ეპოქაში იმდენი აქვთ დაგროვილი, ხელისუფლებასთან საერთო ენას მაინც გამონახავენ, როცა იქნება, გადასახდელი თანხის ოდენობაზეც შეთანხმდებიან და საქმიანობასაც გააგრძელებენ. შესაბამისად, გაგრძელდება სახელმწიფო ეკონომიკის მახინჯი განვითარებაც — დასავლური ეკონომიკა და ზოგადად, მისი საზოგადოებრივი ფორმაცია ბიზნესწარმოების ელემენტარულ ლოგიკას ეფუძნება — შეღავათი გამორიცხულია, სათბურები არ არსებობს. მოქალაქეები, ნებისმიერ შემთხვევაში, ბიზნესს ქვედა ნიშნულიდან იწყებენ, შემდეგ ზოგი მცირედან საშუალო მეწარმეობაში ინაცვლებს, იქიდან კი, იშვიათ შემთხვევაში, მსხვილი ბიზნესმენიც ხდება; ეს ნიჭზეც არის დამოკიდებული, აღღოზეც და გამართლებაზეც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — სახელისუფლებო კავშირებზე; ყოველ შემთხვევაში, ასეა მასობრივად — ალბათ კორუფციის ცალკეულ შემთხვევებს ადგილი ევროპა-ამერიკაშიც ექნება. ჩვენთან კი ყველაფერი პირიქით ხდებოდა — ქვედა ნიშნულიდან დაწყებული ბიზნესი წარმატებას იშვიათ (უიშვიათეს!) შემთხვევაში აღწევდა. წარმატებული, დიდი ბიზნესი კი, თავიდანვე სახელისუფლებო კავშირების მეოხებით ეწყობოდა.

გასულ კვირას გამოცხადებული ფინანსური ამნისტია, რევოლუციის შემდეგ, ახალი ხელისუფლების მხრიდან ბიზნესურთიერთობების მოწესრიგების მიზნით გაკეთებული ერთადერთი კონცეპტუალური განაცხადია, რომელიც, ზემოთ ნახსენებ მიზეზთა გამო, სურათს რადიკალურად ჯერ-ჯერობით ვერ შეცვლის...

**— განვლილ კვირაში პრეზიდენტმა ფინანსური ამნისტიის შესახებაც განაცხადა. საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ პირველ აპრილამდე ყველა ბიზნესმენმა და მეწარმემ დავალიანება უნდა დაფაროს. როგორ შეაფასებდით ამ მოვლენებს?**

— რამდენადაც ვიცი, ლაპარაკი არ არის 1-ელი აპრილისთვის ყველა დავალიანების დაფარვაზე. ამ ვადისთვის ბიზნესმენებმა დეკლარაციები უნდა შეავსონ და დასაფარავი თანხები მიუთითონ, რის შემდეგაც დაიდება ინდივიდუალური კონტრაქტები, რომელშიც მითითებული იქნება დავალიანების დაფარვის ვადა. ერთი მხრივ, ეს მისასალმებელია, თუმცა არავის უთქვამს, როგორ გაგრძელდება ცხოვრება მას შემდეგ, რაც ამ გადასახადებს გადაიხდიან. ფაქტია, რომ ვალის დაფარვა ყველა დონეზე საგადასახადო სისტემის უვარგისობის ბრალი იყო. თუკი ამ სისტემას არ შევეხებით, მეწარმეებს კვლავ თაღლითობა მოუწევთ და ასე გაგრძელდება დაუსრულებლად — ან კვლავ კორუფცია განვითარდება, ან მეწარმეობა დასამარდება. დღეს არსებული საგადასახადო რეჟიმის პირობებში სხვა პერსპექტივა, უბრალოდ, არ არსებობს. საწყენია, რომ ახალი, ლიბერალური კოდექსის შექმნაზე ჯერჯერობით არავითარი მუშაობა და მოძრაობა არ დაწყებულა. პირადად მე და ნიკო ორველაშვილს გვაქვს შემუშავებული საკმაოდ მარტივი საგადასახადო კოდექსი, რომელიც სულ 6 სახის გადასახადის დატოვებას ითვალისწინებს. რასაკვირველია, ის უნაკლო არ გახლავთ. არსებობს სხვა პროექტებიც. მათი ერთმანეთთან შეჯერებისა და შეთავსების შედეგად, სახელმწიფო ნების არსებობის შემთხვევაში, უმოკლეს ვადაში შეიძლება ახალი, ლიბერალური კოდექსი დამტკიცდეს, რომელიც ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესს ააღორძინებს. სწორედ ეს უკანასკნელი გახლავთ უპირველესი პირობა ნორმალური, ცივილიზებული და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებისა. საგადასახო სისტემა მხოლოდ მეწარმეებისა და ბიზნესმენების მიერ სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულება არ უნდა იყოს. ეს გახლავთ ხალხსა და მთავრობას შორის დადებული ერთგვარი კონტრაქტი. ხალხი გადასახადებს იხდის და ასე ინახავს მთავრობას, რომელიც, თავის მხრივ, საზოგადოებას განსაზღვრულ გარანტიებს აძლევს. ახალი საგადასახადო რეჟიმი ინვესტიციების მოზიდვის აუცილებელი წინაპირობაა. ჩვენ მხოლოდ ვწუწუნებთ — ინვესტორები არ შემოდიანო. რა გვაქვს საიმისო, რომ ინვესტორები მოვიზიდოთ? საგადასახადო ნიხრი, პრაქტიკულად, იგივეა, რაც დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში — საფრანგეთში, შვედეთში, ჰოლანდიაში. მაგრამ გვავიწყდება, რომ ამ ქვეყნებს უკვე განვითარებული ეკონომიკა აქვთ. მიუხედავად ამისა, დასავლეთის ბევრ ქვეყანაშიც კი ასეთი მაღალგანაკვეთიანი გადასახადები — შემოსავლის 50-60% — აუტანელია და ხშირად სახელმწიფო კრიზისის მიზეზიც ხდება. ჩვენს შემთხვევაში კი, მით უმეტეს. გადასახადები 6-7 წლის მანძილზე მაინც, უაღრესად შეღავათიანი უნდა იყოს.

ინვესტორებზე მოგახსენებდით. ინვესტორს მხოლოდ პრემიერ-მინისტრის კაბინეტში მაღალი დონის მიღებითა და დაპირებებით ვერ მოიზიდავ — ასეთი პოლიტიკა საქართველოს წინა ხელისუფლებას ჰქონდა და შედეგიც ნათელია. თუ ორ დღეში არ შეიძლება კრიმინოგენული სურათის გაუმჯობესება, იმავე ენერგეტიკული პრობლემების გამოსწორება, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა ნამდვილად შეიძლება. თუმცა, იმასაც ვიტყვი, რომ რამდენადაც მომწონს პრეზიდენტის მიერ არჩეული და დეკლარირებული კურსი ქვეყნის მშენებლობა-განვითარებისა, იმდენად არ მომწონს რეალურად განხორციელებისთვის გადადგმული ნაბიჯები. ყოველ შემთხვევაში, ეკონომიკის თვალსაზრისით მაინც.

დღეს ხშირად ასახელებენ კრედიტებისა თუ გრანტების ასტრონომიულ ციფრებს, რითიც რევოლუციის შემდეგ ცივილიზებული სამყარო ეხმარება საქართველოს. ჩემი გათვლებით, ჯერჯერობით, რეალურად მხოლოდ 50 მილიონი დოლარი თუ იქნება შემოსული. არადა, ათი ამდენი მაინც უნდა იყოს. იმის გამო, რომ საქართველოს მკვეთრად განსაზღვრული განვითარების კონცეფცია არ გააჩნია, საერთაშორისო ფონდები და დასავლეთის მეგობარი სახელმწიფოები მხოლოდ დახმარების დეკლარირებით იფარგლებიან — რეალურად კი ამ ფულს მხოლოდ მას შემდეგ მოგვცემენ, როდესაც მკაფიოდ განისაზღვრება, სად და რამდენი უნდა დაიხარჯოს და რა პერსპექტივებია მოსალოდნელი ამ დანახარჯების შედეგად. სხვათა შორის, წინა ხელისუფლების დროს მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოს დასახმარებლად 500 მილიონი დოლარი ჰქონდა გამოყოფილი — ოღონდ დეკლარაციით. როდესაც დარწმუნდნენ, რომ თანხის გადმორიცხვის შემთხვევაში, მისი მომავალი გაურკვეველი იქნებოდა, გადაიფიქრეს. სწორედ ამიტომ, ახალმა ხელისუფლებამ განვითარების დეტალური კონცეფციის დეკლარაციის წარმოდგენა უნდა დააჩქაროს, თორემ „ახალი ცხოვრების“ ეიფორია მალე გადაივლის და კვლავ გალატაკებული ეკონომიკის პირისპირ მარტონი აღმოვჩნდებით...

***დაჩი გრძელიშვილი***

# ჯოხთაბერიძეს სამთვიანი წინასწარ პატიმრობა მიუსაჯეს



ჭორებს თუ დავუჯერებთ, ჯოხთაბერიძის შემდეგ ექსპრეზიდენტის ძმისშვილის, ნუგზარ შევარდნაძის ჯერია, რაზეც პროკურატურა თურმე მანამ დუმს, ვიდრე მის ადგილსამყოფელს არ დაადგენს. ხოლო თუ კიდევ ერთ ჭორსაც დავუჯერებთ, ახვლედიანებს შეიძლება ხელიც აღარ ახლონ იმის გამო, რომ ახალმა ხელისუფლებამ მათით უკვე დაიწყო საქართველოს „ეკონომიკურად და ფინანსურად გაძლიერება“.

იმასაც ამბობენ, რომ სანამ თვითმფრინავის ტრაპიდან „მოხსნიდნენ“, ახალმა ხელისუფლებამ გია ჯოხთაბერიძესაც შესთავაზა მიტაცებული ფულისა და დამალული გადასახადების გადახდა, რის სანაცვლოდაც ხელშეუხებლობას შეჰპირდა, რაზეც ექსპრეზიდენტის სიძემ უარი იმ მოტივით განაცხადა, ჩემს კომპანიაში კანონდარღვევა არ არსებობსო. პროკურატურაში კი ამ „ალიბის“ საწინააღმდეგოდ ჯოხთაბერიძისთვის ერთი ყოფილი ჩინოსნის მიერ წარდგენილი მამხილებელი მასალები აუფრიალებიათ ცხვირწინ (ამბობენ, ეს ჩინოსანი ფრიდონ ინჯიაა, რომელმაც ხელისუფლებასთან გარიგება შეძლოო), მაგრამ ჯოხთაბერიძეს წარბიც არ შეუხრია, ისე დაუტოვებია პროკურატურა, მერე კი ჟურნალისტებისთვის უთქვამს, — პროკურატურაში ჯილდოს მისაღებად დამიბარესო. რამდენიმე დღეში კი კომპანია „მაგთიკომის“ დამფუძნებელი გამთენიისას დააკავეს თბილისის აეროპორტში, თვითმფრი-



ნავში და თუ მანამდე სამართალდამცველები აცხადებდნენ, ჯოხთაბერიძეს მოწმედ ვიბარებთო, უცებ საქართველოს ბიუჯეტის მიმართ განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების დამალვაში დაადანაშაულეს. მოგვიანებით ისიც დაუმატეს, რომ თურმე ჯოხთაბერიძე „მაგთიკომის“ საშუალებით „ტელეკომსა“ და „ახალ ქსელებს“ კაბალურ ხელშეკრულებებს სთავაზობდა და სერიოზული ფინანსური მაქინაციებით მიზანმიმართულად აკოტრებდა საწარმოებს. მოკლედ, აეროპორტში „ვიპის“ გასასვლელით შესულმა ჯოხთაბერიძემ პარიზის ნაცვლად თავი იზოლატორში ამოყო. ამან „მაგთიკომის“ თანამშრომლების პროტესტი გამოიწვია. მათ არ სჯერათ პროკურატურის და ჯოხთაბერიძეს მართალ კაცად მიიჩნევენ, ხელისუფლებას კი „მაგთიკომის“ ჩაძირვასა და „ჯეოსელის“ გაძლიერებაში ადანაშაულებენ. საპროტესტო აქციის მონაწილეები მიმდინარე პროცესებს შევარდნაძის ოჯახის დისკრედიტაციად თვლიან. ასევე ჰგონია შევარდნაძის ოჯახსაც, მისი შვილები — პაატა და მანანა შევარდნაძეები, მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოსთან ღია ცისქვეშ გულშემატკივრობდნენ სიძესა და ქმარს.

პაატა შევარდნაძე საგანგებოდ ჩამოფრინდა თბილისში და ოფიციალური განცხადებებიც გააკეთა — „რაც ხდება, შევარდნაძის ოჯახის დისკრედიტაციაა, პირდაპირი დარტყმაა დემოკრატიაზე, სუფთა ბიზნესსა და თავისუფალ სიტყვაზე. ეს რომ ედუარდ შევარდნაძეს გაეკეთებინა, ალბათ ჯვარზე აცვამდნენ“. პაატა შევარდნაძემ გაკვრით სააკაშვილი დაადანაშაულა, რომლის მიმართ უკმაყოფილებას არც მანანა შევარდნაძე მალავს: — ჩემს გამოსვლაზე გული არევიაო, უკვირს და ძმის შენიშვნაზე, ხომ არ აჯობებს უფრო ხშირად ჩანდე ტელევიზიითო — სიცილით პასუხობს, ალბათ სიმწრის სიცილით, რომელშიც შესაძლოა სინანულიც იყოს გარეული იმის გამო, რომ თავის დროზე შევარდნაძემ არ დაიწყო დაჭერები და ქვეყანაში წესრიგის დამყარება...

***ეკა ლომიძე***

# ქართული მინანქარი მსოფლიოში უნიკალურია

## საერთაშორისო ბიენალე თბილისში


ია გიგოშვილი

*საქართველოში ტიხრული მინანქრის ხელოვნების უდიდესი სკოლა არსებობს. ხელოვნების მუზეუმის საგანძურის დათვალიერებისას არაერთი უცხოელი სტუმარი გაოცებულა ქართული მინანქრის უნიკალური და გამორჩეული ნიმუშებით. თანაც, ეს ნიმუშები უძველესია.... სამწუხაროდ, ტიხრული მინანქრის ტექნიკა ჩვენმა მხატვრებმა ერთხანს თითქოს მიივიწყეს. ბოლო დროს კი, არაერთი მხატვარი დაუბრუნდა უნიკალური ტრადიციების მქონე ქართულ მინანქარს.*

*თებერვალში თბილისში გამართულმა ტიხრული მინანქრის პირველმა საერთაშორისო ბიენალემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თანამედროვე ქართული ტიხრული მინანქარი მსოფლიოში პირველობას არ თმობს. ბიენალეში 12 ქვეყნის მხატვრები მონაწილეობდნენ. ხუთივე ნომინაციაში კი მხოლოდ ქართველებმა გაიმარჯვეს.*

— ძალიან გვინდოდა, სხვა ქვეყნის წარმომადგენლებსაც გაემარჯვათ, რომ არავის ეფიქრა, ქართველები ტენდენციურები არიანო, მაგრამ უცხოელმა ავტორებმა ამის საშუალება არ მოგვცეს. თავადვე აღნიშნავდნენ, რომ ქართველთა ნაკეთობები საუკეთესოა. — გვითხრა ბიენალეს ერთ-ერთმა ორგანიზატორმა მაია ნოზაძემ.

უკვე ორი წელია ტიხრულ მინანქარზე მუშაობს მხატვარი **ია გიგოშვილი**. ხშირად მინახავს შარდენის გალერეაში მისი საუცხოო ნამუშევრების წინ შეჩერებული უცხოელები, რომლებიც ინტერესით ათვალიერებენ სამკაულებს, კითხულობენ ფასს და სიამოვნებით ამდიდრებენ თავიანთ კოლექციას. ქალბატონი ია აღნიშნავს, რომ თბილისში გახსნილმა ტიხრული მინანქრის სკოლამ არაერთ ქართველ მხატვარს მისცა შესაძლებლობა ხელოვნების ამ დარგის შესწავლისა...

**— როგორც ვიცი, ტიხრულ მინანქარზე მუშაობა ძალიან რთულია...**

— რა თქმა უნდა, საჭიროა დიდი მოთმინება, ყურადღების კონცენტრაცია, რომ ზუსტად დასვა ხაზი, ფერი... ისე კი ხელოვნების ნებისმიერი დარგისათვის მთავარია იდეა, თუ რა გინდა უთხრა შენი ნამუშევრით დამთვალიერებელს...

**— ამ ბოლო დროს ქართული ტიხრული მინანქრის ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები განსაკუთრებით მოსწონთ უცხოელებს...**

— მართლაც ძალიან მოსწონთ. ჩვენ გვაქვს გამორჩეული ტექნიკა, მუშაობის საკუთარი სტილი. ეტყობა, ამას ხელს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციაც უწყობს...

**— უცხოეთში თუ ყოფილა თქვენი ნამუშევრების გამოფენა?**

— შარშან, გერმანიაში გამოფენილმა ჩემმა რამდენიმე ნამუშევარმა ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ ნამდვილად არ ველოდი. ახლაც ვემზადები გამოფენისთვის, რომელსაც ისევ გერმანიაში მოვაწყობ.

**— ამბობენ, მინანქარზე მუშაობა მავნეაო...**

— ფერწერაშიც არის ზოგიერთი მავნე საღებავი. გრაფიკაში მჟავებთან გვაქვს საქმე... მინანქარშიცაა საღებავი, რომელიც გამოწვის დროს ორთქლდება და მავნეა, მაგრამ არსებობს ათასი დამცავი მექანიზმი...

**— თუ გაქვთ თქვენ მიერ შექმნილი ისეთი სამკაული, რომელსაც არასოდეს გაყიდით?**

— მაქვს... ოღონდ არა სამკაული. შარშან დავასრულე მიქაელ მთავარანგელოზის ხატზე მუშაობა. ძალიან ლამაზი გამოვიდა. ყველას მოსწონდა... მაგრამ თებერვალში ეს ხატი გამოფენიდან მოიპარეს. ისე განვიცდიდი, როგორც ახლობელი ადამიანის დაკარგვას. ერთი წლის შემდეგ, შემთხვევით ოქროს ბაზრობაზე მოვხვდი და ვხედავ... ჩემი ხატი გამოუტანიათ გასაყიდად. ძალიან ვინერვიულე, იმაზე მეტადაც კი, ვიდრე დაკარგვისას... კიდევ კარგი, არსებობდა გამოფენის კატალოგი და შევძელით იმის დამტკიცება, რომ ეს ხატი ნამდვილად ჩემი იყო. ვაკურთხებინე და ოჯახში რელიკვიად დავიტოვე...

**— რამდენ დროს გართმევთ თითოეულ ნივთზე მუშაობა?**

— ერთ კვირას მაინც... ახლა ვაპირებ მოცულობით ქანდაკებებზე ვიმუშაო... ვნახოთ, რა გამოვა.

**— ალბათ, გეამაყებათ, რომ ბიენალეზე ქართველებმა აიღეს ყველა პრიზი.**

— ჯუდი სტოუნმა, ამ გამოფენის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, საქართველოში ჩამოსვლა რომ დააპირა, შეაშინეს, სად მიდიხარ, იქ არასტაბილური სიტუაციააო. მაინც გაბედა ჩამოსვლა. თავს ძალზე ბედნიერად გრძნობდა ჩვენთან. უკან რომ ბრუნდებოდა, ტიროდა — ასეთი ხალხი, ასეთი ქვეყანა, ასეთი ხელოვნება არსად მინახავსო. სწორედ მან აღიარა, რომ ქართველების ნამუშევრებმა დაიმსახურეს პირველ ბიენალეში ყველა ნომინაციაში გამარჯვება.

*P.S. ქართული ტიხრული მინანქარი, წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ხატისა არ იყოს, ისევ დაუბრუნდა გამოფენებსა და კონკურსებს... ხელოვნების ამ უნიკალური ნიმუშებით არაერთი ქველმოქმედი დაინტერესდა, რაც, ვფიქრობთ, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს თანამედროვე ქართული კულტურის მსოფლიო ასპარეზზე წარდგინებას...*

**ლელა ჯიყაშვილი**

## საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ზურაბ ჟვანიას

კორუფციასთან და კრიმინალთან ბრძოლის პროცესში ხელისუფლებასა და მის ძალოვან ორგანოებს მეტი სიფრთხილე მართებთ ამ საქმეში მათივე მოკავშირე მასმედიასთან ურთიერთობისას. ვერანაირი ოპერატიული და გადაუდებელი საჭიროება ვერ გაამართლებს ტელეკომპანიის სამუშაო სივრცეში სპეცდანიშნულების რაზმის შეჭრას, მით უმეტეს, რომ გამოძიებას საჭირო ინფორმაციის მისაღებად უფრო ნატიფი ხერხებიც უნდა გააჩნდეს. ეს ძალიან კარგია, რომ დამოუკიდებლობის მეთოთხმეტე წელიწადს როგორც იქნა მოვესწარით იმას, რომ ხელისუფლება კორუფციას ებრძვის, მაგრამ ეს მისი განსაკუთრებული დამსახურება კი არა, მოვალეობაა. და ამასთან, არც პირველობის პალმის რტო ეკუთვნის ამ საქმეში, რადგან იმ წლებში, როცა ხელისუფლებას ეძინა, ანდა პირიქით, ეღვიძა — კორუფციულ კანონებსა და სტრუქტურებს ქმნიდა, თავისუფალი მედიები და ჟურნალისტები ხშირად სიცოცხლის რისკის ფასად ამხელდნენ კრიმინალებსაც და მათ მოკავშირე ხელისუფლებასაც.

დღეს ახალი ხელისუფლება მართლაც შთამბეჭდავად დაუპირისპირდა კორუფციას, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით უცვლელად ტოვებს ამ მახინჯი მოვლენის წარმომშობ და სისტემად ჩამომყალიბებელ კანონებს, ანუ ებრძვის შედეგს და არ ებრძვის მიზეზებს. ყოველი ხელისუფლება მისი წინა ხელისუფლების სამართალმემკვიდრეა, ამიტომ და არა მხოლოდ ამიტომ ამ ხელისუფლებასაც მოეთხოვება პასუხი იმ ანტიადამიანური კანონების მიღებისათვის, რომლებმაც თავზე დაგვამხეს ქვეყანა და აიძულეს თითქმის ყველა ადამიანი კანონდამრღვევი გამხდარიყო. ანტიადამიანურია, როცა ხელფასის დაუბეგრავი მინიმუმი მხოლოდ 9 ლარია; ანტიადამიანურია, როცა ადამიანს, რომელმაც ზუსტად სასიცოცხლო მინიმუმი გამოიმუშავა, ამ მინიმუმის თითქმის ნახევრის გადახდას სთხოვ, ანუ სასიკვდილოდ სწირავ. როცა ორგანიზაციას მისი შექმნილი ფასეულობის ნახევარზე მეტს ახდევინებ. ეს არ არის საგადასახადო რეჟიმი — ეს არის დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ. ეს დანაშაული წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა, მაგრამ მისი სამართალმემკვიდრე ახალი ხელისუფლება ვალდებულია სასწრაფოდ შეცვალოს ანტიადამიანური საგადასახადო სისტემა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პრესის დაბეგვრის რეჟიმი, პრესა არ შეიძლება განიხილო, როგორც ჩვეულებრივი ბიზნესი. მისი განსაკუთრებული საზოგადოებრივი დანიშნულების გამო პრესას ეკუთვნის განსაკუთრებული დაბეგვრის სისტემა, რომელიც არათუ იძულებულს გახდის მასმედიას არსებობისათვის ჩაიდინოს ეკონომიკური დანაშაული, არამედ ხელს შეუწყობს მის სტაბილურ განვითარებას.

ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ადრე ოპოზიციაში იყო და დღეს ხელისუფლებაშია, მხარს უჭერდა პრესის თითქმის მთლიანად გათავისუფლებას გადასახადებისაგან, მაგრამ აცხადებდა, რომ შევარდნაძის რეჟიმის პირობებში პრესისთვის ასეთი მხარდაჭერის მიღწევა შეუძლებელია. დღეს ეს ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ხელისუფლებაში არიან და ხელს აღარავინ უშლით დანაპირები შეასრულონ. გასულ წელს ასოციაცია „თავისუფალმა პრესამ“ პარლამენტში შეიტანა პრესის სპეციალური რეჟიმით დაბეგვრის კანონის პროექტი, მაგრამ მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები მის მხოლოდ მცირედ ნაწილზე დაგვთანხმდნენ, თუმცა არც ეს მცირე ნაწილი ქცეულა კანონად. ჩვენ მოვითხოვთ დანაპირების ასრულებას და საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას ამ წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე.

***ასოციაცია „თავისუფალი პრესა“***
***„საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია“***

# SOS — მიტოვებულ ბავშვებს მხოლოდ უცხოელები ვერ გაგვიზრდიან!..

*ნუცუბიძის ფერდობსა და უფრო მაღლობზე მდებარე სააგარაკე დასახლებებს შორის კიდევ ერთი სოფელია — „კინდერდორფი“, რაც გერმანულად „ბავშვთა სოფელს“ ნიშნავს და ასე, გერმანულადვე, მოიხსენიებენ... ეს ალბათ იმითაა გამოწვეული, რომ „ბავშვთა სოფლის“ ტოპონიმი ქართულ ცნობიერებაში ვერ ჯდება — ბევრჯერ გვიჭირდა, მაგრამ წარსულში არასოდეს გვქონია ბავშვთა დასახლებები. გაჭირვებული ოჯახების შვილებს ან ნათესავები პატრონობდნენ, ანდა ქველმოქმედები.*

...მეორე მსოფლიო ომში დაობლებულმა ავსტრიელმა ჰელმუტ მაინერმა გალატაკებულ ქვეყნებში დაიწყო „კინდერდორფების“ აშენება. დღეს ამ საქმეს მისი მემკვიდრე, ასევე ბავშვთა სოფელში გაზრდილი ჰელმუტ კუტინი აგრძელებს (როგორც მითხრეს, ასეთივე სოფელი ქუთაისშიც შენდება). თბილისური სოფლის 12 ევროპული „გამომეტყველების“ შენობაში 12 „ოჯახი“ ცხოვრობს. თითოეულში 7 ბავშვი მზრუნველი „დედის“ მეთვალყურეობით იზრდება. როცა ეს დასახლება შეიქმნა, 1996 წელს, მისმა დამფუძნებლებმა საგანგებო ტენდერი ჩაატარეს და მასში 12-მა ქალბატონმა გაიმარჯვა. მას შემდეგ თითოეული მათგანი შვიდი სხვადასხვა ასაკის ბავშვს გულში იხუტებს... შრომის საფასურს ფულით მათი უცხოელები უხდიან, სიყვარულით — ბავშვები. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ბიოლოგიური დედა ჰყავს, აქაურ აღმზრდელებს ასე მოიხსენიებენ: „დედამ მითხრა“, „დედამ წამიყვანა“, „დედამ მიყიდა“... და თუმცა მაღლობებს შეფარებულ კომფორტულ კოტეჯებში სევდის ჩრდილი და სიჩუმეც სუფევს, უცხოელები 84 ქართველს მაინც ღირსეულ მოქალაქეებად გვიზრდიან. პატარებს არაფერი აკლიათ, გარდა ნამდვილი ოჯახისა.

თუმცა იმასაც ამბობენ, უცხოელები ქართველ ბავშვებს მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ინტერესებისათვის ზრდიანო... ამიტომაც ერთ საღამოს, „კინდერდორფში“ სწორედ იმ დროს მივედი, როცა ბავშვებს შეეძლოთ გულწრფელად ელაპარაკათ...

სიმართლე რომ ვთქვა, დაცვის სამსახურს ჩემი შეშვება არ უნდოდა — დილით მობრძანდითო, მაგრამ არც მე მინდოდა უკან დახევა. სანამ პირველ სართულზე პატარების ნახატებს ვათვალიერებდი, მეორე სართულიდან ყიჟინით დაეშვა უფროსი ასაკის ბავშვების ჯგუფი და საუბარიც შედგა...

აი, როგორ ცხოვრობს ბავშვთა სოფელი და რა ელის მას მომავალში...

**— ასე ერთად საიდან მოდიხართ, რას აკეთებდით?**

— კომპიუტერულ ცენტრში ვმუშაობდით...

**— თუ სწავლობდით?**

— ხან ვსწავლობთ, ხან ვმუშაობთ, ხან ვთამაშობთ... ჩვენ 170-ე სკოლაში ვსწავლობთ. იქაც გვაქვს კომპიუტერები. უცხოელმა სპონსორებმა გვიყიდეს. მათ უკვირთ, რატომ არ გვეხმარებიან ქართველი ბიზნესმენები. ისე, ჩვენ არაფერი გვაკლია...

**— ჩავთვალოთ, რომ პრობლემები არა გაქვთ?**

— ასე არ არის. ჩვენი ოჯახებისგან შორს ვართ, მაგაზე ვდარდობთ. მაგრამ აქაური დედები ცხოვრობენ ჩვენთან. როგორ გითხრათ, აქ ისეა, როგორც ისეთ ოჯახებში, სადაც მამა შინ არ არის, მხოლოდ ფულს აგზავნის და შვილებს დედა უკეთებს ყველაფერს.

**— მაინც რას?**

— რასაც დედები აკეთებენ, — უვლიან, აძინებენ, ბანენ, ეფერებიან, ასწავლიან და რა ვიცი... სკოლაში მშობელთა კრებებს ესწრებიან. ხან გვიჯავრდებიან, ხან გვეფერებიან. ზოგიერთები სულ პატარები გაზარდეს. 8 წლის მარი და ლალი ტყუპია, წელიწად-ნახევრისანი მოიყვანეს ჩვენთან. დიდი ხნის შემდეგ მათი ბიოლოგიური დედა რომ მოვიდა, აღარც მიეკარნენ. ჩვენი სკოლის დირექტორიც ჩვენთან ცხოვრობს, ჩვენზე ყველაფერი იცის.

**— ისიც, სიგარეტს ჩუმჩუმად რომ ეწევით?**

— იცის (იცინიან), თუ არ იცის, ისე დაგელაპარაკება, აღარასოდეს მოსწევ...

**— აქ ასე განებივრებულებს, მერე ცხოვრება არ გაგიჭირდებათ?**

— არა! იმიტომ, რომ ვიცით, რაა კარგი და რა — ცუდი. ქუჩის მათხოვრებიც გვინახავს და ისიც ვიცით, წებოთი როგორ „კაიფობენ“. ამას რა უნდა, ვიყიდით წებოს და ვიკაიფებთ, მაგრამ ეს არ მოგვწონს. ჩვენი ბავშვები კოლეჯებსა და ინსტიტუტებში სწავლობენ.

**— რწმენაზე ვინ გესაუბრებათ, ქართველები თუ უცხოელები?**

— აქაური დედები. ეკლესიებში იმათ დავყავართ. ერთი დედა გვყავს, ცხრუკვეთელია. თავისი 7 შვილი ცხრუკვეთში დაჰყავს ზაფხულობით. აქ არიან მისი შვილები თემური და გიორგი. თუ გაინტერესებთ, ცხრუკვეთზე მოგიყვებიან, ხომ იცით, ჩვენი პრეზიდენტი ამ სოფლიდან ყოფილა...

**— აბა, მომიყევით...**

**თემურ ნარიმანიძე:** — ჩემი ძმაც იქ იყო. ვეხმარებოდით ემზარ ბიწაძეს, როცა მაცხოვრის ჯვარცმას ხეში კვეთდა (ამაზე „კვირის პალიტრა“ წერდა). ეს ამბავი ხომ იცით? — ემზარი ავღანეთში ომობდა, იქ უნდოდა გულზე ნახევარმთვარე დაეკიდა. წმინდანი გამოეცხადა და უთხრა — ეგ არ არის შენი საქმე, გულზე ჯვარი უნდა დაიკიდოო. მერე ემზარმა ჯვარი ტყავის ქამრისგან გამოჭრა... რამდენჯერმე ჰქონია ხილვა. ხეზე მუშაობა არ იცოდა, მაგრამ შეძლო — ქართული კოპიტისაგან გამოკვეთა ჯვარცმა. გამოკვეთისას იესოს თმა ჩვეულებრივი ფერისა იყო, ისეთი, როგორიც ხეს აქვს... მერე თანდათან იცვლებოდა, სანამ არ გახდა ისეთი, როგორიც ქრისტეს სინამდვილეში ჰქონდა. როცა ამ ჯვარცმას თბილისში წამოაბრძანებენ, მეც უნდა გამოვყვე ფეხით. ჩემი ჯვარიც იმ კოპიტისგანაა გამოჭრილი.

**— როცა სწავლას დაამთავრებთ, უცხოელები თან წაგიყვანენ სამუშაოდ თუ გეტყვიან, თქვენი გზა თვითონ მოძებნეთო?**

— არსადაც არ მივყავართ. ჩვენ ჩვენი სამშობლო გვაქვს! თუმცა ამბობენ, რომ ბინის შესაძენ კრედიტსაც მოგვცემენ, ნახევარს თვითონ დაფარავენ, ნახევარს — ჩვენ ვიმუშავებთ და დავფარავთ.

...ასეთი იქნება იმ პრესტიჟული „კინდერდორფის“ ბინადართა მომავალი, რომელიც უცხოელებმა დააარსეს ჩვენი პატარებისთვის. სხვა პროგნოზებზე თავს არ დავდებ, მაგრამ ის ნამდვილად ვიცი, რომ ის ბავშვები, რომლებიც კომფორტულ ცხოვრებას შეეჩვივნენ, სიღარიბეში ცხოვრებას აღარ მოინდომებენ...

P.S. უცხოელების მიერ დაარსებული ბავშვთა სოფელი ამჯერად, მართლაც ერთადერთი ნორმალური ბავშვთა თავშესაფარია საქართველოში. იქ პატარებს შერჩევით იღებენ და სამადლოდ ზრდიან... მაგრამ ეს ხომ გამონაკლისია. რა ქნან დანარჩენებმა, რომელთაც სასმელ-საჭმელიც აკლიათ, ჩასაცმელიც... მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა პრობლემა მეტ-ნაკლებად ყოველთვის იარსებებს... ასევე იარსებებს მათი სრულფასოვან მოქალაქეებად აღზრდის პრობლემა...

„კინდერდორფი“ იშვიათი გამონაკლისია!

საქართველოში კი ბევრი მიტოვებული ბავშვია და ყველას უცხოელები ვერ გაგვიზრდიან!..

***ეთერ ერაძე***

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **ვაჟა გავაშელი** — „ამის შემდეგ ავტომატი ხელში აღარ ამიღია“ — 134 ხმა
2. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ვის ეჭიმებოდა „სმირნაზე“ „არქმშენინსპექციის“ უფროსის მოადგილე“ — 48
3. **ინგა ჯაყელი** — „მოვეფეროთ დედაქალაქს, ოღონდ არა „დანარჩენი საქართველოს“ ხარჯზე...“ — 37
4. **დაჩი გრძელიშვილი** — „ჩვენ მხოლოდ ის მოგვეთხოვება, რომ წაგება არ მოვინდომოთ“ — 32
5. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 26
6. **დევით დევიძე** — „ალო, „ჩვენ გისმენთ!“ — 20
7. **პატრიკ ფორესტიე,** „პარი მატჩი“ — „მიშა და სანდრა კავკასიელი კენედები“ — 18

„მკითხველის პრემია“ გადაეცემა **ვაჟა გავაშელს.**

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 379-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

*თბილისის საოლქო სასამართლოში ერთი მეტად საინტერესო სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. განსასჯელთა სკამზე ზის კაცი, რომელიც თავს სრულიად უდანაშაულოდ აცხადებს და მიაჩნია, რომ წინასწარდაკავების იზოლატორში მხოლოდ პოლიტიკური დევნის გამო იმყოფება. არადა, საბრალდებო დასკვნა სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს. გამოძიების ვერსიით, პოლიტიკური მოტივები არაფერ შუაშია. ამ ვერსიით განსასჯელი თეიმურაზ თოთიბაძე საერთაშორისო კლასის თაღლითია. ჟარგონით რომ ვთქვათ, გადამგდები, რომლის მსგავსი საქართველოს არ ახსოვს. გამომძიებლები ამბობენ, რომ ქედს იხრიან თოთიბაძის თაღლითური ნიჭის წინაშე. თეიმურაზ თოთიბაძეა ის კაცი, რომელმაც სხვადასხვა დროს გადააგდო ბორის ბერეზოვსკი და ცნობილი ბიზნესმენი გრეგორი კინტერაია. „გადაგდებულთა“ ჩამოთვლას დიდი დრო დასჭირდება. თოთიბაძე ევროპის ქვეყნებში ედუარდ შევარდნაძის რეზოლუციიან ქაღალდებსაც აფრიალებდა. მათი მეშვეობით ბანკებიდან მილიონები უნდა გამოეტანა...*

მოწმეების ჩვენებით არის დადგენილი. როცა კინტერაიას ფული ჩაიჯიბა, „საქმიანი ბიჭის“ იმიჯის შესაქმნელად დაიქირავა რვაკაციანი დაცვა, ოფისი, იყიდა მანქანები და ტელევიზიით ხმაური ატეხა, რომ საქართველოს ეკონომიკური აღორძინების პროგრამა ჰქონდა შემუშავებული. ამ საქმისთვის თანხებიც თითქოს თვითონვე ჰქონდა შემოტანილი.

— **აბა, რაში ედავებით, თუკი საჯაროდ გამოდიოდა და არც მალავდა, რომ თანხები ჰქონდა?**

— ეს იმისთვის სჭირდებოდა, რომ ხალხი მიეზიდა და მერე ისინიც გადაეგდო. რომელი ადამიანი ეტყოდა უარს მილიონერ თოთიბაძეს რაღაც 50 ათასი დოლარის სესხებაზე? თუმცა, თოთიბაძე მილიონერად კი არა, მილიარდერად ასაღებდა თავს... ჩავიდა მონღოლეთში, იქიდან ჩინეთში გადავიდა. იქ ნიუ-იორკის ერთ-ერთი ბანკის თანამშრომელს გაეცნო. წარუდგინა ბიზნესგეგმა და გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ამერიკა თოთიბაძეს ბიზნესგეგმის განსახორციელებლად 1,7 მილიარდ დოლარს(?!) გამოუყოფდა. ჩვენ ინტერპოლის საშუალებით გადავამოწმეთ იმ ნიუ-იორკელის ვინაობა. ამერიკიდან გვაცნობეს, რომ მისი ფირმა 1992 წელს გაუქმებულა. ესე იგი, გაუქმებული ფირმის ბეჭედი ჰქონია ვიღაცას, მაგრამ თოთიბაძე ამას სულ არ ნაღვლობდა. ჩამოიტანა 1,7-მილიარდიანი ხელშეკრულება და ააფრიალა. ერთი სიტყვით, 1,7 მილიარდი აქვს, მაგრამ საქართველოში არავის იცნობს. დაუკავშირდა მომღერლებს, მსახიობებს, ყველას დაჰპირდა თითო მილიონ დოლარს და სთხოვა, პარლამენტარები და მთავრობის წევრები გამაცანითო. ეს 1997 წელს ხდება. მართლაც დაეხმარნენ. 60-მდე პარლამენტარმა მოაწერა ხელი წერილს, რომ შევარდნაძეს თოთიბაძე მიეღო. პრეზიდენტმა წერილს რეზოლუცია დაადო, რომ მთავრობის წევრებს მიეღოთ ეს კაცი და მოესმინათ.

მოუსმინეს. ადეიშვილი ეკითხება: საქართველოს მთავრობისგან რას მოითხოვთო? უპასუხა — არაფერი მინდა, ოღონდ ეს ფული დამაბანდებინეთ საქართველოშიო. „ტრასეკასა“ თუ აბრეშუმის გზის პროექტს მთლიანად მე დავაფინანსებ და მილიონობით ტონა ტვირთი შემოვა საქართველოს რკინიგზაზეო. რკინიგზის გაკეთებასაც საკუთარი ძალებით აპირებდა... ყველაფერი ეს სინამდვილეში სიყალბე იყო და ერთ მიზანს ემსახურებოდა, — მთელ საქართველოს გაეგო იმ კაცის შესახებ, რომელიც ქვეყნის „აყვავებას“ აპირებდა. გათვლა სწორი იყო. სწორედ ამ პერიოდში ჩამოვიდა ზუგდიდელი ვინმე ჩიქოვანი, ანაკლიის პორტის მშენებლობის ბიზნეს-გეგმა წარუდგინა და დახმარება სთხოვა. რა პრობლემაა, მილიარდერი ვარო და გაჰყვა ცოლ-შვილით ზუგდიდში. იქ თვითმფრინავი დაიქირავა. გადაუფრენდა და გადმოუფრენდა ანაკლიას და იყო ერთ ამბავში. მერე მიადგა ზუგდიდის წისქვილკომბინატის დირექტორს, ტარიელ ქანთარიას. უთხრა, ელევატორები არ გქონიათ კარგი, შვეიცარიაში დავრეკავ და ორ ელევატორს საჩუქრად გამოგიგზავნიანო. ცოტა ხნის მერე ისევ მივიდა ქანთარიასთან და სთხოვა: ჩემს მეგობარს ფქვილი სჭირდება. ერთი 600 ტონა მასესხე და 15 დღეში დაგიბრუნებო. ფქვილს ვინ დაუკავებდა? გააფორმეს ხელშეკრულება და 600 ტონა ფქვილთან ერთად დაბრუნდა თბილისში. ნაწილი ბანკ „კრედიტს“ გადასცა და ფული გამოიტანა. დანარჩენი კი გაყიდა. რამდენიმე თვის მერე ქანთარიამ მიაკითხა, მაგრამ ვინ მისცემდა ფულს? ისე გამწარდა ქანთარია, მეგობრებთან ერთად შინ მაკრატლით მიადგა. თოთიბაძე წვერს ატარებს და საჯაროდ უნდა გაეკრიჭათ და შეერცხვინათ, მაგრამ დაცვამ არ შეუშვა. გავიდა ხანი და მოქალაქე თამარ ხომასურიძეს ვაკეში ბინები გააყიდვინა და 93 ათასი დოლარი გამოართვა. ამასთან, ხელშეკრულება გაუფორმა, რომ ამ ფულს დიდი მოგებით დაუბრუნებდა. მოქალაქე ლაბაძეს 15 ათასი დოლარი გამოართვა, ცხოვრებაშვილს — 25 ათასი, ჯუმბერ კახიძეს — 36 ათასი დოლარი. დაზარალებულები ბევრნი არიან, ჩამოთვლას აზრი არა აქვს.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

# „კაცი დაჭერილი იყო და თავისას მაინც არ იშლიდა“



თეიმურაზ თოთიბაძე

## საქართველოს აღმავლობისთვის მებრძოლი თუ საერთაშორისო დონის თაღლითი

## ნახშირისგან საწვავის გამოხდა ქართულად

რატომ ბრალდება თაღლითობა თეიმურაზ თოთიბაძეს და რას ედავებიან მას სამართალდამცველები, ამ საკითხზე „კვირის პალიტრას“ შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი **აკაკი ჯიქონაია** ესაუბრება: — თეიმურაზ თოთიბაძე 1998 წლის 5 მარტს დავაკავეთ. კარგა ხანს იძახდა, სინდისის პატიმარი ვარო. არადა, სრულიად არ გააჩნია სინდისი. ისეთი რაღაცები აქვს გაკეთებული, გაგიკვირდებათ, ერთმა კაცმა როგორ მოახერხა ყოველივე ეს. 180 ათასი დოლარი შეაწერა ბერეზოვსკის. თავი ბიზნესმენად გააცნო. ფული ვითომ რაღაც პროექტში უნდა ჩაედო. სხვათა შორის, ბერეზოვსკის გარემოცვა არაფერში დაეჭვებულა.

მეძმარიაშვილმა რომ ანტენა გაუშვა კოსმოსში, ხომ გახსოვთ? მის დაფინანსებაში საზღვარგარეთ მყოფმა ცნობილმა ბიზნესმენმა, გრეგორი კინტერაიამ მიიღო მონაწილეობა — რამდენიმე მილიონი დოლარი გადაიხადა. თოთიბაძემ კინტერაიას 505 ათასი დოლარი გამოსტყუა.

— **როგორ გამოსტყუა?**

— ინგლისში, მენის კუნძულზე დაარეგისტრირა შპს „თერი თრეიდინგ ინვესტიდ ლიმიტედი“. მერე გერმანიაში დაუკავშირდა გრეგორი კინტერაიას და დაარწმუნა, თუკი კინტერაია კრედიტს მისცემდა, ფულს საქართველოს ეკონომიკური აღორძინების საქმეს მოახმარდა. პროგრამის სახელებიც წინასწარ ჰქონდა შერჩეული — „ენერგია 1“, „ენერგია 2“, „ხიდი“ და „კავშირგაბმულობა“.

— **გამოდის, კრედიტი ენერგოსფეროში უნდა გამოეყენებინა?**

— რა თქმა უნდა... ერთ მაგალითს მოგიყვანთ: თოთიბაძემ კინტერაია დაარწმუნა, ტყიბულის ქვანახშირიდან საწვავს გამოვხდიო. ადრე, მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანელები აკეთებდნენ ამას, ტანკები მუშაობდნენ ასეთ საწვავზე... დაუჯერა კინტერაიამ და 505 ათასი დოლარი გამოუყო. თოთიბაძემ 200 ათასი დოლარი გაერთიანებულ ქართულ ბანკში გადმორიცხა, დანარჩენი — 305 ათასი — მენის კუნძულებზე. ჩაიდო ფული ჯიბეში და კინტერაია ხახამშრალი დატოვა.

— **ნახშირიდან საწვავი გამოხადა?**

— თქვენ გამოგიხდიათ რამე? ვიდრე კინტერაიას გამოართმევდა ამ ფულს, არაფერი გააჩნდა. ეს დოკუმენტურად,

# მთავარმა მეზვერავმა მთავარსარდლის დოსიე „ამოსწია“

## „საქართველოს პრეზიდენტს რუსეთში არჩევანი აღარ დაუტოვეს“




რუკა მოგვაწოდა გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ჯანო კეკელიამ

*შეურაცხყოფილი და დათრგუნვილი გამოვედი საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტიდან. გეოგრაფების მოწოდებულმა ინფორმაციებმა აღმაშფოთა. თურმე საქართველომ 1920 წლიდან დღემდე, ხელისუფლების უგერგილობისა და უხეში პოლიტიკური შეცდომების გამო, სამუდამოდ დაკარგა 18 ათას 507 კვკმ ტერიტორია(?!). ეს პროცესი დღემდე გრძელდება. როგორც ამბობენ, მხოლოდ მცხეთა-მთიანეთის სასაზღვრო სივრცეში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს 63 კვკმ ტერიტორია ჩამოეჭრა(?!). მეტიც, დამოუკიდებლობის მოპოვების მე-13 წლისთავზე საქართველოს არ გააჩნია ოფიციალურად დამტკიცებული და მეზობელ ქვეყნებთან შეთანხმებული საზღვარი. სახელმწიფო ხომ საზღვრიდან იწყება?! რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, საქართველოს ბოლომდე დადგენილი და დელეგირებული საზღვარი არ აქვს.*

გვესაუბრება საქართველოს საზღვრების დელიმიტაციის საექსპერტო კომისიის წევრი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, კარტოგრაფი, პროფესორი **ჯანო კეკელია:** — საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ვალდებული იყო და ახლაც ვალდებულია, მეზობელ ქვეყნებთან მოაგვაროს საზღვრების დელიმიტაციის საკითხი (დელიმიტაცია — პროცესი, როდესაც ორი მეზობელი ქვეყნის სამთავრობო კომისიები შეისწავლიან და დაადგენენ საზღვარს). დღემდე საქართველომ თურქეთისა და წითელი ხიდის, ასევე აზერბაიჯანთან საზღვრების მცირე ნაწილის დელიმიტაცია მოახდინა კომისიების დონეზე, თუმცა წითელ ხიდსა და საზღვრის ალაზნის მონაკვეთზე მიღწეულ შეთანხმებას მე არ ვეთანხმები. აუცილებლად უნდა გადამოწმდეს სამთავრობო სადელიმიტაციო კომისიების მიერ ჩატარებული სამუშაოები. ამ მონაკვეთზე არაკვალიფიციურად არის გაკეთებული საზღვრის ხაზი. იქ სხვა გეოგრაფიული და ჰიდროლოგიური პრინციპები უნდა გამოყენებულიყო. ამის გამო საქართველომ ტერიტორიის მნიშვნელოვანი მონაკვეთი დაკარგა(!). წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს ეკუთვნოდა 310 ჰექტარი მიწა, რომელიც 50-იან წლებში დროებითი სასარგებლობისთვის უსასყიდლოდ მიეცა აზერბაიჯანის რესპუბლიკას მეხამხეობის განვითარების მიზნით(?!). მოგვიანებით კი ტერიტორია აზერბაიჯანელებს მუდმივ სარგებლობაში გადაეცა. კომისიამ, რომელიც წითელ ხიდთან ორ ქვეყანას შორის გამყოფ სასაზღვრო ზოლს ადგენდა, არ გაითვალისწინა 50-იანი და შემდგომი წლების დოკუმენტები. ეს არის სერიოზული დანაშაული და ქართულმა სამთავრობო სადელიმიტაციო კომისიამ ქვეყნის ინტერესები აზარალა.

— **რა მდგომარეობაა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე?**

— საზღვრის ჩრდილოეთ პერიმეტრზე სხვა პრობლემებია. დავიწყოთ პირიქითა ხევსურეთის საზღვრით. ეს ტერიტორია ოდითგანვე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, მაგრამ 50-იანი წლების მიწურულს საქართველოს ხელისუფლებამ პირიქითა ხევსურეთის 212 კვკმ რუსეთის ფედერაციას გადასცა და ტერიტორიის მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა საქართველოს საზღვრებში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პირიქითა ხევსურეთში სასაზღვრო ზოლი ზუსტად ანატორის სამლოცველოზე გადიოდა, იქ, სადაც მდინარე არღუნისა და ანდაკის შესართავია. დაახლოებით ოთხი წლის წინ რუსმა მესაზღვრეებმა დაარღვიეს საზღვარი, შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში და საზღვრის ხაზი რამდენიმე ასეული მეტრით გადმოსწიეს.

რუსი სამხედროების მიერ საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის ზოლის გადმოწევას კავკასიონის ქედის სამხრეთით ეწინააღმდეგებოდა სასაზღვრო ძალების სარდლის მოადგილე გელა ხუციშვილი. იგი სწორედ ამას გადააყოლეს და სასაზღვრო ძალებიდან გააგდეს. რუსი სამხედროები ამას ვერ გაბედავდნენ, რუსეთთან საზღვარი დელიმიტირებული და შეთანხმებული რომ ყოფილიყო, თუნდაც კომისიების დონეზე. მეტიც, მოგვიანებით მოვლენები საზღვრის ამ მონაკვეთზე საქართველოსთვის უფრო სავალალოდ განვითარდა. მიიწვიეს სადელიმიტაციო კომისია და გააფორმეს ოქმი, რომლის თანახმად, საზღვრის პერიმეტრმა საქართველოს ტერიტორიაზე 800 მეტრით შემოიწია. სამწუხაროდ, იმ კომისიაში მე არ შემიყვანეს. უფრო დიდი შეცდომა დაუშვეს მთათუშეთის საზღვრის მონაკვეთზე.

— **დაგვიკონკრეტეთ, თუ შეიძლება.**

— 1957 წელს დაღესტნის ავტონომიურმა რესპუბლიკამ საქართველოს გამოუგზავნა დოკუმენტი, სადაც იგი ჩვენს ხელისუფლებას ჩეროს მიმდებარე ტერიტორიის 42 კვკმ-ის გადაცემას სთხოვდა. მაშინ თხოვნას საქართველოს ხელისუფლებამ უარით უპასუხა, მაგრამ ახლა დიკლოს მთაზე, სადაც საქართველოს, დაღესტნისა და ჩეჩნეთის საზღვრები ერთმანეთს უერთდება, რუსებმა დიკლოს მთის დასავლეთით, სამი კილომეტრით მოითხოვეს საქართველოს საზღვრის გადმოწევა. საქართველოს სამთავრობო სადელიმიტაციო კომისიამ არ გაითვალისწინა 1957 წელს დაღესტნიდან მიღებული დოკუმენტი, რომელშიც ეს ტერიტორია საქართველოს კუთვნილებად იყო აღიარებული და 1999 წლის მაისში ხელი მოეწერა ორმხრივი შეთანხმების ოქმს, რის შედეგადაც, ამჯერად მართლაც დაიკარგება 42 კვკმ ქართული მიწა. უფრო ადრე, პირიქითა ხევსურეთში 212 კვკმ დავკარგეთ(?!). საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ჩვენი სასაზღვრო ძალები და რუსი სამხედროები ამაზე წინასწარ შეთანხმდნენ. რუსები იარაღით შემოგვიტევდნენ, ჩვენი მესაზღვრეები კი დატოვებდნენ საზღვარს, ანუ გამოიქცეოდნენ (რაც წესდებით სასტიკად აკრძალულია). მერე კი რუსები სასწრაფოდ ჩადგამდნენ საგუშაგოებს. ასეც მოხდა.

— **სქემატურ რუკაზე საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე კიდევ ერთი ტერიტორია ჩანს დაკარგულად. ეს რა ადგილია?**

— ეს ყაზბეგის რაიონია. ზედა ლარსთან არის ადგილი, რომელსაც „დიდი ღორღები“ ეწოდება. ამ ადგილიდან თითქმის კილომეტრზე გადმოსწიეს საზღვრის ზოლი რუსმა მესაზღვრეებმა. საქართველომ 12 კვკმ დაკარგა. იმ რაიონში ქართველი მესაზღვრეების შტაბი საზღვრიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით, ალპინისტების ბანაკთან ახლოს მდებარეობდა. საზღვარზე ერთი გასაცოდავებული შლაგბაუმი ჰქონდათ გაკეთებული, რომელსაც საკონტროლო-გამშვებ პუნქტს ეძახდნენ. თვითონ მესაზღვრეებმაც არ იცოდნენ ზუსტად, სად უნდა დამდგარიყვნენ. არადა, ქართველ მესაზღვრეებს შლაგბაუმი და პოსტები გვირაბის იქით უნდა დაეყენებინათ, იქ, სადაც რეალურად გადიოდა საზღვარი, მაგრამ აქაც გარიგება მოხდა რუსებთან. ვერ დავამტკიცებ, მაგრამ ფაქტია, ყაზბეგის რაიონის სასაზღვრო სივრცეშიც დავკარგეთ ქართული მიწა. თუ არ იცოდნენ, მოსულიყვნენ, ჩემთვის ეკითხათ და ზუსტად მივუთითებდი, სად უნდა დამდგარიყვნენ საზღვარზე. სწორედ არაკომპეტენტურობის ბრალია, რომ სომხეთის საზღვართან, სოფელ ახპერთან შლაგბაუმი საქართველოს ტერიტორიაზე 10 კილომეტრით გადმოიწია. და ერთიც, ჩვენმა ყოფილმა ხელისუფლებამ უხეში შეცდომა დაუშვა მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციაში მეორე პუნქტად ჩაწერა, რომ საქართველოს საზღვრები და ტერიტორია განსაზღვრულიყო 1991 წლის მდგომარეობით...

ვინმემ შეიძლება იფიქროს, რატომ იჩენს „კვირის პალიტრა“ და მისი ჟურნალისტი ამ კონკრეტული საკითხით (სასაზღვრო დეპარტამენტით) ასეთ დაინტერესებასო. მაგრამ მინდა განგიცხადოთ, რომ ამ თემას მიყრუება არ ეგების. ეს ხომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიებს ეხება, რაც ვფიქრობ, თითოეული ქართველისთვის ძალზე მტკივნეული თემაა. როგორ შევინარჩუნებთ წინაპრების ნალოლიავებ და დიდი სისხლის ფასად შენარჩუნებულ ტერიტორიებს (იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რაც დროებით დაკარგული გვაქვს), რომელიც შთამომავლობას უნდა გადავცეთ. რა პასუხი უნდა გავცეთ მომავალ თაობებს, თუ დღეს ასე უდიერად (რბილად რომ ვთქვათ) ვეპყრობით ჩვენი ქვეყნის სახეს, რომელსაც საქართველოს საზღვარი ჰქვია(!).

როგორც ჩვენს მკითხველს მოეხსენება, ამა წლის თებერვლის ნომრებში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სისტემაში არსებულ დარღვევებზე ვწერდით, რის შედეგადაც საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურატურაში (საკმაოდ ოპერატიულად) სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა და გამოძიებამ ყოფილი სარდლის ნათესავი, დავით ჩხეიძე და ინფორმატიკის სამმართველოს უფროსი ირაკლი პაპავა დააპატიმრა. გვერწმუნეთ, რედაქციასა და პირადად ჟურნალისტს არავის დაპატიმრება არ გაგვხარებია. საციხედ მაინც არავინ გვემეტება. ჩვენი მთავარი ამოცანა მხოლოდ სიმართლის დადგენა და საზოგადოებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდებაა.

დარწმუნებული ვიყავით, რომ ხელისუფლება, ყოველ შემთხვევაში, გამოძიების დამთავრებამდე მაინც, დეპარტამენტის ხელმძღვანელს თუ თანამდებობაზე დატოვებდა, არ დააწინაურებდა მაინც.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

# „სად იყო ჩემს დროს ასეთი კორუფცია“



*ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე* ***ჯუმბერ პატიაშვილი*** *რევოლუციის შემდეგ უჩვეულოდ დუმს. თითქოს ძველი მეტოქის, ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ სათქმელი და საკეთებელი აღარაფერი დარჩა. უცნაური იყო, რომ მას რევოლუციონერობისთვისაც არ ერგო ჯილდო — თანამდებობა არ მიუღია. კულუარებში ხუმრობდნენ კიდეც, პატიაშვილი სპარინგპარტნიორის კანცელარიიდან გასტუმრების გამო ისე მიეცა ტკბობას, რომ პორტფელების განაწილების პროცესი გამოეპარაო. რაკი ვარაუდებზე მეტად სიმართლე გვაინტერესებდა, თავად „ერთობის“ ლიდერთან ვცადეთ გარკვევა: თუ რატომ არ ჩანდა ერთ-ერთი რევოლუციონერი მოზეიმეებს შორის:*

— საზეიმო ბევრი არაფერი გვქონდა... რევოლუციაში იმიტომ ვმონაწილეობდი, რომ 2 ნოემბრის არჩევნების ფალსიფიკაციის ხარისხმა აღმაშფოთა. მანამდეც მინახავს არჩევნების გაყალბების მაგალითი, მაგრამ ისეთი მზაკვრული მეთოდები, რომელიც მაშინ გამოიყენა ხელისუფლებამ, დაუჯერებელი და წარმოუდგენელი იყო. ჩვენ არჩევნების შედეგების გაყალბების გამო შევუერთდით სააკაშვილის მოწოდებას — გვერდით დაგვიდექითო, თორემ რევოლუციისაგან რამის მიღება და პორტფელების გადანაწილების პროცესში მონაწილეობა არც გვიფიქრია...

— **მაშინ შეიძლება ითქვას, რომ თქვენი მთავარი მიზანი შევარდნაძის დამარცხება ყოფილა.**

— შესაძლოა მართლაც ეს იყო ჩემი მთავარი მიზანი. შევარდნაძეზე არ მინდა ვილაპარაკო, მაგრამ მას და გუნდს, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა, ისეთი დანაშაულებრივი ქმედებები აქვთ ჩადენილი, ხელისუფლებაში ყოფნის უფლება არ ჰქონდათ... როდესაც სააკაშვილი დაასახელეს პრეზიდენტობის კანდიდატად, მხარი დავუჭირე, მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში თავად ვაპირებ მონაწილეობას. ამ ახალ ძალას, ახალგაზრდა პრეზიდენტს მხარდაჭერა სჭირდება, მასთან თანამშრომლობას ვაპირებ...

რადიკალიზმი და ერთმანეთის ლანძღვა დღეს ქვეყანას დაღუპავს. ისე ვლანძღეთ ერთმანეთი, რომ პოლიტიკოსების გამო საზოგადოება გაიყო პოლიტიკური ნიშნით. ტერიტორიადაკარგულ, სოციალურად გაცრეცილ ჩვენს ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს ხალხის დაპირისპირება. სულ მეკითხებიან, — რატომ რაიმე თანამდებობაზე არ წახვედიო. მერწმუნეთ, არც მქონია ეს მიზნად.

— **თქვენ პრეზიდენტობაზე გქონდათ პრეტენზია და თანამდებობაზე არ გიფიქრიათ?**

— სიმართლე გითხრათ, არც შემოუთავაზებიათ... თავიანთი გუნდი მოიყვანეს ხელისუფლებაში.

— **რატომ, თქვენც ხომ მათ გვერდით და მათ გუნდში იყავით?**

— როგორ ვარ მათ გუნდში? ჩვენ ყველაფერში არ ვეთანხმებით ერთმანეთს. ამიტომ ვარჩიე რადიკალური კი არა, კონსტრუქციული ოპოზიციონერი ვიყო. ცოდნა და გამოცდილება მაქვს (თუმცა ზოგი ამ გამოცდილების გამო შეურაცხყოფას მაყენებს). მინდა იგი გავუზიარო ახალ თაობას, რჩევა მივცე, ამით დავუდგები მხარში. იმიტომ ვარ პოლიტიკაში, რომ მინდა მაქსიმალურად დავიხარჯო, თორემ პრეზიდენტად გახდომა აკვიატებული კი არ მაქვს. გამოცდილი ხალხის თანადგომა სჭირდებათ ახალგაზრდა ხელისუფალთ და ამას მხოლოდ სააკაშვილისთვის კი არა, ჩემი ქვეყნისთვის გავაკეთებ. მე მჯერა ქართველების.

## „კომუნისტების დროს რომ პრესა თავისუფალი ყოფილიყო, კმაყოფილი ვიქნებოდი“

რომელი დემოკრატიული კანონები მიუდგება ჩვენს ეროვნულ ტრადიციებს — უფროს-უმცროსობის დაცვას, ქალისადმი პატივისცემას, დედმამიშვილობას, ნათესაობას, მეზობლობას... ერთი გერმანელი მეცნიერი მეუბნებოდა, ჩვენ თქვენკენ მოვდივართ (თქვენგან ვსწავლობთ) და თქვენ საით მიდიხართ, შეინარჩუნეთ თქვენი ეროვნული თვისებები, ტრადიციები, კაცობრიობას მასზე უკეთესი ჯერ არაფერი შეუქმნიაო...

— **რაკი ამბობთ, ხელისუფლებისთვის სიმართლის თქმას ვაპირებთო, ახლა რას ეტყოდით?**

— შეუძლებელია ნორმალურ ადამიანს მოსწონდეს ვინმეს დაპატიმრება, მაგრამ რა ქნას ხელისუფლებამ, სხვა გზა არ აქვს. კორუფციასთან სასტიკი ბრძოლაა საჭირო, შუალედური მეთოდებით ვერ გაირღვევა კორუმპირებულთა წრე. კომუნისტების წყობას რომ აკრიტიკებენ ასე სასტიკად, კი ბატონო, ჰქონდა მას უამრავი ნაკლი, მაგრამ მაშინდელ კორუმპირებულებს არ ჰქონდათ ასეთი სასახლეები და აგარაკები, დღეს რომ აქვთ. დღეს ჩინოვნიკს მინიმალური ხელფასი აქვს და სასახლეში ცხოვრობს. საიდან? მერწმუნეთ, ისინი უბედური ადამიანები არიან. ყოველი დღის გათენებას შიშით ელიან. ჩვენი ხელისუფლება უნდა ეცადოს ხალხს ქონების პატიოსნად მოპოვების უფლება და საშუალება მისცეს. ხელისუფლებამ არ უნდა დაიწყოს გარჩევა, ვინ ჩემი მეგობარია და ვინ არაო. თუ ამ გზას დაადგებიან, ყველაფერი წყალში ჩაეყრებათ. ამან დაღუპა წინა ხელისუფლება, რომელმაც სახელისუფლებო გუნდს მისცა მთელი ძალაუფლება, ქონების დაგროვების შესაძლებლობა, იმუნიტეტი... იმდენად გაიხრწნენ, შავი ფულის გათეთრება ეკლესიების მშენებლობით დაიწყეს. სხვათა შორის, ესპანეთში აიკრძალა უპატიოსნოდ მოპოვებული ფულით ტაძრების მშენებლობა. განა ბიზნესის წინააღმდეგ გამოვდივარ, მაგრამ პატიოსნება ბიზნესმენსაც მოეთხოვება.

— **გასულ კვირას „ომეგას“ ოფისების ჩხრეკა თავისუფალი ბიზნესის წინააღმდეგ გალაშქრებად შეფასდა, თქვენც ასე ფიქრობთ?**

— რაკი ბატონი ზაზა და მისი მეუღლე ჩემი თანაბლოკელები არიან, შესაძლოა არაობიექტურობა დამწამოს ვინმემ. არ ვიცი, კონკრეტულად რა ბრალდებები წაუყენეს „ომეგას“ ხელმძღვანელობას და რამდენად ჰქონდათ ამის საფუძველი. თუმც ერთს ვიტყვი (ეს „ომეგას“ არ ეხება), 1999 წლიდან ბიუჯეტში სიგარეტის ბიზნესიდან ამოღებულმა გადასახადმა იკლო, არადა, მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ მწეველთა რაოდენობით. ასევე იკლო ნავთობპროდუქტებზე გადასახადმა, ეს მაშინ, როდესაც თბილისის ქუჩები მანქანებს ველარ იტევს.

— **ტელეკომპანია „იბერიის“ ოფისში სპეცრაზმის შესვლა რამდენად გონივრული გადაწყვეტილება იყო?**

— დიდი უგუნურებაა თავისუფალი მედიის შეზღუდვა. კომუნისტების დროს რომ პრესა თავისუფალი ყოფილიყო, მათ რომ ეთქვათ, ეს რაიკომის მდივანი კორუმპირებულია, ამა და ამ დირექტორმა ეს ჩაიდინაო, კმაყოფილი ვიქნებოდი. ჩემს გამოსვლებს უკეთებდნენ კორექტირებას და პრესაში მხოლოდ ცენზურის გავლის შემდეგ ბეჭდავდნენ. კარგი იქნებოდა, არ შესულიყვნენ „იბერიაში“. რამდენადაც ვიცი, ტელევიზიაში იმიტომ შევიდნენ, რომ „ომეგას“ ოფისიც იმ შენობაშია და შეეშალათ. შეიძლება ვცდები, მაგრამ სპეცსამსახურების თანამშრომლებისაც მესმის, სახეს რომ მალავენ (არა მგონია, ვინმეს შესაშინებლად იკეთებდნენ ნიღაბს). თვითონვე არ მოსწონთ, ვინმეს რომ აკავებენ. რა სასიამოვნო უნდა იყოს, კაცს ხელი ამოუტრიალო და დაიჭირო. სახეს იმიტომ იფარავენ, ვინმემ არ გვიცნოსო. ისინიც ხომ ადამიანები არიან, ქუჩაში ხომ უნდათ გავლა.

— **პრეზიდენტის სიძის, გია ჯოხთაბერიძის დაპატიმრება ზოგმა ასე შეაფასა — შევარდნაძის ოჯახზე ჯავრი იყარესო.**

— არა მგონია, ასე ყოფილიყო. ვფრთხილობ ამ ფაქტის შეფასებისას, იმიტომ, რომ შევარდნაძის ოჯახის წევრები ჩემ მიმართ ძალზე არაკორექტულები იყვნენ (მაშინ, როდესაც შევარდნაძე რუსეთში წავიდა), თქვეს — პატიაშვილი გვავიწროებს, ჩვენს ხალხს დაერია, ზეწოლას განვიცდითო. მერე ქალბატონი მანანას განცხადება ატრიალეს ტელევიზიით — არ გვესალმებოდაო. ვერ გავიხსენე, როდის არ მივესალმე... დიდი კვლევაძიება ხომ არ სჭირდება იმას, რომ პრეზიდენტის ოჯახი (და სანათესავო) აქამდე ცოტა თავაშვებულად ცხოვრობდა. როგორ შეიძლებოდა, ოჯახის ყველა წევრი წარმატებული ბიზნესმენი ყოფილიყო, ასეთი ნიჭიერი როგორ იყო ყველა? ღმერთმა დამიფაროს, პიროვნული დამოკიდებულება მალაპარაკებდეს... მაგრამ შენ რომ მილიონებს იხვეჭ, სხვასაც მიეცი ადამიანურად ცხოვრების საშუალება. 3 ბინა გაქვს — გეყოფა, 4 მანქანა გყავს — გეყო რა... როგორ შეიძლება, შენი გარემოცვის მაამებლები, ფარისევლები და ავაზაკები (რომლებიც პირადი გამორჩენის გამო შემოძვრნენ შენთან) იყვნენ წარმატებული ბიზნესმენები. შევარდნაძის ოჯახის წევრებმა ბოლოს ისიც კი თქვეს, რეპრესიებს განვიცდიდით პატიაშვილისგანო. არადა, კარგის მეტი მათთვის არაფერი გამიკეთებია. ჩემი ცკ-ის მდივნობის დროს რეპრესიები არ ყოფილა. ეს რეპრესიები კი არა, კანონის უზენაესობა და პასუხისმგებლობის გაზრდაა.

— **მაგრამ დაპატიმრებების ფორმები იწვევს შიშს საზოგადოებაში.**

— გეთანხმებით, ამ სცენების ყურება არც მე მსიამოვნებს, მაგრამ ამას წინათ აჩვენეს სამხრეთ კორეის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის, ეროვნული გმირის, პრეზიდენტობის კანდიდატის დაპატიმრება და იქაც ანალოგიური სცენა იყო. ცნობილი ადამიანების დაპატიმრება თითქმის ყოველთვის ასეთი ხმაურიანია ხოლმე.

— **რა აზრის ხართ იმ პროცესებზე, რაც აჭარაში ხდება, ასლან აბაშიძე გაუძლებს ამ შეტევას?**

— აჭარაში 280 ათასი ამომრჩეველი მივიდა უბანზე გასული წლის ნოემბერში. „ერთობამ“ 51 ხმა მიიღო მხოლოდ. ეს გაყალბება კი არა, აბუჩად აგდება იყო. ამდენი მარტო ნათესავი მყავს აჭარაში, აღარ ვლაპარაკობ მხარდამჭერებსა და თანაპარტიელებზე. ამიტომ აბაშიძის ქმედებებზე ჩემი კომენტარი ობიექტური ვერ იქნება.

— **ზოგიერთი პარალელს აკეთებს თქვენი ცკ-ის მდივნობის პერიოდსა და დღევანდელობას შორის. კომუნისტების დროს პატიაშვილს ჰყავდა ვახტანგ რაზმაძე და მისი დახმარებით შეებრძოლა კორუმპირებულებს, სააკაშვილი კი ოქრუაშვილის საშუალებით ებრძვის კორუფციასო.**

— ძნელია ქვეყნის ლიდერობა, ფაქტობრივად, მე ახალგაზრდობა არ მქონია. მიშას ჩემზე გაცილებით რთულ დროში უწევს ქვეყნის პირველკაცობა. არც კორუფციას ჰქონია ჩემს დროს ასეთი მასშტაბები და არც ასეთი ბრძოლა გვიწევდა მის წინააღმდეგ. ასეთ კლანურ ჯგუფებსა და მასობრივ კორუფციას მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდით. ოქრუაშვილი ახალგაზრდა კაცია, მან თაროზე შემოდებული საქმეების გარჩევა დაიწყო, რომელთაც რაღაც გარიგებების გამო დაედოთ მტვერი. დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ გასამართლებს და ვინ გთხოვს პასუხს. კორუმპირებულს სხვისი დაჭერის მორალური უფლება არ აქვს, ახალ გენპროკურორს კი ვფიქრობ, აქვს იმისი უფლება, სხვას მოსთხოვოს პასუხი, რაშიც მას ხალხის, საზოგადოების თანადგომაც სჭირდება, მხოლოდ თავისი უწყების თანადგომა არ ეყოფა.

— **რამდენადაც ვიცი, თქვენ კონსულტაციები გაქვთ ნეოლიბერალებსა და პოლიტიკურ გაერთიანება „თანადგომასთან“, არჩევნებში ალბათ თქვენ ერთად მიიღებთ მონაწილეობას. კულუარებში ამბობენ, რევოლუციაში მონაწილეობის გამო პატიაშვილის გუნდს პარლამენტში მოხვედრა გარანტირებული აქვსო. მით უმეტეს, სააკაშვილმა ჩვენთან ინტერვიუშიც გიწინასწარმეტყველათ პარლამენტში მოხვედრა.**

— ბატონი მიხეილისაგან არავითარი გარანტია არ მიმიღია. მან იცის, რეალურად როგორი მხარდაჭერა მქონდა 1991 და 2000 წლებში და როგორ მიყალბებდნენ შედეგებს. ეს მიხეილ მაჭავარიანმა და ზურაბ ჟვანიამაც აღნიშნეს, — ჩვენ, რა გვექნა, გვავალებდნენ და ვაკეთებდითო... მე რეალური 500 ათასი ამომრჩეველი მყავდა საპრეზიდენტო არჩევნებში. დღეს ამის ნახევარმაც რომ დამიჭიროს მხარი, პარლამენტში შევალთ.

***მარი ზანდუკელი***

# „კარგი იქნება, თუ წარსულის ქექვას თავს დავანებებთ“

## „ვისაც პოლიტიკაში უნდა ყოფნა, მან ბიზნესს თავი უნდა დაანებოს“

**გასულ კვირას ოპოზიციონერმა მეწარმეებმა „ქორწინება“ იზეიმეს — ახალი მემარჯვენეები და მრეწველები გაერთიანდნენ. ამბიციურობით ცნობილმა დავით გამყრელიძემ მოულოდნელი რევერანსი გააკეთა და სიაში პირველობა მრეწველ თოფაძეს დაუთმო... როგორც წესი, ადამიანები „მძიმე ტრავმის“ გამო**



**იცვლებიან ხოლმე და როგორც ჩანს, დავით გამყრელიძე გუდაურში მიღებულმა ტრავმამ გარდაქმნა (ბატონმა დავითმა მარცხენა ხელი ჩამომართვა და ისურვა, მეორედ რომ შეგხვდებით, მარჯვენა ჩამომერთმიოსო).**

*ბატონ დავითს ჯანმრთელობის, ზემოთ ნახსენებ გაერთიანებისა და ბოლოდროინდელი მოვლენების შესახებ გავესაუბრეთ.*

— 30 წელია, თხილამურებზე ვდგავარ და მსუბუქადაც არ დავზიანებულვარ არასოდეს. ეტყობა, ვიღაცამ გამთვალა, საკმაოდ მძიმე ტრავმა მივიღე — მარჯვენა მხრის ამოვარდნილობის ფონზე მხრის სახსარში მრავლობითი მოტეხილობა, მხრის ძვალიც გამიტყდა... მაგრამ ახლა ყველაფერი ნორმალურადაა.

— **გასულ კვირას, თქვენ და მრეწველებმა ერთმანეთთან კინკლაობას წერტილი დაუსვით. ალბათ გაერთიანებისკენ ახალმა რეალობამ გიბიძგათ, მაგრამ რატომ არ შემოგიერთდნენ სხვა მემარჯვენეებიც?**

— ჩვენი პარტიის შექმნის დღიდან ვფიქრობდი ახალი მემარჯვენეებისა და მრეწველების გაერთიანებაზე. ჩვენ ერთი და იგივე ელექტორატი გვყავდა, პრინციპებიც ერთნაირი იყო — კერძო საკუთრების დაცვა, საბაზრო ეკონომიკის განვითარება, თავისუფალი კონკურენცია და ა.შ. იმისთვის, რომ ჩვენი იდეოლოგიის ხალხი მყარად დამკვიდრდეს ქართულ პოლიტიკაში, აუცილებლობად ჩავთვალეთ გაერთიანება. აქამდე ეს ვერ მოხერხდა (არ გვინდა იმაზე ლაპარაკი თუ რატომ, „ახლები“ ამის მიზეზი არ ვყოფილვართ) და მესამე ცდაზე გამოგვივიდა... მრეწველები და „ახლები“ ურთიერთშერწყმის პროცესს ვიწყებთ, იგი არჩევნების შემდგომ დასრულდება — ძლიერი მემარჯვენე პოლიტიკური ძალის შექმნით. ჯერჯერობით, ჩვენს ბლოკს „მემარჯვენე ოპოზიცია“ ჰქვია, მაგრამ ჯერ არ მოგვიფიქრებია, რას დავარქმევთ უკვე გაერთიანებულ პარტიას. თუ 28 მარტს დემოკრატიულად ჩატარდება არჩევნები და ხელისუფლებამ ისეთი რამ არ გააკეთა, რომ არჩევნებში მონაწილეობას აზრი დაეკარგოს, სერიოზულ შედეგს ველოდებით. ედპ-ტრადიციონალისტებთანაც გვქონდა მოლაპარაკება, ფაქტობრივად, ყველაფერზე შევთანხმდით, არც კვოტებზე შეგვქმნია პრობლემა და არც სიაში პირველობაზე (პირველობას აკაკი ასათიანს ვუთმობდით), მაგრამ არ ვიცი, ბოლო მომენტში რის გამო თქვა გაერთიანებაზე უარი ტრადიციონალისტების ლიდერმა.

— **ხშირად გაიგონებთ, წარმოუდგენელია ხელისუფლების ოპოზიციაში იყოს ბიზნესმენი, რომელსაც ნებისმიერ დროს შეიძლება საგადასახადო სამსახურის საშუალებით მიედოს ხელისუფლებაო.**

— გეთანხმებით. ვისაც პოლიტიკაში უნდა ყოფნა, მან ბიზნესს თავი უნდა დაანებოს. ბიზნესი სერიოზულად არის დამოკიდებული ხელისუფლებაზე და მით უმეტეს დღეს, როდესაც კანონი ხშირ შემთხვევაში მეორე პლანზე ინაცვლებს და არცთუ იშვიათად პირადი შეხედულებებით მოქმედებენ სამართალდამცავებიც და აღმასრულებელი ხელისუფლებაც. შესაძლოა, პარტია ორიენტირებული იყოს ბიზნესის განვითარებისთვის ხელშეწყობაზე, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ თვითონ პოლიტიკოსები იყვნენ ბიზნესში. ადრე თუ გვიან, ყველას მოუწევს არჩევანის გაკეთება — ბიზნესში დარჩეს თუ პოლიტიკაში. პირადად მე, 4 წლის წინ გადავწყვიტე პოლიტიკაში წასვლა და დღეს მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკას ვემსახურები.

— **მაგრამ გოგი თოფაძე და ზურაბ ტყემალაძე მეწარმეები არიან.**

— ბატონი გოგი ამბობს კიდეც — საბოლოოდ უნდა გადავწყვიტო, სად ვიქნები, ბიზნესში თუ პოლიტიკაშიო. ბატონი ზურაბ ტყემალაძე კი დღესდღეობით მთლიანად პოლიტიკით არის დაკავებული. მისი საპარლამენტო აქტიურობიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია დრო დარჩეს მეწარმეობისთვის... ჩვენი მისია მეწარმეობის დაცვა იქნება და ეს პრობლემა დღესაც მწვავედ დგას. ეროვნულ ეკონომიკას, ბიზნესის ხელშეუხებლობას, კერძო საკუთრების უზენაესობას, მედიის თავისუფლებას რევოლუციის შემდეგ საფრთხე არ უნდა დაემუქროს.

— **ანუ თქვენ არსებული რეალობიდან გამომდინარე, გააქტიურებას აპირებთ?**

— ჩვენი მისია იქნება თითოეული მოქალაქის, მისი უფლებების დაცვა თუნდაც იმ ძალადობისაგან, რომელიც ამ შეურაცხმყოფელი დაკავებებითაც გამოიხატება. კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს. ჩვენ ვაიძულებთ ხელისუფლებას, კანონს დაემორჩილოს. დღეს საგანგაშო ვითარებაა.

დღეს არის მცდელობა, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მე-4 ხელისუფლებაც ხელში ჩაიგდოს, გააკონტროლოს თავისუფალი მასმედიის ყველა საშუალება. ამ გზით აპირებს მთელი ხელისუფლების უზურპაციას.

***(გაგრძელება იხ. გვ.7)***

# „კარგი იქნება, თუ წარსულის ქექვას თავს დავანებებთ“

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

ეს სახიფათო პროცესია და უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მედიამ თავისუფლება შეინარჩუნოს, პარლამენტმა აღადგინოს თავისი ფუნქცია და სასამართლო ხელისუფლებამ დაიბრუნოს დამოუკიდებლობა. სახიფათოა ქვეყანაში „დაშინებული“ ბიზნესის არსებობა. ბიზნესმენები დაშინებულები არიან. აღარავის აქვს დამატებითი ინვესტიციების განხორციელების, ფულის დაბანდებისა და გამოჩენის სურვილი. ამ დაუცველობის პირობებში შეუძლებელია მუშაობა. ბიზნესმენს საქმიანობის სურვილი მაშინ გაუჩნდება, თუ მას საკუთრებას არავინ წაართმევს და არავინ დაჩაგრავს. არადა, ახალი ხელისუფლება ახალი კანონის მიღებას აპირებს, რომლის თანახმადაც, 10 წლის წინანდელი პრივატიზაციის გადახედვას ფიქრობს. უკანონობის მომხრე არ ვარ, მაგრამ ამის გაკეთება შეუძლებელია. დღეს ჩვენ ჩრდილოვან ეკონომიკას უნდა შევებრძოლოთ და ბიზნესის ლეგალიზაციისთვის ვიზრუნოთ. კანონის წინაშე თანასწორი უნდა იყოს პრეზიდენტთან დაახლოებული მეწარმეც და სხვა პოზიციაზე მყოფიც. დღეს ბიზნესზე პოლიტიკური ნიშნით მიდის ზეწოლა. თუ გენპროკურორი რამდენიმე კვირის წინ ამბობდა, — მხოლოდ ჩინოვნიკებს დავდევთ და ბიზნესს არ შევეხებითო — უკვე ფაქტია, რომ ბიზნესზე სერიოზული დარტყმა განხორციელდა.

არ შეიძლება ტელეკომპანიაში ნიღბებით შევარდე იმიტომ, რომ იქ განსხვავებული აზრი აქვთ. თუ ასე გაგრძელდა, საბოლოოდ მხოლოდ გასართობი და მუსიკალური ტელეკომპანიები გვექნება, საიდანაც ობიექტურ აზრს ველარ მოვისმენთ.

მინდა პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივას შევეხო, რომელიც ფინანსურ ამნისტიას ჰგავდა. მინდა მოვუწოდო პრეზიდენტს, ნუ დატოვებს ამ დაპირებას ლიტონ სიტყვებად. კარგი იქნება, თუ დავანებებთ თავს წარსულის ქექვას, შევთანხმდებით საფინანსო ამნისტიაზე და ვინც ქონების დეკლარირებას მოახდენს, მასზე სისხლის სამართლებრივი დევნა აღარ განხორციელდეს. ეს საკითხი კანონის დონეზე უნდა გადაწყდეს. შანსი უნდა მივცეთ, რომ ყველამ გაათეთროს ბიზნესი. ასევე უნდა გაიცეს მყარი გარანტიები, რომ ამას მის წინააღმდეგ არ გამოიყენებენ და მერე არ დაიჭერენ.

**— ბოლო დროს თქვენ ბევრი ცნობილი სახე დაგაკლდათ — ლევან გაჩეჩილაძე, რეზო შავიშვილი, ვახტანგ ხმალაძე, რატომ?**

— ლევანმა თქვა, — პოლიტიკურ აქტიურობას დროებით ვწყვეტო. ის ალბათ ახალი პარლამენტის ამუშავების შემდეგ ისევ აქტიურად გამოჩნდება პოლიტიკაში. რევაზ შავიშვილთან პარტიის გაერთიანებას ვაპირებდით, მაგრამ რევოლუციამ ყველაზე მოახდინა გავლენა. ის ფიქრობს, რამდენად ეფექტიანი იქნება მომავალი პარლამენტიო და ამის გამო გადაწყვიტეს მან და ვახტანგ ხმალაძემ აღარ მიიღონ მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში... თორემ ბუნებრივია, სანამ ვინმესთან გავერთიანდებოდით, უპირველესად მათ შევთავაზეთ ჩვენ გვერდით ყოფნა.

# „ყველაფერი გაირკვევა და თუ ვინმემ უკანონოდ ისროლა, დაისჯება“

## „ამ საქმეში ცოტა უხერხულად ფიგურირებს ბატონი მიხეილ მაჭავარიანი...“

*საქართველოს გენერალური პროკურორის მკვეთრმა ნაბიჯებმა საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია — ზოგს ძალიან მოსწონს, ზოგიც ძალიან ღიზიანდება. ბოლოდროინდელ მოვლენებზე საზოგადოებას ბევრი კითხვა გაუჩნდა. სწორედ ხალხისთვის საინტერესო თემებზე ვთხოვეთ კომენტარი ბატონ* ***ირაკლი ოქრუაშვილს:***

**— ბატონო ირაკლი, საზოგადოებას აინტერესებს თქვენი აზრი ბოლოდროინდელ გახმაურებულ ამბებზე?**

— რომელი გაინტერესებთ, ფაქტობრივად, ყველა საქმე გახმაურებულია.

**— უპირველეს ყოვლისა, როგორც ჟურნალისტს, ტელეკომპანია „იბერიაში“ განვითარებული მოვლენები მაინტერესებს. მიუღებლად მიმაჩნია ტელეკომპანიის სტუდიაში ნიღბიანი ხალხის შეჭრა, ისევე როგორც გაზეთის გამოცემისთვის ხელის შეშლა. როგორ უნდა იმუშაოს ჟურნალისტმა, რომელსაც თავზე ნიღბიანი და ავტომატიანი სპეცრაზმელი დაადგება. ხომ ფაქტია, რომ ის თავის სათქმელს ველარ იტყვის.**

— სპეცრაზმელები მხოლოდ ფოიეში შევიდნენ. იმ ოთახებში, სადაც ჟურნალისტები მუშაობდნენ, არავინ შესულა. საქმე ისაა, რომ ტელევიზიის შენობაში განთავსებულია ფირმაც, რომელიც ჩვენი ყურადღების ობიექტი იყო. ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით, ამ ტერიტორიაზე განსაზღვრული ქმედებები ჩაგვეტარებინა. როდესაც გაირკვა, რომ საგადასახადო ორგანოებს უკვე ამოღებული ჰქონდათ ფირმის დოკუმენტაცია, ეს მაშინვე ოქმის სახით გააფორმა გამომძიებელმა და ეს ტერიტორია დავტოვეთ.

რაც შეეხება „ომეგას“ კუთვნილ გაზეთსა და ჟურნალს, მათი გამოცემა დღეს პარალიზებულია არა იმის გამო, რომ მათ, როგორც მასმედიის საშუალებებს, ვინმე ზღუდავს, არამედ იმიტომ, რომ მათი სტამბა სიგარეტის ფაბრიკის ტერიტორიაზე მდებარეობს. ჩვენ გვქონდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ სტამბაში იბეჭდებოდა ყალბი აქციზური მარკები. საპროცესო მოქმედებებიდან გამომდინარე, რომელიც დღესაც გრძელდება, იძულებული გავხდით სტამბა დაგველუქა, რამაც გაზეთისა და ჟურნალის გამოცემა შეაჩერა. ეს არის მიზეზი და არა ის, რომ ვინმე იყო დაინტერესებული მათი გამოცემის შეჩერებით. ყველაფერი კანონის ფარგლებში ხდება. საქმეს აქვს იურიდიული და ფაქტობრივი მხარე. საზოგადოება შეიძლება სულ სხვანაირად აღიქვამს ამა თუ იმ ფაქტს იმიტომ, რომ არასწორად მიაწოდეს ინფორმაცია. ვიმეორებ, ეს იყო ტელევიზიის ფოიე და არა — სამუშაო ოთახები.

**— ფოიეშიც რომ არ შესულიყვნენ სპეცრაზმელები? იქნებ სჯობდა პერიმეტრზე განლაგებულიყვნენ. ხომ გახსოვთ, რაც მოჰყვა „რუსთავი 2“-ში შესვლას?**

— გთხოვთ ამ ორ ფაქტს ერთმანეთში ნუ აურევთ. მაშინ „რუსთავი 2“-ის შესამოწმებლად შევიდნენ, ჩვენ კი იმ ფირმების შესამოწმებლად შევედით, რომლებიც კონტრაბანდას ეწევიან.

**— წინასწარ რატომ არ გქონდათ ინფორმაცია, რომ თქვენთვის საინტერესო დოკუმენტები 1 თვის წინ ჰქონდა საგადასახადოს ამოღებული. იქნებ სჯობდა, ჯერ დარწმუნებულიყავით იმაში, ინახებოდა თუ არა ტელევიზიის შენობაში რამე და მერე გემოქმედათ?**

— ჩვენ ვერ დავიწყებდით აგენტურის ამუშავებას ჟურნალისტებს შორის, ეს მიუღებელია. ამ მცდელობას შესაძლოა უფრო მძიმე შედეგები მოჰყოლოდა. შესაბამისად, უნდა შემოწმებულიყო, ტელევიზიის შენობაში არსებობდა თუ არა რაიმე დარღვევის, დანაშაულის ჩადენის წყარო ან საშუალება. ამ ტერიტორიაზე (ტელევიზიის ფოიეში) ნაწილობრივმა შესვლამ ოპერატიული თვალსაზრისით დაგვარწმუნა, რომ იქ არ ყოფილა დარღვევა. და ერთიც — ტელევიზიის შენობაში გამომძიებლები შევიდნენ და არა — სპეცრაზმელები.

სხვათა შორის, ბევრი ამბობს და ვალტერ შვიმერმაც შენიშნა, რატომ აკავებენ და ჩხრეკენ ადამიანებს სასამართლო სანქციის გარეშეო. მაგრამ ჩვენ ასეთი ქმედებისკენ აუცილებლობა გვიბიძგებს. არსებობს ორი გზა. პირველი — სასამართლოს სანქციის აღება და მეორე — ჯერ ჩხრეკა, დაკავება და შემდეგ მისი დაკანონება. მაგრამ, რადგან ჩვენი სტრუქტურა საკმაოდ ამორფულია, აქ ყვაოდა კორუფცია და იყო კრიმინალთან შერწყმის ფაქტები, ხშირად ადგილი ჰქონია ინფორმაციის გაჟონვასაც, არსებობდა დიდი ალბათობა იმისა, რომ ჩვენთვის საინტერესო პირები მიმალულიყვნენ. იყო იმის საშიშროებაც, რომ გამქრალიყო ის დოკუმენტაცია და მტკიცებულებები, რომელთაც ვეძებდით. ამიტომ იძულებული გავხდით, მეორე გზა აგვერჩია — თავდაპირველად ჩხრეკა, დაპატიმრება და მერე ჩხრეკისა და დაპატიმრების დაკანონება.

**— და ყველაფერი ეს კანონის ფარგლებში ჯდება?**

— რა თქმა უნდა. ავიღოთ თუნდაც „მაგთის“ დამფუძნებლის შემთხვევა. აშკარა იყო, რომ ჯოხთაბერიძე ქვეყნიდან მიდიოდა. ამასთან, ჩვენთვის არ იყო საკმარისი მტკიცებულება ის, რომ მას უკან დასაბრუნებელი ბილეთიც ჰქონდა აღებული და აუცილებლად დაბრუნდებოდა. და კიდევ, ის შეტყობინება, რომელიც მისმა ადვოკატმა მოგვიტანა, არ იყო საკმარისი საიმისოდ, რომ ჯოხთაბერიძე არ დაგვეკავებინა. ადვოკატის განცხადება, — ჩემი კლიენტი არსად არ აპირებს გაქცევასო, ჩვენთვის სარწმუნო ვერ იქნებოდა. პროკურატურა არ არის ტურისტული სააგენტო, რომ ვიღაცამ მოგვმართოს — მივდივარ და რომ ჩამოვალ, მერე დაიწყეთ საპროცესო მოქმედებებიო... საზღვარგარეთ ხალხის ძებნა სახელმწიფოს დიდი თანხა უჯდება. ყოველივე ამას შესაძლოა ასი ათასი დოლარი დასჭირდეს და საიდან მოვიტანოთ ეს თანხა?

**— „ომეგაში“ განხორციელებული ღონისძიებების გამო, ხალხი (საწარმოს თანამშრომლები) ქუჩაში გამოვიდა. ისინი სამსახურში არ შეუშვეს და შესაშინებლად ესროლეს კიდეც. ამას მოჰყვა აქცია ტელევიზიასთან, შემდეგ კანცელარიასთან. გამორიცხავთ, რომ ამის გამო უმართავი პროცესები შეიძლება განვითარდეს?**

— გეთანხმებით, რთული ვითარებაა. არ მიყვარს ის იურისტები, რომლებიც მხოლოდ ერთ (იურიდიულ) ჭრილში განიხილავენ საკითხს. რეალობას უნდა გავუსწოროთ თვალი და ამის საფუძველზე მივიღოთ გადაწყვეტილება. მაგალითს მოგიყვანთ. გვაქვს საქმე, რომლიდანაც ჩანს, რომ ბევრმა ბანკმა მაქინაციების შედეგად ხელი მოითბო. ამ ბანკების ხელმძღვანელების საქმიანობის გამო წესით უნდა აღვძრათ სისხლის სამართლის საქმე, ბევრი დავიჭიროთ და ჩავშალოთ უკანონო ფინანსური ოპერაციები, მაგრამ შესაძლოა ჩვენი მოქმედებების შედეგად ლარის კურსი დავარდეს. რა უნდა გავაკეთოთ ამ შემთხვევაში — რეალობა უნდა გავითვალისწინოთ თუ კანონი დავიცვათ? ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია შუალედური გადაწყვეტილების მიღება. გულწრფელად გეტყვით, ადამიანები ვართ და ხშირად გვიწევს თვალის დახუჭვა ისეთ რამეზე, რაზეც კანონის თანახმად, არ უნდა დახუჭო თვალი... მაგრამ ვითვალისწინებთ შედეგს, რაც შეიძლება მოჰყვეს ჩვენს კონკრეტულ ქმედებას.

**— თქვენ კლიშეები ახსენეთ. არადა, ექსპერტები ამბობენ, რომ კლიშე, როგორც ასეთი, 1990 წლიდან, ფაქტობრივად, აღარ იხმარება პოლიგრაფიაში. შეგიძლიათ გვიჩვენოთ თქვენ მიერ ამოღებული ეს საბეჭდი საშუალებები?**



— კლიშე უბრალოდ ტერმინად ვიხმარე. როგორც კი გაიხსნება სტამბა, იმ ე. წ. კლიშეს წარვუდგენ ჟურნალისტებს. როგორც ამიხსნეს, ეს არის პლასტმასის საგანი, რომელზეც ამოტვიფრულია აქციზური მარკის რეკვიზიტი.

**— ვისი ბრძანებით ისროლეს „ომეგას“ ოფისში?**

— ალბათ აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ყველაფერი გაირკვევა და თუ ვინმემ უკანონოდ ისროლა, დაისჯება. გარდა იმ ადამიანებისა, რომელთაც გამომძიებელმა დართო ნება, ამ ობიექტზე შესვლის უფლება არავის აქვს. შენობას იცავს შინაგანი ჯარის დანაყოფი. შენობაში უშვებენ 6 მუშას, რომლებიც საწარმოო პროცესს არ აჩერებენ. შედის აგრეთვე „ფილიპ მორისის“ რამდენიმე თანამშრომელი. რამდენადაც ვიცი, იქ შესვლას აპირებდნენ ის მუშები, რომლებიც აცხადებენ, — ჩვენ სოციალურად დაუცველები ვართ, რომ არ ვიმუშაოთ, ხელფასს ველარ ავიღებთო. ეს არ არის არგუმენტი, ყველასთვის სავალდებულოა კანონის დაცვა. როდესაც გამომძიებელმა მითხრა, თქვენ პროცესუალური მოქმედებების გამო არ გაქვთ უფლება პრესკონფერენციაზე კლიშე წარადგინოთო, დავემორჩილე. საწარმოს თანამშრომლებიც ასევე არიან ვალდებულნი, კანონს დაემორჩილონ. თუ მათ ჩვენი ქმედებების გამო პრეტენზია ექნებათ, მიმართონ სასამართლოს.

საგულისხმოა კიდევ ერთი ფაქტი. ტელეკამერების წინ კომენტარს ზაზა ოქუაშვილი და მისი მეუღლე აკეთებენ — ეს ხალხი დეპუტატები არიან თუ მეწარმეები, ველარ გავიგე. ის 4 პირი, რომელთაც ძიებისთვის საინტერესო მასალების მოწოდება შეუძლიათ, ფირმების დირექტორები და ბუღალტრები, აჭარაში იმალებიან. ჩვენ მათთან გვაქვს სალაპარაკო და არა — ოქუაშვილსა და მის მეუღლესთან.

**— პრეზიდენტმა გასულ კვირას განაცხადა, ის, ვინც 1-ელ აპრილამდე მოახდენს საკუთარი ქონების დეკლარირებას და აღიარებს სახელმწიფოსთვის მოპარული თანხების ფაქტს, არ დაისჯებაო. ასეთ შემთხვევაში პროკურატურა ამ პირებით აღარ დაინტერესდება და მათ შევსებულ დეკლარაციას „დაუჯერებს“?**

— თუ 2 აპრილს მოგვივიდა ინფორმაცია, რომ ამ და ამ ფირმამ კი წარადგინა დეკლარაცია, მაგრამ ეს რეალობას არ შეესაბამება, მაშინ ვალდებული ვართ, იგი შევამოწმოთ. სანამ რაიმე დარღვევას აღმოვაჩენდეთ, თავს შევიკავებთ უკიდურესი ზომების გამოყენებისგან. ვგულისხმობ პატიმრობის შეფარდებას, ქონების დაყადაღებასა და ა.შ.

1-ელ აპრილს ეწურება ფირმებს დეკლარაციების წარმოდგენის ვადა. საგადასახადო ორგანოებმა უნდა გააკეთონ ანალიზი (ყველაფერი ეს, ჯერჯერობით ზუსტდება და კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით), ფირმას წელიწადში რამდენი ჰქონდა ბრუნვა, რამდენს იხდიდა და რამდენის დეკლარირება მოახდინა. ეს ჩვენთვის ნიშანი იქნება იმისა, რომ ფირმის ხელმძღვანელს პატიოსნად მუშაობა სურს. ასეთი ფირმა ჩვენი ყურადღების არეალში აღარ მოხვდება.

**— ბიზნესმენები ითხოვენ, — პრეზიდენტმა თავისი ნათქვამი დოკუმენტით განამტკიცოს, სიტყვაზე არ ვენდობითო.**

— მათ ადგილზე მეც ანალოგიური აზრი გამიჩნდებოდა. რამდენად დაცული ვიქნები ამ სიტყვიდან გამომდინარე? ამიტომ ალბათ უფრო კონკრეტული დოკუმენტის გამოცემაა საჭირო.

**— ვინმემ რომ თქვას, დეკლარაცია კი შევავსე, მაგრამ დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილიაო?**

— (ეცინება) ჩვენ ხუმრობა არ გვიყვარს.

**— ხშირად გაიგონებთ, — ირაკლი ოქრუაშვილი პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებს, „ომეგასა“ და საზღვაო ბანკის თემის წამოწევა ასლან აბაშიძეზე გასასვლელად სჭირდებათო.**

— ნებისმიერ ჩემს მოქმედებას შეიძლება მიეცეს ასეთი შეფასება. გამიჭირდება წინასწარ იმის თქმა, კიდევ ვინ შეიძლება მოექცეს ჩვენი ყურადღების სფეროში. „ომეგასა“ და საზღვაო ბანკის შემდეგ სანაოსნოს საქმესაც შევისწავლით. იმის გამო, რომ ვიღაცას შესაძლოა რაიმე კითხვა გაუჩნდეს, არ დავიწყოთ გამოძიება? მე წინასწარ არ ვიცი, ვისთან მიმიყვანს კვალი, შეიძლება ბევრ თბილისელ ბიზნესმენამდეც მივიდეთ, რომლებიც ყოფილი ხელისუფლების ფავორიტებად ითვლებოდნენ. დღეს მათ რომ უსმინოთ, ლამის რევოლუციის მოხდენას იბრალებენ და ზოგიერთი იფიქრებს კიდეც, ეს ხალხი ახლა ახალი ხელისუფლების ფავორიტები არიანო. ამ ადამიანებამდეც მივალთ უთუოდ და ამასაც დაარქმევს ვიღაც ალბათ რაღაც სახელს, მაგრამ არ ვიმოქმედოთ?

**— საზოგადოების ეჭვი მაშინ გაიფანტება, თუ თქვენს რიგებშიც მოძებნით კორუმპირებულებს.**

— ვმუშაობთ. „ომეგას“ საქმეში (რომელიც უშიშროების სამინისტრომ აღძრა) ცოტა უხერხულად ფიგურირებს ბატონი მიხეილ მაჭავარიანი. არა მგონია, ამაზე თვალი დავხუჭოთ. ეს ეხება იმ პერიოდს, როდესაც ძველი აქციზური მარკები ახლით შეიცვალა. მაშინ საგადასახადო შემოსავლების მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი იყო... არ მინდა დაკონკრეტება, მაგრამ აქ იკვეთება თანამდებობრივი დანაშაულის ნიშნები.

ჩვენ გვაინტერესებს ექსპერტის დასკვნა და იმის გარკვევა, იყო თუ არა ეს აქციზური მარკების საბეჭდი კლიშე და ზემოხსენებული კლიშეთი ხომ არ ხდებოდა იმ ძველი აქციზური მარკების ბეჭდვა, რომელიც „ომეგამ“ ჩააბარა მაშინდელ შემოსავლების სამინისტროს და სანაცვლოდ (უსასყიდლოდ) ახლები მიიღო... ამის გამო ბევრი ალბათ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ვინ — პროკურატურა ადრე თუ გვიან დაასახელებს (ალბათ უმოკლეს ვადაში).

ჩვენ ალბათ მალე დავამთავრებთ ისეთი აქტივობით მუშაობას, როგორითაც ახლა ვმუშაობთ. ამ ეტაპზე ჩვენ ვავლებთ ზღვარს წარსულსა და მომავალს შორის. ამ ზღვარს იქით თუ ვინმე დაარღვევს კანონს, უფრო მკაცრები ვიქნებით. წარსულს კი დავივიწყებთ და ვიტყვით — ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, თუ რაიმე გქონდათ „ნაჩალიჩარი“. აღარ გვინდა ქვეყანაში ნევროზული ფონი იყოს ამ დაპატიმრებებით...

**— ჩვენს გაზეთში მწვავე მასალები დაიბეჭდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტთან დაკავშირებით. ამ მასალების გამოქვეყნების შემდეგ (რომლებსაც ჟურნალისტის დაშინების მცდელობაც ერთვოდა) დეპარტამენტის სამმართველოს 2 უფროსი აიყვანეს, დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვალერი ჩხეიძე კი დააწინაურეს — უშიშროების მინისტრის მოადგილედ გადაიყვანეს. სანამ გამოძიება არ დასრულებულა, შეიძლებოდა ჩხეიძის დაწინაურება?**

— შესაძლოა ამის გამო უხერხულობა მართლაც შეიქმნას, რასაც მე უკვე წავაწყდი — გამომძიებელმა მითხრა, — როგორ გავაგრძელო გამოძიება, ის კაცი ხომ „იქ“ დაინიშნაო?! დაწინაურება ამ გამომძიებლისთვის პირდაპირი მესიჯი იყო — ხომ არ უნდა გავჩერდეო... ამ საქმეში ერთგვარი კაზუსი შეინიშნება, მაგრამ მას მეორე მხარეც აქვს. გამოძიება შეიძლება 3 წელიწადს გაგრძელდეს და აღმოჩნდეს, რომ ის კაცი მართალი იყო.

სანამ სასამართლოს დასკვნა არ იქნება, ვარაუდების გამო, შესაძლოა ეს კაცი მართალი არ იყოსო, ვერ შეიკავებთ თავს მისი დანიშვნისგან. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს ვალერი ჩხეიძის დანიშვნას. მასალებს, რაც ამ ადამიანზე მაქვს, მსვლელობა უკვე მიეცა. სხვათა შორის არც ერთი, ვინც ეს საქმე აღძრა, არ დამკავშირებია და არ უკითხავს (გამომძიებლის გარდა, რომელმაც ალბათ ჩათვალა, რომ დაბალი ლობეა, მაგრამ მე მას განვუმარტე, რომ ასე არ არის) — ხომ არ გავჩერდეო.

**— ამბობენ, ირაკლი ოქრუაშვილმა ბევრი მტერი შეიძინაო. გენპროკურორი ყოველთვის ხომ არ იქნება და მერე გაგვისწორდებითო.**

— ახლახან დამირეკა უშიშროების საბჭოს მდივანმა, უსაფრთხოების მიზნით ჩემი კრწანისის რეზიდენციაში გადასახლება გადაუწყვეტიათ. კატეგორიული უარი ვუთხარი — გზის გასაყარზე მდგომივით ვარ, თუ მოკვლა უნდათ, სადაც უნდა წავიდე, მაინც მომკლავენ-მეთქი. არ შევეპუე, სადაც ვარ, იქ დარჩენა ვამჯობინე.

**— ოჯახში ალბათ ხშირად ვერ გხედავენ.**

— შინ გამთენიისას, 5 საათზე მივდივარ და 10-ზე სამსახურში ვბრუნდები.

**— რაკი ხშირად ხართ უძილარი და თვალები გელულებათ, უკვე ჭორაობენ, გენპროკურორი ნარკოტიკებს ეძალებაო.**

— ეს მეც გავიგე... ამ ბოლო დროს ჩემზე უამრავი ჭორი დადის.

**— ხუმრობა იქით იყოს და ხომ არ გეგმავთ პროკურატურაში ტესტირების ჩატარებას ნარკომანი თანამშრომლების გამოსავლენად?**

— მომავალ კვირას დავიწყებთ...

*გვერდი მოამზადა*
***იზო რიკაძემ***

# მინისტრები — ყაზარმაში, ოფიცრები — რუსეთში?!

## პრეზიდენტი თავის ჯარისკაცობას იხსენებს...

პრეზიდენტი სააკაშვილი ისე ხშირ-ხშირად იხსენებს ჯარში გატარებულ წლებს, რომ აშკარაა, ამაყობს ამით. ეს კარგია, რადგან სამხედრო სამსახური დიდი ცხოვრებისეული სკოლაა, აქ ახალგაზრდა კაცი საკუთარი თავის პატრონი ხდება და პასუხისმგებლობას კისრულობს თავის საქციელზე. საქართველოს წინა პრეზიდენტებსაც რომ ჰქონოდათ გავლილი ეს გზა, იქნებ მათი ცხოვრება და საქმიანობა სხვანაირად წარმართულიყო...



შარშან, წლის ბოლოს, ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი მკაფიოდ აღნიშნავდა, რომ მინისტრად და მის მოადგილედ არ დაინიშნება სავალდებულო სამხედრო სამსახურგაუვლელი პიროვნება...

მაგრამ ახალდანიშნული ახალგაზრდა მინისტრებიდან, მგონი, არავის შეუყნოსავს ყაზარმის სუნი (მანდილოსან მინისტრებს, რა თქმა უნდა, არ ვთვლით).

შეიძლება იმის გამო, რომ დანაქადი არ შეეხსენებინათ, უკვე პრეზიდენტმა სააკაშვილმა, ახალი თავდაცვის მინისტრისა და გენერალური შტაბის ახალი უფროსის ოფიციალურ წარდგენაზე თავდაცვის სამინისტროს პირად შემადგენლობასთან, ასევე ახალი ინიციატივა წამოაყენა — წელს, ზაფხულიდან, მინისტრები და მათი მოადგილეები, ათ-ათდღიან სამხედრო შეკრებებს გაივლიან სამხედრო ნაწილებში და შეიგრძნობენ იმას, რასაც გრძნობდა მათი პრეზიდენტი 18 წლის წინ.

პრეზიდენტმა მინისტრები სამხედრო შეკრებებზე ათ კმ-იანი კროსებითაც დააშინა, მაგრამ მალევე შეუმსუბუქა „სასჯელი" — ვინ რამდენსაც შეძლებს, მეთაური იმდენს არბენინებსო.

სააკაშვილის ეს დაპირება ახალგაზრდა მინისტრებს შეიძლება მაინცდამაინც არ ეჭაშნიკათ, მაგრამ ჟურნალისტებს, რომლებიც აღფრთოვანებულნი შეხვდნენ პრეზიდენტის თაოსნობას, მართლაც კარგი სტატიების დაწერის შესაძლებლობა მიეცემათ.

თავდაცვის სამინისტროში სიტყვით გამოსვლისას სააკაშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ქართველი ოფიცრების შემდგომ მომზადებას რუსეთის სამხედრო აკადემიებში.

„კვირის პალიტრამ" წინა ნომერში უკვე გაუკეთა კომენტარი პრეზიდენტის ამ ინიციატივას, ახლა ისღა შეგვიძლია დავუმატოთ, რომ ეს გადაწყვეტილება უფრო პოლიტიკური იყო, ვიდრე სამხედრო აუცილებლობით გამოწვეული.

იმავე კომენტარს აკეთებს სამხედრო ექსპერტი, რადიო „თავისუფლების" კორესპონდენტი, **კობა ლიკლიკაძე**: „1995-1999 წლებში რუსეთში 400-მდე ქართველმა ოფიცერმა გაიარა მომზადება. თითოეული მათგანის სწავლა თვეში 1.000 დოლარი ჯდებოდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 6 მლნ დოლარამდე ვალი დაუგროვდა ქართველი ოფიცრების რუსეთში მომზადების გამო, თანაც რუსეთიდან დაბრუნებულმა ბევრმა ქართველმა ოფიცერმა ველარ გააგრძელა სამხედრო კარიერა და ეს თანხები წყალში გადაყრილი აღმოჩნდა".

იმ ქართველ ოფიცრებს, რომლებიც იმ წლებში რუსეთის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებსა და სამხედრო აკადემიებში სწავლობდნენ, ლექციებს უკითხავდნენ მეორე მსოფლიო ომისდროინდელ სამხედრო მოვლენებზე მაშინ, როდესაც შეეძლოთ გაეზიარებინათ საბჭოთა არმიის გამოცდილება ავღანეთის ომში, ხოლო რუსეთის სამხედრო დანაყოფების ბრძოლის ამბები დნესტრისპირეთში, მთიან ყარაბაღში, ცხინვალის რეგიონში, აფხაზეთსა და ჩეჩნეთში, მაგრამ ქართველი ოფიცრებისათვის ეს ინფორმაციები ცხრაკლიტულში იყო დაგმანული.

თუ საქართველოს პრეზიდენტის ხათრით ქართველ ოფიცრებს ასწავლიან რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმების მოქმედების ტაქტიკას მთაგორიან რელიეფზე, ტაქტიკური საჰაერო დესანტის გადასხმის წესებს, დახურული რადიოკავშირის მეთოდებს, პარტიზანული რაზმების განადგურების ხერხებს, შვეულმფრენებისა და თვითმფრინავების დაცვას გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების რაკეტებისგან და ა.შ., მაშინ ნამდვილად ეღირება ქართველი ოფიცრების ხელახალი გამოჩენა რუსეთის სამხედრო აკადემიებში.

ხოლო თუკი მათ კვლავ გადაუშლიან კურსკის ბრძოლისა თუ სტალინგრადის დაცვის ამსახველ რუკებს, მაშინ ქართველებს იქ არაფერი ესაქმებათ.




ჟურნალი თქვენთვის!


# გველირსა და ვისვრით და ვისვრით

## ქართველი ტანკისტები ამერიკელების ნაყიდ ჭურვებს პირდაპირ ათიანში არტყამენ



T-72 ტიპის ტანკების კოლონა მარშის დროს

ტანკებისა და ქვეითთა საბრძოლო მანქანების გუგუნი არემარეს აყრუებს, მათი ძრავების საქშენებიდან სულის შემხუთველი ბოლი იფრქვევა. აქ მიუჩვეველ ადამიანს შეიძლება თავიც ასტკივდეს, მაგრამ გიხარია, რადგან ქართველი ტანკისტები, ბოლოს და ბოლოს, შეუდგნენ საბრძოლო ხელოვნების დახვეწას.

მანამდე, წლობით, ქართული არმიის ჯავშანმანქანები და ტანკები უმოძრაოდ იდგნენ ფარეხებში. განა მარტო იმიტომ, რომ ქვეყანა მხოლოდ გროშებს იმეტებდა თავისი არმიისთვის, არამედ იმიტომაც, რომ ამ მცირე თანხებსაც თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა არამიზნობრივად ხარჯავდა და ჯარის საბრძოლო მომზადებას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.



БМП-1-ები მზად არიან სამიზნეებისკენ სასროლად.

ქართული ტანკების ფარეხებიდან გამოსვლა თავდაცვის სამინისტროში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლას არ უკავშირდება, ეს გახლავთ „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის დამამთავრებელი ფაზა. ვაზიანის პოლიგონზე საველე მომზადებას, რომელშიც 50 კმ-იანი მარში და სროლაც შედის, შერეული ჯავშანსატანკო ასეული გადის. ასეულის მეთაურის, ვიცე-პოლკოვნიკ ილო ლუტიძის თქმით, ტექნიკა მთლიანად ქართულმა მხარემ გაარემონტა, რისთვისაც ამერიკელმა სამხედროებმა მადლობა გადაგვიხადეს. ეს ასეული მზადდება, როგორც საერთო საჯარისო, ისე სატანკო განხრით. მასში გაერთიანებულია საბჭოთა წარმოების ათი ცალი T-72 ტიპის ტანკი, ამდენივე ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1 და ხუთი ჯავშანგამწევი МТ-ЛБ, რომლებსაც 120 მმ კალიბრიანი ნაღმსატყორცნების ტარება ევალებათ.

ტანკებისა და ქვეითთა საბრძოლო მანქანების ეკიპაჟები იმ ყოფილი ტანკისტებისგან შეირჩა, რომლებმაც ქართულ ან საბჭოთა არმიაში აითვისეს ეს პროფესია. მათთან ისეთივე კონტრაქტები გაფორმდა, როგორიც „კომანდოსა" თუ თელავის ბატალიონის მებრძოლებთან; თუმცა ასეულის მეთაურობას მიაჩნია, რომ ტანკის ეკიპაჟებთან უფრო მეტ ანაზღაურებაზე უნდა დაედოთ კონტრაქტები, რადგან საბრძოლო ტექნიკის მოვლა ბევრად მეტ ცოდნასა და შრომას მოითხოვს.

ვაზიანის ყოფილი რუსული სამხედრო ბაზიდან, სადაც ახლა თავდაცვის სამინისტროს მე-11 მექანიზებული ბრიგადაა დისლოცირებული, სატანკო დირექტრისამდე (ანუ ერთგვარ სატანკო „ტირამდე") ჯავშანკოლონა სწრაფი ტემპით მიემართება, თანაც საბრძოლო მდგომარეობაში, ანუ მექანიკოს-მძღოლები მრავალტონიან მრისხანე მანქანებს დახურული ლუკების ქვემოდან, ტრიპლექსების დახმარებით მართავენ, რაც ძნელია და დიდ ოსტატობას მოითხოვს.

სატანკო დირექტრისაზე მიღწევის შემდეგ ქვეითთა საბრძოლო მანქანები და ტანკები ერთმანეთისგან ცოტა მოშორებით იკავებენ პოზიციებს და ცეცხლს უხსნიან იქვე, მთის ძირას (სროლის დისტანცია 630 მ-ია) ეულად დაყენებულ მეორე მსოფლიო ომისდროინდელ T-34 ტიპის ტანკსა და Су-100 ტიპის თვითმავალ საარტილერიო დანადგარს.

რა მოულოდნელიც არ უნდა იყოს, ქართველი ტანკისტები პირველივე გასროლით არტყამენ მიზანს. მათ სროლას აკონტროლებენ ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები. ეტყობა, სწორედ მათი დამსახურებაა, რომ მოქმედებები უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით და დინჯად მიმდინარეობს.

იმ დღეს, როდესაც ქართველი ტანკისტები 125 მმ კალიბრიანი სატანკო ქვემეხების სროლაში ვარჯიშობდნენ, ერთ-ერთი პოპულარული ქართული ტელეარხი დაჟინებით „ამტკიცებდა", რომ ტანკებს 125 მმ კალიბრიანი ტყვიამფრქვევები უყენიათო.

თავდაცვის სამინისტროს ლოგისტიკის მართვის ცენტრის ჯავშანსატანკო სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი **დავით ნატროშვილი** გვიხსნის, რომ ყოველდღიურად თითო ეკიპაჟი ორ ფუგასურ და ორ ჯავშანგამტარ ქვეკალიბრიან ჭურვს ისვრის მიზანში. გასროლილი ჭურვების რაოდენობა ბევრს შეიძლება ძალიან მცირედ მოეჩვენოს, მაგრამ რას იზამთ, თითოეული სატანკო ჭურვი 500 დოლარი ღირს და ამერიკელებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ გვიყიდეს.

სანამ ტანკისტები თავიანთი მრისხანე ქვემეხებით უმიზნებდნენ, БМП-ების ეკიპაჟებმა თავისი ჯავშანმანქანების 73 მმ კალიბრიანი გლუვლულიანი ქვემეხებითა და ПКТ ტიპის ტყვიამფრქვევებით ნამდვილი კანონადა გამართეს.

ჯავშანსატანკო ასეულის სწავლების მორიგი ეტაპი უკვე მოიცავს საბრძოლო სროლებს უშუალოდ სვლის დროს, რაც ეკიპაჟისგან ბევრად მეტ ოსტატობას მოითხოვს.

საბრძოლო ტექნიკის ეკიპაჟების გაწვრთნა გაცილებით ძვირი სიამოვნებაა, ვიდრე ქვეითი ჯარისა, მაგრამ, სამაგიეროდ, ბრძოლის დროს ქვეითები უმეტესად იმ ტანკისტებისა თუ არტილერისტების ოსტატობის იმედზე რჩებიან, რომლებმაც თავისი ჯავშნითა და ჭურვების ცეცხლით უნდა დაიცვან ისინი.

# გენერლები მიდიან... „თავისივე" პატაკებით

როგორც მოსალოდნელი იყო, თავდაცვის სამინისტროში გენერალ-ლეიტენანტ დავით თევზაძის თავდაცვის მინისტრის პოსტიდან წასვლისა და ამ თანამდებობაზე მისი სამოქალაქო მოადგილის, ბატონ გელა ბეჟუაშვილის დანიშვნისთანავე დიდი საკადრო ცვლილებები დაიწყო.

თევზაძის კვალდაკვალ, თანამდებობები დატოვეს მისი გუნდის წევრებმაც: მინისტრის აპარატის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა ალეკო მჭედლიშვილმა, კადრების დეპარტამენტის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა დიმიტრი ლეჟავამ, ლოგისტიკის მართვის ცენტრის უფროსმა, გენერალ-მაიორმა თემურ ლორიამ და დაზვერვის დეპარტამენტის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა შალვა კუპატაძემ.

სხვათა შორის, თემურ ლორიას გარდა, ამ გენერლებს აერთიანებთ სპეცსამსახურებში, კერძოდ კი, საბჭოთა სუკში მუშაობის გამოცდილება. ეს თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუმცა, საინტერესოა, თევზაძე რატომ იკრებდა თავის გარშემო სპეცსამსახურის ოფიცრებს და არა კადრის სამხედროებს.

ზემოხსენებულმა გენერლებმა, როგორც იტყვიან, საკუთარი სურვილით დაწერეს პატაკი თანამდებობის დატოვების შესახებ. თუმცა დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, თუ რამდენად „ეხალისებოდათ" ამის გაკეთება.

ეს მაღალი თანამდებობები თავდაცვის სამინისტროში უპატრონოდ არ დარჩენილა: კადრების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობას მაიორი კახა ჩიქოვანი შეასრულებს, დაზვერვის დეპარტამენტისას — ვიცე-პოლკოვნიკი ზვიად ჩხაიძე, ლოგისტიკის მართვის ცენტრს კი პოლკოვნიკი მამუკა ლომსაძე უხელმძღვანელებს, სამოქალაქო თავდაცვის მინისტრის აპარატურის უფროსად ასევე სამოქალაქო პირი, ლევან ჭოლაძე დაინიშნა.

საკადრო ცვლილებები თავდაცვის სამინისტროში ალბათ არ შეჩერდება და თითქმის ყველა დონეს შეეხება. ესაა, რომ თავდაცვის ახალმა მინისტრმა, თავისი პირველივე გადაწყვეტილებით, შეიძლება სხვა ძალოვანი თუ სამართალდამცავი უწყებები გაალიზიანა, რადგან მათ დახმარებები შეუწყვიტა.

საქმე ის არის, რომ თავდაცვის სამინისტრო, რომელსაც თავად არ ჰყოფნიდა სახსრები და მისი ხელმძღვანელობა ცრემლებს ღვრიდა მწირი ფინანსების გამო, თურმე წლების განმავლობაში საწვავს აძლევდა მთავარ სამხედრო პროკურატურას, სამხედრო კონტრდაზვერვას, ხოლო ტყვია-წამალს უწილადებდა მესაზღვრეებსა და სამთავრობო დაცვას. ახალმა მინისტრმა კი პირველივე ბრძანებით შეწყვიტა ამგვარი დახმარებების ტრადიციის გაგრძელება.

# 2 სექტემბერიც ასე იწყებოდა?!.

## ახალმა ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი იარაღის დემონსტრირებისგან

შაბათს, 21 თებერვალს, „ომეგა-ჯგუფის“ ოფისთან მომხდარი ინციდენტი უთუოდ უნდა გამოიძიოს პროკურატურამ, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ იარაღის გამოჩენა კომერციულ და, მით უმეტეს, მასმედიასთან დავისას, ყოველმხრივ გაუმართლებელია.

ვაშლიჯვარში, „ომეგა-ჯგუფის“ ოფისის ეზოში, რომელსაც რამდენიმე დღეა, სამართალდამცავები, კერძოდ კი, შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების რაზმის წევრები აკონტროლებენ, იქ მომუშავე მუშებმა მართლაც სცადეს შეღწევა.

სპეცრაზმის მიერ ჰაერში გამაფრთხილებელმა სროლებმა (თუმცა ერთმა ტყვიამ იქვე გამავალი ბუნებრივი აირის მილი დააზიანა), მართალია, დააცხრო მათი ვნებები, მაგრამ ამან უფრო დაძაბა ვითარება.

საერთოდ, ასეთ დროს აჯობებს, თუ დასაცავ ობიექტზე შინაგანი ჯარები ავტომატებით შეიარაღებულ სპეცრაზმელებს კი არა, რეზინის ხელკეტებითა და დამცავი ფარებით აღჭურვილ ჯარისკაცებს დააყენებენ, რომლებსაც აქვთ გამოცდილება, როგორ გადაუდგნენ წინ და შეაკავონ ხალხის მასა.

სხვათა შორის, სროლების მერე, ცოტა ხანში, შინაგანმა ჯარმა მართლაც გაგზავნა ვაშლიჯვარში ე.წ. „ბეტმენები“ — თურქეთის ჟანდარმერიის მიერ ნაჩუქარი ხელკეტებითა და უცნაური დამცავი ჟილეტებით აღჭურვილი ჯარისკაცები...

იარაღით „თამაში“, თუგინდ პროკურატურის ან სასამართლოს დადგენილების აღსრულებისას, ძალიან დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, მით უმეტეს, რომ საქართველოს ამის მწარე გამოცდილება აქვს: 1991 წლის 2 სექტემბერს, თბილისის ცენტრში, კინოს სახლთან, დემონსტრანტებსა და „ომონს“ შორის შეიარაღებული შეტაკება გახდა ერთგვარი საბაბი პრეზიდენტ გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლებისა...

# რუსულმა საზღვაო რაკეტებმა პუტინი „შეარცხვინეს“...

## რუსეთის რეპუტაცია მხოლოდ ნადირაძის „ტოპოლებმა“ და ალფაიძის პლესეცკის კოსმოდრომმა გადაარჩინა

რამდენიმე დღის წინ, რუსულმა ბალისტიკურმა რაკეტებმა სტარტის დროს, ერთმანეთის მიყოლებით, მარცხი განიცადეს და თანაც ქვეყნის პრეზიდენტის თვალწინ... შეიძლება ამ ამბავმა ძალიან გაახარა თეთრი სახლი.

ასეთ ფიასკოს არც კრემლი მოელოდა, მით უმეტეს, რომ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გასულ კვირას გამართა გრანდიოზული მასშტაბის სტრატეგიული სამეთაურო-საშტაბო წვრთნები, რომლის მსგავსიც ბოლო 20 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა.


РСМ-54 — საზღვაო რაკეტა, რომელმაც პუტინის თვალწინ მარცხი განიცადა

სტრატეგიული მნიშვნელობის სწავლებებში რუსეთის ექვსივე სამხედრო ოლქი მონაწილეობდა — საბრძოლო დანაყოფები გადაისროლეს ციმბირიდან რუსეთის ევროპულ ნაწილში, ცაში აიჭრნენ Ту-160 და Ту-95 სტრატეგიული ბომბდამშენები, რომლებმაც ფრთოსანი რაკეტები გაუშვეს, ხმელეთზე სატანკო შენაერთები პირობით მოწინააღმდეგეს ანადგურებდნენ, ხოლო მეზენიტეები — ასევე წარმოსახვით ბომბდამშენებს ყრიდნენ ციდან...

სტრატეგიული სწავლება დააგვირგვინა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების გაშვებამ, რომელსაც დაესწრო თავად რუსეთის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, პრეზიდენტი პუტინი.

ბარენცის ზღვაში, რუსული ატომური წყალქვეშა ნავიდან ბირთვული ქობინების გადამტანი (თუმცა სწავლების დროს, ბუნებრივია, რაკეტებს მოხსნილი ჰქონდათ ბირთვული მუხტები) ბალისტიკური რაკეტების გაშვებას აშშ-ის და NATO-ს მზვერავი გემები, თვითმფრინავები და თვით კოსმოსური სადაზვერვო თანამგზავრებიც უთვალთვალებდნენ და, როგორც აღმოჩნდა, არც ტყუილად.

ჯერ იყო და, 17 თებერვალს, ატომურმა წყალქვეშა ნავმა, Новомосковск-მა, ზღვის სიღრმიდან სცადა სტრატეგიული ბალისტიკური რაკეტა РСМ-54-ის გაშვება, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა — რაკეტა წყალქვეშა ნავის შახტიდან გამოსვლისას გაიჭედა და მისი აფეთქების რეალური საშიშროება გაჩნდა. პრეზიდენტი პუტინი, რომელიც რამდენიმე საზღვაო მილის დაშორებით, სხვა ატომური წყალქვეშა ნავიდან ამაოდ ელოდა რაკეტის სტარტს, იმ დღეს ნაპირზე გაწბილებული დაბრუნდა.

18 თებერვალს, უკვე მეორე ატომურმა წყალქვეშა ნავმა, Карелия-მ, სცადა ასეთივე რაკეტის გაშვება, მაგრამ პუტინს კვლავ არ გაუმართლა — РСМ-54-მა სტარტიდან 98-ე წამზე ფრენის ტრაექტორიას გადაუხვია, აფეთქდა და კამჩატკაზე, Кура-ს პოლიგონზე მოხვედრის ნაცვლად, შეიძლება სადღაც, შუა რუსეთში ჩამოვარდა კიდეც.

ამ ორი, მართლაც სერიოზული წარუმატებლობის შემდეგ, შეშინებულმა რუსმა გენერლებმა პრეზიდენტი პუტინი ხმელეთზე, პლესეცკის კოსმოდრომზე, მიიწვიეს და ოდნავ გამოუკეთეს გუნება — სასტარტო პოზიციიდან წარმატებით იქნა გაშვებული რაკეტა-მატარებელი Молния, რომელმაც კოსმოსურ ორბიტაზე სამხედრო დანიშნულების (უფრო სწორად, სადაზვერვო) Космос-ის სერიის ხელოვნური თანამგზავრი გაიყვანა.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის პირველი კოსმოდრომი Плесецк-ი 40 წლის წინ აშენდა ჩვენი თანამემამულის, გენერალ-ლეიტენანტ გალაქტიონ ალფაიძის ხელმძღვანელობით, რაზეც ამას წინათ ვწერდით. სხვათა შორის, ამ რაკეტა-მატარებლის პირველ მოდიფიკაციებს, კოროლიოვის Р-7-ს, კოსმოსში პირველად სწორედ გენერალი ალფაიძე უშვებდა.

პრეზიდენტი პუტინი საბოლოოდ მაშინ მოვიდა გუნებაზე, როდესაც მიწისქვეშა შახტიდან უავარიოდ გაუშვეს მსოფლიოში ყველაზე დიდი და მძლავრი (ასევე „უხუცესი“) საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა РС-20 (NATO-ს კლასიფიკაციით — SS-18 Satan-ი) და, რაც მთავარია, მობილური სტრატეგიული რაკეტა РС-12М Тополь-ი (NATO-ს კლასიფიკაციით SS-25).


გენერალ ალფაიძის აშენებულ პლესეცკის კოსმოდრომზე პუტინს რაკეტის მაკეტი აჩუქეს


ნადირაძის „ტოპოლმა“ რუსეთის სარაკეტო იმიჯი სირცხვილისგან იხსნა

„ტოპოლი“ ჩვენი თანამემამულის, ალექსანდრე ნადირაძის მიერ შექმნილი ყველაზე თანამედროვე რუსული ბალისტიკური სარაკეტო სისტემაა, რომლითაც რუსეთი დღესაც აშინებს მასზე ყოველმხრივ ძლიერ აშშ-ს.

საზღვაო რაკეტების მარცხიანი სტარტებით გახარებული ამერიკელი სამხედროები საგონებელში სწორედ უკანასკნელი რაკეტის, ნადირაძისეული „ტოპოლის“ გაშვებამ ჩააგდო, რადგან თავად პრეზიდენტ პუტინის განცხადებით, ამ გაშვებისას გამოსცადეს ახალი ტიპის ქობინი, რომელიც ატმოსფეროში შესვლისას იწყებს მანევრირებას და მისი ჩამოგდება ნაქებ ამერიკულ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემასაც კი ძალიან გაუჭირდება.

რუსეთის სტრატეგიულმა წვრთნებმა შეიძლება საქართველოს სამხედრო ძალებისთვის ჩაიარა შეუმჩნევლად, რადგან ქართველი გენერლები ჯერ საკადრო ციებ-ცხელებით არიან დაკავებულნი, თორემ სხვა ქვეყნების ხელისუფალნი დიდი ყურადღებით აკვირდებოდნენ რუსი სამხედროების სტრატეგიულ „თამაშებს“, განსაკუთრებით ვაშინგტონში, რადგან სწორედ ბირთვული ბალისტიკური რაკეტები არის ერთადერთი მასობრივი განადგურების იარაღი, რომლითაც უძლიერეს აშშ-ს შეიძლება დაძაბუნებული რუსეთი დაემუქროს.

## სამხედრო კალეიდოსკოპი

### აზერბაიჯანი სამხედრო „თამაშს“ იწყებს

რუსეთისა არ იყოს, აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმაც სამეთაურო-საშტაბო წვრთნები გამართეს. ამ წვრთნებში მონაწილეობა მიიღეს შეიარაღებული ძალების ყველა გვარეობის ჯარების სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებმა.

როგორც აზერბაიჯანელი გენერლები აცხადებენ, ამ სამეთაურო-საშტაბო სწავლების მთავარი მიზანი გახლდათ სხვადასხვა დანაყოფების კოორდინირებული მოქმედების დახვეწა, ანუ იმ მთავარი პრობლემის აღმოფხვრა, რამაც დაამარცხა აზერბაიჯანის არმია სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის ჯარებთან ბრძოლაში.

### უკრაინული არმია მცირდება

2004-2005 წლებში უკრაინის შეიარაღებული ძალები 155 ათასი საშტატო ერთეულით შემცირდება, მათ შორის დათხოვილი იქნება 105 500 სამხედრო მოსამსახურე და 49 500 სამოქალაქო პირი. მათთვის კომპენსაციის გადასახდელად კიევს მოუწევს 555 მლნ დოლარის გამოძებნა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ არმიის შემცირება ბევრად ძვირი ჯდება, ვიდრე იმავე რაოდენობის ხალხის შენახვა.

### სომხები კოსოვოში გამოჩნდნენ

გასულ კვირას, კოსოვოში, სამშვიდობო მისიის შესასრულებლად, სომხეთის რესპუბლიკიდან 34 სამხედრო მოსამსახურე გაემგზავრა. თუმცა, ქართველი „ცისფერჩაფხუტიანებისგან“ განსხვავებით, რომლებმაც კოსოვოში სამშვიდობო მისიის შესრულება ჯერ თურქული ბატალიონის შემადგენლობაში დაიწყეს, სომეხი სამხედროების ოცეული გაერთიანდება ბერძნების ბატალიონში.

### რუსი მედესანტეების დანაკარგები ჩეჩნეთში



ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყების შემდეგ (1999 წლის აგვისტო) ჩეჩნეთის ტერიტორიაზე 340 რუსი მედესანტე დაიღუპა, მათ შორის 50 ოფიცერი. გარდა ამისა, რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარებს ჩეჩნეთში საბრძოლო ოპერაციების განხორციელებისას დაეჭრათ 892 სამხედრო, აქედან 167 ოფიცერი, ხოლო ერთი მედესანტე უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ამგვარი დანაკარგები ისეთი ელიტარული ჯარების გვარეობისთვის, როგორსაც საჰაერო-სადესანტო წარმოადგენს, არცთუ ისე ცოტაა.

## არსენალი

# ჯავშანჟილეტების რისხვა

## ყველაზე უცნაური და დახვეწილი იარაღი

ფართოდ გავრცელებულ კევლარის ზეგამძლე ნაჭრის მრავალი ფენისგან შეკერილ თანამედროვე ჯავშანჟილეტს ვერაფერს აკლებს დასავლელ პოლიციელთა ძირითადი შეიარაღება — 9X19 PAR-ის ტიპის ვაზნაზე გაანგარიშებული პისტოლეტი და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი.

ამიტომაც, გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, ბელგიურმა ფირმამ, „ფაბრიკ ნასიონალმა“, შექმნა ახალი იარაღი, რომელშიც ასევე ახალი ტიპისა და, რაც მთავარია, ახალი კალიბრის ტყვიები გამოიყენებოდა.

ბელგიელმა კონსტრუქტორებმა NATO-ს სტანდარტის ავტომატური შაშხანისთვის განკუთვნილი 5,56 მმ კალიბრის ვაზნების ბაზაზე შექმნეს ახალი, 5,7 მმ კალიბრის ვაზნა. მისი წაწვეტებული ტყვია ლულიდან გამოსვლისას 715 მ/წმ სიჩქარეს ავითარებს და 200 მ-ში ხვრეტს სამიზნეს — კევლარის ჯავშანჟილეტს. დასავლელი პოლიციელების შეიარაღებაში არსებული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევისთვის (მათ შორის MP5-ისა თუ „უზისთვის“), ეს მართლაც წარმოუდგენელია.

მაგრამ გარდა ახალი ვაზნისა, ბელგიელი კონსტრუქტორების P90 ტიპის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი მართლაც გამოირჩევა უცნაური, მაგრამ დახვეწილი დიზაინით, რის გამოც რაღაცით მომავლის ფანტასტიკურ იარაღს წააგავს და მკვეთრად განსხვავდება დღემდე შექმნილი ყველა ცეცხლსასროლისაგან. ალბათ ამიტომაც „იარაღდებიან“ P90-ით ფანტასტიკური ფილმების გმირები.

P90 „ბულ-პაბის“ პრინციპითაა შექმნილი, ოღონდ ვაზნების მჭიდი სასხლეტის უკან კი არა, არამედ მის თავზეა დამონტაჟებული. მასში 5,7 მმ კალიბრის 50 ვაზნა ჩადის. მჭიდი გამჭვირვალეა და ჩანს, სროლისას რამდენი ვაზნა დარჩა მებრძოლს. ვაზნები მჭიდში ლულის პერპენდიკულარულადაა ჩალაგებული, რითაც შესაძლებელი ხდება 50 ვაზნის ისე განთავსება, რომ მჭიდი, სხვა ავტომატებისა თუ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებისაგან განსხვავებით, არ გამოდის იარაღის გაბარიტიდან. ვაზნებს, სამიზნე კოლოფში მიწოდებამდე, სპეციალური მექანიზმი მართი კუთხით აბრუნებს. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ P90-ის ხელახლა გატენა და სროლა ცაციასაც თავისუფლად შეუძლია, რადგან ნასროლი მასრები სპეციალური სარკმლიდან ქვემოთ ცვივა.

P90-ის უპირატესობა ისიცაა, რომ მისი კორპუსი პოლიმერისგანაა დამზადებული, რის გამოც ვაზნებიანად სამიოდ კგ-ს იწონის.

კონსტრუქტორებმა P90-ის დამზადებისას გამოიყენეს „ბულ-პაბის“ პრინციპი, რის გამოც ამ მრისხანე იარაღის სიგრძე მხოლოდ ნახევარი მეტრია, რამაც იგი ჯავშნიანი საბრძოლო მანქანების ეკიპაჟების საუკეთესო თავდაცვის იარაღად აქცია.

50სმ სიგრძის P90-ში 26,3 სმ ლულას უკავია, რომელიც მცირედ გამოდის იარაღის გაბარიტიდან. ლულას ბოლოში მაყუჩიც უკეთდება, ოღონდ ამ შემთხვევაში სროლა შეიძლება მხოლოდ სპეციალური ვაზნებით, რომლებშიც დენთის რაოდენობა შემცირებულია და შესაბამისად, ტყვიის საწყისი სიჩქარე ბგერის გავრცელების სიჩქარეს არ აღემატება. სხვათა შორის, 5,7 მმ კალიბრის ვაზნები აქვს ბელგიელი კონსტრუქტორების მიერ შექმნილ P90-ის უმცროს „ძმას“ — თვითდამტენ პისტოლეტს 5-7 (FN). ამ 20-ვაზნიანი პისტოლეტითა და 50-ვაზნიანი P90 პისტოლეტ-ტყვიამფრქვევით აღჭურვილი ტანკისა თუ ჯავშანტრანსპორტიორის ეკიპაჟის წევრი მაშინაც არ იგრძნობს თავს დაუცველად, თუკი საბრძოლო მანქანა აუფეთქეს და მოწინააღმდეგესთან ხელჩართული ბრძოლა მოუწევს.


„ჯავშანჟილეტების რისხვა“ ბელგიური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი P90 და პისტოლეტი 5-7(FN)-ი.

ბოლო მონაცემებით, P90 პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმების შესაიარაღებლად შეისყიდეს საუდის არაბეთმა, პერუმ და ტაილანდმა. ასე რომ, ბელგიური „ფაბრიკ ნასიონალი“ არავის ეუბნება უარს ამ „უცნაური“ იარაღის მიყიდვაზე.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ლავრენტი ბერია — საბჭოთა ატომის მეფე...

**თავისთავად ეს თემა სულაც არ არის ახალი, თუმცა იგი იმდენად მასშტაბურია, რომ გვეეჭვება, ოდესმე დაკარგოს აქტუალობა. მით უმეტეს, საქართველოში, რადგან გიგანტური პროექტის ორგანიზატორები ქართველები არიან — იოსებ სტალინი და ლავრენტი ბერია. ამასთან, სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. პარალელურად, ხორციელდებოდა ზებგერითი ავიაციის შექმნისათვის საჭირო ჯერ არნახული იდეების პრაქტიკაში დანერგვა. ბუნებრივია, ესეც ამ ორი ქართველის ძალისხმევის შედეგი გახლდათ. თუმცა აქ სხვა ქართული გვარებიც ფიგურირებენ. ჩვენ შევეცდებით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, გვერდი ავუაროთ ამ ამბებთან დაკავშირებულ ძველ, ტრაფარეტულ მოსაზრებებსა და შეხედულებებს და უმეტესად ბოლო დროს გამოქვეყნებული დოკუმენტებით ვიხელმძღვანელოთ. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, მკითხველი ბევრ ახალსა და საინტერესოს აღმოაჩენს დღევანდელ მონათხრობში.**

## ჯერ დავეწიოთ და მერე ვნახოთ

ამერიკელებმა მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, 1945 წლის 16 ივლისს, გამოსცადეს პირველი ატომური ბომბი და ამით თითი დაუქნიეს საბჭოეთს, რომ თუ ომის გადატანას სხვა კონტინენტზე შეეცდებოდა, გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონოდა. „ძია სემი“ უზომოდ კმაყოფილი ჩანდა — იმ დღეებში გენერალი გრივსი სენატის სპეციალურ კომისიას მოახსენებდა, რომ საბჭოეთს თხუთმეტი წელი მაინც დასჭირდებოდა, ამერიკას რომ დასწეოდა ამ სფეროში. მთლად ასე იმედიანად არ იყო განწყობილი პირველი ატომური ბომბის მამა რობერტ ოპენჰაიმერი, თუმცა ვერც ის წარმოიდგენდა, რომ საბჭოთა (და არა მარტო საბჭოთა) მეცნიერები ოთხ წელიწადში დასძლევდნენ ჩამორჩენას.

ჯერ კიდევ ხიროსიმამდე ორი წლით ადრე, საბჭოთა დაზვერვა აუწყებდა კრემლს ატომის დარგში დასავლელი მეცნიერების მიღწევების შესახებ, რამაც სტალინი აიძულა, ყველაფერი ეღონა ატომური იარაღის შესაქმნელად. დასაწყისში მოლაპარაკების მაგიდას ოთხნი უსხდნენ: სტალინი, ბერია და საბჭოთა ატომის პირველმკვლევარები — იოფე და კაპიცა. იხილავდნენ ურანის ცენტრის ხელმძღვანელის საკითხს.

ბერიას რეფერენტი მახნევი იხსენებს სტალინის ნათქვამს თათბირის დაწყებამდე: „ამ საქმესთან ყველაზე ახლოს, რა თქმა უნდა, იოფე და კაპიცა დგანან, მაგრამ ისინი ინსტიტუტების დირექტორები არიან და ერთდროულად გაუჭირდებათ ორ ფრონტზე საქმიანობა. ამიტომ, საჭიროა მოვნახოთ ნიჭიერი და ამასთან, ახალგაზრდა ფიზიკოსი, რომელიც ამ საქმეს უხელმძღვანელებს. ჩვენ მას მივცემთ აკადემიკოსის წოდებას, ძალაუფლებასა და ამავდროულად, ფხიზლად გავაკონტროლებთ“... ასეთი კაცი ლენინგრადის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში მონახეს. ეს იყო იგორ ვასილის ძე კურჩატოვი. იგი ბევრად უფრო გვიან გაითქვამს სახელს მსოფლიოში. თუმცა, სულ მალე, ოთხი წლის შემდეგ, სტალინისა და ბერიას აქტიური პატრონაჟით კურჩატოვი დასახულ მიზანს მიაღწევს. ჯერჯერობით, სულ რამდენიმე კაცმა იცის მის და საზოგადოდ, საბჭოთა ატომური იდეის შესახებ. ახლა კი საჭიროა ურანი, რაც შეიძლება მეტი ურანი. ეს დარგი პოლიტბიუროს წევრს, მოლოტოვს ჩააბარეს. თუმცა ორი წლის შემდეგ გაირკვა, რომ მან ამ საქმეს თავი ვერ გაართვა. ომის დამთავრების შემდეგ ცნობილი გახდა ურანის არსებობის შესახებ ოკუპირებული გერმანიის ტერიტორიაზე. ბერიას დავალებით გერმანიაში მიემგზავრება გამოცდილი სპეციალისტებით დაკომპლექტებული გეოლოგთა ჯგუფი უშიშროების გენერალ-პოლკოვნიკ სეროვის ხელმძღვანელობით. თუმცა, საქსონიაში, სადაც ამ ჯგუფს უნდა ემუშავა, ამერიკელების ჯარები იდგნენ და მანამ არ დატოვეს ეს ტერიტორია, ვიდრე მარშალი ჟუკოვი არ ჩაერია საქმეში. მაგრამ ბერიას მხოლოდ გერმანული ურანი არ აკმაყოფილებდა. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აგენტებმა ადრე ატომის დარგში მომუშავე ორასამდე გერმანელი მეცნიერ-სპეციალისტი ჩამოიყვანეს სოხუმში, რომელთაც ას ოცი ახალგაზრდა საბჭოთა ფიზიკოსი დაუმატეს. ერთი ასეთი ბანაკი თბილისთან ახლოსაც გაიხსნა.

სოხუმში ბანაკი განთავსებული იყო მავთულხლართებით შემოზღუდულ, სიგანით ერთ-ნახევარ, ხოლო სიგრძით შვიდკილომეტრიან ტერიტორიაზე. ბანაკს ოცდაათმეტრიანი აკრძალული ზონა ერტყა. ფაქტობრივად, ეს იყო ტყვეებით დასახლებული, გარე სამყაროსგან იზოლირებული პატარა ქალაქი თავისი ინფრასტრუქტურით. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქაურ ტყვეებს ძალზე მაღალი ხელფასები ჰქონდათ. ყველა, მათ შორის დამხმარე პერსონალიც, ყველაფრით უზრუნველყოფილი იყო. მიუხედავად ამისა, პოტსდამის კონფერენციიდან დაბრუნებულმა სტალინმა კურჩატოვს გადამეტებულ ხათრიანობაში დასდო ბრალი. სტალინის აზრით, სამუშაოების დაჩქარების მიზნით პროექტის ხელმძღვანელმა უნდა მოითხოვოს გაცილებით მეტი სპეციალისტები და ასიგნებები. მეცნიერმა თავი იმართლა: ამდენი ხალხი დაიღუპა, ყველაფერი დაინგრა, ქვეყანა დამშეულიაო. „ბავშვი თუ არ ტირის, დედა ვერ გაიგებს, რა უნდა მას. მოითხოვეთ, რაც საჭიროა, უარს არაფერზე გეტყვიან“, — ცივად მიუგო სტალინმა.

ეს დიალოგი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ბერიასთვის მინდობილ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს სტალინიც აშველებდა ხელს. ბერია თვითონ არჩევდა მოედნებს ქარხნების მშენებლობისათვის. იკვლევდა მომავალი საცხოვრებელი მასივების ტერიტორიებს, აკონტროლებდა მშენებლობას, სატრანსპორტო საშუალებებს, მომარაგებას. უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა საიდუმლოებისა და ობიექტების დაცვის ღონისძიებები. მას ყველგან ჰყავდა მიმაგრებული რწმუნებულები, უშიშროების გენერლები და პროკურორები. მხოლოდ ასეთ პირობებში იყო შესაძლებელი ობიექტების არნახული ტემპებითა და ხარისხით მშენებლობა. მას ხელთ ჰქონდა მართვის ყველა სადავე. უმნიშვნელო დარღვევისთვისაც კი ყველას მკაცრად სთხოვდა პასუხს, მაგრამ ვინმეს დასჯამდე საქმე არ მისულა. პირადად ესწრებოდა ახალი აგრეგატების გაშვებას. ხშირად თვითონ ხელმძღვანელობდა სამთავრობო კომისიას. ლავრენტი პავლოვიჩი სანახევროდ თავის სპეცმატარებელში ცხოვრობდა. თუ ამის შესაძლებლობა იყო, სარკინიგზო მაგისტრალიდან სახელდახელოდ გაჰყავდათ ახალი ხაზი იმ ობიექტამდე, რომლის მონახულებასაც აპირებდა შეფი; ან ხის მორებს აწყობდნენ ჭაობებში, რომლებზეც მისი მანქანა გადაადგილდებოდა. ამ სამუშაოებს პატიმრები ასრულებდნენ. ისინი ასობით და ათასობით იხოცებოდნენ ციმბირსა და შორეული აღმოსავლეთის გაუვალ ჭაობებში, მაგრამ ამას არავინ ანგარიშობდა. სამაგიეროდ, ატომის პრობლემებზე მომუშავე მეცნიერებს ბერია ხელისგულზე ატარებდა. აძლევდა სამმაგ — ზოგ შემთხვევაში, ათმაგ ხელფასსაც, ბინებს პრესტიჟულ რაიონებში, ეძლეოდათ დასვენებისა და მკურნალობის უფლება ქვეყნის საუკეთესო ჯანმრთელობის ცენტრებში.

იმავე პერიოდში რეაქტიული ავიაციისა და რადიოლოკაციის შექმნის გასაიდუმლოებული პროექტებიც ხორციელდებოდა. ეს ორი ზესაიდუმლო პროექტიც უშუალოდ ბერიას ზედამხედველობით მიმდინარეობდა.

მისი დაუცხრომელი ენერგია, ორგანიზატორული ნიჭი და ყველა წვრილმანში წვდომის უნარი შესაშური იყო. კურჩატოვი, მისი მოადგილეები და თანაშემწეები ხშირად ამბობდნენ: რომ არა ბერიას გონივრული ხელმძღვანელობა, ასე მცირე დროში წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდაო.

საათივით აწყობილი სისტემის პირობებში აღარც საიდუმლოების დაცვა წარმოადგენდა დიდ პრობლემას.

და მაინც: როცა 1948 წლის 25 დეკემბერს პირველად ევროპაში კურჩატოვმა თავისი პირველი ატომური რეაქტორი აამუშავა, დაუყოვნებლივ დაურეკა ქარხნის დირექტორს, სლავსკის.

— ეფიმ, სასწრაფოდ მოდი....

— იგორ ვასილიევიჩ, ხელმძღვანელობას მოახსენე? — ეკითხება სლავსკი.

— ჯერჯერობით, არა.

— სასწრაფოდ დარეკე.

კურჩატოვი ბერიას ურეკავს.

— რამდენი სპეციალისტი მონაწილეობდა რეაქტორის ამუშავებაში? — კითხულობს მთავარი კურატორი.

— ხუთი კაცი.

— თქვენსა და იმ ხუთი კაცის გარდა, არავინ არ უნდა იცოდეს ამის შესახებ...



რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ურალის ერთ-ერთმა ქარხანამ შეასრულა ურანის პროექტისათვის გათვალისწინებული აგრეგატების გამოშვების გეგმა და დადგა ამ ზესაიდუმლო საწარმოს ლიკვიდაციის საკითხი, ბერიამ ყველა მისი თანამშრომლის ოჯახებიანად შორეულ ჩრდილოეთში ევაკუაციის შესახებ ბრძანება გასცა და კოლიმაზე გაჩნდა ახალი დასახლება ორი ზონით — პატიმარი და თავისუფალი ინჟინრებისათვის, ტექნიკური პერსონალითა და დაცვით. ისინი მხოლოდ სამამულო ატომური ბომბის წარმატებით გამოცდის შემდეგ, 1950 წლის დასაწყისში გაათავისუფლეს.

ამრიგად, საბჭოთა და გერმანელი ატომის სპეციალისტები სრულიად საიდუმლო ვითარებაში მუშაობდნენ საბჭოთა ატომური ბომბის შესაქმნელად. გერმანელების მეორე, მეცნიერთა ასსამოცდაჩვიდმეტკაციანი ჯგუფისათვის მოსკოვთან ახლოს, გაჩნდა ახალი პატარა დასახლება დიდი ლაბორატორიებით, სახელოსნოებითა და საყოფაცხოვრებო სამსახურებით. რაიხის ყოფილი ქვეშევრდომები ამ ლაბორატორიებში საბჭოთა „ფაუ-2“-ის ტიპის რაკეტის გამოშვებაზე მუშაობდნენ.

**დადგა ზესაიდუმლო საწარმოს ლიკვიდაციის საკითხი, ბერიამ ყველა მისი თანამშრომლის ოჯახებიანად შორეულ ჩრდილოეთში ევაკუაციის შესახებ ბრძანება გასცა და კოლიმაზე გაჩნდა ახალი დასახლება ორი ზონით — პატიმარი და თავისუფალი ინჟინრებისათვის, ტექნიკური პერსონალითა და დაცვით. ისინი მხოლოდ სამამულო ატომური ბომბის წარმატებით გამოცდის შემდეგ, 1950 წლის დასაწყისში გაათავისუფლეს.**

1951 წელს არმიამ მათგან ახალი რაკეტა P-2 მიიღო, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ მძლავრი P-5, რომელიც ატომური მუხტით იყო აღჭურვილი.

დიახ, გერმანელი და უმეტესწილად საბჭოთა ტყვეები ქმნიდნენ საბჭოეთის ძლიერებას და აკადემიკოსი კაპიცა მაინც უკმაყოფილოა იმის გამო, რომ ბერიამ არ იცის ფიზიკა(!) და ამის გამო სტალინთან უჩივის.

რამდენიმე დღის შემდეგ ლავრენტი ბერია ურეკავს კაპიცას.

— ამხანაგმა სტალინმა გამაცნო თქვენი წერილი, უნდა ვილაპარაკოთ. მობრძანდით.

— მე თქვენთან არაფერი მაქვს სალაპარაკო, — პასუხობს კაპიცა, — თუ თქვენ გაქვთ ჩემთან საქმე, მობრძანდით ინსტიტუტში.

„სისხლისმსმელი“ და „კაციჭამია“ ლავრენტი ბერია პირადად ესტუმრა ჭირვეულ მეცნიერს და კეთილგანწყობის ნიშნად ძვირფასი ინკრუსტირებული ორლულიანი თოფი აჩუქა. მერე ხმა გავრცელდა, ბერია დაჭერას უპირებს კაპიცას, მაგრამ სტალინი არ ეთანხმებაო. თუმცა იმ მასშტაბების ბოროტმოქმედს, როგორადაც ბერიას ხატავენ რუსული საბჭოთა წყაროები, შეეძლო სხვა გზითაც ჩამოეცილებინა ურჩი მეცნიერი. მაგრამ ასე არ მოხდა. კაპიცა შემდეგ ხრუშჩოვთანაც უჩიოდა ბერიას. საფიქრებელია, რომ დიდი წარმატებითაც. ფაქტი კი ის იყო, რომ კაპიცა გახურებული მუშაობის დროს ჩამოშორდა ატომური იარაღის შემქმნელებს. ლავრენტი ბერია კი ჯერ კიდევ ომამდე გულაგის ბანაკებში, ციხეებსა და კოლონიებში, 1937 წელს რეპრესირებულთა შორის სათითაოდ ეძებს ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომელთა ხარჯზე იქმნება დახურული საკონსტრუქტორო ბიუროები და ატომური ბომბის შექმნის პარალელურად, ფაქტობრივად, ხელახლა იწყებს აღორძინებას საბჭოთა ავიამშენებლობა. მართალია, შენობები, სადაც ეს ხალხია განთავსებული, გარედან ისევ ციხის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ შიგნით ყოფა-ცხოვრებისა და საქმიანობისთვის იმდენად ნორმალური პირობებია, რომ გუშინდელ პატიმრებს თავი ზღაპარში ჰგონიათ. აქ არიან ავიამშენებლობის კორიფეები: აკადემიკოსები სერგეი კოროლიოვი, ალექსანდრე ნეკრასოვი, ბორის სტეჩკინი, ანდრეი ტუპოლევი. არავინ იცის, ვის სჭირდებოდა მათი ციხეებში გამომწყვდევა. ამბობენ, რომ ეს სტალინთან ერთად, ბერიას დამსახურებაცაა. მაგრამ რა შეიცვალა ორ-სამ წელიწადში, განა ისინი იმდენად ახლომხედველები იყვნენ, რომ ვერ განსაზღვრეს, ეს ხალხი ხვალ-ზეგ რომ დასჭირდებოდათ? მაშ, რა მოხდა? ოდესმე ალბათ ამასაც გაეცემა სწორი პასუხი. ახლა კი ლავრენტი ბერია ასობით ინჟინერს საყვარელ საქმეს უბრუნებს. გაგანია ომია, ქვეყანა შიმშილობს, საკონსტრუქტორო ბიუროებში მომუშავე გუშინდელი პატიმრები და მათი ოჯახები კი სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე არიან. მართალია, ფორმალურად მათ ჯერ ისევ პატიმრების სტატუსი აქვთ, მაგრამ შორს აღარაა ის დღე, როცა ამ წოდებას მაღალი სამეცნიერო ხარისხი და ბევრის მკერდზე აელვარებული საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავი და ორდენები შეცვლის. მათ შორის ქართველებიც იქნებიან.

ავიაკონსტრუქტორი ლეონიდ კერბერი იგონებს ომის შემდგომ მოსკოვში თავის და ერთ-ერთი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსის (ასე იწოდებოდნენ სამხედრო სფეროში მომუშავე ინსტიტუტების ხელმძღვანელები), გოცირიძის სტალინთან შეხვედრას. ეს უნდა ყოფილიყო გიორგი გიორგის ძე გოცირიძე, არქიტექტორი, საბჭოთა კავშირის გმირი. დაამთავრა კუიბიშევის სამხედრო-საინჟინრო აკადემია. მოგვიანებით იყო მოსკოვის ოლქის მთავარი არქიტექტორი. მეორე შემთხვევაში, იგივე ავტორი აღწერს ტუპოლევის საკონსტრუქტორო ბიუროსთვის ტრაგიკულ შემთხვევას. როცა ერთ-ერთი მათი ახალი მოდიფიკაციის მძიმე ბომბდამშენი ჩამოვარდა სადღაც ნაგინსკის ახლოს, სადაც, ბუნებრივია, დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, უშიშროებისა და ავიაციის სპეციალისტები. მათ შორის იყო ერთი ასაკოვანი, ხმელ-ხმელი ქართველი, რომელმაც უხმაუროდ ჩაიდო ჯიბეში კატასტროფის ადგილზე ნაპოვნი კბილანის ნატეხი, რაც იმწამსვე გააპროტესტა აკადემიკოსმა კერბერმა. მის კოლეგა მინკნერს თითქოს უადგილოდ ეცინება და ეკითხება უცნობს: — რობერტ სემიონოვიჩ, აი, კერბერს ეჭვი აქვს, რომ თქვენ რაღაცას მალავთ...

მერე კი ირკვევა, რომ ეს ქართული მეტალურგიის უდიდესი ავტორიტეტი, პროფესორი კინოსაშვილია, რომელმაც კბილანის იმ ნატეხით დაადგინა, რომ იგი დამზადებული ყოფილა არასაკმარისი სიმტკიცის ლითონით, რომელმაც დატვირთვას ვერ გაუძლო, გატყდა და კატასტროფაც ამის შედეგად მოხდა. ეს კი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდა ავიამშენებლებსა და დანაშაულის მთელი სიმძიმე მეტალურგებზე გადაჰქონდა.

ცნობილია, როგორ აღორძინდა ომის შემდგომ წლებში მანამდე თითქმის არარსებული საბჭოთა ავიაცია, რაც დიდწილად ლავრენტი ბერიას დამსახურებაც იყო. თუმცა ჩვენ ატომური ბომბით დავიწყეთ და ამითვე დავამთავრებთ.

1949 წლის 29 აგვისტოს, დილის შვიდ საათზე, დაინიშნა პირველი საბჭოთა ატომური ბომბის გამოცდა. ბერიამ წინადღეს პირადად შემოიარა ყველა ობიექტი, თვითონ დაესწრო მოსამზადებელ სამუშაოებს. ლიფტამდე მიაცილა ოთხწლიანი რუდუნების ნაყოფი.

ზუსტად დანიშნულ დროს გაისმა აფეთქების ხმა. ბერიამ გულში ჩაიკრა კურჩატოვი და უთხრა: — დიდი უბედურება იქნებოდა, რომ არ გამოსულიყო! — იგონებს ამ ამბის ერთ-ერთი მონაწილე ნ. გოლოვინი.

ცოტა ხნის შემდეგ მოსკოვში დარეკა.

— იოსიფ ვისარიონოვიჩმა ახლახან დაიძინა, — უპასუხეს სადენის მეორე ბოლოდან.

— აუცილებელი საქმე მაქვს, გააღვიძეთ.

ცოტა ხანში ყურმილში ბელადის ნამძინარევი ხმა გაისმა.

— რა ხდება?

— ამხანაგო სტალინ, გამოცდამ წარმატებულად ჩაიარა...

— უკვე ვიცი — მოუჭრა სტალინმა და ყურმილი დაკიდა.

ლავრენტი მიხვდა, რომ მის თავზე შავი ღრუბლები მოქუფრულიყო. ჩანდა, ბელადი აღარ ენდობოდა.

P.S. მოგვიანებით, როცა კურჩატოვმა სტალინს ატომური ბომბი აჩვენა, ბელადმა ასეთი იდეა შესთავაზა:

— იგორ ვასილიევიჩ, რა იქნება შუაზე რომ გავყოთ და ერთის ნაცვლად, ორი ბომბი გავაკეთოთ?

— არ შეიძლება, იოსიფ ვისარიონოვიჩ. არსებობს ასეთი ფიზიკური ცნება — კრიტიკული მასა. ამ შემთხვევაში იქმნება ზღვარი. თუ პლუტონი კრიტიკულ მასაზე ნაკლები იქნება, ბომბი არ აფეთქდება.

— დარწმუნებული ხართ? მე კი ვფიქრობ, რომ კრიტიკული მასა ფიზიკური კი არა, დიალექტიკური ცნებაა...

სტალინი მართალი გამოდგა. მრავალი წლის შემდეგ შესაძლებელი გახდა კრიტიკული მასის შემცირება. იმ დღეს კი ბელადის ამ იდეამ ფიზიკაში მისი გაუცნობიერებლობის გამო კურჩატოვს ფარული ღიმილი მოჰგვარა.

*ვაჟა გავაშელი*

# მთავარმა მზვერავმა მთავარსარდლის დოსიე „ამოსწია“

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

სხვათა შორის, ჟურნალისტს აქვს აუდიოჩანაწერი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აპარატის თანამშრომელთან სატელეფონო საუბარს გვაცნობს. ინფორმატორმა ასეთი რამ გვითხრა: „თქვენი სტატიები რომ წაუკითხავს პრეზიდენტს მოსკოვში გამგზავრების წინ, სარდლის გვარი ამოუღია დელეგაციის სიიდან, რის შემდეგაც სარდალი მთელი ღამე ხლაფორთობდა. კაბინეტში იყო ჩაკეტილი და გამუდმებით სადღაც რეკავდა. მერე სასწრაფოდ ერევანში გაფრინდა, რის შემდეგაც დეპარტამენტში მისი „ფინიები“ გაცისკროვნებული სახეებით მოვიდნენ და ხმა გაავრცელეს, თითქოს სარდალმა ერევნიდან შეძლო დაკავშირება რუსეთის პრეზიდენტთან ახლოს მდგომ გენერალიტეტთან, რომ მათ პუტინისთვის ეთქვათ, ეს კაცი „შეუცვლელიაო“. ამას, თავის მხრივ, პუტინი გადასცემდა მასთან ჩასულ საქართველოს პრეზიდენტს და ის ისევ ხელშეუხებელი დარჩებოდა. ხომ ფაქტია, რომ სააკაშვილმა (მას შემდეგ, რაც მას რუსეთში არჩევანი აღარ დაუტოვეს) ჩხეიძე უკვე მოსკოვში ყოფნისას (პუტინთან შეხვედრის შემდეგ) გამოიძახა. ჩხეიძეს იმდენი მეგობარი ჰყავს რუსეთისა და უკრაინის, და არა მარტო ამ ქვეყნების უშიშროებებში, რომ ასე ადვილად არ ჩაიძირება(?!). როგორც გავიგე „ძვირფას საჩუქარსაც“ უმზადებს საქართველოს პრეზიდენტს“ (თუ გამოძიება დაინტერესდება, შეგვიძლია აუდიოჩანაწერიც მივაწოდოთ და ინფორმატორის გვარიც გავანდოთ — ზ. ჩ.).

როგორც ირკვევა, ასევე ფიქრობენ სხვა გაზეთების ჟურნალისტებიც. მაგალითად, „ხვალინდელი დღე“, 21-22 თებერვალი, №33. გთავაზობთ ამონარიდს:


საგუსალოს ნაცვლად, დაზვერვის დეპარტამენტში

ვალერი ჩხეიძეს რუსებმა უშველეს?!

„ხვალინდელი დღის“ ინფორმაციით, პრეზიდენტი სააკაშვილი პირადად იყო დაინტერესებული, ვალერი ჩხეიძე მართლმსაჯულების წინაშე წარმდგარიყო. თუმცა, მოსკოვში პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრისას სააკაშვილის გეგმები შეიცვალა.

შემდეგ მოვლენები ელვისებურად განვითარდა და მართალია, წინა კვირას ვალერი ჩხეიძე სასაზღვრო ძალების დეპარტამენტს ჩამოაშორეს, მაგრამ არანაკლებ პასუხსაგებ თანამდებობაზე, საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარის სკამზე წამოასკუპეს. არც ამას დააჯერეს სასაზღვრო ძალების ყოფილი სარდალი და საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილის სავარძელიც უბოძეს. როდესაც მისი დანიშვნა გადაწყდა, ის ე. წ. „ძვირფასი საჩუქარიც“ გამოჩნდა. 20 თებერვალს საქართველოს საზღვაო სასაზღვრო ნაწილის ოფიცრებისა და ჯარისკაცების საზეიმო დაჯილდოება გაიმართა. საზეიმო ცერემონიალის დამთავრების შემდეგ უკვე მთავარი მზვერავი პრეზიდენტს პირმოთნე ღიმილით მიეახლა და 15-16 წლის წინ, უკრაინაში, საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარების შემადგენლობაში მისი ჯარისკაცური სამსახურის ამსახველი ფოტოსურათები გადასცა. არ ვიცი, ეს პირფერობა იყო თუ იმის მინიშნება, მე არაფერი გამომეპარებაო, მაგრამ ჩემი აზრით, მთავარი მზვერავი თავისი მუშაობის პირველ დღესვე ქვეყნის პრეზიდენტის-მთავარსარდლის დოსიეს ამოწევით არ უნდა ინტერესდებოდეს, რაც პრეზიდენტმაც აღნიშნა.

მკითხველს ისიც მინდა ვაუწყო, ჩვენი სტატიების შემდეგ ხშირად გვირეკავენ და მე და ჩემი ოჯახის წევრებს გვემუქრებიან, გაგისწორდებითო. მუქარის არასოდეს შემშინებია და არც შემეშინდება, რადგან მიმაჩნია (ეს ჩემი პირადი აზრია), რომ სიმართლეს ვემსახურები, რომელიც როგორც წესი, თავის გზას პოულობს ხოლმე...

დავუბრუნდეთ საქართველოს საზღვრებს. ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარეს, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, **ზაზა კანდელაკს** და მას კომენტარი ვთხოვეთ.

**— თურმე საქართველოს, თურქეთთან და აზერბაიჯანთან საზღვრის მცირე მონაკვეთების გარდა, დღემდე არ ჰქონია ოფიციალურად დადგენილი და მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებული საზღვარი...**

— მართალია. სამი წელია ამ კომისიის თავმჯდომარე გახლავართ და თურქეთთან საზღვარი ოფიციალურად მხოლოდ ჩარჩო-ხელშეკრულების შემდეგ შევათანხმეთ. დანარჩენ მეზობელ ქვეყნებთან საზღვარი ჯერ დამტკიცებული არ არის.

**— არა მგონია, საქართველოს გარდა უსაზღვრო სახელმწიფო სადმე კიდევ იყოს. რას აკეთებდით აქამდე?**

— საბჭოთა კავშირის დროს რესპუბლიკებს მხოლოდ ე. წ. ადმინისტრაციული საზღვარი ყოფდა. საბჭოეთის დაშლისა და დამოუკიდებელი რესპუბლიკების აღმოცენების შემდეგ, საჭირო გახდა მეზობელ ქვეყნებთან საზღვრის კომისიების დონეზე შეთანხმება და შემდეგ სახელმწიფოების უმაღლეს დონეზე დამტკიცება. მე ამ თანამდებობაზე მხოლოდ სამი წელია, რაც ვარ და წინა კომისიის საქმიანობაზე პასუხს ნუ მომთხოვთ.

ამჟამად ორმხრივმა კომისიებმა მივაღწიეთ შეთანხმებას რუსეთსა და აზერბაიჯანთან საზღვრის ზოლზე. მოგეხსენებათ, კომისიების დასკვნას შემდეგ განიხილავენ ქვეყნების პარლამენტები და ბოლოს ხელს აწერენ პრეზიდენტები. მხოლოდ ამის შემდეგ ჩაითვლება საზღვარი დაკანონებულად. რაც შეეხება სომხეთს, იქ საზღვრის დამდგენი კომისიები მუშაობას ჯერაც არ შესდგომიან. სომხეთმა დრო მოითხოვა საბუთებისა და საზღვრის ზოგიერთი უბნის შესასწავლად. ახლა კი კომისიის თავმჯდომარე შეუცვლიათ და საქმე ალბათ გაჭიანურდება.

**— რას გვეტყვით საქართველო-რუსეთის საზღვრის ლარსის, პირიქითა ხევსურეთისა და მთათუშეთის მონაკვეთებზე?**

— საზღვარი ცოცხალი ორგანიზმივითაა და იგი დროთა განმავლობაში იცვლება. მე არ ვიცი, კონკრეტულად რა მოხდა ლარსის, პირიქითა ხევსურეთისა და მთათუშეთის საზღვრის მონაკვეთებზე. რატომ მოაწერა ხელი კომისიამ ჩვენს საზიანო ოქმს, მაგრამ ის კი მოვახერხეთ, რომ იგი ეჭვქვეშ დავაყენეთ. რუსეთის მხარე დავითანხმეთ, რომ ეს საკითხები ორმხრივი კომისიების სხდომაზე ისევ განგვეხილა. ძალას არ დავზოგავთ, რათა ჩვენი კუთვნილი ტერიტორიები კვლავ საქართველოს საზღვრებში მოვაქციოთ.

**— ჩემი ინფორმაციით, ჯანდარის ტბის აღმოსავლეთით საზღვარი საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში ხუთი კილომეტრით გადმოსწია აზერბაიჯანმა.**

— მერე ქართველი მესაზღვრეები სად არიან? თუ ასეა, შესაბამის ზომებს მივიღებთ...

სად დგანან ქართველი მესაზღვრეები? — ამ და კიდევ სხვა საკითხების გასარკვევად ყოფილ სარდალს, ბატონ ვალერი ჩხეიძეს ვთხოვეთ ინტერვიუ. მისი თანამშრომელიც მივუგზავნეთ, მაგრამ სარდალი გამოძიების დამთავრებამდე ინტერვიუებს არ იძლევა. სამაგიეროდ, ინტერვიუ მოგვცა მთავარმა სამხედრო პროკურორმა, იუსტიციის გენერალ-მაიორმა, **პაატა ჯახუტაშვილმა**.

**— ბატონო პაატა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში არსებული დარღვევების გამო თქვენ დააკავეთ ორი პირი, მაგრამ დეპარტამენტის თავმჯდომარე დააწინაურეს. ხომ არ შეუშლის ეს გამოძიებას ხელს?**

— თქვენი გაზეთის მეშვეობით უნდა გააკეთოთ დაახლოებით ასეთი სახის განცხადება: „ვისაც სურს დაწინაურება, მომართეთ ჩვენს გაზეთს. პირადად ჟურნალისტს, ზვიად ჩაკვეტაძეს“ — ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. სერიოზულად კი გეტყვით, რომ არა მგონია, ვალერი ჩხეიძის დაწინაურებამ გამოძიებას ხელი შეუშალოს. გამოძიება გრძელდება და რაც მთავარია, ობიექტურად.

*P.S. სტატიაზე მუშაობის დაწყებამდე ტელეფონი აწკრიალდა. ყურმილის მეორე ბოლოდან ვიღაცამ ზრდილობიანად მომმართა: „ბატონო ზვიად, ჩვენ, სასაზღვრო ძალების ხელმძღვანელობამ და პირადად უკვე ყოფილმა სარდალმა შეცდომა დავუშვით. უყურადღებოდ დაგტოვეთ შარშან, როდესაც საზღვაო-სასაზღვრო ძალებზე რეპორტაჟი გააკეთეთ ფოთიდან. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ უნდა მოგფერებოდით. არა, ცუდი რამე არ იფიქროთ. დიპლომი და საპატიო ნიშანი უნდა გადმოგვეცა. ახლა გაგვანებეთ თავი და აუცილებლად გამოვსწორდებით, თორემ...“ ეჰ, ჩემო უცნობო რესპონდენტო, დიპლომებისთვის, სიგელებისა და მედლებისთვის სტატიები არასოდეს დამიწერია. მაშინაც იმიტომ შევაქე სასაზღვრო ჯარები, რომ აფხაზი სეპარატისტების 25 ათასი პასპორტი ამოიღეს. კი, ბატონო, მე გაგანებებთ თავს, მაგრამ მაშინ, როდესაც საქართველოს საზღვრები „პრახადნოი დვორი“ აღარ იქნება. თუმცა როდესაც კარგს გააკეთებთ, ისიც არ გამომეპარება და ვაჟკაცობასაც შეგიქებთ, რადგან სასაზღვრო ძალებში, თავდაცვის სამინისტროში, უშიშროებაში, პოლიციასა და ყველა ძალოვან სტრუქტურაში უამრავი თავდადებული ვაჟკაცი მსახურობს, რომელთაც დაუფიქრებლად შეუძლიათ საქართველოს ყველაფერი შესწირონ, სიცოცხლეც კი.*

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# „კაცი დაჭერილი იყო და თავისას მაინც არ იშლიდა“

*(დასაწყისი იხ. გვ. 5)*

**— თუკი ხელშეკრულებას უფორმებდა ყველას, იქნებ არც იტყუებოდა?**

— ხელშეკრულება რომ არ გაეფორმებინა, ვინმე აყვირდებოდა და ყველაფერი გამომჟღავნდებოდა. ასე კი ყოველთვის ჰქონდა ლავირების საშუალება. როცა ამ ხალხმა ფული მოსთხოვა, უპასუხა, საბანკო გადმორიცხვები ფერხდებოდა და მდგომარეობაში გასარკვევად შვეიცარიაში უნდა გადავფრინდეო. როცა დაბრუნდა, მევალეებს უთხრა: „2 მილიარდი დოლარია გადმორიცხული შვეიცარიაში. მოგროვდით 4 კაცი, ყველა ხომ არ წამოხვალთ, ფულის გამოსატანად ერთმანეთს მინდობილობები გაუკეთეთო“. წაიყვანა ის ოთხი კაცი შვეიცარიაში და... თურქეთში ჩაიყვანა. თვითონ დაკრა ფეხი და გერმანიაში გაქუსლა. იწვალა ამ ხალხმა თურქეთში, ბოლოს ისევ თოთიბაძემ გაუგზავნა გერმანიაში ჩასასვლელი ფული. 6 თვე ისხდნენ კახიძე და ხომასურიძე გერმანიაში. ძლივს დაბრუნდნენ უკან. დღემდე ედავებიან თოთიბაძეს ამ ფულს. ეს ხალხი გააკოტრა, თვითონ კი მილიონები იშოვა. ერთ ადამიანს ორ-სამჯერ ატყუებდა. რუსი ბიზნესმენი ალექსანდრე ბარსაგოვი დაუკავშირდა და პარტნიორობა შესთავაზა. ბარსაგოვს 165 ათასი დოლარი გამოართვა. დრო რომ გავიდა, ბარსაგოვმა ჩააკითხა. იმდენი ელაპარაკა თოთიბაძე, კიდევ დაადებინა 71 ათასი დოლარი. თურქეთის ბანკის საბუთები აჩვენა, იქ მილიონები მაქვს აკუმულირებულიო. რამდენიმე წლის შემდეგ ბარსაგოვი ამ საბუთებით რომ ჩავიდა თურქეთის ბანკში, ძლივს გადაურჩა დაპატიმრებას ყალბი საბუთების გამო.

ერთ დაკითხვაზე იცით, რა მითხრა: „რას შვრები, ბიჭო, რა შანსს უშვებ ხელიდან? დაწერე, რომ უდანაშაულო ვარ და გამიშვი, სამუშაოზე ერთი ათი დღე აღარ მიხვიდე და მილიონ დოლარს მოგცემო“. მეც დამიპირა „გადაგდება“. კინაღამ გავგიჟდი — კაცი დაჭერილი იყო და თავისას მაინც არ იშლიდა.

ერთი სიტყვით, გამოძიება ასკვნის, რომ თოთიბაძე იმ დონის თაღლითია, ბევრ თაღლითს რომ შეშურდება. მაგრამ აქ ისიც აღსანიშნავია, რომ თაღლითების არსებობას უპირველესად ის ადამიანები უწყობენ ხელს, რომლებიც თაღლითთა ანკესზე თითქმის უმტკივნეულოდ ეგებიან.

რატომ მისცა ფული და რატომ ენდო თეიმურაზ თოთიბაძეს, ამის გასარკვევად ერთ-ერთ დაზარალებულს ვესაუბრეთ.

**თამარ ხომასურიძე:** — თოთიბაძე მაშინ გავიცანი, პურის ფულის შოვნაც რომ ჭირდა. ვაკეში, ატენის ქუჩაზე ბინა გავყიდე, რომ შვილებისთვის მეყიდა ცალ-ცალკე. თოთიბაძემ მითხრა, რად გინდა, შემოიტანე ფული, პროცენტებსაც მოგცემ და დიდი მოგებით დაგიბრუნებო. ხელშეკრულებაც გამიფორმა. ცოტა შემეშინდა, მაგრამ 50 ათასი დოლარი მაინც მივეცი. შემდეგ ჩემი ძმის ბინაც გავყიდეთ. დარწმუნებული ვარ, ბევრი იფიქრებს, ამდენი შტერი სად იპოვაო. მართალიც იქნება.

თურქეთში ჩაგვიყვანა ვითომ ჩვენივე ფულის ასაღებად. იქიდან გერმანიაში აღმოვჩნდით. იმდენი წვალება გამოვიარეთ, ამდენის ატანა თუ შეიძლებოდა, არ მეგონა. ერთადერთი კაცი, რომელიც თოთიბაძემ ვერ მოატყუა, ნიკო ლეკიშვილია. მაშინვე შეატყო, ვინც იყო და გამოაბუნძულა — მაგარი აფერისტიაო, ამბობდა...

## „ჩემს წინააღმდეგ პოლიტიკური დევნა ხორციელდება...“

იმავეს იმეორებენ სხვა დაზარალებულებიც. მათი თქმით, თოთიბაძემ მხოლოდ საქართველოში მილიონ-ნახევარი დოლარი გამოსტყუა ხალხს, რასაც „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას თვითონ **თეიმურაზ თოთიბაძე,** რომელსაც ციხის საავადმყოფოში დავუკავშირდით, კატეგორიულად უარყოფს:

— ყველაფერი ეს 1996 წელს დაიწყო, როცა ჩემმა ჯგუფმა „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული გეგმა“ წარადგინა. შევარდნაძის რეზოლუციით გაიარა მაშინდელი სამინისტროების ექსპერტიზა. შემაჯამებელი თათბირი 22 ოქტომბერს უნდა ჩატარებულიყო. რატომღაც არ ჩატარდა, მიუხედავად იმისა, რომ ცამეტმა უწყებამ დადებითი შეფასება მისცა პროგრამას.

**— რატომ არ განხორციელდა პროგრამა?**

— მისი ამუშავებისთანავე, დაახლოებით 16-18 თვეში, დასაქმებული იქნებოდა 800 ათასი კაცი. პირველ ეტაპზე შემოვიდოდა სამ-ნახევარი მილიარდი დოლარი. მაგრამ მოითხოვეს, რომ მართვა გადაგვეცა ბასილიას ჯგუფისთვის. ცხადია, ამას შევეწინააღმდეგეთ. მას შემდეგ დაიწყო ჩემი პოლიტიკური დევნა.

**— პოლიტიკური მოტივი გასაგებია, მაგრამ არსებობენ დაზარალებულები, რომლებიც ამბობენ, რომ თქვენ მათ ფული გამოსტყუეთ. ჩვენ გვაქვს თამარ ხომასურიძის საუბრის ჩანაწერი.**

— ხომასურიძის ჯგუფი ერთ-ერთ ფინანსურ საქმეში ჩაერთო. მათგან რამდენიმე ბრძანდებოდა ჩემთან ერთად ჩინეთში. იქ ჩვენ სამი მსხვილი ბანკი დაგვიდგა გარანტორად, — საკრედიტო გადმორიცხვებს თავის თავზე იღებდნენ. მაგრამ შეფერხება მოხდა: ერთ-ერთი ფინანსური კომპანიის პრეზიდენტი ავტოკატასტროფაში მოყვა. ამიტომ გადმორიცხვებმა რამდენიმე თვით გადაიწია. მაგრამ გამოვიდა მეორე ვარიანტი, რომლის დახმარებითაც საქართველოს ერთ-ერთი ბანკის გარანტიით, ფედერალური რეზერვის დახმარებით შეიძლებოდა 125 მილიონი დოლარის გამოტანა. მაგრამ ხომასურიძის ჯგუფმა თვითონ მოინდომა ამ თანხის ხელში ჩაგდება და ჩემი თამაშგარეთ დატოვება. რაც შეეხება ქანთარიას, ჩვენ ორ პარტიად მოგვივიდა 300-300 ტონა ფქვილი. გავუკეთეთ სერტიფიკაცია და აღმოჩნდა, რომ უხარისხო იყო. ამიტომ მწარმოებლებმა უარი თქვეს მის მიღებაზე.

**— ლაპარაკია ბიზნესმენ კინტერაიასა და მისგან გადმოცემულ 505 ათას დოლარზე.**

— გეხსომებათ ალბათ კოსმოსური ანტენის ამბავი. ეს პროგრამა ჩემი დაწყებულია. მასში რუსეთის მხრიდან აკადემიკოს სავინის ჯგუფი იყო ჩართული. დავით თევზაძის ძმამ, გურამმა გაგვაცნო კინტერაია, რომელიც ვიცე-პრეზიდენტი გახდა. მე და კინტერაია შევთანხმდით რამდენიმე პროექტის განხორციელებაზე. მათ შორის, ქვანახშირიდან თხევადი საწვავის მიღებაზე. კინტერაიამ თავისი წილიც დადო, მაგრამ რატომღაც 2 თვეში უკან მოითხოვა ფული. თანხა უკვე დაბანდებული იყო და როგორ დავუბრუნებდით. პირიქით, ანგარიში დამიყადაღეს და აქეთ ვიზარალე 850 ათასი დოლარი...

P.S. ერთი სიტყვით, თეიმურაზ თოთიბაძე ყველა ბრალდებას უარყოფს. მის საქმეს საოლქო სასამართლო უახლოეს დღეებში განიხილავს. წინასწარ არავინ იცის, როგორ წარიმართება პროცესი და არც ჩვენ გავაკეთებთ პროგნოზს. უბრალოდ, ამ წერილით ორი კუთხიდან დანახული ერთი კაცის ისტორია შემოგთავაზეთ. ერთი მხრივ, ეს კაცი უსამართლოდ დაჩაგრული, საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისთვის მებრძოლი ადამიანია, მეორე მხრივ კი საერთაშორისო დონის თაღლითი. ამ ორი ვერსიიდან, რომელს გაითვალისწინებს დღევანდელი თემიდა, მომავალი გვიჩვენებს.

***დავით დევიძე***


## ეძღვნება ნამდვილ მამაკაცებს!

უკვე არაერთი ათწლეულია მსოფლიოს უროლოგები ეფექტურად გამოიყენებენ მცენარეულ პრეპარატს "პროსტა სტრონგ"-ს. სწორედ ამ პრეპარატს გთავაზობთ კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი"

„პროსტა სტრონგ"–ის ფორმულა ხელს უწყობს:

- პროსტატის ჯანმრთელობას,
- შარდის ნორმალურ გამოყოფას,
- იცავს პროსტატის ჯირკვალს თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებისაგან, რომლებიც თავის მხრივ ზრდიან პროსტატის სიმსივნის რისკს.




წარმოადგინეთ ეს ბარათი 25 თებერვლამდე და მიიღეთ პრეპარატზე 7% ფასდაკლება!!!

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

მის: დ.აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
www.shopge.com

## საქრისტიანო მოამბე

***დღეს, 23 თებერვალს, მართლმადიდებელი სამყარო შეუდგა „მძიმე“, მაგრამ ამასთან „ტკბილ“, 45-დღიან გზას — დიდმარხვას.***

***ამ 45 დღეში ეტევა ზეიმით შესვლა იერუსალიმში, ვნება და ჯვარცმა. ეს დღეები არა მარტო მარხვა და წუხილი, არამედ სიხარულია ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის, რადგან რწმენა აღდგომისა გიადვილებს უფალთან ერთად გოლგოთის ჯვრის ზიდვას.***

# „მცხეთის ქალაქს მირონი დუღს...“



მარხვის დაწყებას წინ უძღოდა ურთიერთმიტევებისა და ურთიერთშენდობის საყოველთაო რიტუალი. მანამდე კი, რამდენიმე დღით ადრე, უფალმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა ჩვენ, ქართველებს, „რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი...“

მცხეთაში, დედაეკლესიაში, სვეტიცხოვლის ჯვარს მირონი სდისო — ერთმანეთს ატყობინებდნენ მორწმუნეები და მცხეთისაკენ მიისწრაფოდნენ. ტაძარში სწორედ იმ დროს შევედით, როცა სვეტიცხოვლის **არქიმანდრიტი ილია** (ნასიძე) უფლის კვართის სიახლოვეს ცხოველსმყოფელი და პატიოსანი ჯვრის სავედრებელ პარაკლისს აღავლენდა მღვდელმსახურებთან ერთად. მირონმდინარე ჯვარიც იქვე იყო დასვენებული.

პარაკლისის შემდეგ მამა ილიამ მრევლს მოუთხრო ამ ჯვრის მცირე ისტორია... ეს ჯვარი თითქმის 17 საუკუნეა არსებობს. იგი შექმნილია სვეტიცხოვლის ძელისაგან, იმ ძელისგან, რომელსაც მირონი სდიოდა და ხალხი იკურნებოდა. მასში დატანებულია იმ ჯვრის ნაწილი, რომელზეც უფალი იყო გაკრული. ჯვარი მრავალჯერ იყო გამშვენებული და, სამწუხაროდ, გაძარცულიც. დღემდე იგი ამ სახით მოვიდა ჩვენამდე. იგი ლუსკუმაში, ხავერდის ქსოვილში გახვეული სვეტიცხოვლის ერთ-ერთ სვეტზე იყო დაბრძანებული.

სვეტიცხოვლის სამღვდელოებამ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით, გადაწყვიტა ჯვარი ლუსკუმადან ამოებრძანებინათ, რათა ხელახლა გაემშვენებინათ და ახალ, ძვირფას ლუსკუმაში ჩაესვენებინათ; ეს კი მორწმუნე მრევლს საშუალებას მისცემს მოილოცოს ეს სიწმინდე და მისგან მადლი და კურთხევა მიიღოს... როდესაც ქსოვილი შემოხსნეს, ირგვლივ საოცარი სურნელი დატრიალდა — ჯვარს მირონი სდიოდა...

ეს კიდევ ერთი წყალობაა უფლისა ჩვენ მიმართ, კიდევ ერთი მინიშნება: როდესაც უფალი გვიხმობს, მაგრამ ჩვენ არ გვესმის, იგი თვალხილულ სასწაულსაც გვიგზავნის, რომ მივენდოთ მას და გულგანწმენდილები შევუდგეთ მარხვას...

სვეტიცხოვლიდან მომავალს, მირონმდინარე ჯვრის მადლგამოყოლილს, ერთი ხალხური ლექსი ამეკვიატა:

*ანგელოზის წირვა დგება,*
*როცა დაჰკრავს ნინო ზარსა,*
*მცხეთის ქალაქს მირონი დუღს,*
*ირგვლივ გააქვს ნიავქარსა,*
*გარს გუმბათსა, სვეტს ეხვევა,*
*როგორც ნორჩი ვაზი სარსა,*
*იმის მადლი შეგეწიოთ,*
*რაც იქ წირვა-ლოცვა დგასა.*

***ია დარახველიძე***

## ვუსმინოთ ბრძენთა

წმ. თეოფანე დაყუდებული

# მარხვის შესახებ

რამდენი მითქმა-მოთქმაა გავრცელებული მარხვის შესახებ, როგორ ილაშქრებენ მის წინააღმდეგ, ან როგორ ამბობენ: — რატომ არის მარხვა ასეთი მკაცრი, როცა თვითონ უფალი ამბობს, რომ „პირიდან შემავალი კი არ შებილწავს კაცს, არამედ მისი გულიდან გამომავალი“; მოციქული ხომ გვასწავლის „მჭამელი იგი არ მჭამელსა მას ნუ შეურაცხ-ყოფენ“ (რომ. 14.3), ხოლო წმინდა იოანე ოქროპირი აღდგომის დღესასწაულზე სამხიარულოდ მმარხველებთან ერთად უმარხველოთაც ხომ მოუწოდებსო?

საბრალო მარხვა! რამდენ საყვედურს, ცილისწამებას, დევნას ითმენს. მაგრამ ღვთის წყალობით ყველაფერი რიგზეა. იმიტომ, რომ საფუძველი მყარია! უფალი მარხულობდა, მოციქულები მარხულობდნენ, ამასთანავე, არც ისე ცოტას — როგორც თავის თავზე ამბობს პავლე მოციქული: „მრავალსა მარხვასა შინა ვიმყოფებოდი“. ჩვენ შესაძლებლობა რომ გვქონოდა სამოთხის სავანეების ნახვისა, ვერ შევხვდებოდით იქ ვერც ერთს, ვინც უარყოფდა მარხვას. ასეც უნდა იყოს, მარხვის დარღვევით სამოთხე დაიკარგა. მკაცრი მარხვა მისი დაბრუნების ერთ-ერთი საშუალება უნდა იყოს. ჩვენი დედა, გულშემატკივარი წმინდა ეკლესია ნუთუ დედინაცვალია ჩვენთვის? ნუთუ ჩვენ უსარგებლო და უმძიმეს უღელს დაგვადებს? დავემორჩილოთ მას, ვისაც ხსნის სურვილი აქვს... მიმოიხედეთ ირგვლივ. ცოტა თუ ფიქრობს სულის ხსნაზე. ვინც არ მარხულობს, ცხადია, მისთვის ხსნას ფასი არა აქვს. სადაც მუცელი ადგენს რჯულს, იქ მუცელი ხდება ღმერთი. ვისაც მუცელი ღმერთად გაუხდია, ის უფლის ჯვრის მტერია. ვინც ჯვარს მტრობს, იგი ქრისტეს მტერიცაა, ჩვენი მხსნელისა და ღმერთისა. ვინც მარხვას უარყოფს, შეეკითხე, საჭიროა თუ არა პირადი ლოცვა, ან ეკლესიაში სიარული? აღსარე-



ბა?.. ალბათ დაინახავ, რომ იგი ყველაფერს უარყოფს. მაშინ ცხადი შეიქნება შენთვის, რომ არა მარტო მარხვაა მისთვის უაზრო, არამედ ნებისმიერი თავშეკავება. მას ფართო გზაზე სიარული სურს... დაე, ასე იცხოვროს! მხოლოდ აუცილებლად გააგებინე, თუ რას უქადის ღვთის განგება ფართო გზაზე მოსიარულეთ. ეს ყველას ვალია...

მარხვის დამრღვევი თავის თავს ბილწავს არა საჭმლის მიღებით, არამედ უფლის მცნების დარღვევით, დაუმორჩილებლობით და სიჯიუტით. არც ისინი გამართლდებიან, ვინც მარხულობს და წმინდა გული არა აქვს. საჭიროა როგორც გარეგნული, ისე სულიერი მარხვა. ასე გვასწავლიან წმინდა მამები, ეკლესიაშიც ასე იგალობება, ვინც ასე არ იქცევა, მარხვა კი არა, თვითონაა დამნაშავე.

ერთი მოღვაწე ბერი სამიკიტნოდან გამომავალ ახალგაზრდა ბერს შეხვდა და უთხრა: „ეჰ, ძმაო! არაა კეთილი შენდა აქ სიარული!“ ახალგაზრდამ მიუგო: „სულაც არა! მთავარია გული გქონდეს წმინდა“ მაშინ ბერმა გაოცებით უთხრა: „რამდენი ხანია, რაც უდაბნოში ვცხოვრობ, ვმარხულობ, ვლოცულობ, იშვიათად თუ სადმე გავალ, მაგრამ მაინც ვერ განვიწმიდე გული, შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, დადიხარ სამიკიტნოებში და უკვე მოგიპოვებია წმინდა გული. საოცარია!“ ეს უნდა უთხრა მარხვის უარისმყოფელს.

წმინდა იოანე ოქროპირის ლმობიერება უმარხველოთა მიმართ მოასწავებს მისი გულის სიწმინდეს და სურვილს, რომ იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულზე ყველა მხიარულობდეს და არავინ იყოს მოწყენილი. და რადგან ზოგიერთს სინდისი ქენჯნის უმარხველობის გამო, წმინდა იოანე ოქროპირი მათ ამას სინანულად და სასჯელად უთვლის და ამიტომაც სუყველას მოუწოდებს საზეიმოდ.

ეს პატარა დარიგება, დაე, ნუგეშინისცემად მიიღოს მან, ვისაც უმარხველობის გამო ჭეშმარიტად სინანულით შემუსვრილი გულის აქვს. ამის გამო კი მარხვის აუცილებლობა არ უკუიგდება.

***(იბეჭდება შემოკლებით)***




# ჩვენსას კი არ გავცემთ, არამედ ქრისტესას

## მიუსაფარი ბატონები

ალექსანდრიაში, იმპერატორ ჰერაკლეს მეფობის დროს (610-641.წ.), საპატრიარქო ტახტი ერთხანს უწინამძღვროდ დარჩა. უფლის ნებით, იმპერატორმა პატრიარქის წოდება წმინდა მამა იოანეს უბოძა.

როგორც კი **იოანე მოწყალე** პატრიარქად აკურთხეს, მან საეკლესიო ქონომოსები მიიხმო და დაავალა, — შემოიარეთ მთელი ქალაქი და ყველა ჩემი ბატონი აღწერეთ.

— ვის უწოდებ ბატონებს? — ჰკითხეს გაოცებულმა მნედმსახურებმა.

— მათ, ვისაც თქვენ ღარიბღატაკებსა და გლახაკებს უწოდებთ. ისინი არიან ჩემი ბატონები, რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ ჭეშმარიტად შემეწიონ, იზრუნონ ჩემი სულის ცხონებისა და სამარადისო სასუფეველში დამკვიდრებისათვის.

მსახურებმა აღწერეს ყველა ღარიბ-ღატაკი, მიუსაფარი, ეული, ვინც კი საავადმყოფოებსა თუ ქუჩებში ნახეს. სულ 7500 სული იქნებოდა. წმინდა იოანემ უბრძანა მსახურებს, მათთვის ყოველდღიური საარსებო საზრდო დაერიგებინათ...

პატრიარქთან თავისუფლად შესვლას ყველა ვერ ახერხებდა, რადგან მსახურები არც კი ატყობინებდნენ მას მომსვლელთა შესახებ. ამიტომ, მან კვირაში ორი დღე: ოთხშაბათი და პარასკევი აირჩია, რამდენიმე ღვთისმოსავ ადამიანთან ერთად ეკლესიის კართან ჯდებოდა და ყოველ მომსვლელს ეგებებოდა.

ერთხელ საეკლესიო მნედმსახურებმა წმინდა იოანეს შეატყობინეს, ეკლესიასთან შეგროვილ ღარიბღატაკთა შორის კარგად ჩაცმული ქალიშვილებიც დგანან და მოწყალებას ითხოვენო. მნედმსახურებმა ჰკითხეს პატრიარქს, მათთვისაც ისევე გაეღოთ მოწყალება, როგორც ღატაკთათვის, თუ არა.

— თუ ჭეშმარიტად ქრისტეს მონები და იოანე მორჩილის ერთგული მსახურები ხართ, — მიუგო პატრიარქმა, მაშინ ისე გაეცით, როგორც ქრისტემ ინება, არც მათი ცხოვრება გამოიძიოთ და არც სახეზე დააკვირდეთ, ვისაც მოწყალებას აძლევთ. გახსოვდეთ, ჩვენ ჩვენსას კი არ გავცემთ, არამედ ქრისტესას. მაშ, მოდით, ისე გავცეთ მოწყალება, როგორც მაცხოვარმა ინება. მწამს უფლისა — მთელი ქვეყნის გლახაკნი მოწყალებისათვის ალექსანდრიაში რომ შეგროვდნენ, ჩვენს საეკლესიო ქონებას მაშინაც კი არაფერი მოაკლდება“. და მათი რწმენის გასამტკიცებლად ეს უამბო:

## მოწყალება — ქალწულის სახით

16 წლისას, კუნძულ კვიპროსზე ყოფნის დროს, ძილში ბრწყინვალედ შემოსილი, უმშვენიერესი ქალწული გამომეცხადა. თავზე ზეთისხილის რტოს გვირგვინი ედგა. იგი მოუახლოვდა ჩემს საწოლს და გამაღვიძა. უმალ მივხვდი, რომ ყოველივე ცხადი იყო და არა სიზმარი. „ვინ ხარ, ან როგორ გაბედე აქ შემოსვლა?“ — ვკითხე. ქალწულმა მზერა შემომანათა და მშვიდი ღიმილით მომიგო: — „მე დიდი ხელმწიფის უფროსი ქალიშვილი ვარ და უპირველესი მის ასულთა შორის“. ეს რომ მესმა, თაყვანი ვეცი მას, ის კი განაგრძობდა: — „თუკი მეგობრად მიგულებ, მეუფისაგან უდიდეს მადლს გამოვითხოვ და გაახლებ მას, ვინაიდან მის წინაშე არავის გააჩნია იმდენი ძალა და გამბედაობა, რამდენიც მე, თავად მე მოვიხმე იგი ზეცით და ვაიძულე განკაცებულიყო ადამიანთა გადასარჩენად“, — თქვა და გაუჩინარდა. ამ საოცარი ხილვით განცვიფრებულმა ჩემს თავს ვუთხარი: — „ჭეშმარიტად, ქალწულის სახით თვით მოწყალება გამომეცხადა, ამას მოწმობს ზეთისხილის რტოს გვირგვინი, რომელიც მოწყალების მიმანიშნებელია. ქალწულის სიტყვებიც ხომ ამასვე ნიშნავდა: — მე ღმერთი ზეციდან მიწაზე მოვიხმე და იგი განკაცდა“. იხილა რა შემოქმედმა დასაღუპად განწირული ადამიანი, უპირველესად თავისი დიდმოწყალებით, მისივე ქმნილი არსების გადარჩენა ინება. ამიტომ, ვისაც ღმერთის მოწყალება სურს, თავად უნდა იყოს გულმოწყალე მოყვასის მიმართ და უშურველად გასცეს წყალობა.

ამგვარ ფიქრებში გართული, სწრაფად ავდექი და დილაუთენია ეკლესიისაკენ გავემართე. გზად სიცივისაგან აცახცახებული შიშველი გლახა შემომხვდა. პერანგი გავიხადე და მას მივეცი. თან გულში ვამბობდი: — „ახლა მივხვდები, ცხადი იყო ყოველივე, რაც ვიხილე, თუ მხოლოდ ხიბლი?“ — და გზა განვაგრძე. ვიდრე ეკლესიას მივაღწევდი, თეთრად შემოსილი მამაკაცი შემომხვდა და პატარა ქისა მომაწოდა. ქისაში ასი ოქროს მონეტა ეყარა, — „ძმაო, გამომართვი და როგორც გსურს ისე მოიხმარე“ — მითხრა მან. ქისა სიხარულით გამოვართვი, მაგრამ იმწამსვე ვინანე, რადგან მივხვდი, ის ფული არაფრად მჭირდებოდა. იქვე დავედევნე, რომ ქისა დამებრუნებინა, მაგრამ კაცი აღარსად ჩანდა. მაშინ კი მივხვდი, რაც ვიხილე, სინამდვილე იყო და არა ხიბლი. ამ შემთხვევის შემდეგ, თუკი სადმე გლახას შევეწეოდი, მსურდა დავრწმუნებულიყავი, მომიზღავდა თუ არა უფალი ასმაგად — როგორც ბრძანებს. მრავალგზის დავრწმუნდი ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში და ბოლოს ჩემს თავს ვუთხარი: — „ნუ სცდი უფალს, სულო ჩემო!“

## „იქნებ ქრისტე მცდის?“

ერთხელ, როცა წმინდა იოანე სნეულთა სახლში, ავადმყოფთა მოსანახულებლად მიდიოდა (ჩვეულებისამებრ იგი კვირაში ორჯერ ან სამჯერ მოიკითხავდა ხოლმე მათ), გზად მწირი შემოხვდა და მოწყალება სთხოვა. იოანემ მოახლეს უთხრა, მისთვის ექვსი ვერცხლი მიეცა. მწირმა ფული გამოართვა და წავიდა, მაგრამ გადაწყვიტა წმინდა იოანეს გულუხვობა გამოეცადა. სამოსი გამოიცვალა, სხვა გზით დახვდა პატრიარქს და ისევ მოწყალება სთხოვა: — „შეეწიე, ბატონო, საბრალო გლახას“. იოანემ ბრძანა ხელმეორედაც მიეცათ ექვსი ვერცხლი, მაგრამ მოახლემ ჩასჩურჩულა: — „მეუფეო, ამ გლახას ხომ ეხლახანს მიეცი ექვსი ვერცხლი!“ თითქოს შენიშვნა არც კი გაუგიაო, იოანემ მისცა მას ექვსი ვერცხლის ფული. გლახამ ისევ გამოართვა. მესამედაც გამოიცვალა ტანსაცმელი, ახლა სხვა გზით დახვდა პატრიარქს და ისევ სთხოვა მოწყალება. მოახლემ ამჯერადაც უთხრა მას: — „მეუფეო, ეს ისევ ის კაცია, რომელმაც უკვე ორჯერ გამოგართვა ექვსი ვერცხლი და ახლა მესამედაც ითხოვს“. მაშინ ნატარმა მამამ უბრძანა მსახურს: — „მიეცი მას თორმეტი ვერცხლი, იქნებ ქრისტე მცდის?“

## გულითადი განდობანი

# ხატი არამიწიერი ხმით მომესალმა

მე და ჩემი მეგობარი სამდღიანი ტურისტული საგზურით წავედით თურქეთში, ქ. ტრაპიზონში. ჩასვლიდან მეორე დღის რიჟრაჟზე მქონდა სიზმრისეული ჩვენება: სასაფლაოს ტერიტორიაზე იყო ტაძარი. მივუახლოვდი თაღოვან შესასვლელს, რომელიც ტაძრის მარჯვენა მხარეს იყო. თაღზე იკითხებოდა წარწერა: Пітро Павловскій. შევედი. მოპირდაპირე კედელზე ეკიდა ოქროსფერჩუქურთმიანი ხატი, ძალზე ლამაზი. მოწიწებით მივუახლოვდი, მოვიხარე და თავი რომ ავწიე, ჰოი, საკვირველებავ, ხატის გამოსახულება შეირხა და საოცარი, არამიწიერი ხმით მომესალმა. მე, როგორც სიზმრად, ისე ცხადშიც, შევცბი. მახსოვს (სიზმარში), სწრაფად გავედი გარეთ, უკვე სხვა კარიდან.



გაღვიძებულს კარგა ხანს მესმოდა ის სუფთა, წკრიალა ხმა. წამოვხტი და სწრაფად გავაღვიძე მეგობარი. ვიფიქრე სიზმარია, არ დამავიწყდეს-მეთქი. ვეკითხები: ნელი! — პეტრე-პავლეს ეკლესია არის თბილისში?! გამოღვიძებულმა ძლივს მიპასუხა, — კი, იქ ბებიაჩემი ასაფლავიაო. ჩემთვის ესეც საკმარისი იყო.

ახლა უკვე ერთი სული მქონდა, როდის დავბრუნდებოდი თბილისში. საოცარი მადლით აღვსილი ვიყავი, თითქოს მიწაზე ფეხს არც კი ვადგამდი. ორ დღეში თბილისში დავბრუნდით. ნაშუადღევს ტაქსით გავეშურე ტაძარში (გზა თავად არ ვიცოდი), რომლის ნახვასაც ასე გულისფანცქალით ველოდი. რომ ავედი, ვნახე, რომ თითქმის ისეთივე იყო, როგორიც სიზმარში. ერთი განსხვავებით: საიდანაც შევედი (სიზმარში), იქ კარი კი არა, თაღოვანი ფანჯარა დამხვდა — შემდგომ ის გადაკეთდა ნიშად და შიგ მოიხატა წმ. პეტრესა და პავლეს ფრესკა.

იმ დღისით მესანთლე დამხვდა მარტო და როდესაც გავუმხილე ჩემი მისვლის მიზეზი, მიპასუხა: — თქვენ შემთხვევით არ მოსულხართ, მოძღვარს გაესაუბრეთო. მეორე დღეს შევხვდი ტაძრის წინამძღვარს, მამა არჩილს (მინდიაშვილი) და ღვთის წყალობით, დღემდე ვითვლები მის მრევლში.

P.S. ყველაფერ ამას კი წინ ის უძღოდა, რომ 9 აპრილის ტრაგედია უკვე მომხდარი იყო. ქვეყანაში სულიერი ძვრა დაიწყო. გასაყიდად გამოჩნდა ლოცვანი, საეკლესიო ჟურნალ-გაზეთები... ყველაფერს ვყიდულობდი, ვკითხულობდი, თითქოს ნიადაგი შემზადებული მქონდა. ალბათ მოძღვარი უნდა ამერჩია, რაც, ვმადლობ უფალს, რომ თავად მიმანიშნა. მერე გავიგე, რომ იმ დროს პეტრე-პავლობის მარხვა ყოფილა.

***ნინო ყენია***

***გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ***

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36.**



# „არის ბნელი, რომელსაც თავისი სინათლე გააჩნია“

## „ჭკუას კი არ გასწავლით, აღსარებას ვამბობ თქვენ წინაშე“



ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა ბევრი რამ შეცვალა. თითქოსდა ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ცნება — თავისუფლება და კანონმორჩილება. კი ბატონო, ყველა — ბიზნესის წარმომადგენელი, მეცნიერი თუ ხელოვანი — თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ რა ვუყოთ ფაქტებს, პროკურატურა რომ წარმოგვიდგენს? და თუ ფაქტებს დავეყრდნობით, ვიღაცამ ხომ უნდა აგოს პასუხი დარღვევებზე? ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩვენი ახლადშექმნილი მთავრობა და საზოგადოებრივი აზრი ანცი კნუტივით გაიბლანდა „ბებოს“ ძაფის გორგალში და თავი ველარ დაუღწევია ათასი სირთულისათვის. მიმდინარე მოვლენების შესახებ საუბარს არც ვაპირებდით, გვინდოდა, დაბადების 70 წლისთავი მიგველოცა ბატონი **რეზო ესაძისათვის**, მაგრამ საუბარი თავისთავად წარიმართა მტკივნეული თემისაკენ:

— ვერავითარი კანონი ვერ გვიშველის, თუ თვითონ მაქსიმალურად არ შევიცვალეთ. სრულყოფილი ადამიანი არ არსებობს. რაკი დაიბადე, ცოდვიანი ხარ. ლომი ერთ ზებრას შეჭამს და სამი დღე მაძღარია. თუ გინდა, მიდი და ცხვირში შეუყავი ხელი, არაფერს გერჩის. მაძღარი კაცი, ლომისაგან განსხვავებით, უფრო საშინელი ხდება, საფრთხილოზე საფრთხილოა. იმაზე ფიქრობს, ხვალ და ზეგ რომ მომშივდება, მოდი, იმის მარაგსაც შევჭამო, ზოგს შევინახავო. ღმერთი კი გვეუბნება, ნუ ფიქრობ ხვალეზე, ხვალეზე მე ვიფიქრებო... ადამიანებს ხვალეზე ფიქრი მას შემდეგ დასჩემდათ, რაც ღმერთს განუდგნენ.

— **დღეს რაც ხდება, გამართლებულია იმით, რომ კანონის დამრღვევი უნდა დაისაჯოს, მაგრამ ხანგრძლივი დუმილის ფონზე მასობრივ ანგარიშსწორებასავით მოჩანს ყველაფერი. ხომ მეთანხმებით, რომ კანონი უზენაესია? მაშინ საიდან გაჩნდა პროტესტი?**

— ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი კანონი, რომელსაც კი არ უნდა დავემორჩილოთ, არამედ უნდა ვეზიაროთ, უნდა ვიგრძნოთ, რომ ამ კანონის ნაწილი ვართ. მაშინ არ დამჭირდება პირზე ნიღბის აფარება იმისათვის, რომ მოვიდე და არასწორი საქმიანობისათვის თითი დაგიქნიოთ. პირნათელი მოვალ თქვენთან და გისაყვედურებთ ისე, რომ იტყვით, — ღმერთო ჩემო, რა კარგად მითხრა საყვედური, რა კარგად დამანახვა ჩემი ნაკლიო. ნიღბით რომ კაცი მოდის ჩემთან, ცუდად აქვს იმას საქმე. ამაში ვცოდავთ. კაცის ძალდატანებით დამორჩილება, ვაი, რომ გვიხდება ხოლმე... ნურავინ იფიქრებს, ამაში ვინმე არ არის დამნაშავე, ყველა დამნაშავე ვართ. დღეს კაცობრიობის ცხოვრების წესი ისეთია, რომ უცოდველი არავინაა და ნურც ვინმე დაიჟინებს ამას. ჩვენ, ყველანი, დამნაშავენი ვართ ჩვენი აზროვნების, ქმედების სტილით. როგორ შეიძლება, მე ერთი ვიყო უდანაშაულო და სხვა ყველა დამნაშავე? მე ვიზიარებ ყველას დანაშაულს და ამიტომ მიჩნდება გამოსწორების იმედი. ეს გლობალური პრობლემაა. მკითხველს ვთხოვ, ბრძენკაცად არ ჩამთვალოს, წაკითხულთან განმარტოვდეს და ნათქვამში ჩემი სისუსტეებიც დაინახოს. ჭკუის სწავლებას კი არ ვიჩემებ, აღსარებას ვამბობ თქვენ წინაშე, ჩემს ტკივილზე გესაუბრებით. თქვენც ასე უნდა იყოთ, ეგებ, მაშინ დაგვადგეს საშველი.

— **გაპარტახებულ სახელმწიფოში, ცარიელი ბიუჯეტითა და დაპირებებით შორს ვერ წახვალ: „ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?“**

— კი ბატონო, არსებობს ცუდი, უფრო ცუდი, იმაზე ცუდიც. ამაში განსხვავება უნდა ვნახოთ, ცუდზე ცუდს ცუდი უნდა ვამჯობინოთ. შესანიშნავად წერს მამარდაშვილი: სიბნელეთა შორის არსებობს განსხვავებაო. არის ბნელი, რომელსაც თავისი სინათლე გააჩნია, იმისი განათება შეიძლება, ის საიმედო ბნელია. არის ბნელი, რომელსაც სინათლე არ გააჩნია, ის უიმედოა. უიმედო ბნელი უნდა მოიკვეთო, მაგრამ ყველაფერი უნდა გააკეთო იმისათვის, რომ ბნელი, რომელსაც სინათლე ახლავს, მთლად არ ჩაბნელდეს, განათდეს. ჩვენ ერთსაც და მეორესაც ერთი საზომით ვუდგებით. იქ, სადაც შეიძლებოდა ადამიანებისათვის სარგებელი გამოგვენახა, არ გამოვნახეთ. თუ კაცი ილტვის სიკეთისაკენ, თუნდაც არ იყოს მოქცეული იმ ფარგლებში, კანონი რომ ჰქვია, თუ შეუქმნია კარგი, კეთილი ინებე, გამონახე მასთან საერთო და შექმენი ისეთი სივრცე და კანონი, რომ მას მეტი კარგის კეთების სურვილი გაუჩნდეს. მერე მოსთხოვე პასუხი, უცებ ნუ დააცხრები თავს. ქვეყანა გაფუჭებული იყო და ამ გაფუჭებულ ქვეყანაში მხოლოდ ერთი კაცი როგორ იქნებოდა სუფთა? ახლა სხვა ტაქტიკაა საჭირო. ილია ამბობს, — ქვეყანა იმას ეკუთვნის, ვინც ირჯება, ვინც იცის გარჯის წესი და ხერხიო, დიახ, ასეა... სულიერი ძალა აქეთ უნდა მივმართოთ. უნდა გავარჩიოთ ცუდზე ცუდი — ცუდისაგან და კარგზე კარგი — კარგისაგან. ამისი გარჩევა უფრო ძნელია, ვიდრე კარგისა და ცუდისა. ჯერ კაცმა არ იცის, ვისთვის რა არის კარგი. ბერდიაევი სულ წუწუნებს: ვიბრძოდი დემოკრატიისთვის და ვებრძოდი დემოკრატიასო. თუ ადამიანებმა მონახეს საერთო ენა და შექმნეს დემოკრატიული სახელმწიფო, ამაზე დიდებული არა არის რა, მაგრამ დემოკრატიაზე ცუდი არაფერია, თუ პიროვნებამ არ იგრძნო, რომ მან უნდა შეზღუდოს საკუთარი თავი. აღვირახსნილი კი არ უნდა ვიყო... თავისუფლება — თვითშეზღუდვა და ღვთისმოსაობაა. ღვთისმოსავ კაცს აღარც კი სჭირდება შეზღუდვა. კარგი ღვთისმოსავის გამომეტყველება ხომ გინახავთ? ვინც არ უნდა იყოს, შეიძლება ასეთი კაცი ლამაზი არ იყოს?

— **გამოსავალი ხომ უნდა იყოს სადმე? თქვენ რა მიგაჩნიათ შექმნილი რთული სიტუაციიდან გამოსავლად?**

— რას იზამ, ცხოვრება — ცხოვრებაა... მაიმედებს მხოლოდ ღმერთი და ღმერთთან მიახლებული სულიერი ადამიანები. გვიშველის ერთადერთი ის, რომ საქართველო სულიერი ქვეყანაა. სულიერი ადამიანი მაინცდამაინც ლექსის და მოთხრობის დამწერი ან კინოს გადამღები კი არ არის, ვინ მიაწერა მაგათ სულიერება? გაჩვენებთ ისეთ ფილმს და ისეთ ლექსს, ნახვა და წაკითხვა არ მოგინდებათ, მაგრამ ისეთ საწნახლის მკეთებელს და გოდრის დამწვნელსაც გაგაცნობთ, რომ სიხარულით ფრთები შეგესხმებათ, ისეთ ყანის მუშას გაჩვენებთ, პირჯვარს გადაიწერთ, მის ნაშრომს რომ ნახავთ... ანგელოზს შევხვდიო, იტყვით. ნამდვილი საქმე — ღვთისმოსაობით გაკეთებული საქმეა. ხმაური არ არის საჭირო. პირჯვარი გადავიწეროთ, საკუთარ თავში ჩავღრმავდეთ და ვიგრძნოთ, ვინ ვართ...

— **დაბოლოს, ბატონო რეზო, ბრძანეთ, პრეზიდენტთან შეხვედრა მინდა, სათქმელი მაქვსო.**

— დიახ, სათქმელი მაქვს. მე მასთან მისვლა მინდა არა როგორც ოპოზიციონერს, არამედ როგორც მათ აპოლოგეტს. 70 წლის გავხდი. ერთი უღრუბლო დღე არ მქონია. ჩემს ცხოვრებას აზრი დაეკარგება, თუ ასეთი არ ვიქნები და არ ვიტყვი: ვარდების რევოლუცია ისე ჩატარდა, ტყვია არ გავარდნილა-მეთქი. მიხაროდა და ვამაყობდი ამით. ახლა რა ხდება? ამ მშვიდობიან დროში რა გვემართება? განა არ შეიძლება, მოინახოს კორუფციასთან ბრძოლის სხვანაირი გზა? ვაშლიჯვარში, ჩემს სახლში, მესმოდა სროლა. ბავშვები ასეთ ფსიქოლოგიურ ტერორში ხომ არ უნდა გაიზარდონ?! და მეორეც... მე არ ვიცნობ ოქუაშვილს. ერთადერთხელ მყავს ნანახი მხოლოდ... მე ვიცნობ გაზეთს „ჩვენს მწერლობას“, ჟურნალ „ომეგას“, ვიცნობ როსტომ ჩხეიძეს და არ შემიძლია, არ გამოვთქვა აღშფოთება. არ შეიძლება ასე მოიქცე... დღეს უცხოეთიდან სიხარულით ჩამოსული ბიჭები ვნახე. მკითხეს, — რა ხდება, ბატონო რეზო, ისევ უკან უნდა წავიდეთო?.. ღმერთმა ნუ ქნას, აქედან წასვლა მოუნდეთ ქართველებს.

აი, ეს მინდოდა მეთქვა პრეზიდენტისთვის.

**ლელა ჯიყაშვილი**












გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?

გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?

გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისთვის დოკუმენტაციის მომზადების დროს, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკუთრებასა და ფლობასთან დაკავშირებით?

**მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!**

ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:

- ✔ მედიაცია
- ✔ იპოთეკით დატვირთვისთვის დოკუმენტაციის მომზადება
- ✔ მემკვიდრეობა,
- ✔ ყიდვა-გაყიდვისთვის დოკუმენტაციის მომზადება
- ✔ კერძო არბიტრაჟი,
- ✔ სასამართლო ინსტანციებში ინტერესების დაცვა.
- ✔ უფასო იურიდიული კონსულტაცია,

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.

დაგვიკავშირდით, თქვენს სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის I შესახვევი, №8,
☎ 877 458 651; 899 982 809, 912 159; 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 399 856; 893 336 683; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 236 411; 899 271 912; თეთრიწყარო 899 702 192



**ჰერპესი — მცოცავი ვირუსი**




ჰერპესის ინფექცია გადამდებია. მისი სრულიად განკურნება მსოფლიოს მედიკოსთა ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. როდესაც ჰერპესი კლინიკურად ვლინდება, მას თან ახლავს ზოგადი სისუსტე, მადის დაქვეითება, ტემპერატურის მატება, ტანში ტეხის შეგრძნება, აღგზნებადობა და უძილობა.

ჰერპესის წინააღმდეგ საბრძოლველად კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ საუკეთესო მცენარეულ პრეპარატს "სუპერ ლიზინი+", რომელიც აძლიერებს იმუნურ სისტემას, ხოლო ძლიერი იმუნური სისტემა დაგიცავთ ამ ვირუსისაგან.

„სუპერ ლიზინი+“ წარმოდგენილია აბების, კრემისა და ტუჩის საცხის სახით, რაც აადვილებს როგორც სისხლში ვირუსის აქტივობის დაქვეითებას, ასევე ადგილობრივ მკურნალობას.

„სუპერ ლიზინი+“ თავიდან აგაცილებთ ჰერპესის ვირუსით გამოწვეულ ბევრ უსიამოვნო შეგრძნებას.

წარმოადგინეთ ეს ბარათი 25 თებერვლამდე და მიიღეთ პრეპარატზე 7% ფასდაკლება!!!

ნუტრიმენტ ჰაუსი
NUTRIMENT HOUSE

მის: დ.აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
www.shopge.com

# ვინ არის საქართველოს პატრონი?

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჯერ მოსკოვში და მერე თბილისიდან ტელეფონით ინტერვიუს მიცემას დაჰპირდა ჩვენს კორესპონდენტს, მაგრამ სიტყვა გატეხა. რედაქციაში ხუმრობდნენ, — დღეს რომ უბრალო რუსი ქალიშვილი მოატყუა, ხვალ მთელ რუსეთს რას უზამსო. მერე კი მივხვდით, ნამდვილად ეკონომია გააკეთა. ჩვეულებრივი რეისით დაფრინავს და წარმოიდგინეთ, რა დაუჯდებოდა ტელეფონით საერთაშორისო ლაპარაკი? ამიტომ კითხვებს თვითონვე ვუპასუხეთ.**

## სუფთა ფურცლით...

რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება სააკაშვილმა ელჩის შეცვლით დაიწყო. საქართველოს დიპკორპუსის ახალ მეთაურს, კონსტანტინე კემულარიას, დიპლომატიური განათლება და გამოცდილება არა აქვს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ პარტიაში „მეორე კაცია“. ყოფილ ელჩ ზურაბ აბაშიძეს



მოსკოვში ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაყალბება დააბრალეს, აშშ-ის ელჩი საქართველოში კი თავის ადგილას დარჩა. ეტყობა, გარდამავალ ეტაპზე კარგად ასრულებდა მოვალეობას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ „ვარდების რევოლუცია“ ამერიკელებთან შეთანხმებით მოხდა.

## ვიზები და ბაზები

ეს ორი საკითხი განსაკუთრებით აღელვებს ორივე ქვეყანას. ვიზები ჯერ არ გაუქმდება, რუსული ბაზების შესახებ კი სააკაშვილი ამბობს — ეს საკითხი რუსულ-ქართული ურთიერთობის განმსაზღვრელი არ უნდა იყოს, როცა საჭირო იქნება, მაშინ გავაო. მოილაპარაკეს რუსეთის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში ქართველი ოფიცრების მომზადებასა და საერთო საზღვრის ერთობლივ პატრულირებაზე. სააკაშვილი ეშმაკობს, როცა ამბობს, აშშ-ის სამხედრო ბაზები საქართველოს მიწაზე არასოდეს იქნებაო. როგორც საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, ნატოს წევრი ქვეყნის (საითაც საქართველო მიილტვის) ტერიტორიაზე ამერიკული ბაზები აუცილებლად გაჩნდება, თუნდაც ეკონომიკური სარგებლიანობის გამო — ამაში ამერიკელები უზარმაზარ ფულს იხდიან. ეყოფა კი ნებისყოფა თბილისს, უარი თქვას თავისი მწირი ბიუჯეტის შევსებაზე?

## ომი იქნება?

ქვეყნის შიგნით პრეზიდენტმა სააკაშვილმა კორუმპირებული ჩინოსნების დაჭერა დაიწყო. კარგი საქმეა, მაგრამ მერე რაღას იზამს, როცა ყველას დაიჭერს? მას ეკონომიკური პროგრამა ჯერ არ წარუდგენია. თანაც კორუფციონერებს არჩევანი აქვთ: თუ ბრალდება დამტკიცდა, შეუძლიათ ფული დააბრუნონ და სასჯელი აიცდინონ. კიდევ ერთი ქართული ანტიკორუფციული საშუალებაა სიმდიდრის გადასახადი — რა არის სიმდიდრის ნიშანი და როგორია გადასახადის ოდენობა — ხმამაღლა არ ლაპარაკობენ, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, რამდენს გადაიხდიდა ბერეზოვსკის მეგობარი ბადრი პატარკაციშვილი თავის „მყუდრო სავანეში“ — თბილისის ცენტრში, ქორწინების ყოფილ სასახლეში. თუმცა, ალბათ არც გადაიხდის. როგორც ამბობენ, ხელისუფლებას ის ისედაც გვარიანად ეხმარება.

არის იმის საშიშროება, რომ სააკაშვილის მთელი ძალისხმევა პიარისთვის არის, ხოლო ქართველი ხალხი კვლავ საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფულის ან 14 ლარი პენსიის ანაბარა დარჩება. გასაკვირი სულ არ არის, რომ ახალ პრეზიდენტს ძალიან უნდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება და აჭარის დამორჩილება. უამისოდ შეუძლებელია პრეზიდენტის ოცნების ახდენა — ქართული ზურმუხტოვანი სანაპიროს გაშენება. მეამბოხე რეგიონები ასეთ გეგმას არ დასთანხმდებიან, ე.ი. ომი მოუწევთ?

როდის აეწყობა ცხოვრება საქართველოში? ამის ზუსტი განმსაზღვრელნი ისინი არიან, ვინც საქართველოდან საცხოვრებლად სხვა ქვეყნებში წავიდნენ. ახალი პრეზიდენტის მხურვალე მოწოდებების მიუხედავად, ისინი სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებენ, ყოველ შემთხვევაში, რუსეთში მცხოვრები 650-ათასიანი ქართული დიასპორა ჯერჯერობით ბარგის ჩალაგებას არ ჩქარობს...

P.S. საინტერესოა, რომ საქართველოს ახალ მთავრობაში 15 მინისტრიდან 4 სხვადასხვა დროს ამერიკელი მილიარდერის ჯორჯ სოროსის ფონდში მუშაობდა.

***არგუმენტი ი ფაქტი***

# საქართველო კა-გე-ბეს არქივების გახსნას აპირებს

პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ამის გაკეთება მხოლოდ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა შეძლეს. კა-გე-ბეს არქივები 80 წელზე მეტია, გასაიდუმლოებულია. საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, — დროა საბჭოურ წარსულს გამოვემშვიდობოთ და უშიშროების ახალ მინისტრს საბჭოთა კა-გე-ბეს არქივების გახსნა დაავალა. 1990-იანი წლების დასაწყისში დოკუმენტების ნაწილი მოსკოვში გაგზავნეს, მაგრამ თავდაცვის სამინისტროს სარდაფებში უნიკალური დოკუმენტებით სავსე ათიათასობით საქაღალდეა. სამინისტროს წარმომადგენლები მუშაობის დაწყებას 20-30-იანი წლების არქივების დამუშავებით აპირებენ. მათ გახსნას სტალინური რეპრესიებით დაზარალებული ოჯახები ითხოვენ. ამის შემდეგ უფრო ახალი არქივებიც გაიხსნება. საქართველოს ახალ ხელისუფლებას განზრახული აქვს კანონის მიღება, რომლის ძალითაც საბჭოთა სპეცსამსახურების ყოფილ თანამშრომლებს აეკრძალებათ ახალი მთავრობის სტრუქტურებში მუშაობა. მომომხილველები აღნიშნავენ, რომ საქართველოს მოსახლეობას ძალიან აინტერესებს, რა დევს იმ საქაღალდეებში, სადაც კა-გე-ბეს თანამშრომლები საბჭოთა საქართველოს მეთაურის, ხოლო შემდეგ კი დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის დოკუმენტებს აწყობდნენ.

***ბი-ბი-სი***

# საქართველოს მთავრობა პირობას იძლევა, რომ ედუარდ შევარდნაძეს არ დაიჭერს

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, მთავრობა მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ედუარდ შევარდნაძე არ გაიზიარებს თავისი სიძის, გია ჯოხთაბერიძის ბედს, რომელიც დაპატიმრებულია გადასახადების გადაუხდელობის ბრალდებით. მთავრობა, უმოკლეს ხანში, პარლამენტს მიმართავს თხოვნით, საბოლოოდ დააკანონოს ყოფილი პრეზიდენტის ხელშეუხებლობა.

***იტარტასი***

# მუშტი-კრივი — ევროპის თვალწინ

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ვალტერ შვიმერის ვიზიტი, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მშვიდობიანად დაიწყო, მაგრამ საღამოს მასობრივ არეულობად და შეიარაღებულ შეტაკებად გადაიქცა. დილით, ბათუმში ჩასული შვიმერი ავტონომიის მეთაურს, ასლან აბაშიძეს, შეხვდა. სანამ ორი პოლიტიკოსი საუბრობდა, ხალხი მიტინგებზე იკრიბებოდა: პრეზიდენტის მომხრეები ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ, ხოლო მისი გადაყენების მოსურნენი — „ჩვენი აჭარის“ შტაბბინის წინ. აბაშიძესთან შეხვედრის შემდეგ შვიმერი ოპოზიციონერებთან შესახვედრად სწორედ ამ ოფისისკენ გაემართა. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებაში „ჩვენი აჭარა“ „დემოკრატიული აჭარაც“ შევიდა. ახალი კავშირი მიზნად ისახავს აბაშიძის გადაყენებას, მაგრამ ამის გაკეთებას მშვიდობიანი გზით აპირებს.

„ჩვენი აჭარის“ შტაბბინისკენ აბაშიძის მომხრეებიც დაიძრნენ. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ისინი შეიჭრნენ ოპოზიციონერთა რიგებში და მიზანმიმართულად გაუწიეს პროვოცირება ორი მიტინგის მონაწილეთა შეტაკებას. ევროპელი დიპლომატის თვალწინ ნამდვილი სისხლიანი მუშტი-კრივი გაიმართა. პოლიციელები ამაოდ ცდილობდნენ მათ დაშოშმინებას. აჭარის მეთაურის მომხრეებმა გადაატრიალეს „ჩვენი აჭარის“ კუთვნილი ავტომანქანა, დალეწეს აუდიოაპარატურა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე ამით არ დასრულებულა. მადა ჭამაში მოდისო და — როცა შვიმერმა პარტიის ოფისი დატოვა, „აბაშიძისტები“ კვლავ დაბრუნდნენ, ოფისში შეიჭრნენ და მილეწ-მოლეწეს იქაურობა (აღსანიშნავია, რომ ოფისი პარტიის წევრის, გელა ქიქავას ბინაშია მოთავსებული). მერე ეტყობა, ისე გაუტკბათ, რომ „ჩვენი აჭარის“ სხვა ლიდერების მისამართებიც გაიხსენეს და მათი ბინების დარბევა დაიწყეს. თუ თავიდან თავდამსხმელები ჯოხებით იყვნენ შეიარაღებული, საღამოს უკვე ზოგს ცეცხლსასროლი იარაღიც გაუჩნდა. ძნელი სათქმელია, რით და როდის დამთავრდება ყოველივე. ჯერჯერობთ, ის სტრუქტურები, რომლებიც უნდა აკონტროლებდნენ სიტუაციას, მხოლოდ დაპირებებით შემოიფარგლებიან — დამნაშავეებს დავსჯითო. გერმანელი დიპლომატი მის თვალწინ განვითარებულ მოვლენებს კომენტარს არ უკეთებს, მაგრამ ცხადია, რომ დიდხანს ვერ დაივიწყებს ამ მოგზაურობას.

***რეგნუმ.რუ***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

# სკეფსისი ეიფორიის ფონზე

**საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის რუსეთში ვიზიტმა დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულ საზოგადოებრიობაში. მან თბილისში დაბრუნებისას განაცხადა, რომ უნდობლობის კედლის შერყევა შეძლო და დიდი იმედი აქვს, უახლოეს ხანში რუსულ-ქართულ ურთიერთობაში პოზიტიური ძვრებისა. ეიფორიის ფონზე გაჩნდა იმედი, რომ მალე სავიზო რეჟიმიც გაუქმდება და რუსეთის ინვესტიციები გაჩანაგებული ეროვნული ეკონომიკის აღსადგენად შემოვა, მაგრამ „რუსული საოცრებისა“ საქართველოში ბევრს არ სჯერა.**

***ივლიანე ხაინდრავა,*** *განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრი, სამხრეთ კავკასიის ექსპერტი:* — ქართულ-რუსული ურთიერთობა ასე ერთი ხელის დაკვრით არ მოგვარდება. რუსეთს იმდენად უნდა შეინარჩუნოს დსთ-ის ქვეყნებზე კონტროლი, რომ მშვიდად ვერ უყურებს საქართველოს სწრაფვას ევროპისაკენ. აქედან გამომდინარე, ან რუსეთმა უნდა თქვას უარი ზესახელმწიფოს პოლიტიკაზე, ან საქართველომ დასავლეთისკენ აღარ უნდა გაიხედოს. თუ ახლო მომავალში რუსეთი ამას გააკეთებს, დიდი იმედი მაქვს, რომ საქართველო არასოდეს იტყვის უარს აღებულ გეზზე. ამასთან, არ უნდა გამოვრიცხოთ რუსულ-ქართული ურთიერთობის გაჯანსაღების ფაქტორიც, მთავარია, საფრთხე აღარ შევუქმნათ ერთმანეთს. რამდენად შეძლო სააკაშვილმა პუტინის დარწმუნება თავის გულწრფელობაში და რამდენად იყო პუტინი გულწრფელი, როცა სააკაშვილს განუცხადა, — რუსეთი ყოველთვის მზადაა საქართველოს დასახმარებლადო — ახლო მომავალი გვიჩვენებს, მაშინ, როდესაც ხელი მოეწერება რუსეთ-საქართველოს თანამშრომლობის ჩარჩო-ხელშეკრულებას.

***რომან გოცირიძე,*** *საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი:* — პრეზიდენტმა სააკაშვილმა, მოსკოვში ყოფნისას, პირადად მისცა უსაფრთხოების გარანტიები რუს ბიზნესმენებს ქართულ ეკონომიკაში ინვესტიციების ჩადების შემთხვევაში. ჩვენთვის მცირე კაპიტალდაბანდებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამჟამად მე სკეპტიკურად ვუყურებ ამას. გულუბრყვილობა იქნებოდა სერიოზულად ფიქრი იმაზე, რომ ჩვენი პრეზიდენტის მოწვევისთანავე შემოგვესევიან რუსები ბიზნესის გასაშლელად. ჯერ ერთი იმიტომ რომ, ბოლო ათი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის იმიჯი მაინცდამაინც სახარბიელო არ იყო. ვინ ჩამოვა ქვეყანაში, სადაც ანარქია, უკანონობა სუფევდა. გარდა ამისა, ნებისმიერ უცხოელ მეწარმეს დააფრთხობს ზომაზე მეტად მკაცრი საგადასახადო კოდექსი. ქართული საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია კი მხოლოდ მარტში, საპარლამენტო არჩევნების შემდეგაა მოსალოდნელი. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი, სერიოზულად ვიფიქროთ რუსული ბიზნესის შემოსვლაზე.

***ირაკლი ალადაშვილი,*** *სამხედრო ექსპერტი, პოლიტიკური ყოველკვირეული გაზეთის „კვირის პალიტრის“ მიმომხილველი:* — მიხეილ სააკაშვილის იდეა, საქართველოში რუსეთის სამხედრო ინსტრუქტორების მოწვევის შესახებ, რომლებიც ამერიკელების მსგავსად გაწვრთნიდნენ ჩვენს ჯარისკაცებს, პოლიტიკურად სწორია. პრაქტიკული თვალსაზრისით კი რამდენიმე კითხვას ჰბადებს. ქართული არმია ისედაც ეკლექტიკურია თავისი შემადგენლობით — ზოგი ოფიცერი სამხედრო საქმეს აშშ-ში სწავლობდა, ზოგი გერმანიაში, ზოგიც თურქეთში, საბერძნეთში და ა.შ. ყველას თავისებური მანერა აქვს, თუნდაც მწყობრში სიარულისა და სხვა — ეს კი აშკარად ჩანს საზეიმო სამხედრო აღლუმებზე. ახლა ამერიკულს, თურქულს, გერმანულს — რუსული „ხასიათიც“ დაემატება. ისე, რუსებისგან ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია. კარგი იქნებოდა, თუ ისინი საქართველოს საჰაერო თავდაცვის სისტემის შექმნაში დაეხმარებოდნენ. რუს სამხედროებს მთიან ადგილებში სამხედრო მოქმედებების საინტერესო გამოცდილება გააჩნიათ. ამ მიმართებით თანამშრომლობა უთუოდ წაადგება ქართულ არმიას. მოხდება თუ არა ეს ყოველივე, დამოკიდებულია ორი ქვეყნის ლიდერზე.

***ნეზავისიმაია გაზეტა №32***


# საუკეთესო ზღაპრები
# +4 გასართობი გვერდი

გამოსულია 50-მდე ქართული და უცხოური ზღაპარი



ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ყურადღება!
პატარა მკითხველების თხოვნით, ზღაპარი „ალადინი“ ხელახლა დაისტამბა



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვინიოხოზნ

**ანანო მუკბანიანი** უყურებდა ბებიას, რომელიც ჩოგნით ლობიოს ლესავდა. დედასთან მიირბინა და ახარა:

— ბებია ნაცემ ლობიოს აკეთებსო.

***

4 წლის **სოფიკო მაგრაქველიძე** ფეხმძიმე დედას ეკითხება:

— სათამაშო რომ გადაყლაპო, ბაია მუცელში ითამაშებს?

***

2 წლის **ანი გოგოლიძეს** დედა ეკითხება, — გინდა, ლია ბებოსთან წაგიყვანო?

— ალა, — პასუხობს ანი,

— აბა, წადი და დაიძინე — უთხრა დედამ.

ჩაწვა ანი ლოგინში, მაგრამ არ ეძინება. ცოტა ხნის შემდეგ დედას ეუბნება:

— დედა, წამიყვანე ლა, ლია ბებოსთან?

— აკი გკითხე და, არ მინდაო.

— დედიკო, მკითხე ლა, ხელახლა? — შეეხვეწა ანი.

## I ანა, გამოიცანი

**1) რომელ ბრძოლაში შეაკვდა მტერს 300 არაგველი?**

ა) მარაბდის; ბ) კრწანისის; გ) ასპინძის; დ) ბასიანის.

**2) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი აღიარა წმინდანად ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ?**

ა) აკაკი წერეთელი; ბ) ვაჟა ფშაველა; გ) ილია ჭავჭავაძე; დ) შოთა რუსთაველი.

**3) რა ხილია გულაბი?**

ა) ვაშლი; ბ) ატამი; გ) ქლიავი; დ) მსხალი.

**4) ვინ იყო ვახტანგ ჭაბუკიანი?**

ა) მსახიობი; ბ) ოპერის მომღერალი; გ) ბალეტმაისტერი; დ) დირიჟორი.

**5) რომელ ქალაქში მიედინება სენა?**

ა) პარიზში; ბ) ვენაში; გ) ლონდონში; დ) რომში.

**6) კავკასიონის ქედზე უმაღლესი მწვერვალია:**

ა) იალბუზი; ბ) მყინვარწვერი; გ) უშბა; დ) შხარა.

**7) რომელი ფრინველი გაუშვა ნოემ კიდობნიდან, იმისათვის, რომ გაეგო ჩაცხრა თუ არა წყალდიდობა და გამოჩნდა მიწა?**

ა) არწივი; ბ) მტრედი; გ) მერცხალი; დ) თუთიყუში.

**8) რომელი ცხოველის ბეწვს ჰქვია ჯაგარი?**

ა) ცხვრის; ბ) ძროხის; გ) ლომის; დ) ღორის.

**9) რა გამოიგონა მორზემ?**

ა) ტელეფონი; ბ) რადიო; გ) კოდური ანბანი; დ) მიკროფონი.



მიიყვანე ბიჭუნა სახლთან




II ქვემოთ მოცემული ოთხი ქილა ჩასვი ციფრების ადგილას

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: *„გახლავს მოძრავი ოთახი, დიდი კარადის ხელა, რომელ სართულზეც ისურვებ, აგარბენინებს ხელად“.*




იპოვე 9 განსხვავება



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა



## პური სიცოცხლისა

ბიბლიური მოთხრობა

იესოს თავის მოციქულებთან განმარტოება სურდა. მაგრამ ხალხი მათ უკან დასდევდა. იესო ესაუბრებოდა ადამიანებს სიცოცხლის შესახებ, რომელსაც ღმერთი ანიჭებს. კურნავდა ყველას, ვისაც მისი დახმარება სჭირდებოდა. საღამოს მასთან თორმეტი მოციქული მივიდა და უთხრა: „გაუშვი ხალხი სოფლებში ღამის გასათევად და საჭმლის საშოვრად. აქ არაფერი მოიპოვება, რამეთუ უდაბნოა“. მაგრამ იესომ უპასუხა: „თქვენ მიეცით მათ საჭმელი“. მოციქულებმა უპასუხეს: „არაფერი გვაქვს ხუთი პურისა და ორი თევზის გარდა. რას ეყოფა ეს ამდენ ხალხს?“ იქ ხუთი ათასი კაცი იყო, გარდა ქალებისა და ბავშვებისა.

მაშინ იესომ ბრძანა: „დასვით ეგენი ჯგუფ-ჯგუფებად, თითო ჯგუფში ორმოცდაათ-ორმოცდაათი კაცი“. მოწაფეებმა გააკეთეს ისე, როგორც იესომ ბრძანა. იესომ აიღო ხუთი პური და ორი თევზი. მან ცას ახედა, აკურთხა პური და თევზი. შემდეგ გატეხა და დასარიგებლად თავის მოწაფეებს მისცა. ყველამ ჭამა და გაძღა. კიდევაც დარჩა თორმეტი კალათი პურის ნატახებით სავსე.

ხალხი, რომელმაც ეს პური იგემა, ერთმანეთს ეუბნებოდა: „იგი ალბათ წინასწარმეტყველია, რომელსაც ღმერთი ამქვეყნად აგზავნის“. იესომ იცოდა, რომ მისი იძულებით გამეფება სურდათ. ამიტომ იგი განმარტოვდა.

მეორე დღეს მას კაპერნაუმში ეძებდნენ. როცა იპოვეს, ჰკითხეს, „როდის მოხვედი აქ?“ იესომ კი უპასუხა: „მე ვიცი, რომ თქვენ მხოლოდ იმისთვის მეძებთ, რომ პური ჭამეთ და გაძეხით. ხრწნადი საზრდოსათვის ნუკი ზრუნავთ, არამედ იზრუნეთ საზრდოსათვის, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლედ“.

ისინი ეკითხებოდნენ მას: „რა უნდა ვაკეთოთ, ღმერთის ნება რომ შევასრულოთ?“ იესომ თქვა: „ღმერთს მხოლოდ ის უნდა, რომ იწამოთ მის მიერ მოვლინებული. მე ვარ პური სიცოცხლისა. ვინც ჩემთან მოვა, არ მოშივდება და ვინც მიწამებს, არ მოსწყურდება არასდროს“.

# ურმული



ბაგონი, მეზღაპრედ გადავიქეცი და ენით გამოუთქმელ სიამოვნებას მანიჭებს ხალხში გაბნეული, მართლაც მარგალიტებივით ძვირფასი ამბების შეკრება...

ეეჰ, თავად ქართველებმაც არ ვიცით ხშირად, მართლაც რა რჩეული ერი ვართ და როგორ ვუყვარვართ უფალს, რომელიც ძალიან წუხს ჩვენი შეცდომების გამო, სიკეთისას კი — მარცვალსაც არ გვიკარგავს და წინ შვებად გვახვედრებს მაშინ, როცა აღარა გვაქვს თითქოს ხსნისა და გადარჩენის იმედი...

მოკლედ, ეს ამბავიც ასე იწყება: იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, მზითა და სითბოთი სავსე ქვეყანაში, ერთ პატარა სოფელში, ერთი უშვილო ცოლ-ქმარი ცხოვრობდა — მათე და ნატო. ძალიან შრომისმოყვარენი იყვნენ, მიწას ბარის პირსაც არ დაჰკრავდნენ უხეშად, ეფერებოდნენ და უყვავებდნენ, ნაბიჯს ფრთხილად დგამდნენ — გულისპირზე მძიმე კვალი არ დავაჩნიოთ, ჩვენს შემდეგ მომავალს ფეხი არ გადაუბრუნდეს და წინაპრის ცუდად დადებულმა ქვამ არ წააქციოსო!... ხვავითა და ბარაქით ჰქონდათ სავსე ოჯახი, სტუმარი უყვარდათ, განსაკუთრებით მეზობლების თუ ნათესავ-მოკეთეების პატარების შემოსვლა უნათებდათ გულს, გულდაგულ გადანახულ თხილსა და ჩურჩხელას გამოაჩენდნენ, პატარებს კალთაში ჩაიგორებდნენ, აცინებდნენ, აკისკისებდნენ და... ერთმანეთს თვალს მოარიდებდნენ, გულში ორივე საკუთარი პატარის დაბადებას ინატრებდა... ნატო ჩუმად იტირებდა კიდევაც ღამით თავზე საბანწაფარებული, რაც მგრძნობიარე მათეს არ გამოეპარებოდა და ძილი გაუტყდებოდა, დილამდე იწრიალებდა და ღმერთს საყვედურს მაინც არ აკადრებდა... დილით ადრე წყვილ ხარს შეაბამდა ურემში და ტყისკენ გასწევდა. მზის ამოსვლით გულანთებულს დარდი დაავიწყდებოდა და „ურმულს" შემოსძახებდა, ისეთ ხმას ამოუშვებდა ყელიდან, ბულბულსაც შეშურდებოდა... სოფელს მათეს „ურმული" აღვიძებდა და გუნებაგამოკეთებულნი ლოცვას დაადევნებდნენ: — აი, გამრავლდეს და გაიხაროს შენმა ჯილაგმაო!..

ოქროს ხელი ჰქონდა მათეს. ტყეში ხეს ჭრიდა, შინ მორები მოჰქონდა, ურმებს, ხანაც ტახტებს და მაგიდებს აკეთებდა, მაგრამ ყველაზე მეტად აკვნის გამოთლა უყვარდა, გულდაგულ აჩუქურთმებდა და მზეს ახატავდა, ჯვრებით რთავდა და ღიღინ-ღიღინით ამბობდა ლოცვას: — დაიბადეთ, გამრავლდით, საქართველო გააძლიერეთო — მომავალში დასაბადებლებს ეფერებოდა...

რამდენჯერ უოცნებია — ნეტავი ამ ლამაზ აკვანში ჩემი სისხლი და ხორცი ჩამაწვენინაო — ნატოს იმედით გააყოლებდა თვალს, მაგრამ... არასოდეს გაუყიდია მათეს აკვანი, საჩუქრად ატანდა მომსვლელს და ღვინოსაც დაალევინებდა — ახალშობილს დაულოცავდა. „კლიენტიც" არ ელეოდა და განა იმიტომ, რომ უფასო საჩუქარს ეხარბებოდნენ: — მადლიანია მათეს გათლილი აკვანი, ბავშვს შიგ ტკბილად სძინავს, უავადმყოფოდ იზრდებაო!..

...დრო გადიოდა და ჭაღარა გაუმრავლდა მათეს. ნატოს ოქროსფერ ნაწნავებსაც შეეპარა „ფიფქი"... დარდი მოემატა გულს და სულ უფრო ნაკლებად ესმოდა სოფელს მათეს „ურმული", ზოგჯერ შეეხვეწებოდნენ კიდევაც — იმღერე, შენი სიმღერის გარეშე თითქოს მზის შუქი მოაკლდა ჩვენს სოფელს და სულებსო!..

— გულს არ ემღერება, მათე შემოგევლოთ, ძალით ნამღერი სულში სინათლეს ვერ შემოიტანსო!...

...იმ დღესაც ტყეში იყო მათე. ხე კარგა ხანია წამოაქცია, მორებად დახერხა და ურემზეც დაალაგა ხვნეშითა და ვაი-ვაგლახით. რადგან დაღამებამდე შორს იყო, ტევრს შეერია, სოკოობა იყო და იცოდა, სადაც იზრდებოდა მისი უსაყვარლესი „წითელქუდა"... მოზრდილი კალათი გაავსო და საბალახოდ მიშვებულ წაბლას და ნიკორას ალერსიანი ხმით უხმო. მორჩილად კისერწაწვდილები მოუახლოვდნენ პატრონს და ურემს წინ ჩაუდგნენ. წაბლას რატომღაც ცრემლი ჩასდგომოდა თვალში. მათემ ხელსახოცით ფრთხილად მოსწმინდა, დაუყვავა ავადმყოფივით — რა ტკივილს შეუწუხებიხარ, გული რა დარდმა დაგიმძიმაო?!. ნიკორამაც დარდიანივით შეზმუვლა...

გული მოეწნწკა... ურემზეც აღარ ავიდა. გვერდით გაჰყვა ხარებს. არასოდეს დაურტყამს ჯოხი, არ უკადრებია არც წაბლასთვის და არც ნიკორასთვის წკეპლა, არც იმსახურებდნენ, შრომისმოყვარენი იყვნენ ორივენი. საკუთარი ხელით გაზარდა მათემ, პატარა ბავშვებივით ეფერა და ანებივრა, კაცის ენით ელაპარაკა და აკი მისი ყოველი სიტყვა ესმით, დაძახილზე თავს იტრიალებენ და საითაც მათე ეტყვით, იქით წავლენ ხოლმე...

მათეს „ურმული" წაბლას და ნიკორასაც ძალიან უყვართ, როცა მათე მღერის, უფრო ემატებათ თითქოს ჯან-ღონე, საქმეს ორჯერ მეტს და სწრაფად აკეთებენ. თუ მისწვდნენ, კმაყოფილები ხაოიანი ენით ხელისგულს აულოკავენ ხოლმე...

ერთხელ ავად იყო მათე, წელკავი ეტაკა და საწოლიდან ვეღარ ადგა ორი კვირა, ფანჯრამდეც ვეღარ მივიდა, რომ გადაეხედა ეზო-კარისათვის, არადა ნატომ ამბავი შემოუტანა — წაბლა და ნიკორა ბალახსაც აღარ ეკარებიან, წყალიც აღარ დალიეს, ორივეს ცრემლი ჩასდგომია თვალში და შეშფოთებულები ზმუიანო!.. აბა, უღელ ხარს შინ ხომ არ შემოიყვანდნენ პატრონის სანახავად, სხვა ვერაფერი მოიფიქრეს და „ურმული" წამოიწყო მათემ, თან ისე ომახიანად შემოსძახა, წაბლას და ნიკორას რომ ეზოში გაეგონათ...

როგორც ზეციური მახარობელი ზარების რეკვამ, ისე იმოქმედა წაბლასა და ნიკორაზე პატრონის ხმამ — ბალახსაც გაუსინჯეს გემო, წყალიც დალიეს... სანამ ფეხზე ადგომა ვერ შეიძლო, ყოველდღე მღეროდა „ურმულს" მათე და მხოლოდ ამის შემდეგ მშვიდდებოდნენ წაბლა და ნიკორა...

ძმებს ეძახდა მათე ხარებს... ახლაც მათზე ფიქრობდა და წაბლას თვალთაგან გადმოგორებულ ცრემლზე, ეშინოდა — არაფერი სტკიოდესო!.. უცებ კნავილის მსგავსმა ხმამ ფიქრისგან გამოაფხიზლა მათე. წაბლამ და ნიკორამაც ცქვიტეს ყურები და შედგნენ...

„კნავილი" კი გაძლიერდა და ყურს არ უჯერებდა მათე, თორემ აშკარად ახალშობილი ტიროდა... მოუთმენლად დაიზმუვლეს წაბლამ და ნიკორამ, ფეხიც დააბაკუნეს, პატრონს „უსაყვედურეს" — რას გაშეშებულხარო?!

...მორებს შუა პატარა ფუთა შენიშნა. უცებ ხელის მოკიდებაც შეეშინდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, როცა ლამის მთელი ტყის ფრინველ-ცხოველი თავზე დაახვია პატარამ... ნამდვილად ადამიანის შვილი იყო, რომელიც მინის ჭურჭელივით ფრთხილად მიიკრა კაცმა მკერდზე და უნებურად მუხლებზე დაეშვა: — ოღონდ ახლა ნუ გამაღვიძებ, ღმერთო! — კი, ნამდვილად ადრეც უნახავს მათეს მსგავსი სიზმრები და გულდაწყვეტილსაც გაღვიძებია...

...პატარა კი ჩხაოდა და ბედნიერ სინამდვილეში აბრუნებდა რძისა და კიდევ უცხო მოტკბო სურნელით გაბრუებულ კაცს... ბავშვის ტირილმა გული ატკინა და აღარ იცოდა, რა ექნა — ანანავა, „აღუც" უძახა, მაგრამ... ვერაფერს გახდა... კოფოზე შეჯდა და ხარებს შეევედრა: — თქვენი ჭირიმე, შინ დროზე მიმიყვანეთო! წაბლამ და ნიკორამ ფეხს აუჩქარეს.

სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, „ურმული" შემოსძახა მათემ, პირდაპირ გულიდან ამოხეთქა სიმღერამ... „იავნანა" არასოდეს ემღერა კაცს, არც დასჭირვებია... ტირილს უკლო პატარამ და ბოლოს სულ გაჩუმდა, მშვიდად მიიძინა მათეს ფართო მკერდზე. სიმღერით შევიდა მათე ბინდმორეულ სოფლის ორღობეში, გაჩერებას ვერ ბედავდა — ისევ არ ატირდეს პატარაო...

გაოცებულები აღებდნენ მეზობლები სახლის კარებს და მათეს მონატრებული „ურმულის" გაგონებაზე ანთებული ჭრაქებით გამოდიოდნენ ეზოებში, მერე ორღობეში და მათეს ურემს აციმციმებული ვარსკვლავებივით ჩაუდგნენ კვალში...

შეშინებული ნატო ღია ჭიშკარში იდგა და ამღერებულ ქმარს გაფართოებული თვალებით შესცქეროდა. მათემ ბავშვი მიაწოდა ცოლს და სიმღერა შეწყვიტა თუ არა, ტირილის ხმაც გაისმა. ხელი რომ არ შეეშველებინათ, მუხლმოკვეთილი ქალი ბავშვიანად წაიქცეოდა...

მეზობლის რძალმა ჩამოართვა ნატოს პატარა და თავისი მადლიანი ძუძუ ჩასჩარა პირში.

— უი, რა ღონიერიაო, — გადაიკისკისა...

ვიღაცამ თავისი შვილის საფენები მოარბენინა და ძონძები შემოხსნეს იდუმალ სტუმარს, რომელსაც სიყვარულით „ჩიტებზე" ხელი წაავლო 100 წელს მიღწეულმა ბაბუა დემეტრემ და უკბილო პირი ყურებამდე გადაუხსნა ბედნიერმა ღიმილმა — ბიჭია, ეს მამაძაღლიო!..

მახარე დაარქვეს შვილს მათემ და ნატომ, ბედნიერებამ დაისადგურა მათ ჭერქვეშ და თუ თავიდან აშინებდათ იმაზე ფიქრი — ბიჭს პატრონი არ გამოუჩნდეს, არ წაგვართვასო — მალე დამშვიდდნენ, მახარე მათი სახლიდან რომც წაეყვანათ, გულიდან ვეღარ ამოგლეჯდნენ. მართლაც თვალდათვალ იზრდებოდა მათეს გათლილ აკვანში ჩაკრული ბიჭი, ნატოს „დედა" დაუძახა, მათეს „მამა" და, რაც მთავარია, თითქმის ყოველდღე ისმოდა ოჯახიდან „ურმულის" ხმა, რომელსაც „იავნანის" ნაცვლად უმღერდნენ გაჭირვეულებულ მახარეს, სხვა „იავნანას" არ ცნობდა პატარა კაცი...

...მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ახლა აღარც მათეა ცოცხალი და აღარც ნატო, წაბლაც და ნიკორაც ზეციური საქართველოს ყანა-ვენახს აძლიერებენ ალბათ მშრომელი ქედით, მათეს ოჯახის ხვავსა და ბარაქას ახლა თმაჭაღარა ძია მახარე ამრავლებს, რომლის 7 შვილი და 24 შვილიშვილი საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულშია ლამის მიმოფანტული და თავი არც ერთს შეურცხვენია...

— ძია მახარე, ნამდვილი მშობლებისა არასოდეს გსმენიათ რამე?!

— არა, არავის მოვუკითხივარ და ზოგჯერ ისიც მგონია, რომ პირდაპირ ზეციდან ჩამომსვეს მათეს ურემზე, ძალიან ვგავარ მათეს, როგორც გარეგნობით, ასევე ხასიათით...

— თურმე „ურმულსაც" მასავით მადლიანად მღერით...

— იცი, „ურმული" ჩემთვის უბრალოდ სიმღერა არაა, ეს თითქოს სიმშვიდის და უსაფრთხოების გარანტიაა... დიდი სიხარულის ან დიდი ტკივილისას ვმღერი ხოლმე და უკვდავების წამალივით მშველის... არავის სჯერა, მაგრამ შვილების და შვილიშვილების სიცოცხლეს ვფიცავ, რომ კარგად მახსოვს და ახლაც ყურში მიდგას მათეს „ურმული" ტყეში ნაპოვნს რომ მიმღეროდა...

— რამოდენა გიპოვათ ტყეში მათემ?

— ალბათ ორიოდე კვირის...

...ძია მახარემ მეც მიმღერა „ურმული", თავისი შვილები და შვილიშვილებიც ამღერა. არ ვიცი, რამ ამატირა, მაგრამ ავტირდი, რაღაცა მიხაროდა, თავს ზღაპარში ვგრძნობდი და აკი ამ „ზღაპრის" დაწერის სურვილიც გამიჩნდა...

როცა ამ წერილს წაიკითხავთ, თუ საშუალება გექნებათ, აუცილებლად მოუსმინეთ „ურმულს" და არ შეიძლება მისი ზეციური მადლი არ შეიგრძნოთ, ქართველობის გამო სიამაყე არ დაგეუფლოთ და სიკეთის ქმნის სურვილი არ გაგიათმაგდეთ...

ბედნიერად ახდენილ სიზმრებს გისურვებთ!...

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა!...

**ინგა ჯაყელი**


# დეტექტიური ჟანრის მოყვარულთათვის

## დოკუმენტური მოთხრობების კრებული




იკითხეთ საგაზეთო ჯიხურებსა და წიგნის მაღაზიებში



## მამული

მომეცი ნება —
წამოვწვები შენს ლურჯ კალთაში,
მომისიე მაისის წვიმა
და მიმალურსმე
ღიღილოებით დაჭორფლილ მინდორს,
მერე კი,
ფ,რ,თ,ხ,ი,ლ,ა,დ
გარდამომხსენი
მაგ ხატულა საგებელიდან
და შემიხვიე იარები
ცისარტყელებით...

## მოგონება

წვიმდა, წვიმდა, წვიმდა კახეთს,
თამბაქოსფერ ნისლში თვლემდა
ახმეტა და ალაზნის ხევს
ლურჯ სიზმარში დაათენდა.
გოგო ჭრიდა ნაწვიმარ ველს,
წვიმა უკენკავდა კალთას
და ტყისაკენ ციცქნა კრავებს
ღრუბელივით მირეკავდა...
გადიარა წვიმამ ბონდი,
მერე სულაც გადაიღო...
ზღაპარ-ზღაპარ მოვდიოდით,
ო, რა კარგი ზღაპარ იყო...

## ნაღვლიანი პეიზაჟი

ჭიშკარი.
ჭის ოწინარი.
ჭიშკართან ხმელი თუთა.
ეზოში თოვლი,
თოვლში ვიწრო ბილიკი გდია —
თითქოს ბოჩოლას შეაწყდა თოკი.
საკვამურზე კი
ერთი მუჭა კვამლი დამჯდარა ბეღურასავით.
აქ ათას ცხრაას ორმოცდასამი
წელი ცხოვრობს
ჯარისკაცის დედასთან ერთად.

* * *

გზა ჟინვალისაკენ მიირწევა,
გზადაგზა ღიღინებს იელი,
შენი მონატრების ჩრდილში ვწევარ
შენით და ამ მთებით ძლიერი.
გზა კი მიზოზინებს გვიან-გვიან,
ვაიმე, არავინ დამასწროს,
ჩქარა, როჭოები გვემახიან
სანადიროდ და საწაწლოდ!

* * *

მოფრინდებიან მერცხლები და
ორღობეში იფეთქებს შინდი...
სოფლელი გოგო ისე შემოგხედავს,
როგორღა დარჩები მშვიდი...
აედევნები და
ერთი ღიმილისათვის ღამეს გათევინებს,
თავის ჭიშკართან ჩამოგსვამს და
აკაციის ყვავილს გაკვნეტინებს...
დაუდარაჯდები შეღამებულზე და
გუმანს შეგატყობენ,
გაგიქრება და ციცინათელებით
დაჭორფლილ ღამეს
ხელში შეგატოვებს...
გაზაფხულდება და
ორღობეში იფეთქებს შინდი,
სოფლელი გოგო ისე შემოგხედავს,
კაი ბიჭი ხარ და, დარჩები მშვიდი.

* * *

რას გამიკეთებს მარტო ხერთვისი,
მარტო უჯარმა ან მცხეთის ჯვარი —
უთქვენოდ მაინც ვერ შევითვისებ,
უთქვენოდ მაინც ვერ შევიყვარებ!
ჩალის ფასია ჩემთვის არმაზი —
მხოლოდ ქვა, ქვაში ქარის ხარხარი,
მის ახლოს თქვენი ხმა თუ არ მესმის,
ჩემო ხვთისო თუ ჩემო მახარე!

**ავთანდილ გაფრინდაშვილი**

# უკვე მოგონებად ქცეული...

ავთო გაფრინდაშვილი — ჩემი და ჩემი ამხანაგების სიჭაბუკის უმშვენიერესი ნაწილი, უკვე მოგონებად ქცეული...

ვხედავ — უნივერსიტეტის I კორპუსიდან გამოსული მიუყვება დაღმართს, ოდნავ დარწეული ნაბიჯით, მეოცნებე, ლურჯ თვალებში ჩამდგარი ჭაბუკური სხივით, ბაგეთა კუთხეებში ჩაწოლილი ოდნავი ღიმილით, ხელში ფურცლების გრაგნილით — ეს ლექსებია, მისი არსებობის უმნიშვნელოვანესი განძი. ჩვენ ყველას გვჯეროდა, რომ მისი სახით იზრდებოდა დიდი პოეტი, აგრეთვე ნამდვილი მეცნიერი და ამის საფუძველი გვქონდა. ამ რწმენას ამტკიცებდა მისი მაძიებელი ბუნება, ცოდნისაკენ მისწრაფება, გამორჩეული ნიჭიერება...

ავთო სულით ხორცამდე პოეტი იყო. მისი ყოველდღიური არსებობის წესი, მისი ლექსისადმი დამოკიდებულება გამორიცხავდა ყოველგვარ სიყალბეს, მოგონილს, და მოიცავდა მხოლოდ ნამდვილს. ეს სინამდვილე კი გაცისკროვნებული იყო შინაგანი პატიოსნებით, ვაჟკაცური სიჯიუტით: თითქოს ჯადოსნური გასაღებით არარსებულ კარს აღებდა, არარსებულ საგნებს ეხებოდა და მათი რეალობისა სწამდა.

მეოცნებე სახეზე მწუხარება ეტყობოდა ხშირად — ახლა რომ ვფიქრობ, იქნებ იყო ამ მწუხარებაში რაღაც საბედისწერო, რაც წინასწარ განსაზღვრავდა მისი შუა გზიდან წასვლის ტრაგიზმს. იტყვიან — ყველანი სიკვდილის შვილები ვართო. რა საჭიროა ამ ტრივიალურ გამოთქმაში ოპტიმიზმის თუ ტრაგიზმის ძიება — ავთოს ამქვეყნიდან წასვლა იმდენად თავზარდამცემია და ისეთი დანაკლისი, რომ დღეს წარმოუდგენლად მიმაჩნია ამ ფაქტთან შერიგება, თუმცა გამოცდილებით ისიც ვიცი, რომ მოხდება ეს შერიგებაც...

არ იყო ავთო გაფრინდაშვილი ის კაცი, ვინც ერთი შეხედვითაა ამოსაცნობი, თუმცა მისი კეთილი, რბილი ბუნება და დამყოლი ხასიათი ამის ილუზიას ქმნიდა. ჩვენ, მისი მეგობარ-ამხანაგები ვერ გავიხსენებთ წონასწორობიდან გამოსულ ავთოს, აღშფოთებულს, გაბრაზებულს, წვრილმან ყოველდღიურობაში ჩართულ-გათქვეფილს.

თვალწინ მიდგას იგი — სიცოცხლით, პატიოსანი ღიმილით, სევდიანი ოცნებით და სიყვარულით აღსავსე...

ასე იყო...

იგი ამიერიდან ყოველი ჩვენგანის არსებაში დაიკავებს განსაზღვრულ ადგილს და იმოქმედებს.

*მანანა ჯიქია*

## საღამო

ასკილისფერი მზე ჩადის,
ყვავილობაა აკაციის,
მტვრიან შარას მივყვები
და... მეშინია რაღაცის...
მე უნდა გადავუხვიო
ამ გზიდან,
უნდა გადავიდე ღელეზე...
ღამეა...
ღელეში ოქროს ნამგალი აგდია
ყვავილობაა აკაციის...
ამაღამ ერთ სარკმელს
უნდა ვეჩურჩულო
და... მეშინია რაღაცის...

## მონატრება

მიდიხარ...
მზე ჩავა სადაც არის,
მე ისევ ძველ მოტივს ვმღერი —
რამ გამახსენა ფერი სატაცურის,
ასე ნაღვლიანი ფერი?!
მოწყენილია ყოვლიარი,
ეს თოვლიც, ლულუნიც ბუხრის,
სარკმელთან — ბალბა მგლოვიარე,
სარკმელში — მგლოვიარე მწუხრი...
მიაჭრიალებენ სადღაც ურემს,
მე ისევ ძველ მოტივს ვმღერი —
რამ გამახსენა ფერი სატაცურის,
ასე ნაღვლიანი ფერი?!



ბადრი ვადაჭკორიას ფოტოეტიუდი

* * *

შენ როიალთან ზიხარ და უკრავ,
ღამის სიმწვანე სარკმელს ამუქებს,
მე შემოვდივარ, ვდგები შენს უკან
და როიალზე მიბჯენილ მუხლებს
ვუმზერ და როგორც არაყი, მთენთავს
და თვალით ვეძებ ადგილს შესახებს.
ეს შენი სული ფარფატებს თეთრად
და თითით ფრთხილად ვაწერ შენს სახელს,
როგორც ზამთარში შეორთქლილ მინას
და ვუსმენ მოტივს შენთვის საყვარელს.
ოთახში შენი სახელი ბრწყინავს,
მოვდივარ, შენს თმებს, როგორც აკვარელს,
მკერდზე ვილვრი და მკერდზე გიხატავ
და ატირდები, ასე მგონია...
მერე სიჩუმე სხეულში ატანს
და ვებჯინებით შუბლით როიალს.

## გაზაფხული

ისევ მობრძანდნენ იანი
მამულის ლილოჭრილოზე,
ცა თვალებს მოიმზიანებს,
გვიშუშებს ზამთრის
ჭრილობებს.
ეჰ, გარდასულო დღეებო,
არასდროს დაგვიბრუნდებით...
სამოთხის კარი იღება,
ფრთოონავენ მტრედის ხუნდები.
აპრილი დახეტიალობს
და მზეს ურიგებს ბუდეებს,
ნურც შენ დამაგდებ ტიალად,
მეც გაგიშინაურდები.
თორემ დრო მიდის მალიად,
გვჭვრეტს ავი მოყურიადე
და უსაშველო ხანია
მომდევნო გაზაფხულამდე...

## ფიქრი არმაზთან

აქ უფრო თბილა, აქ უფრო მზეა,
რა უნდა გითხრა მე შენ ასეთ დროს,
მე ვარ, შენ ხარ და ის მესამეა,
რომელიც უნდა შემოგავედრო.
მე მოვდიოდი საკუთარ ზღაპრით,
რომელსაც თვითონ ვარქმევდი სახელს,
ვლოცულობ შენი კალთის ქვეშ მდგარი
და შენს წინაშე ყველაფერს ვამხელ,
როგორც დედასთან, რამეთუ მჯერა,
მჯერა, გამიგებ ყოველგვარ ტკივილს.
თმაზე ხელივით დამისვამ ჩეროს
და შენს კალთაში წამიღებს ძილი.
მე მათბობს შენი ბებერი მკერდი,
როდის გიწამე, უკვე არ მახსოვს,
მოვედი შენთან, შენთან მოვედი
და გადამწერე ჯვარი, არმაზო!

* * *

პატარა სკვერში
ხშირად მოდის
მოხუცი კაცი,
და მარტო ჯდება.
თვალს არ აშორებს პატარა აუზს,
რომელშიც გდია
გაზაფხულის ფერადი მზე და
პატარა ბიჭი კენჭებს ისვრის და
აფრთხობს მარტის მზეს —
და უხარიათ ლამაზ ბავშვებს და
ლამაზ დედებს.
პატარა სკვერში
ხშირად მოდის
მოხუცი კაცი,
მთელი დღე ზის და საღამოხანს
საღამოს გაზეთს გადაშლის და
ნეკროლოგებს კითხულობს დიდხანს.

## სალაღობო

სგიმზე მიდის ხოჩა დინა,
მზე მიუძღვის წინ,
შენს მკლავებზე დამაძინა,
მიშგუ ლადელ სი!
მამაშენსაც ვეტყვი ბარემ,
(სხვაც მიუტანს სგიმს),
შენ კი კენტად ვერ გატარებ,
მიშგუ ლადელ სი!

## გაუგზავნელი ბარათი ელის

ელი, როგორ თოვს, ვერ წარმოიდგენ,
ფიფქები ხელისგულისოდენა
თან მოიყოლებს საღამოისკენ
თეთრი იანვრის მსუბუქ მოწყენას.
ჩემი საღამოს გარინდულ ბოლში
ვცხოვრობ, ვით თევზი აკვარიუმში,
რა შეუმჩნევლად მოვიდა თოვლი,
როგორი კარგი დღე იყო გუშინ.
ვერ წარმოიდგენ, როგორ თოვს, ელი,
თამბაქოს ბოლში თვლემს ჩემი სევდა,
გვირილასავით მსუბუქი ხელი
ვინ იცის, როგორ დამამშვიდებდა.
მაგრამ სად არის — შორსა ხარ, კარგო,
სარკმელზე ლურჯი თოვლი გროვდება...
ცუდია, როცა სულ მარტოდმარტო
ხარ და არავის არ აგონდები.

## მარტოობა

გადადის მთვარე
და ლეღვის ჩრდილი
კუს ბაკანივით გადის ჭიშკარში.
იქ კი ტბა არის,
ტბის ზედაპირზე
მშვიდად სძინავთ
ნაძვების ჩრდილებს.
და ჩრდილებს შორის, როგორც თითებზე,
ბეჭდის თვალივით ბრჭყვიალებს გედი...
და მომენატრე
როგორც არასდროს.

* * *

დროო,
ის დილა რად წამგვარე —
მუხრანის ბოლოს
ყივჩაღივით
ყაყაჩო რომ შემომეყარა...
ციცინათელას მრავალწერტილით
დამთავრებული ღამეები
რა უყავ, დროო!

## ფრაგმენტი

ისე უეცრად მიეცა ფასი
წიგნის ფურცლებში მივიწყებულ
მინდვრის ყვავილებს —
აივსო ჩემი მყუდრო ჭერი
ტყეების სუნით.
მშვიდი შრიალით,
ვრცელი მინდვრებით,
რომელთა თავზე დაფარფატებს
კოპლებიანი ჩითის კაბა
და თეთრი, თეთრი
თეთრი თიკანი...

CMYK

# 13-დან 19-მდე

## საბავშვო ბაღში ერთი მუტრუკი ვცემე...



*ბროდვეიზე მალე ახალი მიუზიკლი „მეფე ლომი“ დაიდგმება. მსოფლიოს ყველა ბავშვისათვის უსაყვარლეს გმირს, ლომ სიმბას როლს ქართველი გოგონა **მარიკა თხელიძე** შეასრულებს, რომელმაც აშშ-ში რეჟისორების, პროდიუსერებისა და მუსიკოსების ყურადღება ჯერ კიდევ ორი წლის წინ მიიქცია. მარიკა ოკეანის გაღმა ხანგრძლივი, საქმიანი ვიზიტით მიემგზავრება. ამჯერად 15 წლის მომღერალი ჩემი სტუმარია და შემოქმედებითი საქმიანობის გარდა, სიამოვნებით საუბრობს ბავშვობაზე, რომელიც უკვე მარიკასაც წარსულში დარჩა.*

**— მარიკა, გოგონების უმრავლესობა ბავშვობაში პრანჭიაა, სარკე განსაკუთრებით იზიდავს. დიდებს ჰბაძავენ?**

— არც მე ვყოფილვარ გამონაკლისი. დედაჩემის და მამიდის ყველა ფეხსაცმელი „მორგებული“ მქონდა და მათი მძივებით ახუნძლული დავდიოდი. სარკე გოგონებს ალბათ ადრიდანვე უნდა იზიდავდეთ, რომ საკუთარი თავის შეფასება და მოვლა ისწავლონ. ბავშვობიდან მიტაცებდა ხელსაქმეც. მაგალითად, ქარგვა და მძივების ასხმა. თუ დრო მაქვს, შანსს ხელიდან არ ვუშვებ და ამ საქმით ვერთობი.

**— თოჯინებით არ თამაშობდი, ან მათთან ერთად არ გეძინა?**

— გამომდინარე იქიდან, რომ მე ჩემი თანატოლებისგან განსხვავებული რეჟიმით მიწევდა ცხოვრება, სათამაშო დრო თითქმის არ მრჩებოდა. ამიტომაც თოჯინების კოლექციის შეგროვება უფრო მხიბლავდა, ვიდრე მათთან თამაში. ვფიქრობ, თოჯინების კოლექციისადმი ინტერესი მთელი ცხოვრება გამყვება. თუმცა, დროის გასვლასთან ერთად ინტერესების სფეროც შემეცვლება.

**— ოჯახის წევრები ხელს უწყობდნენ შენს თავისუფლებას თუ პირიქით, გზღუდავდნენ?**

— ერთადერთი, რაც დიდი ხნის მანძილზე ვერ გავაგებინე ჩემებს, ეს იყო ჩემი საბავშვო ბაღისადმი სიძულვილი. ძალიან არ მიყვარდა ბაღში სიარული. იცით, რატომ? საერთოდ ვერ ვიტან, როცა ვინმე ვინმეს ჩაგრავს და მით უმეტეს, თუ ეს ბავშვობაში ხდება. ბაღში დადიოდა ერთი პატარა, ძალიან საყვარელი გოგონა, მშობლები არ ჰყავდა და ბებია ზრდიდა. სულ სევდიანი იყო. ის გოგო ერთხელ ერთმა მუტრუკმა აატირა, გავგიჟდი. ავდექი და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ის ბიჭი ვცემე. იცით, რა ამბავი ატყდა? მოვარდნენ ბიჭის მშობლები. დაიწყო საქმის გარჩევა და ბაღში ჩემს წასაყვანად მოსული დედიკო და მამიდა სახტად დარჩნენ. როდესაც ყველაფერი გაიგეს, დამშვიდდნენ, კარგად მოქცეულხარო, მითხრეს. არ მესმის, რატომ ჩაგრავენ ადამიანები ერთმანეთს.

**— სკოლასთან შეგუებაც ხომ არ გაგიჭირდა, იქაც ხომ არ მოგდიოდა ჩხუბი მჩაგვრელებთან?**

— სამწუხაროდ, ამ პრობლემას ყველგან ვაწყდებოდი, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად, როგორც ჩანს, ადამიანში მოთმინების, შინაგანი განსჯის უნარი მატულობს და რეაქციებს მძაფრად აღარ ვავლენთ. სკოლა (მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მიწევს გაკვეთილების გაცდენა) ჩემს ცხოვრებაში ლამაზ მოგონებად დარჩება. მე უკვე ვამთავრებ სკოლას და არა მგონია, მასწავლებლებს უსიამოვნო მოგონებები დარჩეთ ჩემთან დაკავშირებით. იმდენად კარგად ვსწავლობდი საგნებს (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი არ მიყვარდა), რომ მასწავლებლები ყოველთვის გამოხატავდნენ კმაყოფილებას. თუმცა, ქიმიის მასწავლებელი მყავდა გულდაწყვეტილი, სურდა განსაკუთრებულად მეფიქრა ამ საგანზე, რადგან მისი აზრით, მე ქიმიურ ელემენტებს ვგავდი. ერთხელ მშობელთა კრებაზე დედაჩემსაც უთხრა ამის შესახებ და ძალიან გაგვაოცა.

**— ალბათ ამერიკაში დარჩები სასწავლებლად.**

— არა, ზაფხულში ჩამოვალ და ჩავაბარებ უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. ძალიან მინდა დიპლომატი გავხდე. ეს პროფესია მხიბლავს, რადგან ადამიანებთან ურთიერთობა მომწონს და ვფიქრობ, არცთუ ურიგოდ გამომდის. ბავშვობიდან განსაკუთრებულად მიყვარს წესრიგი. თუმცა, სკოლაში სწავლის დროს მეც დავდივარ შატალოზე კლასელებთან ერთად და ისე, საქმე საქმეზე თუ მიდგება, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სულ შატალოზე ვარ.

**— ამერიკაში მარტო მიდიხარ?**

— დედასთან ერთად. თუმცა, იქ მაინც დამოუკიდებლად მომიწევს ცხოვრება. დედა სულ თან ხომ არ მეყოლება.

**— დედა ალბათ შენი საუკეთესო მეგობარია. უკვე ისეთ ასაკში ხარ, მესაიდუმლე რომ გჭირდება.**

— დედასთანაც ვმეგობრობ, მამიდასთანაც და დასავით თანშეზრდილ მამიდაშვილთანაც. მე საიდუმლო არა მაქვს. ჩემი ცხოვრების შესახებ ყველამ ყველაფერი იცის. ამერიკაში ვიყავი წასული. ჩემი თაყვანისმცემლები სახლის სადარბაზოსთან მისულან და კედელზე დანით ამოუტვიფრავთ სასიყვარულო სიტყვები. ახლახან ერთს შეუტყვია ბროდვეიზე სიმბას ითამაშებს მარიკაო. უზარმაზარი ფუმფულა სათამაშო ლომი გამომიგზავნა, ორიოდე დღის წინ კი ასი ცალი ვარდი მომართვა. ბარათში ეწერა... „ას ვარდზე უფრო ლამაზი ხარო“... კარი რომ გავაღე და უზარმაზარი თაიგული დავინახე, მეგონა ჩვენი პრეზიდენტი და პირველი ლედი მესტუმრნენ (ეცინება). საჩუქრებს სხვების ხელით მიგზავნიან. ნამდვილი თაყვანისმცემლები კი არ ჩანან. ჯერჯერობით იმალებიან, თუმცა, სულაც არ ვარ უკმაყოფილო მათი კორექტულობის და გალანტურობის გამო.

**— მარიკა, ამერიკაში რამდენიმე თვე მოგიწევს მიუზიკლზე მუშაობა, აქ რას ტოვებ?**

— ახალ სიმღერებს. ერთ-ერთი მათგანი დათო ხუჯაძის იდეით გარემიქსებული სიმღერაა კინოფილმიდან „სამსახურებრივი რომანი“. ასევე ჩავწერე ლილიკო ნემსაძის ახალი სიმღერა „თეთრი თოლია“, რომელიც ამერიკელთა დაკვეთით ბიბი კვაჭაძემ უნდა თარგმნოს, რომ ინგლისურადაც შევასრულო. ქართული ტექსტის ავტორი კი კოტე ყუბანეიშვილია. ასევე ჩავწერე „ხორუმის“ ახალი ვერსია.. ლილიკოს სიმღერაზე კლიპის გადაღებასაც ვაპირებ. რეჟისორი, რა თქმა უნდა, ტრადიციისამებრ ბასა ფოცხიშვილი იქნება. მე დროებით მივდივარ ამერიკაში და არსად დარჩენას არ ვაპირებ.

***ეკა ლომიძე***

## თუ გინდა, რომ მომეწონო...

**ბიჭები გვირჩევენ**

***დიდი ხანია თავს იმტვრევ, პირველ პაემანზე რა ჩაიცვა: ჯინსის შარვალი თუ ქვედაბოლო, მხიარულად იცინო თუ უფრო თავშეკავებული იყო. დამშვიდდი! იმისათვის, რომ მომეწონო, გაითვალისწინე რამდენიმე რჩევა:***

- ეცადე, მომხიბვლელად გამოიყურებოდე, მაგრამ არა თვალში საცემად. ნუ იფიქრებ, რომ თუ ჩაიცვამ მაღალქუსლიან ფეხსაცმელს, თმას შეიღებავ, ამით თითქოს საკუთარ ინდივიდუალობას გამოხატავ;

- არ მაინტერესებს შენი დაქალების სასიყვარულო ისტორიები, კოსმეტიკა, საუბარი ჯანმრთელი ცხოვრების წესზე, ჰოროსკოპზე, ასტროლოგიასა და მკითხაობაზე. მოდი, მოვძებნოთ საერთო თემები;



- არ არის აუცილებელი, პირველმა შეხვედრამ დიდხანს გასტანოს, მას შემდეგ, რაც „საერთო ენას“ გამოვნახავთ, შეგვიძლია ერთმანეთს დავშორდეთ. დაიმახსოვრე, რაც უფრო მეტად ამოუცნობი იქნები ჩემთვის, მით მეტად გამიმძაფრდება შენდამი ინტერესი;

- უნდა ვიგრძნო, რომ თავისუფალი ადამიანი ხარ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თავქარიანი გოგონას შთაბეჭდილება დატოვო;

- ეცადე, ნაკლებად ილაპარაკო იმ ბიჭებზე, რომლებიც ადრე მოგწონდა, თორემ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩება, თითქოს მათ „ხელთათმანივით იცვლიდი“.



## საყვარელო „პალიტრავ“!

## გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი

***„მიყვარხარ მთელი სულითა და გულით, მიყვარხარ მთელი ჩემი არსებით, მიყვარს შენი სულიერი სამყარო, მიყვარს შენი ცუდიც და კარგიც. მზად ვარ, შენთან ერთად გამოქვაბულშიც კი ვიცხოვრო და შრომითა და ბრძოლით, შიშველი ხელებით მოვიპოვო ლუკმაპური, შენთან ერთად განვიცადო ტკივილიც და სიხარულიც.***

***შენი იდუმალი თაყვანისმცემელი. 2003 წ. 25 მაისი.“***

— მე და გიორგი სხვადასხვა ქალაქში ვცხოვრობდით. გიორგი გაცნობის დღიდანვე მომეწონა. შემდეგ, გატაცება სიყვარულში გადაიზარდა.

ერთ დღეს, მე და ჩემი დაქალი გიორგის სახლთან მივედით და გიოს ის წერილი დავუტოვეთ, რომელიც სტატიის დასაწყისშია მოცემული. ამით უბრალოდ ჩემი სათქმელი ვთქვი. მეორე დღეს კი თბილისში წამოვედი. მე და გიორგი ზაფხულობით ვნახულობდით ხოლმე ერთმანეთს და მომდევნო ზაფხულსაც კვლავ შევხვდი.

ერთ დღეს ჯოკერს ვთამაშობდით, მე ვწერდი. გიორგიმ ჩემს ხელნაწერს თვალი მოჰკრა და თქვა: ეს ნაწერი ძალიან მეცნობაო. მინდოდა, მიწა გამხეთქოდა და შიგ ჩავეტანე, ისეთ დღეში ჩავვარდი. ჩემი დაუკვირვებლობით გიორგიმ წერილის ავტორის ვინაობა გაიგო. მალე გაირკვა, რომ გიორგისაც დიდი ხანია ვყვარებოდი. თუმცა, თქმას ვერ ბედავდა.

იმ ზაფხულს მე და გიორგი გავიპარეთ. თაფლობისთვე საოცრად გავატარეთ, სამოგზაუროდ იქ წავედით, სადაც ირგვლივ უამრავი გამოქვაბული იყო. გიორგი მეუბნებოდა, აი, აგისრულე ოცნებაო. ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი და უზომოდ ბედნიერებიც ვიყავით, მაგრამ მალე... გიორგის ღალატზე იმ მეგობართან წავასწარი, ვისთან ერთადაც წერილი დავუწერე. ვინც ჩემს ტკივილსა და სიხარულსაც იზიარებდა და ვინც ყველაზე მეტად თანაგვიგრძნობდა. ჩემს მეუღლეს ღალატი ვერ ვაპატიე და შინ, მშობლებთან დავბრუნდი. გიორგი ყოველდღე შერიგებას მთხოვდა. მეუბნებოდა, რომ ეს შეცდომა უნებლიეთ მოუვიდა და სიცოცხლეზე მეტად ვუყვარვარ. მიუხედავად დიდი სიყვარულისა, მაინც არ შევურიგდი. რამდენიმე დღის შემდეგ კი ტელეფონით საშინელი ამბავი შემატყობინეს — გიორგიმ თავი მოიკლაო. სიკვდილის წინ კი წერილი დამიტოვა, ამ წერილის გამოგზავნაც დავაპირე, მაგრამ მოგვიანებით გადავიფიქრე. გიორგის სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე აღარ მინდოდა, თავს მოვიკლავდი კიდეც, პატარა გიორგი, ჩემი შვილი, რომ არ მიხარებდეს გულს.

თქვენს რედაქციაში წერილის გამოგზავნის მიზანი კი ის არის, რომ გოგონები გავაფრთხილო (ამის უფლებას საკუთარი გამოცდილება მაძლევს), ბრმად ნურავის ენდობიან, რადგან მეგობრებშიც მოიძებნებიან მოღალატეები, მე კი შეცდომა დავუშვი, მე და გიორგის ხომ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, ამიტომ უნდა მეპატიებინა საყვარელი ადამიანისთვის.

***სალომე, 20 წლის***

P.S. ძვირფასო რედაქციავ! თქვენი ნებაა ამ წერილს დაბეჭდავთ თუ არა. მე ჩემი სათქმელი ვთქვი, სათქმელი, რომელიც ამდენი ხანია გულს მიღრღნიდა. იქნებ თქვენი „რუბრიკის“ მკითხველი დაფიქრდეს და ჩემი შეცდომა არ გაიმეოროს.

## ბიჭებო, ნუ გრცხვენიათ სიყვარულის

**მე ერთი თბილისელი ბიჭი ვარ, 19 წლის. ვსწავლობ და ერთ საკმაოდ ცნობილ ჯგუფში ვმღერი. რედაქციაში წერილის გამოგზავნა იმიტომ გადავწყვიტე, რომ ერთი მახინჯი „ტრადიცია“ დავარღვიო. გაზეთში გამოქვეყნებულ სასიყვარულო წერილებზე, რომელთა ავტორებიც ჩემი თანატოლები არიან, ხშირად ქირქილებენ (ისევ ჩემი ტოლები). არადა, დარწმუნებული ვარ, ეს წერილები გულწრფელად არის დაწერილი და ბევრი მათგანი დიდ ტკივილს ატარებს.**

**ბიჭები ნაკლებად წერენ, ვიცი, არ უყვართ თავიანთი დარდის ფურცლებზე გამოხატვა. ის კი არა, საკუთარ გრძნობებზეც იშვიათად ლაპარაკობენ. მე კი მოკლედ მოგითხრობთ ჩემი სიყვარულის ამბავს, რომელიც, სიმართლე გითხრათ, ძალიან მეამაყება.**

წელიწადია, რაც ერთი ლამაზი გოგონა მიყვარს. ვიცი, მას არ ვუყვარვარ. თუმცა იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ჩემ მიმართ გულგრილია. მე კი „ვიბრძვი“, რომ მისი სიყვარული მოვიპოვო და სრულიად არ ვფიქრობ, რომ ეს სათაკილოა.



ახალ წელს ბევრი ვიფიქრე, როგორ მიმეპყრო მისი ყურადღება და მოვიფიქრე: მისი სახლის ეზოში, ქვაფენილზე, დიდი ასოებით დავწერე სიტყვა „მიყვარხარ“ და გუდრონწასმულ ასოებს ზუსტად 12 საათზე ცეცხლი მოვუკიდე. რომ გითხრათ, ძალიან ლამაზი სანახაობა იყო-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ ჩემმა გულის სწორმა რომ დაინახა და მიხვდა ყველაფერს, ეს ჩემთვის უკვე ბევრს ნიშნავდა. ახლა დროდადრო მის კართან მინდვრის ყვავილების თაიგულს ვაწყობ, მერე შორიდან ვუთვალთვალებ, არც ერთხელ არ გადაუგდია, ყოველთვის შინ შეაქვს და ეტყობა, ლარნაკში აწყობს.

ძალიან მიყვარს, მერე რა, თუ მას არ ვუყვარვარ. როგორც გითხარით, ვიმედოვნებ, რომ შევუყვარდები. ვიცი, ქართული სიმღერა ძალიან უყვარს. იმის გამო, რომ საერთო მეგობრები არ გვყავს, დღეობებზე არ მიწევს მასთან შეხვედრა, რომ ჩემი სიმღერით მოვხიბლო. ამიტომ გადავწყვიტე მის ფანჯრებთან მივიდე და ვუმღერო. მეგობარმა მითხრა, ღირსი იქნები, თუ თავზე წყალს გადმოგასხამსო. არც ეგ არის დიდი ტრაგედია. ან კი რატომ უნდა გადმომასხას? მე მგონი, რომ ურიგოდ არ ვმღერი.

მოკლედ, ბევრს აღარ გავაგრძელებ. მხოლოდ ერთს ვიტყვი: ბიჭებო, გვიყვარდეს გოგონები და ნუ შეგვრცხვება ამ გრძნობის გამომჟღავნება.

***ნუკრი აბდუშელიშვილი, თბილისი***

***გვერდი მოამზადა ლია იაკობაშვილმა***





1 ამატის მოსწავლე
2 „ფიატის“ მშობლიური ქალაქი
3 უსინათლოთათვის შრიფტის გამომგონებელი
4 ტიპოგრაფიული შრიფტი
5 ხალხთა ისტორიულად მყარი ერთობა
6 წრეხაზის სიგრძის შეფარდება დიამეტრთან
7 რომაელი იმპერატორი 96-98წ.წ.
8 მდინარე მარკ ტვენის ნაწარმოებში
9 ქალაქი დონეცკი 1924-1961წ.წ.
10 „ბაიერნის“ ფეხბურთელი ... რობერტო
11 ვაკე ადგილი, დაბლობი
12 ურჩხული შოტლანდიის ტბაში
13 ხანმოკლე სტუმრობა
14 ესპანელი ფერმწერი ... გრეკო
15 შლიმანის აღმოჩენილი ქალაქი
16 ბილიარდის აუცილებელი ატრიბუტი
17 გერმანელი ფიზიკოსი
18 საქართველოს ისტორიული მხარე
19 „სევილიელი დალაქი“ (კომპოზიტორი)
20 გაბრიელ შანელის მეტსახელი
21 რუსული ვერტმფრენის მარკა
22 პურეული ნათესის დაჭკნობა
23 პირველი პროლეტარული გაზეთი
24 მდინარე ვოლგის ძვ. სახელწოდება
25 იანის ანტიპოდი
26 ...-პატარძალი
27 ფრანგი მწერალი ... დე მოპასანი
28 მუსიკალური ნიშანი
29 „ლედი ჰამილტონი“ (მსახიობი)
30 მდინარე დარიალის ხეობაში
31 სტილი მე-18 ს-ის ევროპულ ხელოვნებაში
32 რბილი ხაოიანი მატყლის ქსოვილი
33 დედნის პირი
34 დნობით მიღებული ოქროს ნაჭერი
35 კოვბოის თოკი
36 ტაილანდის ძველი სახელწოდება
37 ნოტი
38 ყაზახი პოეტი-განმანათლებელი
39 რძის პროდუქტების ქართული ფირმა
40 პრაქტიკის ანტიპოდი
41 ქართული სამარკო ღვინო
42 რაიმე მექანიზმის ნაწილი
43 შიიზმის მიმდევარი
44 მსახური ბიჭი სასტუმროში
45 ჯუჯა კამეჩი
46 ნარჩენი სითხე კარაქის ამოყვანისას
47 დიდი, მოხრილი, უკეცი დანა
48 „რომეო და ჟულიეტა“ (ტრაგედიის ადგილი)
49 ქრისტიანობისათვის წამებული არაბი
50 ქალაქის ტიპის დასახლება
51 სახელმწიფო აზიაში
52 გამორჩეული სვლა ჭადრაკში
53 ბატონების ნაირსახეობა ... ყვავილა
54 ფიჭური კავშირის ქსელი „...ლაინი“
55 მდინარე რუსეთში
56 „შესანიშნავი შვიდეული“ (პერსონაჟი)
57 ჰერმან მელვილი „... დიკი“
58 სახელმწიფო კრება ძველ რუსეთში
59 პუჩინის ოპერა „...-...-სანი“
60 მდინარე საფრანგეთსა და შვეიცარიაში
61 სოკოს ქსელი პროდუქტზე
62 რუსული თვითმფრინავის მარკა
63 დიდი ჯოხი
64 წინდი







**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. „აელიტა“; 2. პაკისტანი; 3. სი; 4. „ჯიპი“; 5. „მარაკანა“; 6. კანი; 7. თვე; 8. ბალღი; 9. ანი; 10. კურბე; 11. უზი; 12. სკა; 13; ტანი; 14. დუ; 15. იან; 16. ლი; 17. ხე; 18. სე; 19. სინი; 20. „რა“; 21. პეპსინი; 22. ტუტუცი; 23. ანბანი; 24. მგზავრი; 25. პა; 26. არ; 27. ბე; 28. ჩე; 29. ესმა; 30. მამა; 31. იონი; 32. გრეი; 33. ლიონ; 34. მაია; 35. ალია; 36. იელი; 37. ელ; 38. თმა; 39. ფა; 40. თუთა; 41. ლეი; 42. ბია; 43. ვან; 44. სოდა; 45. ბრა; 46. ბესიკი; 47. სიო; 48. ერკერი; 49. მთა; 50. ალი; 51. შალი; 52. ტალი; 53. ალა; 54. პო; 55. ნონა; 56. გალა; 57. კობრა; 58. კიბორგი; 59. ლოძი; 60. ონი; 61. „ეტა“; 62. „ბაუნტი“; 63. სლაი; 64. ენგრი; 65. გოია; 66. სი; 67. ბუ.

1. სათბურა „ცხელი გული“; 2. ჯანდაცვამ არ გამაფრთხილა; 3. ჩაიწიეთ, გეთაყვა, მეგობარს ველოდები; 4. დავაძინებ და გავიპარები; 5. საპნის ოპერა.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.

შეადგინა რამაზ ალანია

# მზე ანათებს, მაგრამ საიდან...

დრომ და არეულმა ცხოვრებამ ბევრს აუბნია თავგზა... სამწუხაროა, რომ ხელოვნება დღეს ცუდ დღეშია... ახალგაზრდებმა კი ხშირად სულაც აღარ იციან, რა ფილმია „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ ან „ფიროსმანი“, „ალავერდობა“, ან „ხარება და გოგია“... ვინ არის მათი და ბევრი სხვა საინტერესო ფილმის რეჟისორი. ვერაფრით მოვახერხეთ, ისე გვეცხოვრა, სამსხვერპლოზე არ მიგვეტანა მაღალი ხელოვნება... ასეთ სამყაროში შემოქმედი ყოველთვის მარტოსულად იგრძნობს თავს. სხვებისათვის გაუცხოებული და აუხსნელი დარჩება მისი სიფიცხე და სასოწარკვეთა. **გიორგი შენგელაია** ისეთი ფილმების რეჟისორია, რომ წესით, უზრუნველად უნდა ცხოვრობდეს და ფილმის გადაღებაც არ ენატრებოდეს, ხელოვნება — ეს მისი სამყაროა... ბავშვობიდან შეზრდილ-შესისხლხორცებული.

— შემოქმედთა ოჯახში ვიზრდებოდი, მაგრამ არ მქონია იმის შეგრძნება, რომ მეც მშობლების გზას გავყვებოდი, — გვითხრა ბატონმა გიორგიმ, — გარემო გავლენას მაინც ახდენდა... ყველას ჰგონია, რომ არაჩვეულებრივი პირობები მქონდა, არადა ტრაგიკული ბავშვობა გავიარე. 41 წლის მამა გარდამეცვალა და 4 წლისა უკვე ობოლი ვიყავი. ამას მოჰყვა ომის წლები. კინო მაშინ საშინელ მდგომარეობაში იყო. სტალინს კინოხელოვნება აგიტაციის საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა და თვითონ კითხულობდა სცენარებს... მთელ საბჭოთა კავშირში სულ თორმეტ ფილმს დგამდნენ... დედაჩემს საერთოდ აღარ იღებდნენ კინოში. როგორმე უნდა ერჩინა სამი შვილი. თუკი რაიმე გააჩნდათ დედაჩემს და დეიდაჩემს — კირას, სულ გაყიდეს. მახსოვს, არაფრით არ უნდოდათ, რომელიმე ჩვენგანი მსახიობი ან რეჟისორი გამხდარიყო. ელდარმა საინჟინრო ფაკულტეტზე ჩააბარა პირველად, მერე მაინც შეცვალა გადაწყვეტილება. მე და ჩემი მეგობრები: გურამ რჩეულიშვილი, ერლომ ახვლედიანი, გოგი ოჩიაური და სხვები, სულ ხელოვნების ირგვლივ ვტრიალებდით. ვკითხულობდით, დავდიოდით თეატრში, მაშინ ხომ არ იყო ტელევიზორი... ჩემ გარშემო ინტელექტუალური წრე იყო შექმნილი, ასე რომ, გეზი, პროფესიის არჩევაში, მარტო ოჯახმა კი არა, გარემომაც მომცა. იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ვიდრე სკოლას დავამთავრებდი, დედა გარდაიცვალა. დავრჩი მარტო. ბიძა და დეიდა მპატრონობდნენ. მაშინ გადავწყვიტე, რომ ჩემს უფროს ძმასთან წავსულიყავი მოსკოვში და ვგიკში ჩამებარებინა — მშობლები რომ მიდიან, ძმა არის უმთავრესი დასაყრდენი...

**— სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობდით, მაგრამ კინოშიც ხშირად გიღებდნენ.**

— ეს სრულიად შემთხვევით მოხდა. არ ვაპირებდი ფილმში თამაშს, მაგრამ მაშინ მე და სოფიკო ჭიაურელი დავუახლოვდით ერთმანეთს, პარალელურ ჯგუფებში ვსწავლობდით. არდადეგებზე ჩამოვედით თბილისში. რეზო ჩხეიძე იწყებდა „ჩვენი ეზოს“ გადაღებას. სოფიკო მაშინვე დაამტკიცეს როლზე. ეძებდნენ მისთვის პარტნიორს. სოფიკოს უთქვამს, — მე მოგიყვანთო. იმხანად მე და გურამ რჩეულიშვილი სცენარზე ვმუშაობდით... ჩამაცივდა სოფიკო, — სინჯებზე წამოდიო. მიმიყვანა ჩხეიძესთან. გადამიღეს სინჯი, კარგად გამოგვივიდა... ისედაც შეყვარებულები ვიყავით და გამოგვივიდოდა, აბა, რა!.. ასე უნებლიეთ აღმოვჩნდი ფილმში. გამეხარდა — მსახიობს ჰონორარს უხდიდნენ. მე მიჭირდა... ამ ფილმის მერე ოჯახიც შევქმენით მე და სოფიკომ, თორემ კინოში თამაშზე წუთითაც არ მიფიქრია... სულ სხვა გეგმები გვქონდა მე და გურამ რჩეულიშვილს.

**— რა გეგმები?**

— ჯერ ერთი, „ალუდა ქეთელაურის“ სცენარზე ვმუშაობდით ერთად. დოკუმენტური სურათიც უნდა გადამეღო, მერე კი დიპლომისთვის — მხატვრული. ბავშვობიდან მიყვარდა ფიროსმანი. დედაჩემის მეგობრები — სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელიაშვილი, ელენე ახვლედიანი — სულ ფიროსმანზე ლაპარაკობდნენ ხოლმე. მათთან და მიხეილ ჭიაურელთან მქონდა ნანახი მისი ნახატები. ძალიან ახლოს იყო ჩემთან ფიროსმანის სამყარო... მე კახეთში გავიზარდე. ესეც გარკვეულწილად მაძლევდა ძალას, რომ ფიროსმანის შესახებ დოკუმენტური ფილმის გადაღებაზე მეფიქრა.

**— სადიპლომო ფილმის — „ალავერდობის“ თემაც ახლობელი იყო თქვენთვის.**

— მე კარგად ვიცოდი, რა იყო ალავერდობა. დედაჩემს ისე უყვარდა ალავერდში სიარული, თუკი ვინმე ჩამოუვიდოდა სტუმრად, აუცილებლად წაიყვანდა... მახსოვს, რიხტერმა და მისმა მეუღლემ, ნინა დორლიაკმა, თედო მალალაშვილმა, ელენე ახვლედიანმა დედაჩემის რჩევით იმოგზაურეს კახეთში. ალავერდში მაშინ საქართველოს ყოველი კუთხიდან მიდიოდა ხალხი. ახლა სადღაა ასე... ჩემს ფილმებშიც ჩანს ეს... იქ მასობრივი სცენები დოკუმენტურად არის გადაღებული. აბა, ამდენი ხალხის მოწვევის საშუალება სად მქონდა!.. ის სცენა თუ გახსოვთ, ორნი რომ ცეკვავენ ალავერდის ეზოში. ქისტები არიან... ერთმა მათგანმა, რამდენიმე წლის წინ თუშური ნაგაზი მაჩუქა. ახლაც მყავს...

**— ცხენის ჭენება და პროტესტი საზოგადოების მიმართ, დარწმუნებული ვარ, ასევე ახლობელი იყო თქვენთვის.**

— მე და ჩემი მეგობრები — ვაჟა გიგაშვილი, ერლომ ახვლედიანი, გურამ რჩეულიშვილი ერთფეროვნებას ვერ ვეგუებოდით. შეუძლებელია ინტელექტუალურ ადამიანს პროტესტი არ გასჩენოდა... გურამ რჩეულიშვილი რომ დაიღუპა, მე და ელდარი სვანეთში ვიყავით. სოფიკოსა და არიადნას ფილმში იღებდნენ. გავცივდი, მაღალი სიცხე მქონდა. ეს ამბავი რომ გავიგეთ, რა თქმა უნდა, იმწამსვე წამოვედით თბილისში, მაგრამ ისე ავად ვიყავი, მაინც ვერ დავესწარი გურამის


ქისტის ნაჩუქარ ნაგაზთან

დაკრძალვას... იმ დღეს რადიოში კითხულობდნენ „ალავერდობას“. გადავწყვიტე, გადამეღო. ცხოვრებაში ხშირად ხდება კარგი დამთხვევები. მაშინ კინოსტუდიის დირექტორად დაინიშნა მიხეილ კვესელავა — უაღრესად ინტელექტუალური და დიდსულოვანი კაცი. წაიკითხა და სამხატვრო საბჭოზე გაიტანა „ალავერდობის“ სცენარი. იქ ერთი ამბავი ატეხეს — აქედან რა ფილმი უნდა გამოვიდესო. მიხეილ კვესელავამ ყური არავის ათხოვა...

**— „ალავერდობაზე“ შემდეგ ანდრეი ტარკოვსკიმ დაწერა — ამ ფილმმა მთელი ეპოქა შექმნაო. მაშინ ამას თუ წარმოიდგენდით?**

— გადაღებულ მასალას ნაწილ-ნაწილ ვგზავნიდი ლაბორატორიაში. ერთხელ მიხეილ კვესელავას ბარათი ჩამომიტანეს: „გიორგი, არაჩვეულებრივი გამოდის“. ამან შიშის კომპლექსი მომიხსნა, თორემ ძალიან ვნერვიულობდი.

**— რამდენი წლის იყავით მაშინ?**

— 25 წლისა. „ფიროსმანი“ რომ გადავიღე, მაშინ 33 წლის ვიყავი.

**— „ფიროსმანი“ ძალიან საინტერესო ფილმია. ავთო ვარაზის გადაღება როგორ გადაწყვიტეთ?**

— ავთო ვარაზს ვიცნობდი, როგორც მხატვარს. მოვიწვიე მხატვრად. ფიროსმანის შემოქმედებას იცნობდა არაჩვეულებრივად, გემოვნებაც ძალიან დახვეწილი ჰქონდა. დავიწყე მსახიობის ძებნა ფიროსმანის როლზე. ამისათვის კარგად მოვემზადე. წავედი მირზაანში. იქ გავიცანი ფიროსმანის დისწული, მეცხვარე ლვთისო. მოხუცი ზვინთან მიწოლილი დამხვდა. სოფლელებმაც მითხრეს და ნიკალას და, ფეფოც ამბობდა თურმე, — ძალიან ჰგავს ბიძამისსო. მართლა არაჩვეულებრივი კაცი იყო, არისტოკრატი გახლდათ. ჯიშიანი კეფა და კეხიანი ცხვირი ჰქონდა. ბევრი რამ მიამბო. ეს იყო ჩემთვის ხელჩასაჭიდი. ის ფირი, რომელზეც ლვთისო გადავიღე, დამიკარგეს. ჩემმა ასისტენტმა, ავთო მაჩაიძემ, მითხრა: რად გინდა, მსახიობს რომ ეძებ, აგერ ავთო ვარაზი, ცოცხალი ფიროსმანი დადისო. დოკუმენტურ ფილმს კი არ ვიღებ-მეთქი, — გავეხუმრე, მაგრამ მერე დავფიქრდი და რჩევაც ჭკუაში დამიჯდა. ავთო ვარაზი საოცრად მოკრძალებული ადამიანი იყო, მისი ფილმში გადაღება ვერ წარმომედგინა. პირდაპირ რომ მომეყვანა გადასაღებ მოედანზე, დაიბნეოდა. მივეცი სცენარი და ვთხოვე, როლზე შინ იმუშავე-მეთქი. მისი ხმის ჩანაწერს რომ მოვუსმინე, მივხვდი, ის იყო, რაც მინდოდა. როლზე მუშაობისას წვეთს არ სვამდა — ფიროსმანის დიდი პატივისცემა ჰქონდა... ვიდრე ფილმს დავამონტაჟებდით, სადღაც გაქრა, ისე ნერვიულობდა... დამთავრდა გადაღება. ნახეს ცეკაში. გამოვიდა საშინელი ამბავი: ეს რა სურათია, ამის გადაღება როგორ შეიძლებოდაო. ავთო ვარაზის ფიროსმანი უცხო იყო მათთვის. თავზარი დამეცა... გავიდა ორი თვე. ელდარმა მითხრა: ასე არ შეიძლება, უნდა ვაჩვენოთ ეს ფილმი კინემატოგრაფისტებსო. აილე და აჩვენე, მე იქ ვერ წამოვალ-მეთქი. გაიმართა პრემიერა. საღამოს დამირეკეს ელენე ახვლედიანმა, სერგო ქობულაძემ და, შენ წარმოიდგინე, ეგნატე ფიფიამაც კი.



ელენემ მითხრა: საიდან იცი ამდენი რამ ფიროსმანზე, რა იცი, ის სიკვდილის წინ რას ფიქრობდა, როგორ ფიქრობდაო... ყველაზე მეტად ეგნატე ფიფიას ზარმა გამახარა. ის თავისი საქმის ფიროსმანი იყო! მითხრა, — შვილო, შენ არ იცი, რა სურათი გადაიღეო. დავმშვიდდი.

**— „ფიროსმანში“ უცნაური, სევდიანი ატმოსფეროა, თითქოს ამინდიც კი სხვანაირია — განყენებული, უმზეო.**

— იგრძენით? ფიროსმანის ნახატებშიც ასეა. ვერ მიხვდები, მზე საიდან ანათებს. გადასაღებად საგანგებოდ ველოდებოდი შემოდგომის უმზეო დღეებს.

**— „ფიროსმანს“ დიდი წარმატება ხვდა.**

— 1974 წელს საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ ინგლისელები და ლონდონის კინოფესტივალისთვის არჩევდნენ სურათს. ეს ფილმი წაიღეს. ამის თაობაზე მოსკოვმა არც შემატყობინა, მაგრამ ინგლისში ატყდა ერთი ამბავი — „ფიროსმანი“ გამოცხადდა წლის საუკეთესო კინოფილმად. აქედან დაიწყო ამ ფილმის წარმატება — მთავარი პრიზი მიიღო ჩიკაგოში, ავსტრალიაში... ბოლოს, რუსებმაც გაუშვეს საჩვენებლად, ოღონდ არა მთავარ ეკრანზე, არამედ კლუბებში. დამირეკა იქიდან კაცმა: მე ფსიქიატრი ვარ, გუშინ საღამოს ფსიქიატრთა კლუბში გვიჩვენეს თქვენი „ფიროსმანი“. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ფსიქიატრებმა მეორედ მოითხოვეს ფილმის ჩვენებაო. ეს დიდი ქათინაური იყო.

**— თქვენ გადაიღეთ „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“. ფილმი, რომელიც ძველი ალბომივითაა. ის ადამიანები თქვენთვის გენეტიკურად ახლობლები არიან, ვისზეც ფილმია გადაღებული. ალბათ ხსოვნაშიც ატარებდით მათ სახეებს.**

— შეგიძლიათ კახეთში, დედაჩემის სახლმუზეუმში, ნახოთ, რა ფოტოები კიდია. ეს ჯიში კომუნისტებმა გაწყვიტეს 1924 წელს. ეს ამბავი ნამდვილად მომხდარა, როგორც ოთარ ჩხეიძემ მითხრა. ლეკო თათაშელის პროტოტიპი ქართლში ცხოვრობდა. ამ ფილმის გადაღების იდეა უფროსმა მეგობარმა — გურამ ასათიანმა მომაწოდა. ოთარ ჩხეიძის „ბორიაყი“ ნოდარ თარხნიშვილმა თარგმნა რუსულად, გურამმა დაბეჭდა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“ და დააწერა, რომ ეს იყო 1905 წლის ამბები და არა 1924 წლისა. გურამმა მითხრა: ნახე, საშენო ამბავია. ლეკო თათაშელი შენი პერსონაჟიაო. წავიკითხე. ეს ამბავი მართლაც ახლობელი იყო ჩემთვის. არა მარტო ხალხი, სახლები, ანტურაჟი, ავეჯი... უნდა გენახათ, როგორ ვეძებდი სახლებს... რა დღეში ვნახე მუხრან-ბატონების სახლი მუხრანში, წინამძღვრიშვილების სახლი წინამძღვრიანთკარში. სოფელ დიღომში ვნახე მღვდლიანთ სახლი... ის სახლები ადამიანებივით იყვნენ. მოგინდებოდა მათთან ლაპარაკი, მათი სიჩუმის მოსმენა, ვარამის გაზიარება...

ბერლინის ფესტივალზე საუკეთესო რეჟისურისათვის პრიზიც მიიღო ამ ფილმმა.

**— თქვენ ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებული ფილმები გაქვთ.**

— კინოში მარტო „ალავერდობითა“ და „ფიროსმანით“ ვერ იარსებებ. „ჰაჯი მურატის“ გადაღება მინდოდა. ვერაფრით გავიტანე... ვიღებდი „ვერის უბნის მელოდიებს“, „ხარება და გოგიას“, „მაცი ხვიტიას“... მათზეც ისევე ვმუშაობდი, როგორც არაკომერციულ ფილმებზე, მთელი მონდომებით... ჩემი საყვარელი რეჟისორია ჯონ ფორდი, რომელიც ვესტერნებსაც იღებდა. კომერციულ სურათებს არ ვერიდებოდი, მაგრამ საინტერესო სიუჟეტს ვარჩევდი.

**— ახლა რას აკეთებთ?**

— ძალიან მძიმე ცხოვრება მაქვს. გამოცდილება დამიგროვდა. ყოველ წელს ფილმს უნდა ვიღებდე, მაგრამ რა... ვარ მაწანწალას როლში. კარგი სცენარი მაქვს, წელიწად-ნახევარია, ვაგროვებ ფულს, მაგრამ ჯერ ვერაფერს მივაღწიე.

**— არაკომერციული ფილმის სცენარია?**

— კომედიაა. გავითვალისწინე, რომ პროდიუსერი ფულს არ მომცემს, თუ მაყურებელს არ მიიზიდავს. ეს ფილმი რუსეთის ბაზრისთვის მაქვს გამიზნული. ვიწვევ რამაზ ჩხიკვაძეს, კახი კავსაძეს, ოთარ მეღვინეთუხუცესს... ველოდები რუსეთიდან თანხის ორ მესამედს. ეს დროც გაჭიანურდა... უკვე აღარ ვიცი, რა ვქნა...

**— სოფელ დიღომში ცხოვრობთ, ეზო დამუშავებული გაქვთ. თვითონ ეწევით მეურნეობას?**

— დიდი ოჯახი მაქვს... მივდექი, მოვდექი. დავიწყე კომერცია. ღვინოს ვყიდდი მოსკოვში. ვყიდულობდი მასალას და ვასხამდი ბოთლებში, ჩემი სახელით, ეტიკეტით ვგზავნიდი მოსკოვის რამდენიმე მეურნეობაში. ბოლო 6-7 წელი მაგით ვარსებობდი. ახლა ჩემი მასშტაბის ღვინის მიმწოდებელს ყველა გზა დაეკეტა. დიდი რაოდენობით უნდა აწარმოო და გაგზავნო, რომ გაიყიდოს... რაკი ეს აღარ გამომივიდა, გავაშენე ვენახები ახაშენში. 5 ჰექტარი ვენახი მაქვს და მინიმალურ შემოსავალს მაძლევს. ჯერჯერობით ჩვენი კინოსურათები რუსეთში იყიდება და ეს გვეხმარება. აქ ჩვენი ტელევიზიები იხდიან კაპიკებს. სოფელ დიღომში ცხოვრებას რაც შეეხება, ქალაქში მაქვს ბინა, მაგრამ ვერ გადავდივარ იქ. მაღიზიანებს ქალაქი. აქ სიწყნარეა, სიჩუმე, უბრალო და კარგი ხალხია. დილით გავდივარ „ბირჟაზე“, ვლაპარაკობ მათთან... მომწონს აქ ყოფნა, აქ ყველაფერი ბუნებრივია.

**— ბატონო გიორგი, თქვენზე ამბობენ, მძიმე ხასიათი აქვსო...**

— საიდან მოიტანეთ, ვინ ამბობს, რომ მძიმე ხასიათი მაქვს?

**— იქნებ ხასიათი იმანაც გაგიფუჭათ, რომ დედა ასე ტრაგიკულად დაგეღუპათ, ის კი, როგორც ამბობენ, განსაკუთრებით ახლოს იყო თქვენთან...**

— მართალია, დედის გარეშე ნაბიჯს არ ვდგამდი... მძიმე ხასიათზე რა გითხრათ. საერთოდ, ინტელექტუალის ცხოვრება მძიმეა. ყველა ადამიანთან ურთიერთობა უჭირს. სიმარტოვისკენ მიდრეკილება აქვს ასეთ ხალხს...

**— თქვენ მარტო ხართ?**

— შვილები მყავს, შვილიშვილები... სიმარტოვე ამაზე არ არის დამოკიდებული. ჩემი ძმა, ელდარი, უფრო კონტაქტურია... მე სხვანაირი ვარ. თავიდანვე ვერ ჩავერთე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რა ჰქვია ამას, ვერ გეტყვით... უბრალოდ, ასეთი ვარ...

P.S. გიორგი შენგელაია შეიძლება ცოტა უცნაური კაცი იყოს, შეიძლება რაღაც ვერ გაიგო და ვერ ახსნა მისი ხასიათისა, მაგრამ ერთი კი ცხადია, მისი „ფიროსმანისა“ არ იყოს, სინათლე ჩანს, საიდან მოდის — ვერ გეტყვით...

**ლელა ჯიყაშვილი**




ლია ძნელაძემ ამ ექვსი წლის წინ ქმარი დაკარგა. დიახ, დაკარგა, ანუ ზურა კი არ გარდაიცვალა, არამედ უცხო ქვეყანაში გადაიხვეწა, რათა იქიდან დახმარებოდა ცოლს და პატარა, 2 წლის შვილს, სანდროს. საზღვარგარეთ წასვლა თავად ზურამ მოინდომა, რადგან ბიზნესში ხელმოცარულს იმხელა ვალი დადეთ, დილიდან საღამომდე მევალე მევალეზე აკითხავდა. მან თავს უშველა. წავიდა და წავიდა, ოჯახს კი წლების მანძილზე არათუ დაეხმარა, აღარც შეეხმიანა.

— ჯერ ახლა როგორი მდგომარეობაა საქართველოში და ამ 8-9 წლის წინ მოგეხსენებათ, რაც იქნებოდა! — მიამბობს ლია. — ზურამ აიჩემა, ბიზნესს ხელი თუ არ მოვკიდე, ისე არაფერი გამოვა, დღეს მხოლოდ ყიდვა-გაყიდვით თუ არჩენ ოჯახსო. ბავშვს ყელფუებოდა, ოჯახს, რა თქმა უნდა, მეც უფრო მეტი დასჭირდებოდა, ჩვენს მშობლებსაც უჭირდათ, ამიტომაც არ შევეწინააღმდეგე. თანაც ზურასი ძალიან მჯეროდა. მეგონა, რომ იგი ყველაფერს შეძლებდა.

თავდაპირველად საქმე აეწყო. მართალია, იმდენი ვერ დაგვიტოვა, რასაც ზურა ვარაუდობდა, მაგრამ არა უშავდა რა. ამასობაში სანდროც დაიბადა. ძალიან ბედნიერები ვიყავით, მაგრამ ეს ბედნიერება მხოლოდ სამი თვე გაგრძელდა. ზურამ პროცენტიანი ვალი აიღო, მეორედ აღარ გაუმართლა და ჩავარდა. კინალამ გაგიჟდა, მაგრამ ამით ხომ ვერ უშველიდა საქმეს? 3-ოთახიანი ბინა გარეუბანში, ერთოთახიანზე გავცვალეთ, მაგრამ ვალი მაინც ვერ დავფარეთ. ჩემი დედამთილ-მამამთილი სოფელში წავიდა... ზურა მამშვიდებდა, — ნუ გეშინია, ყველაფერს თავიდან დავიწყებ და უკეთეს ბინას ვიყიდიო, მაგრამ დრო გადიოდა, ჩვენი მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. ზურა შინიდან ფეხს ვერ დგამდა. ჩემი მშობლები გვეხმარებოდნენ, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო. უმეტესად მშივრები ვიყავით. პური ნისიად მომქონდა მაღაზიიდან. ზურა კი, ვითომც არაფერია, ისეთი უდარდელი გახდა, სიგარეტის ამოტანას ყოველდღე მთხოვდა. ძველმა მევალეებმა კარი აგვიტალახეს. ერთხელ, ერთი მევალე დილიდან გვიან ღამემდე შინ მეჯდა, ზურამ კი „გმირულად“ გაძლო პატარა საკუჭნაოში. როცა „სტუმარი“ ძლივძლივობით გავისტუმრე და დავარწმუნე, ზურა რაიონშია და ათი დღე არ იქნება-მეთქი, სამალავიდან გამოსულ ქმარს სიცილი აუტყდა, — რა მაგარი მსახიობი ყოფილხარო, თან დაამატა: რაღაც მაჭამე, შიმშილით კუჭი მიხმებაო. შევხედე ზურას და მივხვდი, რომ აღარ მიყვარდა, იმ ერთ დღეში საოცრად დავშორებოდი ჩემი შვილის მამას. მთელი ღამე ტირილში გავატარე. ზურას ერთი დამამშვიდებელი სიტყვა არ უთქვამს, დილით კი გამომიცხადა: ხომ ხედავ, ველარაფერს ვაკეთებ, ახლა შენ გააკეთე, ჩემი იმედით ნუ ხარო. თითქოს სილა გამაწნესო, გახევებული ვიდექი. ჩემთვის ვფიქრობდი, ნუთუ, ეს ის კაცია, რომელიც ასე მიყვარდა, ვინც ქვეყანას მერჩივნა და ვაჟკაცად მიმაჩნდა-მეთქი. რის გაკეთება მთხოვდა, რა უნდა გამეკეთებინა თოთო ბავშვის პატრონს? არადა აშკარა იყო, ზურა მართლაც საოცრად უმოქმედო კაცი გამოდგა, აქეთ ელოდა ჩემგან შველას. მეზობლებთან დავიწყე სიარული, სკოლის მოსწავლეებს 20 ლარად მოვამზადებ ყველა საგანში-მეთქი. ორი მაშინვე დაინტერესდა და ასე დავიწყე კერძო მასწავლებლობა სამეზობ-



# რა ჰქვია ამ კაცის საქციელს?

ლოში; მოსწავლეების მშობლებმა რომ იცოდნენ ჩემი გაჭირვების ამბავი, ხშირად საჭმლითაც მეხმარებოდნენ. ასე გადავაგორე ერთი წელი. ზურამ, აქაოდა, ლიას რაღაც შემოაქვს ოჯახშიო, საერთოდ დაივიწყა საქმე და მევალეებსაც ძველებურად ემალებოდა. ერთხელაც, ყველაზე აგრესიულმა მევალემ მაინც გამოიჭირა იგი შინ დამალული და კატეგორიულად მოსთხოვა ჩვენი ერთოთახიანი ბინის გაყიდვა. ზურა დაეთანხმა, მაგრამ იმ საღამოსვე გამანდო თავისი გეგმა: ფულს თუ მიშოვი, თურქეთში წავალ, იქიდან საბერძნეთში „გავუბერავ“, სადაც ორი მეგობარი მეგულება, სამუშაოს მოძებნაშიც დამეხმარებიან და შენც გაგათავისუფლებ ამდენი გიჟისაგან, თავს დაგანებებენ. როგორც კი საქმეს დავიწყებ, ფულსაც გამოგიგზავნი. რა ვქნა, ბედმა ასე ინება, რომ ცოტა ხნით დავეშორებინეთ, მაგრამ დღეს სხვა გამოსავალს ვერ ვხედავო. ზურას უმოქმედობით ისე მქონდა თავი მობეზრებული, რომ მისი აზრი მომეწონა კიდეც. მართალი გითხრათ, დიდად არ მეიმედებოდა, რომ იქიდან რამეს გამომიგზავნიდა, მაგრამ ის რად მიღირდა, ვალის გამო რომ აღარ შემაწუხებდნენ და არც ასე დეგრადირებული ქმრის ყურება მომიწევდა. ბრილიანტის სამეულიღა მქონდა შემორჩენილი, სხვა ყველაფერი გაყიდული ან ლომბარდში იყო ჩადებული. ბევრი არ მიფიქრია, კარგად გავყიდე. ცოტა მე დავიტოვე, ხუთასი დოლარი ზურას მივეცი. აღარც მკითხავს, სტამბოლში ჩასული როგორღაც აპირებდა საბერძნეთში წასვლას, ან რამდენ ხანს ეყოფოდა ეს თანხა. ასე გავისტუმრეთ იგი. თავდაპირველად თავისუფლად ამოვისუნთქე, რადგან ცოტა ხანში მართლაც თავი დამანებეს მევალეებმა. თვეები რომ გავიდა და არც თურქეთიდან, არც საბერძნეთიდან არ შემეხმიანა, შევფიქრიანდი. გული დამიმძიმდა. ეჭვობდა, სიშორემ კვლავ მაგრძნობინა, რომ მიყვარდა ზურა, რადგან დილიდან საღამომდე მასზე ვფიქრობდი, ვნერვიულობდი. სამი წელი დარდსა და წუხილში გავიდა. ჩვენებმა წელ-წელა შემაპარეს: შეეჭვი, რომ ზურას რაღაც დაემართა და ვეღარ დაბრუნდება. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩემი ქმარი მკვდრად უნდა გამომეცხადებინა. მისმა მშობლებმაც კვერი დაუკრეს ჩვენებს: აბა, კარგი რა უნდა ვიფიქროთ, როცა სამი წლის მანძილზე მისგან ერთი შეტყობინებაც არ მიგვიღია, ასეთი უსინდისო არ გაგვიზრდია, რომ უკან მოუხედავად წასულიყო და ერთხელაც არ მოეკითხა ცოლ-შვილი და მშობლებიო.

ჩემმა მშობლებმა საკუთარი სახლი გაყიდეს და იმ ფულით ერთი ბინა ჩემ უმცროს ძმას უყიდეს (ის ჯერ კიდევ უცოლო იყო), მეორე — მე. რადგან ჩემი დამხმარე არავინ იყო, ჩემთან გადმოვიდნენ. ის ერთოთახიანი არ გამაყიდვინეს, სიბერეში ჩვენ გადავალთ იქ, მანამდე კი გავაქირავოთო. ცოტა ხანში მუშაობა დავიწყე სკოლაში, რუსული ენის მასწავლებლად, კერძო მოსწავლეებიც ავიყვანე. ცოტათი წელში გავიმართე, მაგრამ ის დარდი, რომ ქმარი ასე უგზო-უკვლოდ დავკარგე, ლოდივით მაწვა გულზე.

ორი წლის წინ, ჩემი თანაკლასელი დაბრუნდა საბერძნეთიდან. იგი ქმართან ერთად რამდენიმე წლით იყო წასული. ქეთის ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა. თავისი მიამბო, მერე ჩემი ამბებიც გამომკითხა. დაწვრილებით ვუამბე, რაც თავს გადამხდა. კარგა ხანს იჯდა ჩაფიქრებული. მერე მითხრა, — მთლად დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ ერთი ქართველი ბიჭი გავიცანით მე და კოტემ, ზურა ერქვა, ათენთან სოფელში ერთი, იქ მუშაობდა მშენებლობაზე, ოღონდ მას ცოლი ახლდა თან, ისიც ქართველი, რომელიც იქვე გაუცნია და ცოლადაც მოიყვანაო. ქეთი ჩემს ქმარს არ იცნობდა. ჩანთიდან სასწრაფოდ ამოვიღე ზურას სურათი — ეს ხომ არ იყო-მეთქი. ქეთიმ დახედა და ფერი ეცვალა. ძლივს ამოღერღა: ეს ის არისო. იმ წუთებში, ამდენი ხნის დაკარგული ქმარი ოთახში რომ გამოჩენილიყო, ისე არ გამიკვირდებოდა, როგორც ამ ახალმა ამბავმა გამაოგნა. თურმე ზურა ცოცხალი ყოფილა, თანაც ცოლი მოუყვანია... ქეთი დამპირდა, — ჩემი მაზლი რამდენიმე დღეში აპირებს საბერძნეთში წასვლას და ვთხოვ, იმ სოფელში ჩავიდეს და ნახოს ზურაო.

მშობლებისთვის არაფერი დამიმალავს — მგონი, ცოცხალია, თან ცოლიც მოუყვანია-მეთქი. არ დაიჯერეს — ზურა მაგას არ იკადრებდაო. ქეთის მაზლის გამგზავრებამდე, სოფლიდან ვიხმე დედამთილ-მამამთილი და შვილისთვის წერილი დავაწერინე, მეც მივწერე ჩემი სათქმელი.

თვე-ნახევრის შემდეგ „დაკარგული“ კაცის საპასუხო ბარათი მივიღე — ბოდიშს გვიხდიდა ყველას: მეც, შვილსაც, მშობლებსაც და ყველა ახლობელს იმისათვის, რომ ამდენი ხანი არაფერი შეგვატყობინა. ამას ასე ამართლებდა: საბერძნეთში ბევრია ქართველი, მეშინოდა, რომ მოვალეს ჩემს მოსაკლავად ვინმე არ გამოეგზავნა, ამიტომაც ვმალავდი ადგილსამყოფელსო. თუ რატომ მოიყვანა ცოლი — ამის შესახებ არაფერს ამბობდა. დასასრულს, ბედნიერებას გისურვებო, — მწერდა, ახალ ოჯახზე იფიქრე, მე ჩემი გზა მაქვსო.

ამ წერილის წაკითხვის მერე ზურას დედას გული წაუვიდა, მამამისმა კი — მერჩივნა, მისი სიკვდილის ამბავი გამეგოო.

ამის მერე, სასწაული რომ მოხდეს, ზურა დაბრუნდეს, პატიება მთხოვოს, როგორ ფიქრობთ, ვაპატიებ და შევუნდობ? განა ეს სულში ჩაფურთხებას არ ნიშნავს?

*ძნელია ზურას საქციელს სახელი დაარქვა. ისე, ღირსების დაკარგვაზე საშინელება რა უნდა იყოს? მას ისიც ეყოფა, უღირსებოდ რომ ცხოვრობს, ახლობლების სითბოს მოკლებულია და ფესვებგადაჭრილ ხესავით არის. განა შეიძლება, ახლობლებს გულიატკინო, სული აუფორიაქო და შენი ქვეყნიდან შორს წასულმა ბედნიერება იპოვო?!*

*რა ვიცი, იქნებ, შეიძლება, მე კი ლიას მსგავსად, ძალიან მიკვირს ეს ყველაფერი.*

**მარინა ბაბუნაშვილი**

## გამოხმაურება

# გვიან მივხვდი შეცდომას...

„ძალიან აფორიაქებული ვარ, ასე მგონია, თქვენ რომ ჩემს წერილს წაიკითხავთ, რჩევასაც მომცემთ, რაღაცით დამეხმარებით და ჩემს არეულ-დარეულ ცხოვრებასაც კალაპოტში ჩააყენებთ“, — გვწერს მარი გორიდან.

„მე და რამაზს ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. დაქორწინებას ვაპირებდით, მაგრამ ჩემი ცხოვრება ერთმა საბედისწერო დღემ შეცვალა...

ბიძაშვილთან გავიცანი მისი მეგობარი, გია, რომელსაც უმალ მოვეწონე. უნდა გამოვტყდე, რომ მომხიბლა მისმა სითამამემ, დამოუკიდებლობამ. რამდენჯერმე კაფეში დამპატიჟა, ჩემდა გასაკვირად, უარი ვერ ვუთხარი. მე და გია ერთი თვის მანძილზე ვხვდებოდით ერთმანეთს.

ერთხელ, სეირნობისას, რამაზს შევეფეთეთ. დაიბნა, არაფერი უთქვამს. შინ დაბრუნებულს სადარბაზოსთან დამხვდა და საშინლად მისაყვედურა: ნუთუ, შვიდი წლის სიყვარულს უღალატე, რა მერყევი და ჭკუამჩატე ყოფილხარო. გალახული ბავშვივით ავედი შინ. ისე შევწუხდი, რამაზს რომ გული ვატკინე, ორი დღე საწოლიდან ვერ ვდგებოდი. მესამე დღეს, გია გვესტუმრა და დედაჩემს უთხრა: მე და მარის ერთმანეთი გვიყვარს, ნუ დამიშლით მასთან ურთიერთობასო. დედაჩემი არ მოელოდა ასეთ სითამამეს, გიაც თვალში არ მოუვიდა და კარისკენ მიუთითა. გიას წასვლის მერე, მომდგა: როგორ ახერხებდი ამდენი ხანი რამაზის და ჩვენს მოტყუებას, როგორ თვალთმაქცობდიო. მერე გაბრაზებულმა კარი მომიჯახუნა და სადღაც წავიდა.

ტირილით დაოსებული ვიყავი, გიამ რომ ტელეფონზე დამირეკა. მთხოვა, მეორე დღეს შევხვედროდი. იმ დროს მეგონა, ყველასათვის ზედმეტი ვიყავი და გიას გარდა არავის ვუნდოდი. ამიტომაც მაშინვე დავთანხმდი.

მეორე დილით ჩუმად შევხვდი გიას. იგი მანქანით იყო. არც აცია, არც აცხელა — დღესვე ცოლად უნდა გამომყვეო. დავიბენი და უარი ვუთხარი. გაბრაზდა და თითქმის ძალით შემტენა მანქანაში. სამი დღის განმავლობაში ჩვენები სად არ მეძებდნენ, ჩვენ კი თბილისში ვიმალებოდით. როცა გორში დავბრუნდი, დედაჩემისაგან კარგა გვარიანი სილა მივილე, თუმცა მერე მაინც შემირიგდა, სამაგიეროდ, მამა კარგა ხანს არ მელაპარაკებოდა.

საუბედუროდ, თავგზაარეული და წუთიერ გატაცებას აყოლილი გოგოები გვიან ხვდებიან თავიანთ შეცდომებს. ასე დამემართა მეც. ერთ თვეში ის სიმპათია მთლიანად დავკარგე, რაც გიას მიმართ გამაჩნდა. ილუზია იმისა, რომ იგი იყო დამოუკიდებელი და ვაჟკაცური ბიჭი, მირაჟივით გაქრა — ეს „ვაჟკაცური“ ბიჭი ჩვეულებრივი ნარკომანი გამოდგა, თან პათოლოგიურად ეჭვიანიც. ხშირად, უმიზეზოდ მეჩხუბებოდა და მცემდა კიდეც. მიჭირდა, მაგრამ მისი ოჯახიდან წამოსვლასაც ვერ ვბედავდი. დედას ვუმალავდი ჩემს დარდს, მაგრამ მაინც გაიგო და სასწრაფოდ წამომიყვანა. გიასთან მხოლოდ სამი თვე დავყავი. როგორც კოშმარი, ისე მაგონდება ის პერიოდი. აქამდე ვერ გამოვსულვარ იმ სტრესიდან...

იცით, რატომ გიამბეთ ჩემი ამბავი? როცა 20-21 წლის გოგო, რაღაცებში ვერ გარკვეულა და ეძებს სწორ გზას, მას ჩხუბი და დაგესვლა კი არ უნდა ახლობლებისაგან, არამედ მხარში ამოდგომა, დაყვავება და საღი აზრის მიწოდება ესაჭიროება. მე რომ უხეშად არ მომქცეოდნენ (რამაზი და დედაჩემი), არ გადავდგამდი ამ საბედისწერო ნაბიჯს. მართალია, ყველაზე მეტად მე დავიჩაგრე, მაგრამ სხვებსაც ხომ ვატკინე გული? რაც გიასგან წამოვედი, უკვე ხუთი თვე გავიდა. რამაზმა ვერ გაძლო (მე ალბათ ვერასდროს გავბედავდი მასთან დალაპარაკებას) და მინახულა. მითხრა, — ძნელია კაცისთვის იმის დავიწყება, რაც შენ გამიკეთე, მაგრამ იმდენად მიყვარხარ, ყველაფერს გაპატიებ. ოღონდ, მითხარი, კიდევ ხომ არ გიყვარს გია, ვერ ავიტან, ისეთი ქალი შევირთო, რომელიც ფიქრებით სხვასთან იქნებაო. ვერაფერი ვუპასუხე, განა იმიტომ, რომ გია მიყვარს (ის არასოდეს მყვარებია), პირიქით, დღე და ღამე რამაზზე ვფიქრობ. ძალიან მიჭირს უმისობა, მაგრამ მოსვენებას არ მაძლევს გიას მუქარა, რომელიც წამოსვლისას დამადევნა: თუ გათხოვდები, არც შენ და არც იმას არ გაგახარებთო. ერთადერთი, რისიც მეშინია, რამაზს არაფერი დაუშავდეს.

როგორ მოვიქცე, გავრისკო და გავყვე საყვარელ ადამიანს ცოლად?

***პატივისცემით — მარი. გორი“***

# დღესაც ბევრი მალავს სიყვარულს...

**შეყვარებულებს თურმე ბევრ რამეზე უწევთ უარის თქმა. მაგალითად, არ შეუძლიათ რომანტიკული მოგზაურობის დროს სამახსოვრო ფოტოების გადაღება და ა.შ.**

**მალული რომანების გმირებთან საუბრის დროს ძალიან ვიხალისე, იმედია, თქვენც არ მოიწყენთ.**

**მაკა (36 წლის):** — ორი წლის გაყრილი ვიყავი ქმართან, რომ შევხვდი ადამიანს, რომელიც ზოგჯერ ჩემი მეორე „მე“ მგონია. ერთმანეთი ძალიან გვიყვარს, ისე, როგორც 17-18 წლის ქალ-ვაჟს, არადა მას ოჯახი ჰყავს, შვილები ეზრდება ისე, როგორც მე და ამიტომაც ჩვენი რომანი მიმალულ-მიჩქმალულია. რესტორნებში, ვითომ საქმიანი შეხვედრები გვაქვს, საქაღალდეებითა და დოკუმენტებით დატვირთული ვხვდებით ერთმანეთს და ვინმე ნაცნობს თუ დავლანდავთ, მყისვე მათ დასანახად ვაფრიალებთ ფურცლებს...

**ლევანი (42 წლის):** — დიდი ხანია მე და ჩემს ცოლს სიყვარულის ნატამალიც კი აღარ შემოგვრჩა. ამიტომაც ის თავისთვის ცხოვრობს, მე — ჩემთვის. მხოლოდ შვილების გამო ვრჩებით ცოლ-ქმრად. ბავშვებს სულ იმის ეშინოდათ, რომ დავშორდებოდით. ამიტომაც შევთანხმდით ქორწინების შენარჩუნების ამ უცნაურ მოდელზე. მყავს საყვარელი, რომელიც მართლა ძალიან მიყვარს. სიამოვნებით ვიცხოვრებდი მასთან სამუდამოდ, მაგრამ შვილებს ვუმალავ, ჯერ იმ ასაკისანი არ არიან, ყველაფერი გაიგონ. ამიტომაც იძულებული ვარ, დავმალო ჩემი გრძნობა. თანაც გული მტკივა, რომ ჩემს უძვირფასეს ადამიანს, ქალს, რომელსაც ჩემი ყველაზე კარგად ესმის, ბევრ სიამოვნებას ვაკლებ ასეთი საქციელით.



**ენდი (38 წლის):** — ძალიან მიყვარს მოგზაურობა და ჩემს მეგობართან ერთად (რომელთანაც უკვე სამი წელია რომანი მქვს) ხშირად დავდივარ ხოლმე უცხოეთში. ფოტოების გადაღებაც ძალიან მიყვარს, მაგრამ თითქმის არც ერთი მოგზაურობის დროს არ შემიხედავს ობიექტივისთვის. ჩვენი რომანი გასაიდუმლოებულია და რადგან ერთად ფოტოების გადაღება არ შეგვიძლია, არც ცალ-ცალკე გვიჩნდება ამის სურვილი. საქართველოში კი ისეთ უკაცრიელ ადგილებზე ვხვდებით ერთმანეთს, სურვილიც რომ გაგვიჩნდეს, ერთად სურათის გადაღების, მესამე კაცს ვერ ვიპოვით, ვინც ამ საქმეში დაგვეხმარება.

**მეგი (26 წლის):** — მე და ჩემს შეყვარებულს სიყვარულის მალვა იძულებით გვიწევს. მამაჩემს და ჩემს სამამამთილოს საერთო ბიზნესი ჰქონდათ. მერე რაღაც მოხდა და ერთმანეთს თითქმის სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ. მოკლედ, ჩვენი რომანი დაახლოებით ისე ვითარდება, როგორც რომეოსა და ჯულიეტასი. მამაჩემი ჩემი შეყვარებულის ოჯახის წევრებს ვერ იტანს, სამამამთილოს კიდევ ჩვენი ოჯახი სძულს. შავ დღეში ვართ. რაც არ უნდა ქნან, მაინც დავქორწინდებით. გადავწყვიტეთ, უცხოეთში ვიცხოვროთ მანამ, სანამ უფროსები გონზე არ მოვლენ. მანამდე კი ასე მალვით ვხვდებით ერთმანეთს, თორემ ვინმემ რომ დაგვინახოს და ჩვენს მამებს მიუტანონ ამბავი, მეც და ჩემს საქმროსაც ალბათ ცხრაკლიტულში გამოგვკეტავენ.

**გიო (21 წლის):** — ძალიან მიყვარს ერთი გოგო, მაგრამ არ ვამხელ. ისე ვიქცევი, თითქოს არც მაინტერესებს, ჩუმად ვაკვირდები, ვსწავლობ, როგორია. სიყვარული კაია, მაგრამ უფროსებისგან მსმენია, თუ კარგად არ დააკვირდები და გრძნობას აჰყვები, მერე შეიძლება ინანოო. არ მინდა ვინანო და ამიტომაც ჯერ „ვზომავ“, ათასზე რომ ავალ (იცინის), მერე „გავჭრი“. რუსთაველს ვუჯერებ. არ მომწონს „უგულო ხვევნა-კოცნა და მტლაშა-მტლუში“. რა ვქნა, ასეთი ძველმოდური ვარ.

**ანა (19 წლის):** — მე და ჩემი შეყვარებული გულმოდგინედ ვმალავთ სიყვარულს — გათვალვის გვეშინია. თანაც არ გვინდა ჩვენი ამბების გაბაზრება, რომ ვილაცებს საჭორაო მივცეთ. წარმოიდგინეთ, ერთ დღეს დაქორწინებას რომ გადავწყვეტთ, ჩვენს ახლობლებს რა დაემართებათ — ეს მათთვის ნამდვილი სიურპრიზი იქნება...

**ეკა ლიჩელი**

# ქერა თმა წარსულს ჩაჰბარდა



*საქტელერადიო დეპარტამენტის თავმჯდომარედ კვლავ ზაზა შენგელიას დანიშვნის შემდეგ თბილისში ხუმრობენ — მიხეილ სააკაშვილმა შენგელია პოსტზე უიტნი ჰიუსტონის რეკომენდაციით დააბრუნაო. როგორც ჩანს, ჭორის საბაბად იქცა მოსკოვში თითქმის ერთსა და იმავე დროს სააკაშვილის, შენგელიასა და ჰიუსტონის სტუმრობა. ასეა თუ ისე, სახელმწიფო ტელევიზიას ახალი, ძველი შეფი ჰყავს და როგორც ირკვევა, პირველი არხის ეთერს ახალი, ძველი სახეებიც დაუბრუნდებიან. მათ შორის პირველი ინგა გრიგოლიაა, რომელმაც უკვე მიიღო გადაწყვეტილება და ტელეკომპანია „მზეს" ტოვებს. მაშ ასე, „ღამის მზერა" წარსულს ჩაჰბარდა. „მზე" კი ინგა გრიგოლიას გარეშე ამოვა და ჩავა. გთავაზობთ ინტერვიუს ინგა გრიგოლიასთან, რომელიც ძალიან კმაყოფილია სახლით და „საბრძოლო ძალების" მოსაკრებად უკვე დასასვენებლადაც გაემგზავრა.*

**— ინგა, ეი. ბრუნდები „პირველ არხზე," რომელიც ზაზა შენგელიას თქმით, უნდა გადაკეთდეს საზოგადოებრივ ტელევიზიად. რას გულისხმობს ეს სახელი?**

— ზაზას ნაცვლად რაიმეს თქმა გამიჭირდება, მაგრამ მას სერიოზული გეგმები აქვს. ეს გეგმები მას ჰქონდა რამდენიმე წლის წინაც, მაგრამ ხელისუფლებამ მაშინ ვერ დათმო სამთავრობო ეთერი და ზაზას მიზნებიც ვერ განხორციელდა. ახლა, როგორც ვხვდები, მისი დაბრუნება იმან განაპირობა, რომ დარწმუნებულია ახალი პროექტის განხორციელებაში. ეს ურთულესი პროცესი იქნება, რადგან პრაქტიკულად შეიქმნება ახალი არხი. ვფიქრობ, ახალი ხელისუფლება კეთილგონიერებას გამოიჩენს და ზაზას ამაში ხელს არ შეუშლის.

**— შენ რა უნდა გააკეთო, რა პროექტს უხელმძღვანელებ?**

— კონკრეტულად ჯერ ვერაფერს ვიტყვი, რამდენიმე პროექტი განვიხილეთ, შესაძლოა, ისინი კიდევ შეიცვალოს. ამ პროექტებზე ნებისმიერ ჟურნალისტს გაუჭირდება უარის თქმა. სხვათა შორის, პირველად ხდება, რომ ძველთან შედარებით ნაკლებად ანაზღაურებად სამსახურში მივდივარ. არადა, სამსახურის გარდა სხვა შემოსავალი არა მაქვს. მაგრამ ისეთი საინტერესო პროექტები აქვს ზაზას, რომ უარი ვერ ვთქვი. ალბათ, ვიმუშავებ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ პროგრამაზე, რადგან მე მაინც პოლიტიკური ჟურნალისტი ვარ. მიხარია, რომ ზაზამ დანიშვნისთანავე სათანამშრომლოდ მიხმო. მას სურს, ბევრი პოპულარული და ცნობილი სახე მოიწვიოს, მე კი დღის თემებზე მუშაობას ღამის ეთერში აღარ ვაპირებ. ერთფეროვნება ყელში ამომივიდა. „მზეშიც" სულ ვთხოვდი ბატონ ვანო ჩხარტიშვილს, გადაცემის ფორმატის შეცვლას. შეიძლება ეს მომხდარიყო კიდეც, მაგრამ ზაზამ რომ დამიძახა, ამან დიდი როლი ითამაშა, „მზის" ახალ პროექტზე აღარც მიფიქრია, ისე დავთანხმდი, ბოლოს და ბოლოს, ის არის ადამიანი, რომელმაც ეკრანული ინგა გრიგოლია შექმნა. ჩემი წყალობით კი უამრავი პრობლემა შეექმნა ძველ ხელისუფლებასთან. ამაზე ხმამაღლა არ ვლაპარაკობდით. თავის დროზე, როცა მას ჩემი კარიერა მივანდე, არ წავაგე და ვფიქრობ, არც ახლა წავაგებ.

**— დღეს „ღამის მზერისა" და ღამის „კურიერის" დახურვის შემდეგ ბევრს ლაპარაკობენ, რომ ეს ხელისუფლების ზეწოლით მოხდა. ვიცი, რომ თვითონაც უამრავი კითხვა გქონდა ამ საკითხზე, მიიღე პასუხები?**

— ბევრი კითხვა კვლავაც უპასუხოდ დარჩა, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ხელისუფლების მხრიდან ინგა გრიგოლიას მიმართ არანაირი ზეწოლა არ ყოფილა. თუმცა, ნამდვილად არ ვიცი, რატომ მოიხსნა გადაცემები. ფაქტია, რომ ბოლო დროს ძალიან მწვავე საკითხები გამოგვქონდა ღამის ეთერში, რაც ალბათ არ ესიამოვნებოდა ხელისუფლებას.

**— ეთერში საკმაოდ დაბნეული ჩანდი, როცა განაცხადე, რომ „ღამის მზერა" დაიხურა.**

— იმ საღამოს გავიგე ეს გადაწყვეტილება და აბა, რა დამემართებოდა. „მზე" ალბათ მოამზადებს ახალ პროექტს, რაც მე ბოლო „ღამის მზერაში" ვაცნობე მაყურებელს, თუმცა იმ საღამოს არ მითქვამს, რომ ჩემთან ერთად გავიდოდა ახალი პროექტი „მზის" ეთერში, რადგან ზუსტად ვიცოდი, მას რომ არ წავიყვანდი.

**— ინგა, „მზის" ეთერში გასვლამდე მახსოვს, გინდოდა რაღაც სიახლე შეგეთავაზებინა მაყურებლებისათვის. „ღამის მზერა" კი ძალიან ჰგავდა „ღამის მოამბეს". რამ განაპირობა ეს?**

— იმან, რომ ეთერში გასვლამდე თვე-ნახევრით ადრე ტელეკომპანიის ხელმძღვანელობამ შეცვალა გადაწყვეტილება და კინაღამ მოვკვდი ნერვიულობით. დავთანხმდი იმ მოტივით, რომ 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ ფორმატს შევცვლიდით. მაგრამ... აი, ის პროექტი რომ გამეკეთებინა, ალბათ ზაზასთვის თანხმობის მიცემა დღეს გამიჭირდებოდა.

**— რეპორტიორობა აღარ გინდა გაიხსენო?**

— ძალიან მინდა და სანამ ახალი გადაცემა გავა ეთერში, რეპორტაჟებზე აქტიურად ვიმუშავებ. უკვე რაღაცები დავგეგმე, განხორციელებას დასვენების შემდეგ შევუდგები. ბევრჯერ მომნატრებია „პირველ არხზე" მუშაობა და კმაყოფილი ვარ ჩემი გადაწყვეტილებით. მე ვბრუნდები არხზე, სადაც ინგა გრიგოლია შედგა.

**— იმიჯის შეცვლას თუ აპირებ?**

— გადაჭრით ვერაფერს გეტყვი, ზაზას რაღაცები ჩემს ნაკლად მიაჩნია. მოითხოვს ხოლმე მისი თვალით დანახული ნაკლოვანებების დახვეწას და ეს ფაქტორი კვლავაც იარსებებს. ისე კი მეეჭვება ჩემი მთლიანად შეცვლის სურვილი ჰქონდეს. მეტყველება, აზროვნება, მანერები და მიმიკები არა მგონია გამოვცვალო. ალბათ უფრო შინაარსობრივ დახვეწაზე ვიმუშავებ.

**— თმის ფერს ხომ არ შეიცვლი?**

— არა, ქერა თმა წარსულს ჩაჰბარდა, ახალ ფერში იმდენი ფული მაქვს გადახდილი, რომ მას არც ერთი ტელევიზიის გამო არ შევიცვლი.

# ზოგიერთი ქართული სიმღერა სვეტიცხოველზე გაცილებით ძველია...

## როცა ქვეყანას უჭირს, გენი იღვიძებს და ამღერებს ხალხს



*ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლების ხელმძღვანელები ჩვენში, ტრადიციისამებრ, 40 წელს გადაცილებულები არიან. „ლაშარის" ხელმძღვანელი გიორგი უშიკაშვილი კი სულ 25 წლისაა. თუმცა, აზროვნების სიღრმით, თავის ასაკს ზედმიწევნით უსწრებს წინ. არაჩვეულებრივ ხმასთან ერთად იგი დიდი ეროვნული სულისკვეთების მატარებელია...*

— დავიბადე და გავიზარდე ახმეტაში, მუსიკალურ ოჯახში და, როგორც ჩანს, სიმღერის ნიჭიც მემკვიდრეობით მერგო. დედა, მუსიკის პედაგოგია, ძალიან იყო მონდომებული, სიმღერა გვესწავლა მე და ჩემს დას, რომელიც ამჯერად ბოსტონში სწავლობს, პიანისტია. ჩემს ბავშვობაში ახმეტაში, მუსიკალურ სასწავლებელში ჩამოდიოდნენ ცნობილი მუსიკოსები და მასტერკლასებს უტარებდნენ ბავშვებს. მათ ურჩიეს დედას, თბილისში ანსამბლ „მართვეში" ჩემი მიყვანა. მამა აღფრთოვანებული იყო, მუსიკისადმი მიდრეკილებას რომ გვამჩნევდა. მან სახლის ერთი ნაწილი მოანგრია კიდეც და გააკეთა სცენა, სადაც ოჯახში სტუმრიანობის დროს გვამღერებდა ხოლმე. „მართვეში" გასასინჯად რომ ჩამომიყვანეს, მაშინ ვნახე პირველად თბილისი. შესანიშნავად აეწყო ყველაფერი. იმ წელს „მართვე" წავიდა იაპონიაში და მეც ახმეტიდან პირდაპირ ტოკიოში აღმოვჩნდი. ამაზე ბევრს ხუმრობდნენ მაშინ „მართვეს" ბიჭები.

**— ჩვენში რატომღაც ყველას საესტრადო მუსიკისაკენ მიუწევს გული, რამ განაპირობა ფოლკლორისკენ შენი ლტოლვა?**

— არსებობს მოსაზრება, თითქოს დღეს ხალხური სიმღერის კარგი შემსრულებლები აღარ გვყავს. მართლაც, პირველი ხმები აღარ არის. კრიმანჭულის შემსრულებლებს ვეღარ პოულობენ და ა.შ. ეს იცით, რისი ბრალია? რეგიონებში, სადაც გენიალური მომღერლები იბადებოდნენ, ინტერესი აღარ არის ხალხური სიმღერის მიმართ, მშობლებს აღარ მიჰყავთ ხალხური სიმღერის სასწავლებლად ბავშვები, თორემ მეორე ჰამლეტ გონაშვილიც დაიბადება... ჩვენს ბავშვობაშიც არსებობდა საესტრადო მუსიკა, მაგრამ უფრო მეტი ინტერესი ხალხური სიმღერის მიმართ იყო, რადგან ჩემი მშობლების მსგავსად, ბევრს ჰქონდა შეგნებული ხალხური სიმღერის სწავლის აუცილებლობა. ეს ჩვენი მუსიკალური დედაენა, საგანძურია. თავიდანვე განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა ამ ფენომენის მიმართ. ალბათ ჩემი ასაკისთვის შეუფერებელი სერიოზულობაც განაპირობებდა ამას.

**— იქნებ ქართული ხალხური სიმღერის ერთი თვისება ისიცაა, რომ ადამიანს უფრო აკეთილშობილებს, ღრმას ხდის?**

— ცნობილი ფაქტია, მუსიკას დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს და თანაც არა მარტო მელოდიას, არამედ ტექსტსაც. რას უსმენს ადამიანი, ამას ქცევაზე, ხასიათზე შეატყობ. მე ვასწავლი 4 წლიდან 16 წლამდე ასაკის ვაჟებს. ხალხური სიმღერის შესასწავლად რომ მოვიდნენ, დღევანდელისგან განსხვავებულად აზროვნებდნენ. მშობლები მეუბნებიან — ჩვენი შვილები უკვე ზოგადსაკაცობრიო თემებზე მსჯელობენ, სულ შეიცვალნენო. ზოგიერთი ქართული სიმღერა არქაულ ხანაში არსებობდა. წარმოიდგინეთ, საუკუნეთა სიღრმიდან იგი დღემდე ზეპირსიტყვიერებით, სმენით, მეხსიერებით მოვიდა. რამდენი ადამიანის ტვინში გაიარა, რამხელა ინფორმაციის მატარებელია თითოეული ბგერა, ყველა მომღერალი მას რაღაცას ამატებდა. წარმოიდგინეთ, რამდენად სრულყოფილია იგი. როცა ამ სრულყოფილებას ეხები, სწავლობ მას, შენში შემოდის რაღაც ძალა, რომელიც გიყალიბებს ეროვნულ ცნობიერებას. ვინც ხალხურ სიმღერას სწავლობს, ხვდება, რომ ქართველებს წინათ სუფრის მიმართაც სხვა დამოკიდებულება ჰქონდათ, მუსიკით საუბრობდნენ, ილხენდნენ, დღეს კი ღრეობენ. უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის მფლობელები ვართ, მასში საოცარი წესრიგი იგრძნობა. დღეს კი ზოგადია ყველაფერი. 14 წლის ბავშვს თანამედროვე სიმღერები იმიტომ მოსწონს, რომ მის ტექსტებში მოთხრობილ პრობლემებში საკუთარ პრობლემებს ხედავს. „ჩაკრულოს" ტექსტში კი იგი თავის პრობლემას ვერ ხედავს და გლობალურად აზროვნებაც უჭირს.

**— ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ თანამედროვე მუსიკის მოზარდი ფანები დეპრესიისთვის არიან განწირულნი. „ჩაკრულოს" მსმენელი თავს მარტოსულად კი არა, სამყაროს ნაწილად გრძნობს და უფრო ამტანი ხდება...**

— აბსოლუტურად სწორად მიხვდით. ხალხური სიმღერა მარტო გასართობად კი არ არის მოგონილი, იგი ადამიანის აღზრდის შესანიშნავი საშუალებაა. მაგრამ ამას კარგა ხანია ყურადღებას აღარ აქცევენ. იმედი მაქვს, დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ შეიცვლება. მე და ჩემი თანამოაზრეები არასოდეს ველოდებით სახელმწიფოსაგან ხელშეწყობას და მიუხედავად ყველაფრისა, ვიზრუნებთ ამ ფენომენის განვითარებაზე. მუდამ იარსებებს ხალხიც, ვისაც ექნება ქართული ხალხური სიმღერის შესწავლის სურვილი. მაგრამ ისინი, ვისაც არ აინტერესებს ხალხური სიმღერა, ვფიქრობ, დიდ სიმდიდრეს და სიამოვნებას კარგავენ. რაც მთავარია, ქვეყანა კარგავს ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილ ადამიანებს. ერთ საინტერესო ფაქტსაც შეამჩნევდით, როცა ქვეყანას უჭირს, როცა იწყება ხალხის მასობრივი გამოსვლები, მღერიან ხალხურ სიმღერას. ამას უდიდესი დატვირთვა აქვს. გენი თავისას შვრება, იღვიძებს და ამღერებს ხალხს.

ეს იცით, რას ჰგავს? იარაღს. ვნებათა დასაოკებელს ან ბრძოლის ჟინის მომგვრელს, მაშინ აღარავის ახსოვს მოდური მუსიკა.

**— რას ნიშნავს მოდური მუსიკა, ეგეც გასარკვევია. თანაც საინტერესოა, შეიძლება ის, რაც დღეს მოდურია, ხვალ კლასიკად იქცეს?**

— თუ ძირი, ანა-ბანა არ იცი, ხელოვნებაში მოდურად შთამბეჭდავსაც ვერაფერს შექმნი. მაოცებს ის ხალხი, ვინც დღეს მოდურ მუსიკას ემსახურება (თანაც მათი უმრავლესობა ვერც მღერის), ისინი გვეუბნებიან — კარგია რასაც აკეთებთ, მაგრამ არაკომერციულიაო. ეს ხალხი ჩვენ ზემოდან გვიყურებს, არადა ჩვენ ვართ შუამავალი, რომელიც ძველისძველ სიბრძნეს გადასცემს მომავალ თაობას, სწორად გამიგეთ, ჩვენ დიდი მისია გვაკისრია.

**— როგორ ფიქრობთ, კარგი ხომ არ იქნება, თუ ხალხური სიმღერის სწავლება სავალდებულო გახდება სკოლაში, სადაც დედაენის შესწავლის პარალელურად ქართული პოლიფონიური სიმღერების იდუმალებასაც ეზიარებიან ბავშვები?**

— შეიძლება ამან გაამართლოს. მაგრამ არა მგონია, დღეს პრობლემის გადასაწყვეტად მხოლოდ ეს იყოს საკმარისი. მე ბავშვებს ვასწავლი ხალხურ სიმღერას და მიკვირს, რომ მათ, მე-9, მე-10 კლასის მოსწავლეებმა, არ იციან რაფიელ ერისთავი და იოსებ ნონეშვილი. მეეჭვება, ამ თაობამ მოინდომოს, ჩასწვდეს პოლიფონიის საიდუმლოს და „ქართველო, ხელი ხმალს იკარ" ისწავლოს. სისტემა უნდა ჩამოყალიბდეს სკოლაში, რომლის თანახმად, განათლება საყოველთაო და მისაღები უნდა იყოს ყველასთვის, მაშინ გაამართლებს ხალხური მუსიკის სკოლაში სწავლებაც. მაგრამ აუცილებელია ისიც, რომ რადიოში, ტელევიზიაში მუდამ ისმოდეს ქართული ხალხური სიმღერა, რომ ხალხს სმენაში, მეხსიერებაში გაუჯდეს იგი. ერთხელ რადიო „ფორტუნაში" მიმიწვიეს და მხოლოდ მაშინ გაუშვეს ეთერში ხალხური სიმღერა. იცით, რამდენმა ტინეიჯერმა, თანაც გოგონამ დარეკა? ძალიან კმაყოფილები იყვნენ. საზოგადოება მზად არის ხალხური სიმღერის მოსასმენად, მოასმენინონ მათ ქართული და ნუ წაალეკვინებენ ეთერს უცხოენოვან მუსიკას, ხშირ შემთხვევაში უგემოვნოს. მერე კი ნუ გაიძახიან ვიღაცები, რომ საზოგადოება ითხოვს ამას. არ არის ასე, რასაც მიაწვდი, ხალხი იმას მოისმენს. ვფიქრობ, ქართული ხალხური სიმღერის დაცვის საკითხი სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა გადაწყდეს. როგორც სვეტიცხოველს აწერია, რომ მას იცავს სახელმწიფო და ხელის შეხება აკრძალულია, ასე უნდა დაიცვან ნებისმიერი ქართული ხალხური სიმღერა, ზოგიერთი მათგანი სვეტიცხოველზე გაცილებით ძველია. ეს სიმღერები ხელთუქმნელი ძეგლებია, რომელიც თაობიდან თაობას გენეტიკურად გადაეცემა.

**— ხალხური სიმღერის გარემიქსებაზე რას იტყვი?**

**მაწუხებს თირკმლები. ანალიზით დამიდგინდა ცილები, ლეიკოციტები, მარილები დიდი რაოდენობით. წამლებით მკურნალობა შედეგს არ მაძლევს. ვეძებ რაიმე ხალხურ საშუალებას, რომელიც დამეხმარებოდა დაავადებისგან თავის დაღწევაში. თუ ვინმემ იცით თირკმლების სამკურნალო ბალახეული რეცეპტი, გთხოვთ მაცნობოთ.**

***ღრმა პატივისცემით თქვენი ერთგული მკითხველი***

**ვარ 70 წლის. მაწუხებს მუცლის შებერილობა და ტკივილი პერიოდულად. როგორც კი ცოტა არადიეტურ საჭმელს შევჭამ, კუჭი მეშლება. ვთხოვ თქვენს მკითხველს, თუ იცის ვინმემ ასეთი დაავადების ხალხური წამალი, მომწეროს, ძალიან შეწუხებული ვარ. ექიმთან მისვლის საშუალება არ მაქვს.**

***პატივისცემით გიორგი ლ.***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## უდანაშაულო დამნაშავე



მედიცინამ უკანასკნელ ათწლეულში ბევრი დაავადება დაამარცხა. მაგალითად, ამერიკელი ნეიროქირურგის, ჯეიმს ადამის კლინიკაში... მორცხვობას კურნავენ.

ჰოლივუდის ვარსკვლავს მერილ სტრიპს ბავშვობიდან აწუხებდა ერთი სენი, რომელიც ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო და უფრო უშლიდა ხელს. საკმარისი იყო, ოდნავი აღელვება და სახე აუფორაჯდებოდა. ყმაწვილქალობაში ამის გამო საქმროც კი დაკარგა. მიზეზი მართლაც რომ ყურით მოთრეული იყო — მერილი თანაკურსელ ვაჟთან ერთად განმარტოებულიყო. ისინი მხოლოდ და მხოლოდ საუბრობდნენ. საქმროს დანახვაზე მომავალი ვარსკვლავი კიბოსავით გაწითლდა. ჯოზეფ დარკინმა (მერილის საქმრომ) კი ეს სხვანაირად გაიგო და ნიშნობა ჩაშალა... როცა მსახიობი გახდა, მერილი გადაუჭრელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა — საკმარისი იყო, რეჟისორს გადაღებისას ხმა აემაღლებინა, რომ მსახიობი ერთიანად გაჭარხლდებოდა. მეტიც, კვირაობით შინიდან ვერ გამოდიოდა — სახე ხომ აწითლებული ჰქონდა, ცხვირიც პომიდორივით ულალანებდა — იფიქრებდით, დღედაღამ ლოთობსო. ამის გამო მომგებიანი კონტრაქტიც კი ჩაეშალა, როლი სხვას არგუნეს. მხსნელად ნეიროქირურგი ჯეიმს ადამსი მოევლინა. მას ერითროფობიის (ვეგეტაციური ნერვული სისტემის დაავადება, რომელიც სტრესულ სიტუაციებში ძლიერი აწითლებით გამოიხატება. სისტემის მექანიზმი ამ დროს ავტომატურად, ადამიანის ცნობიერების ჩაურევლად მუშაობს) მკურნალობის ქირურგიული მეთოდი ჰქონდა შემუშავებული. ადამსს ერითროფობიით დაავადებული უამრავი პაციენტი ჰყოლია. ეს სენი განსაკუთრებით ე.წ. საჯარო პროფესიების მქონე ადამიანებს აწუხებთ. ადამსმა დაავადება დეტალურად შეისწავლა და დაასკვნა, რომ მისი განკურნება ქირურგიული გზით შეიძლება. მეთოდს „ენდოსკოპური სიმპათექტომია“ ჰქვია. ოპერაცია საერთო გაუტკივარებით მიმდინარეობს. პაციენტს გულმკერდის არეს უხვრეტენ, ნახვრეტში წვრილ მილს შეიყვანენ. მილის ბოლოს სინათლის წყარო და ვიდეოკამერაა დამაგრებული, გამოსახულება დიდ ეკრანს გადაეცემა. შემდეგ იღლიის არეში კეთდება მომცრო ნახვრეტები, რომლებშიც საგანგებო ინსტრუმენტებით პაწაწინა ტიტანის კლიფსები შეჰყავთ. სწორედ ისინი ზემოქმედებენ ნერვულ უჯრედებზე და კანის სისხლით მომარაგება წესრიგდება. თუ პაციენტი მსუქანი არ არის, ოპერაცია 15 წუთს გრძელდება. ნაოპერაციებთა 98% სრულიად იკურნება. მერილ სტრიპი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ქირურგიულ ჩარევას დათანხმდა. ახლა იგი უშიშრად გადის გადასაღებ მოედანზე — მღელვარება მის არისტოკრატიულ სიფერმკრთალეს ვერაფერს ვნებს.

***ნიუზ უიქ***

## ჭარაქიმი გვირჩევს

**ზეთისხილის ნაყოფი** ოდითგანვე ცნობილია ორგანიზმისათვის როგორც ძალზე სასარგებლო საკვები. იგი შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინებს, მინერალებს. ანელებს ორგანიზმის დაბერებას, აღადგენს ენერგიას, დადებით გავლენას ახდენს გულის კუნთსა და სისხლძარღვებზე, ამცირებს ქოლესტერინს. ზეითუნის ზეთის მიღება (ერთი კოვზი უზმოზე) სასარგებლოა ღვიძლის, ნაწლავებისა და ნივთიერებათა ცვლის მოსაწესრიგებლად.

**სკლეროზის სამკურნალოდ** გახეხეთ პლასტმასის სახეხზე რამდენიმე სახვი (სანამ ერთ ჭიქა წვენს მიიღებდეთ, აურიეთ ნატურალურ თაფლში და მიიღეთ დღეში თითო კოვზი სამჯერ ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. მკურნალობის კურსია არანაკლებ ორი თვისა. შემდეგ ისვენებთ და იმეორებთ კურსს.

**ღვიძლის სამკურნალოდ** აურიეთ ერთი ჩაის კოვზი კრაზანას, წითელი მოცვის და ჭინჭრის ფოთლები, რამდენიმე ცალი ასკილი, დაასხით ორი ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ სამ საათს, გაწურეთ და მიიღეთ ჭამამდე.

**შარდის ბუშტის ანთებისას** ძალზე დაგეხმარებათ კამა. 1 ჭიქა წყალში მოადუღეთ ორი სუფრის კოვზი კამა მარცვლებიანად. გააჩერეთ 30 წუთს. დალიეთ ნახევარ-ნახევარი ჭიქა დღეში 2-ჯერ 20 წუთით ადრე ჭამამდე.



# იცით თუ არა, რომ...

...იაპონელმა მეცნიერებმა ხელოვნური სისხლი შექმნეს. გადასხმისას იგი ყველა ჯგუფის სისხლს ეთანადება და მოწამვლის საშიშროება გამორიცხულია, რაც ხშირად დონორის სისხლის რომელიმე ვირუსით ინფიცირებისას ხდება. პრეპარატის შესაქმნელად ამომავალი მზის ქვეყნის ბიოლოგებმა გამოიყენეს ალბუმინი — ცილა, რომელსაც სისხლის შრატი შეიცავს. ბიოლოგებმა შექმნეს ნაერთი, რომლის ნაწილაკები ზომით სისხლის წითელ სხეულაკებზე მომცროა. სხეულაკებს ადამიანის ორგანიზმის ჟანგბადით მომარაგება იმ შემთხვევაშიც შეუძლია, როცა სისხლძარღვებში თრომბები წარმოიქმნება. სხეულაკებს თრომბის დაშლაც შეუძლია. აქედან გამომდინარე, ხელოვნური სისხლის გამოყენება შესაძლოა წარმატებით დაინერგოს ინსულტით დაავადებულთა მკურნალობაში.

ხელოვნური სისხლის გამოყენება სამედიცინო დაწესებულებებში ორი წლის შემდეგ დაიწყება.

...მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში პაციენტებს ოპერაცია მხიარული სიმღერების ფონზე უკეთდებათ. ქირურგებმა შენიშნეს, რომ მუსიკა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს პაციენტის ოპერაციისწინა განწყობაზე და შედეგი ხშირად სასიკეთოა. პაციენტები, რომლებიც ოპერაციამდე მხიარულ მელოდიებს ისმენენ, კარგად იტანენ ნარკოზს და არც გართულებები ახლავს ოპერაციის შემდგომ პერიოდს. პაციენტები მუსიკას საყურისებით ისმენენ, რათა ქირურგებს ყურადღება არ გაეფანტოთ.

**ზდოროვიე**


**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ენდოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**



**რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მეწალისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.**



**მრავალი წლის განმავლობაში ამ დაავადებებს დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდებით: მანუალური თერაპია, სამკურნალო მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა, ტრენაჟორები.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე
ალმაშენებლის 90 I სად, II სართ.
ტელ: 95-47-67; 75-06-14 (საღამოს);
899-26-51-08



**პირველად საქართველოში! მხოლოდ ჩვენს კლინიკაში!**

**მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:**

სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

**ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!**

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო ცენტრი, მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, I სართული, კაბ. 2. ტელ: 99 64 99 მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა

**ანონიმურობა დაცულია!**



**სიახლე!**

# რინიქოლდი

სწრაფად გაგივლით გაციების და გრიპის ყველა სიმპტომი!




იკითხეთ აფთიაქებში!

SHREYA LIFE SCIENCES შრეია

ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 877-42-44-50

სერტიფიცირებულია





**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"**

**სექსოპათოლოგიის კლინიკა**
ტელ.: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*

**ვაქცინაციის ცენტრი**
(წინასწარი ჩაწერით) ტელ.: 32 44 78

- ფართო სპექტრის მომსახურება უცხოური ვაქცინებით

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


**დღეს, საყოველთაო გაჭირვებისა და სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის სიძვირის გამო, გახშირდა ბევრი დაავადების ექიმბაშებთან მკურნალობა. დამწვრობის დროს არც თუ იშვიათად მიმართავენ ლიცენზირებულ და შედარებით იაფ საშუალებებს, რასაც უმეტესად სავალალო შედეგი მოსდევს. გთხოვთ გვირჩიოთ, ვენდოთ თუ არა ლიცენზირებულ შინაურ სამკურნალო მალამოებს?**

*ი. ტაგანაშვილი*

**მკითხველს უპასუხებს თერმულ დაზიანებათა და აღდგენითი პლასტიკური ქირურგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ბესიკ იაშვილი:**

— კანის საფარველი ადამიანისათვის სასიცოცხლო ფუნქციას ასრულებს და მისი დიდი ფართის დაზიანება ორგანიზმის ფიზიოლოგიური სისტემის მოშლილობას იწვევს, რასაც სიცოცხლისათვის საშიში გართულებები მოჰყვება. დარგს, რომელიც აღნიშნულ მოვლენებს სწავლობს, კომბუსტიოლოგია ეწოდება. იგი პლასტიკური ქირურგიის განუყოფელი ნაწილია და ექიმი სპეციალისტისაგან ღრმა ცოდნასა და გამოცდილებას ითხოვს.

სამწუხაროდ, ამ მიმართებით ხალხი ნაკლებადაა გაცნობიერებული, რითაც სარგებლობს ზოგიერთი არა მედიცინის წარმომადგენელი ან ექიმი არასპეციალისტი. რატომღაც ზოგი ქიმიკოსი, ფიზიკოსი, ტექნიკოსი, დიასახლისი თუ სხვა ამტკიცებს, რომ გააჩნია მამა-პაპისეული ან თავისივე შექმნილი დამწვრობის სამკურნალო „უებარი" საცხი-მალამოები. არ არის გამორიცხული, რომ შედარებით მცირე ფართის დამწვრობა, დამწვრობითი დაავადების გამოხატულების გარეშე, ამბულატორიულ პირობებში განიკურნოს ამა თუ იმ ადგილობრივი სამკურნალო საშუალებით. ხშირად მრავალი კომპონენტის შემცველი არა ფარმაკო წესით, მიუღებელი ტექნოლოგიით დამზადებული საცხი-მალამო, ჭრილობის ზედმეტად დაინფიცირებასა და ალერგიულ მოვლენებს იწვევს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო სტანდარტის გათვალისწინებით ცხიმოვანი ფუძის შემცველი ყველა საცხი მალამო მიუღებელია. მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების მიერ დადასტურებულია, რომ ამგვარი მალამო ხელს უწყობს ჭრილობაში ან დამწვრობის ზედაპირზე ბაქტერიების გამრავლებას, რაც აინფიცირებს დაზიანებულ არეს და აჭიანურებს მკურნალობას. დღევანდელი პროგრესის პირობებში დამწვრობითი ჭრილობების ადგილობრივი მკურნალობისთვის უამრავი საშუალებაა საცხი-მალამოების, ბიოლოგიური გამწოვადი ფირფიტების, სორბირებადი ნივთიერებების, ხელოვნური კანისა და სხვათა სახით, რომელთა გამოყენება ხდება ინდივიდუალური შერჩევით, დაზიანებულ უბნებში მიმდინარე ანთებითი პროცესების შესაბამისად. ღრმა დამწვრობის დროს კი ერთადერთ საიმედო საშუალება ჭრილობის საფარველის ქირურგიული აღდგენაა. სამწუხაროდ, ავადმყოფები ზოგჯერ უარს აცხადებენ დროულად ჩასატარებელ აღდგენით პლასტიკურ ოპერაციაზე და ამჯობინებენ სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულების გარეთ მკურნალობას სხვადასხვა ექიმბაშური და მიუღებელი მეთოდის გამოყენებით. ეს დიდი შეცდომაა და არასასურველი შედეგით მთავრდება. ჩვენ გვაქვს აღწერილი 150 ასეთი შემთხვევა, როდესაც არასწორი, არასპეციალიზებული, თვითნებური მკურნალობის შედეგად ავადმყოფები დაიღუპნენ ან დაინვალიდდნენ.

ზოგჯერ სპეციალიზებული ცე-

## დამწვრობა



ნტრიდან მკურნალობის დამთავრებამდე, ადრე გაყვანილი ავადმყოფები ექიმბაშების ან არასპეციალისტი ექიმის ხელში ხვდება, რის შედეგადაც ვითარდება მრავალმხრივი გართულებები და მოგვიანებით პერიოდში გვიბრუნდება ავადმყოფი უმძიმეს მდგომარეობაში, რომელთა გადარჩენა რიგ შემთხვევებში შეუძლებელი ხდება, ანდა უვითარდებათ ე.წ. კელოიდური ნაწიბურები, ფუნქციური მოშლილობანი, რომელთა პლასტიკური ოპერაცია საკმაოდ ძნელი და ძვირია.

სამწუხაროა, რომ დღევანდელი პროგრესის პერიოდში ჩვენს ქვეყანაში კულმინაციურ წერტილს მიაღწია ექიმბაშების რაოდენობამ. სახელმწიფო არავითარ ზომებს არ იღებს მათ მიმართ, ხშირად ზოგიერთი მასმედიის სამსახური რეკლამასაც კი უკეთებს იმ მოტივით, რომ მათ მიერ მოწოდებული ესა თუ ის საშუალება ლიცენზირებულია. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი არ ესადაგება მსოფლიო სტანდარტებისა და აპრობირების ელემენტარულ პირობებს. ზოგიერთი ბრმად ენდობა ასეთ საშუალებებს, რაც უმეტესწილად არასასურველი შედეგით მთავრდება. როგორ შეიძლება უმკურნალო ჭრილობას, ეს დამწვრობის შედეგად იქნება წარმოქმნილი თუ სხვა ფაქტორით გამოწვეული, თუ არ იცი ჭრილობაში მიმდინარე პროცესების არსი, მისი ფიზიოლოგია და პათოგენეზი. ხალხური მედიცინა მეცნიერული მედიცინის დედაა, მაგრამ ძალიან დიდი განსხვავებაა ხალხური მედიცინის საშუალებების სწორად, დასაბუთებულ გამოყენებასა და იმ მიუღებელ მეთოდებს შორის, რომელსაც დღეისათვის აქვს ადგილი. ტელევიზიისა და ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით ხშირად ვეცნობით რეკლამას, რომ ესა თუ ის საცხი-მალამო კურნავს სხვადასხვა ტიპის უამრავ დაავადებას — თერაპიულს, ნევროლოგიურს, ქირურგიულს... და ეს დამოწმებულია სათანადო ლიცენზირებით, რაც აბსურდია. ლიცენზიის გაცემისას აუცილებელია მოთხოვნა იმ სპეციალიზებული დაწესებულების აპრობირების მასალებისა, სადაც მათ გაიარეს წინასწარი კლინიკური აპრობაცია — მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს საერთაშორისო სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც ხდება რამდენიმე ასეულ ავადმყოფზე გამოცდა ამა თუ იმ საშუალებისა. აპრობაციის პირობები მკაცრად უნდა იქნეს დაცული.

იშვიათია ბუნებაში ისეთი საშუალება, რომელსაც რაღაც მიმართებით სამკურნალო ელემენტები არ გააჩნდეს, მაგრამ თითოეული მათგანის გამოყენებას მეცნიერული დასაბუთება უნდა ახლდეს და შეესაბამებოდეს დღევანდელობას.

დამწვრობით დაზიანებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დამწვრობის სიღრმეს, მის ფართს, ავადმყოფის ასაკს, ორგანიზმის ინდივიდუალურ იმუნოდამცველობით ფუნქციებს და ა.შ. ერთი და იმავე დაზიანების მქონე სხვადასხვა პირი სრულიად განსხვავებულად ექვემდებარება მკურნალობას. ასეთ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ექიმის პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას. მედიცინა არ გახლავთ ზუსტი მეცნიერება, აქ კანონები არ არსებობს, მაგრამ მედიცინა ის დარგია, სადაც მთავარი მნიშვნელობა — ზნეობას, ეთიკას და პროფესიონალიზმს ენიჭება.

# გაქვავებული „მზის ცვარი"

უძველესი დროიდან ცნობილია, რომ წიწვოვანი ხეების გაქვავებულ ფისს ძვირფასი სამკურნალო თვისებები აქვს.

ჯანმრთელი ადამიანისთვის სრულიად საკმარისია ამ მინერალის ის რაოდენობა, რასაც თვითონ ორგანიზმი გამოიმუშავებს ან იღებს საკვებიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, ძირითადი საკვები პროდუქტები ამ სასარგებლო ნივთიერებას არ შეიცავენ. ის ძალიან მცირე რაოდენობითაა შავ პურში, მოლუსკებში, ღვინოში, ლუდში, მჟავე კომბოსტოში, რძის პროდუქტებში.

გაგაცნობთ, გაქვავებული „მზის ცვარის" ზოგიერთ სამკურნალო თვისებას:

*ქარვის მჟავათი* დამზადებული წამლები კურნავს გულ-სისხლძარღვებს, ბრონქიალურ დაავადებებს, ასთმას, სხვადასხვა წარმომავლობის ტოქსიკოზს.

*ქარვის ზეთი* სწრაფმოქმედი ანტისეპტიკური საშუალებაა, აქვს ვირუსსაწინააღმდეგო თვისებები.

*ოქროსფერი ესენცია* აახალგაზრდავებს და აღადგენს დაზიანებულ კანს, გამოიყენება დეჟეჟილობის, ჭრილობის, სილურჯის, ნაწოლების, დამწვრობის სამკურნალოდ.

**ოტდოხნი! №5**


**განუხებთ სახსრები? — მიიღეთ გლუკოზამინი მსმ-ით**

**ნატურალური ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება**




**გლუკოზამინი მსმ-ით**

- საგრძნობლად ამცირებს ტკივილებს დაავადებულ სახსრებში;
- ამცირებს სახსრების ანთებას და მის თანმხლებ პროცესუალურ სიმპტომებს;
- ხელს უწყობს სახსრების ხრტილოვანი ნაწილის აღდგენას.

**გლუკოზამინი მსმ-ით ახალი თაობის პრეპარატია და ამ ჯგუფის სხვა პრეპარატებისგან განსხვავებით არ აღიზიანებს კუჭს და მიზანშეწონილია ჰიპერტონიკებისათვისაც.**

წარმოადგინეთ ეს ბარათი 25 თებერვლამდე და მიიღეთ პრეპარატზე 7% ფასდაკლება!!!

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE
მის: დ.აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
www.shop.ge.com

**შვედეთი**

## შვედებმა მეფე სიტყვაზე „დაიჭირეს“

შვედეთის მეფე კარლ XVI გუსტავი დიდ უსიამოვნებაში გაეხვია. ბრუნეიში ყოფნისას თავს უფლება მისცა, ისეთი რამ განეცხადებინა, რაც სრულიად ეწინააღმდეგება შვედეთის პოლიტიკას ამ ქვეყნის მიმართ. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიაჩნია, რომ ბრუნეიში დიქტატურაა, ხოლო სულთანი, რომელიც ერთდროულად სახელმწიფოს მეთაურიცაა, პრემიერ-მინისტრიც, ფინანსებისა და თავდაცვის მინისტრიც — დესპოტია. ბრუნეიში ყოფნისას კარლ XVI გუსტავმა შეუქო სულთანს დემოკრატიზმი, პრესკონფერენციაზე კი განაცხადა, — სულთანმა ჰაჯი ჰასანალი ბოლკიახმა გამაკვირვა ქვეშევრდომთა მიმართ დამოკიდებულებით, მისდამი სრული ნდობა ვიგრძენი და ყველა დონეზე უნდა ვითანამშრომლოთო. შვედეთის კონსტიტუციის თანახმად, მეფეს ეკრძალება პოლიტიკური განცხადებების გაკეთება, მით უმეტეს, თუ მის მიერ ნათქვამი არ ემთხვევა მთავრობის თვალსაზრისს. მეფე მხოლოდ ქვეყნის მეთაურია და საკუთარი პოლიტიკის გატარების უფლება არა აქვს და თუ თავისას არ დაიშლის, შესაძლოა, ტახტიც დაკარგოს.

მეფის ნათქვამმა საშინლად აღაშფოთა შვედები. პარლამენტის საკონსტიტუციო კომიტეტის თავმჯდომარემ ისიც კი განაცხადა, — ალბათ დადგა დრო, რომ მეფის „თანამდე-



ბობაც“ არჩევითი გავხადოთო. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა პრემიერ-მინისტრი იოჰან პერსონიც გააკრიტიკა — რატომ მოუსმინა მეფეს, ესარგებლა კარლ XVI გუსტავის არასახელმწიფოებრივი საქციელით და ტახტიდან მოეშორებინაო.

მეფის ნათქვამის ირგვლივ ატეხილმა სკანდალმა ცხადყო, რომ შვედეთში მონარქიის მომხრეთა რაოდენობა მცირდება.

*კომერსანტი №27*

**რუსეთი — ბელორუსია**

## მინსკმა კაპიტულაცია გამოაცხადა

„გაზპრომიდან“ გაზის შესაძენად რუსეთმა ბელორუსიას კრედიტი შესთავაზა. მინსკი დათანხმდა. მან ეს გადაწყვეტილება მას მერე მიიღო, რაც ამოიწურა დამოუკიდებელ მიმწოდებლებთან თანამშრომლობის გაგრძელების ყველა საშუალება. ბელორუსია ერთი დღის განმავლობაში ენერგეტიკული კატასტროფის პირზე იყო. ახლა პრობლემა გადაწყდა და ქვეყანას გაზი მიეწოდება. ბელორუსიას სამი ვარიანტი ჰქონდა — გაეგრძელებინა კონტრაქტი დამოუკიდებელ „ტრანსნეფტთან“, გარიგება დაედო „გაზპრომთან“ და ათას კუბმეტრ გაზში საბაზრო ფასი — 50 დოლარი გადაეხადა და მესამე — ევროპაში მიმავალი გაზი წაერთმია რუსეთისათვის. მინსკმა არ ისურვა სიტუაციის გამწვავება და ამიტომ დათანხმდა ადრე შეთავაზებულ კრედიტს, რომელიც 200 მლნ დოლარს შეადგენს. კრედიტის დაბრუნება 2006 წელს უნდა დაიწყოს, როცა ბელორუსიაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ცხადია, რუსეთი ამით ისარგებლებს მინსკზე ზეგავლენის მოსახდენად. ანალიტიკოსების აზრით, კრედიტი მომავალი მთავრობის მორჩილების გარანტი გახდება, თუ ბელორუსიაში მაინც შეიცვალა ხელისუფლება.

*ნეზავისიმაია გაზეტა №34*

**დიდი ბრიტანეთი**

## არქეოლოგებმა ჩარლზ დარვინის გემი აღმოაჩინეს

დიდი ბრიტანელი საზღვაო არქეოლოგები დარწმუნებულნი არიან, რომ აღმოაჩინეს გემი „ბიგლი“, რომლითაც ჩარლზ დარვინმა იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო. 1836 წელს, მოგზაურობის დასრულების შემდეგ, გემი ბრიტანეთის საბაჟოს გადაეცა და მას ესექსის საგრაფოს სანაპიროსთან კონტრაბანდისტების დასაჭერად იყენებდნენ. 1870 წელს გემი კერძო პირის საკუთრება გახდა და მისი შემდგომი ბედი უცნობი იყო. საზღვაო არქეოლოგთა ჯგუფი, რობერტ პრესკოტის ხელმძღვანელობით, დიდხანს ეძებდა დარვინის გემს. ჩატარებული კვლევა-ძიების შემდეგ ისინი ირწმუნებიან, რომ ესექსის საგრაფოს სანაპიროს აღმოსავლეთით, მდინარის შესართავთან ჩაძირული გემი სწორედ „ბიგლია“. იგი 3,6 მეტრის სიღრმეზეა და მთლიანად შლამითაა დაფარული. 1831-1836 წლებში, „ბიგლით“ მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის დროს, ჩარლზ დარვინის დაკვირვებები დაედო საფუძვლად მის წიგნს „სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი შერჩევის გზით“, რომელიც 1859 წელს გამოვიდა.

*ნიუ ზუიქი*

# ირანი პარლამენტს ირჩევს



ირანის წინა საპარლამენტო არჩევნებიდან 4 წელი გავიდა. რა გააკეთა ამ ოთხ წელიწადში პრეზიდენტმა ხათემმა — ფილოსოფოსმა, ღვთისმეტყველმა, დიდად განათლებულმა პიროვნებამ? შეიძლება ითქვას, რომ ბევრი რამ: ირანელ ქალებს საზოგადოებაში უჩადროდ შეუძლიათ ყოფნა, ირანელებს არ ეკრძალებათ ტელევიზორის ყურება, გართობა, კაფეში სიარული... მაგრამ ირანელები პრეზიდენტ-რეფორმატორის უკმაყოფილონი არიან — ცხოვრების დონე მაინცდამაინც არ გაუმჯობესებულა. ირანის სათავეში რელიგიური ლიდერი დგას, არჩეული პრეზიდენტი — მეორე პირია, იგი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია.

საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო პარლამენტი-მეჯლისია, მაგრამ გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის სულიერ მამათაგან შემდგარ საზედამხედველო საბჭოს. 20 თებერვლის საპარლამენტო არჩევნების წინ ირანში პოლიტიკური კრიზისი გამწვავდა.

რეფორმატორებსა და კონსერვატორებს შორის ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა მას შემდეგ, რაც საზედამხედველო საბჭომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჩამოართვა 2500 კანდიდატ-რეფორმატორს. საპასუხოდ მათ მჯდომარე საპროტესტო აქცია დაიწყეს პარლამენტის შენობაში, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ დაახლოებით 1000 კანდიდატს დაუბრუნეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

საპარლამენტო არჩევნებში, მოსალოდნელზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. თეირანში, ოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით 2,3 მლნ ამომრჩეველი მივიდა ხმის მისაცემად. საბოლოო შედეგები ჯერ შეჯამებული არ არის, მაგრამ წინასწარი მონაცემებით, გამარჯვება კონსერვატორებს დარჩებათ. ზოგიერთი რეფორმატორი არჩევნების ბოიკოტისკენ მოუწოდებდა მოსახლეობას. აშშ-მა გააკრიტიკა არჩევნები. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა — ეს არ იყო თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, საარჩევნო პროცესი არ შეესაბამებოდა საერთაშორისო ნორმებსო.

*ბი-ბი-სი*

# 2000 ჩეჩენი „ბოევიკი“ ერაყში წასასვლელად ემზადება



უსამა ბინ ლადენის უახლოესმა თანამებრძოლმა აბუ მუსაბ ალ-ზარყავიმ თანამოძმეებს — ჯიჰადის მეომრებს — დახმარება სთხოვა და განსაკუთრებით გამოჰყო მათგან ჩეჩნები. ამ მოწოდების ჩანაწერიანი კასეტები მთელი მსოფლიოს რადიკალურ-ისლამურ ორგანიზაციებში გავრცელდა.

ეს ინფორმაცია მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა ამბავთან. „ალ-ქაიდას“ ერთ-ერთ დატყვევებულ „ბოევიკს“ უპოვეს ბინ ლადენის ქსელის ერაყში მოქმედების გეგმა და მიმართვა, რომელშიც ნათქვამია — „როგორც კი ივნისში შეერთებული შტატები ხელისუფლებას გადასცემს ახალ, სუვერენულ მთავრობას, ჩვენ ხელიდან გამოგვეცლება ბრძოლის საფუძველი, ამიტომ ახლა უნდა შევუტიოთ ამერიკელებს, ქურთებს, შიიტებსა და ერაყის პოლიციას“.

აშშ-ის სპეცსამსახურების ვარაუდით, ეს მიმართვაც აბუ მუსაბ ალ-ზარყავის შედგენილი უნდა იყოს. ვინ არის ალ-ზარყავი? ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით, იგი „ალ-ქაიდას“ წევრი 1999 წელს გახდა, 2000 წელს ავღანეთში საკუთარი საწვრთნელი ბანაკი დააარსა. ამერიკელების მიერ სარაკეტო დარტყმის დროს დაიჭრა და სამკურნალოდ ბაღდადში წაიყვანეს. სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის თქმით, მან ერაყში შექმნა მორიგი ბაზა „ალ-ზარყავი“.

ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით, ის ამჟამად ერაყში იმალება. რაც შეეხება კონტაქტებს ჩეჩნებთან, ამის თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე გამოსულმა კოლინ პაუელმა განაცხადა, — ალ-ზარყავის თანამებრძოლები მისი ხელმძღვანელობით მოქმედებენ პანკისის ხეობასა და ჩეჩნეთშიო.

ზოგიერთი მონაცემით, ჩეჩენი ბოევიკები უკვე იბრძვიან ერაყში. ამერიკელების წინააღმდეგ საბრძოლო ნათლობა ჩეჩენთა რაზმებმა ავღანეთში გაიარეს. სადაც თალიბებისა და „ალ-ქაიდას“ მხარეზე იბრძოდნენ და საშინელი სისასტიკით გამოირჩეოდნენ.

*ტაიმსი*

# შირაკი, შრედერი და ბლერი



## კვლავ ერთად არიან

გერმანიის კანცლერის, გერჰარდ შრედერის მიწვევით ბერლინში ჩავიდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი და ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი. შარშანდელი შემოდგომის შემდეგ ამ შემადგენლობით ისინი აღარ შეხვედრიან ერთმანეთს. როგორც ცნობილია, ბერლინი და პარიზი ლონდონს ერაყის გამო წაეკიდნენ, მაგრამ დღეს უკვე ამ კამათს აზრი აღარ აქვს. ამერიკის შეერთებული შტატები ბრიტანელი მოკავშირეების დახმარებით ცდილობს ერაყის საქმეებში ნატოს ჩართვას. გერმანელები თავის ჯარს იქ აღარ გზავნიან, მაგრამ არც სხვებს შეუშლიან ხელს.

მთავარი, რაზე მოსალაპარაკებლადაც შეიყარნენ შირაკი, შრედერი და ბლერი — ევროკავშირია. უნდა გადაიჭრას ამ გაერთიანების კონსტიტუციის საკითხი, რადგან ამის გარეშე ევროკავშირის წევრი ქვეყნები სრულიად უმართავნი გახდნენ. პარიზი და ბერლინი გადაწყვეტილების მიღებისას კონსტიტუციით გათვალისწინებული ხმის მიცემის წესის შენარჩუნებას ემხრობიან, მადრიდი და ვარშავა კი წინააღმდეგნი არიან. შრედერი და შირაკი იძულებულნი გახდნენ, ლონდონს სთხოვონ მხარდაჭერა.

სამეული იმაზეც შეთანხმდა, რომ შექმნან სწრაფო რეაგირების შენაერთი სხვადასხვა სასწრაფი მისიის შესასრულებლად. თითოეული მხარე 1500 ჯარისკაცს გამოყოფს. პოლიტიკურად ეს ბლერის მიმართ დათმობად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის აზრით, ევროკავშირის ცალკეული ქვეყნის „ამგვარი სტრუქტურული თანამშრომლობა“ გაცილებით სჯობს ევროკავშირის ერთიან სამხედრო გაერთიანებას, რომელსაც ლონდონი და ვაშინგტონი ნატოს კონკურენტად მიიჩნევენ.

*ნიუს რუ*

## მოკლედ

**კატარში** დააპატიმრეს ჩეჩენი სეპარატისტების ყოფილი ლიდერის, ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ორი პიროვნება. 51 წლის ზელიმხან იანდარბიევის მანქანა მაშინ აფეთქდა, როცა ის მეჩეთიდან ბრუნდებოდა. კატარისთვის, რომელიც თავისი სტაბილურობითაა ცნობილი, ეს ძალზე შემაძრწუნებელი და უჩვეულო ამბავი იყო. ამ ფაქტმა განაპირობა ის, რომ კატარში ამიერიდან სიკვდილით დასჯიან ნებისმიერ ტერორისტს.

**ჩეჩნეთში** მოქმედმა საველე მეთაურმა აბუ ალ-ვალიდმა მოსკოვის მეტროში ტერაქტის მომზადებისთვის „ალ-ქაიდასგან“ 4,5 მლნ დოლარი მიიღო. ინტერფაქსის ცნობით, იგი ამჟამად უნდა იმყოფებოდეს სპარსეთის ყურის რომელიღაც ქვეყანაში. ტერაქტი კამიკაძემ განახორციელა.

**ინდოეთი** და **პაკისტანი** განაგრძობენ საპრობლემო, მათ შორისა ქაშმირის, საკითხებზე მოლაპარაკებას. გარდა ამისა, ორივე სახელმწიფოს ბირთვული იარაღი აქვს და აუცილებლად უნდა შეთანხმდნენ ამ იარაღის გაუვრცელებლობაზე.

**ერაყში,** ქურთთა ავტონომიის ლიდერები უარს ამბობენ თავისი სამხედრო შენაერთების განიარაღებაზე. მათი აზრით, 50-60 ათასი შეიარაღებული მეომარი, რომელსაც ქურთისტანის დემოკრატიული პარტია და პატრიოტთა კავშირი აკონტროლებენ, აშშ-ის ეროვნული გვარდიის მსგავსად, უნდა გარდაიქმნას თავდაცვის ძალად.

**იტალიის** პოლიციამ დააპატიმრა კალაბრიის მაფიის 70 წლის ბოსი ჯუზეპე მორაბიტო და მისი სიძე. მორაბიტოს ბრალი ედება ნარკოტიკების კონტრაბანდის საერთაშორისო ქსელის ორგანიზებაში. მას 12 წელი ეძებდნენ. მორაბიტოს დაპატიმრებამ დიდი დარტყმა მიაყენა კალაბრიის მაფიას, რომელიც ნდრანგეტას სახელითაა ცნობილი. ბოლო 20 წლის განმავლობაში შესუსტდა სიცილიური მაფიის როლი ნარკოტიკების კონტრაბანდაში და მისი ადგილი ნდრანგეტამ დაიჭირა. მას დიდძალი ნარკოტიკები გაჰქონდა კოლუმბიიდან და სხვა ლათინურამერიკული ქვეყნებიდან ევროპაში.

**ისრაელის** კომპანია ISRAEL AIRORAFT INDUSTRIES-ი ამუშავებს თვითმფრინავი-გიგანტის პროექტს. უპილოტო თვითმფრინავს სამი წლის განმავლობაში 21 კმ სიმაღლეზე მიწაზე დაუშვებლად შეუძლია იფრინოს. თვითმფრინავში დაამონტაჟებენ კავშირგაბმულობის და ფოტოგადამღებ აპარატურას. თვითმფრინავი-გიგანტი მზის ბატარეებით იფრენს.

**ამერიკული** მარსმავალი „სპირიტი“ უჩვეულო ფენოვან ქვას მიუახლოვდა, რომელსაც მეცნიერებმა „მიმი“ დაარქვეს. მეცნიერები აპირებენ ამ ქვის სტრუქტურის გამოკვლევას, რადგან დანარჩენი მარსული ქვები მონოლითურია. მარსზე წყლის კვალის ძებნას განაგრძობს მეორე რობოტი „ოპორტიუნიტი“.

**ბულგარეთის** პოლიციამ საპორტო ქალაქ ბურგასში აღმოაჩინა ყალბი ფულის დამამზადებელთა ბანდა. ისინი დღეში დაახლოებით 300 ათას ამერიკულ დოლარს ბეჭდავდნენ. ფულს აშშ-ში გზავნიდნენ. ბულგარული ნაყალბევი კალიფორნიაში აღმოაჩინეს.

**ამერიკელმა** ასტრონომებმა კოსმოსში გიგანტური ალმასი აღმოაჩინეს. მას სამკაულად ვერ გამოიყენებენ, რადგან ძვირფასი ქვის დიამეტრი 1500 კმ-ია და დედამიწიდან 50 სინათლის წელიწადითაა დაშორებული. როგორც გაირკვა, კოსმოსური ალმასი ცენტავრის თანავარსკვლავედის ერთ-ერთი ჩამქრალი ვარსკვლავის ნახშირბადოვანი ბირთვია. მეცნიერების აზრით, იგივე ელის მზესაც 7 მლრდ წლის შემდეგ.

**ინდონეზიაში** რიხტერის სკალით — 5,6 ბალის სიძლიერის მორიგი მიწისძვრა მოხდა. 5 ადამიანი დაიღუპა, 7 დაშავდა. დანგრეულია ბევრი სახლი, ხალხს შინ დაბრუნების ეშინია. ინდონეზია, სეისმური თვალსაზრისით, საშიში ზონაა, აქ ხშირია მიწისძვრა.

**ხმელთაშუა ზღვიდან** წამოსულ ციკლონს თოვლი და სუსხი იმ ქვეყნებშიც მოჰყვა, სადაც ზამთარში თითქმის არ ყინავს ხოლმე — საბერძნეთში, იორდანიაში, ისრაელში. საბერძნეთში 100 წლის განმავლობაში პირველად დაეცა ტემპერატურა ნულს ქვევით. იერუსალიმში დიდთოვლობაა, არ მუშაობს სკოლები, სახელმწიფო ორგანიზაციები. გოდების კედელმა ვერ გაუძლო ქარბუქს და მისი ნაწილი ჩამოიქცა.

**სოჭი** ახლა უკიდურესი ჩრდილოეთის ქალაქებს ჰგავს. მთლიანად თოვლშია გახვეული, გზები ჩახერგილია ავტომანქანებით, არ მუშაობს სკოლები, დახურულია აეროპორტი.

**ჩინეთში,** ძილინის პროვინციის ერთ-ერთ დიდ უნივერმაღში მომხდარ ხანძარს 53 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, 70 დაშავდა. რამდენიმე ათეული მეხანძრე 6 საათი აქრობდა ხანძარს.

**ირანში,** ქალაქ ნიშაპურის მახლობლად მომხდარი მიწისძვრის შედეგად აფეთქდა რკინიგზის შემადგენლობა. ვაგონები დატვირთული იყო საწვავითა და სასუქით. დაიღუპა 200-ზე მეტი კაცი, 320 — დაშავდა, უმთავრესად მეხანძრეები და ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი. აფეთქების უძლიერესმა ტალღამ 5 სოფელი დაანგრია.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

# კვირის «მინიკალენდარი»

„კვირის პალიტრა" დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს და კვლავ გთავაზობთ სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარს":



**23 თებერვალი:**

**დიმიტრი არაყიშვილი**, კომპოზიტორი; **გიორგი გეგეჭკორი**, სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; **კაზიმირ მალევიჩი**, მხატვარი-დიზაინერი; **გეორგ ჰენდელი**, კომპოზიტორი; **პიტერ ფონდა**, კინომსახიობი, რეჟისორი.

**24 თებერვალი:**

**მიშელ ლეგრანი**, კომპოზიტორი, ჯაზ-პიანისტი, დირიჟორი; **ალენ პროსტი**, ფორმულა-1-ის ავტომრბოლელი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი.

**25 თებერვალი:**

**ელგუჯა ბერძენიშვილი**, მხატვარი; **ოგიუსტ რენუარი**, მხატვარი-იმპრესიონისტი; **ლესია უკრაინკა**, მწერალი; **ჯორჯ ჰარისონი**, ჯგუფ „ბითლზის" წევრი.

**26 თებერვალი:**

**აკაკი შანიძე**, ენათმეცნიერი, აკადემიკოსი; **ვიქტორ ჰიუგო**, მწერალი; **ნადეჟდა კრუპსკაია**, ვ. ი. ლენინის მეუღლე; **კრისტოფერ მარლო**, პოეტი, დრამატურგი; **ლევი სტრაუსი**, ჯინსის მწარმოებელი ფირმის დამფუძნებელი.

**27 თებერვალი:**

**მაყვალა მრევლიშვილი**, საბავშვო პოეტი; **ვახტანგ ჭაბუკიანი**, სახალხო არტისტი, ბალეტმეისტერი; **ტაკადა კენზო**, მოდელიერი; **ჯონ სტეინბეკი**, მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1962 წ.); **ელიზაბეტ ტეილორი**, მსახიობი.

**28 თებერვალი:**

**რამაზ ჩხიკვაძე**, სახალხო არტისტი; **ალფრედ კოქსი**, მეწარმე; **მიშელ მონტენი**, მწერალი და ფილოსოფოსი.

# სიტყვათა კონა

**თათმანი** — 1. უთითო ხელთათმანი, წინდასავით ნაქსოვი. 2. იგივეა, რაც ხელთათმანი.

**თაია** — ერთად დადგმული რამდენიმე ურემი ძნა (იცის ქიზიყში).

**თაკილი** — თავისთვის შეუფერებლად, სასირცხოდ მიჩნევა რისამე.

**თალათინი** (ძვ.) — თხელი და რბილი ტყავი, ხავერდოვანი ზედაპირის მქონე. 2. ტყავის თასმა (ქალამნის ამოსახსმელი, აგრეთვე სამართეულის და მისთანათა პირის ასაწყობი).

**თალამი** — ფიწლით ერთ ჯერზე ასაღები (თივა და მისთ.)

**თალარი** — 1. ვაზის ხეივანი. 2. იგივეა, რაც ფანჩატური (ბეღნარის ტოტებითა და ფოთლებით გადახურული საჩრდილობელი).

**თალია** (საუბ.) — ერთი ხელი (ოქმის რისამე თამაშის შესახებ). 2. ერთხელ, ერთი პირობა (ერთი თალია შეეჭამანდა).

**თალიში** — ახალი ფიჩხისა ხახვი, რომელსაც ჯერ ბოლქვი განვითარებული არა აქვს.

**თალფაქ** — ხუფი, სახურავი.

**თალხი** — შავი, სამგლოვიარო ფერი, ასეთი ფერის ტანსაცმელი.

**თამასა** — ვიწრო და თხელი ფიცარი, ფიროფიცა.

**თანგი** — დურგლის ქახრაკებიანი ხელსაწყო (ქახრაკი — ხრახნიანი მოსაჭერი ხელსაწყო).

**თანგირა** — სპილენძის მოზრდილი ქვაბი, ფართოძირიანი.

**თარი** (ძვ.) — აღმოსავლური სიმებიანი საკრავი.

**თარაქამა** (ძვ. საუბ.) — თათარი.

**თარფი** (ძვ.) — 1. მოწნული თაბახი. 2. სხვადასხვა ხილით სავსე თაბახი (ქორწილში, დღეობაზე).

# დათო ხუჯაძე აკრძალული იყო?!

— მართალია თუ არა, რომ დათო ხუჯაძე საქართველოდან სამუდამოდ მიდის. რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, იმიტომ ხომ არა, რომ მისი პოპულარობა საგრძნობლად დაეცა?

*ანი მამულაშვილი*



კითხვაზე უპასუხებს **დათო ხუჯაძე**.

— სამუდამოდ ნამდვილად არ მივდივარ, თუმცა რაღაც პერიოდით ვაპირებ რუსეთში წასვლას და იგი ჩემს, როგორც მომღერლის კარიერას უკავშირდება. მომღერლისთვის რუსეთში გაცილებით დიდი პერსპექტივაა, ვიდრე საქართველოში. უკვე გავგზავნე ორი სიმღერის („არ მინდა, რომ გული გატკინო", „მეგობრებთან ერთად") რუსული ვერსია რუსულ რადიოსადგურებზე დასატრიალებლად. საქართველოში შოუბიზნესი და ესტრადის მომღერლები ამ ეტაპზე „ღამის შოუს" ერთ-ერთი აქტუალური „საკაიფო" თემაა... რა უნდა მომღერალს? — პოპულარობა და შემოსავალი. პოპულარობა მაქვს, მაგრამ საქართველოში სიმღერით ვერ იცხოვრებ. არ ვნანობ, რომ არჩევნებში მივიღე მონაწილეობა. კიდევ ერთი სერიოზული ცხოვრებისეული გამოცდილება შევიძინე. არც ის მიმაჩნია სწორად, რომ ჩემი პოპულარობა დაეცა. ახალგაზრდები დღესაც სიამოვნებით მისმენენ. ერთი პერიოდი დათო ხუჯაძე ყველა ტელე თუ რადიოსადგურზე აკრძალული იყო, განსაკუთრებით კი წინასაარჩევნო კამპანიის დროს. ტელეკომპანიები და რადიოსადგურები ჩემი სიმღერის გაშვებაზე უარს ამბობდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი წინასაარჩევნო რეკლამაში ეთვლებოდათ... იმასაც გეტყვით, რომ ჩემი საქართველოდან წასვლა პოლიტიკას სულაც არ უკავშირდება.

უახლოეს დღეებში მოსკოვში მივემგზავრები, სადაც კონცერტებს გავმართავ. იქვე გაირკვევა, გავაფორმებ თუ არა რუსულ მხარესთან თანამშრომლობის კონტრაქტს. რუსეთში მცხოვრები ქართველებიც მეხმარებიან. ასე რომ, მომავლის დიდი იმედი მაქვს.

# «წითელი ზოლი» — ტერმინი თუ ილუზია?

— რუსთავში, მე-19 მიკრორაიონის საცხოვრებელი კორპუსიდან 200 მეტრში გადის ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი. როგორც შევიტყვე, უსაფრთხოების ე.წ. „წითელი ზოლი" 500 მეტრია. იქნებ გვიპასუხოთ, შეიძლება თუ არა „წითელ ზოლში" ცხოვრება?

*ლილიკო ბეგიაშვილი*



კითხვაზე უპასუხებს **ირაკლი ქელბაქიანი**, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პროექტების მართვის მთავარი აღმასრულებელი მენეჯერი.

— ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მარშრუტის არჩევისას მოსახლეობას დაურიგდა საინფორმაციო სახელმძღვანელოები, სადაც აღნიშნულია ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომები, მათ შორის ისიც, თუ რა მანძილზეა შესაძლებელი ნავთობსადენიდან საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ამჟამად გამოჩნდა ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა", რომელიც შეგნებულად ურევს მოსახლეობას თავგზას. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ბი-პის მიერ გამოცემულ „მიწის შეძენისა და კომპენსაციის" სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ საცხოვრებელ სახლსა და ნავთობსადენს შორის დასაშვები მანძილი 15 მეტრია. ეს მონაცემები და უსაფრთხოების ნორმები აღებულია საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ნავთობსადენის გაყვანისას შეილახა მისი უფლებები, შეუძლია მიმართოს სასამართლოს... ბი-პი აცხადებს, რომ თუ მათი მხრიდან დაირღვევა (ან დაირღვა) რომელიმე სტანდარტი, მზად არიან გადაიხადონ კომპენსაცია. ხოლო რაც შეეხება ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას", ვფიქრობთ, იგი ხელოვნურად უქმნის ილუზიას რუსთავის მოსახლეობას, თითქოს ისინი „წითელ ზოლში" ცხოვრობენ. არავითარი „წითელი ზოლი" არ არსებობს, მათ შორის ტერმინიც კი, რომელიც ამ ე.წ. „წითელ ზოლს" განმარტავდა. ამრიგად, რუსთავის მოსახლეობის ჯანმრთელობას ნავთობსადენის სახით არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

# როგორ მოვძებნოთ ნათესავები საზღვარგარეთ...

— 14 წლის წინ ჩემი მეუღლე გაემგზავრა გერმანიაში. მას შემდეგ მის შესახებ არაფერი მსმენია. არაერთგზის ვცადე ახლობლებისა და ნაცნობების საშუალებით დამედგინა მისი საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ ამაოდ. იქნებ მირჩიოთ, ვის მივმართო მისი ადგილსამყოფელის დასადგენად?

*მერი ნინიძე*

კითხვაზე უპასუხებს **ნინო თავართქილაძე**, საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი.

— უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების საკითხს სწავლობს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი. შეკითხვის ავტორმა სწორედ ამ სამსახურს უნდა მიმართოს განცხადებით, სადაც დეტალურად იქნება მითითებული მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია თუ მონაცემი დაკარგული მეუღლის შესახებ. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ნათესაური კავშირის დამადასტურებელი საბუთის ასლი, თქვენი მკითხველის შემთხვევაში ქორწინების მოწმობის ასლი. წერილი (განცხადება) უნდა დაიწეროს საკონსულო დეპარტამენტის თავმჯდომარის, ბატონ ზაურ გამსახურდიას სახელზე. აღნიშნულ წერილს შესწავლისა და დამუშავების შემდეგ საკონსულო დეპარტამენტი გადაუგზავნის საქართველოს საელჩოს გერმანიაში, რომელიც თავის მხრივ საქართველოს მოქალაქის მოძებნის შუამდგომლობით მიმართავს გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს. ასევე შესაძლებელია მოქალაქემ პირდაპირ მიმართოს წერილი-განცხადებით გერმანიაში საქართველოს ელჩს, ქალბატონ მაია ფანჯიკიძეს.

# ყველაზე გაურკვეველი სიტყვა... გარკვეულია!

— იქნებ გაგვარკვიოთ, რა შემთხვევაში შეიძლება ვიხმაროთ სიტყვა „გარკვეული", რომელსაც ზოგიერთი პოლიტიკოსი და ტელეწამყვანი საკმაოდ ხშირად იყენებს და თანაც ისეთ სიტუაციაში, რომ ძნელია გაერკვე, რისი თქმა უნდათ ამ სიტყვით.

*ნანა ცხადაძე*

— დიახ, ქართულ ენაში ასეთი სიტყვაც არსებობს. ეს გახლავთ მსაზღვრელ სახელად გამოყენებული სიტყვა „გარკვეული", რომელსაც ძალზე ხშირად შეხვდებით დღევანდელ პრესასა და ტელევიზიაში. განსაკუთრებით ამ სიტყვით ზოგიერთი პოლიტიკოსი და ტელეწამყვანი „მანიპულირებს". იტყვიან, ჩავატარეთ გარკვეული მუშაობა, გავუწიეთ გარკვეული დახმარება, ისახავენ გარკვეულ მიზნებს, გადაიდგა გარკვეული ნაბიჯი და ა.შ. მიდი მერე და იმტვრიე თავი, რას გულისხმობენ ამ გაურკვეველი გარკვეულის მიღმა.

როგორც პროფესორი გიორგი შალამბერიძე წერდა, „გარკვეული" პარაზიტ სიტყვად ვაქციეთ; რომ ენაში პარაზიტი სიტყვები მართალია, არ არსებობს, მაგრამ ზოგი სიტყვა წარამარა და არადანიშნულებით გამოყენების გამო გავაპარაზიტეთ, არაფრის მაქნისად ვაქციეთ.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სიტყვა „გარკვეული" ხმარებიდან ამოვიღოთ. მისი გამოყენება სავსებით კანონზომიერია იმ შემთხვევაში, როცა ვამბობთ: „მდგომარეობა უკვე გარკვეული იყო", ან კიდევ „უკვე გარკვეული საკითხი ხელახლა გასარკვევი გახდა" და სხვა.

ასე რომ, სასურველია სიტყვა გარკვეულით გაურკვევლობის ბურუსში თუ არ გავხვევთ გადმოსაცემ აზრს.


**იუსტიციის სასწავლო ცენტრი**
**აცხადებს მიღებას**
**სანოტარო სამართლის კურსებზე.**

საბუთების მიღება 5 მარტამდე
ტ: 98-42-69; 899-53-52-39
რუსთაველის გამზ. №30 (იუსტიციის სამინისტროში)
12.00-16.00 ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა

„ტრანსკრიმსის" ფირმის
**მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები**
**ძალიან იაფად**
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
**ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია**
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტფაქსი: 966-779

ფირმების რეგისტრაცია
**აუდიტი**
**ქონების შეფასება**
**საბუღალტრო მომსახურება**
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 45, მ. „დელისთან", ბიზნესცენტრი „სოფმშენი", მე-9 სართ, ოთ. 901.
☎ 53-69-05; 57-16-82; 899-92-62-47; 899-57-82-45


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 21 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,0450 |
| ევრო | 2,5859 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,8552 |
| რუსული რუბლი | 0,0718 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5336 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. ცდა



კასპში ცხოვრობდა ერთი კარგი კაცი, არჩილი ერქვა. მაგარი ენაბლუ იყო. ერთხელაც არჩილი თავისი „ვოლგით“ მატარებლის რელსებზე ზედ გადასასვლელზე გაჩერდა. ამ დროს მატარებელი მოდის, უსიგნალებს, მაგრამ რას უსიგნალებს არჩილს. ის კი მაინც ჯიუტად დგას და არ გადადის. როგორც იქნა, მემანქანემ მოასწრო მატარებლის გაჩერება და არჩილიც სასწაულებრივად გადარჩა. შემოეხვივნენ გადარჩენილს და რომ ჰკითხეს, რატომ მოიქეცი ასეო, უპასუხა:

— მე-ე-ე-ე მეეეგონა, შიშზე ქა-ა-აჯანაასავით ენას ამ-ამ-ამ-ოვიდგამდიო...

***შალვა ლომიაშვილი, კასპის რაიონი, სოფელი მეტეხი***

## 2. ავანსი

კარგა ხნის ამბავს გიყვებით: სამუშაოს შემდეგ, ბიჭები ფრონეზე ჩავედით საბანაოდ. აქვე დაგვხვდა სოფლის პირველი ქურდი ჩობანა, რომელსაც საბანაოდან მოშორებით ხის ქვეშ ეძინა. მან ზეპირად იცოდა, ვის რა ხილი ედგა ვენახში, ვის სად ეთესა კიტრი ან პომიდორი, ვისი ხილეული ან ბოსტნეული როდის დამწიფდებოდა, ვინ როდის და სად მიდიოდა, რომ მის ბაღში ან ვენახში გადასულიყო და მოეპარა. ამის გამო მისი „საქმეზე“ მოხელთება და მით უმეტეს, დაჭერა თითქმის შეუძლებელი იყო.



უცებ ბილიკზე სოფლის აქტიური კოლმეურნე ლუკა ბიძია გამოჩნდა, რომელსაც მხარზე სამთითა ჰქონდა გადებული. ჩობანა რომ დაინახა, ჩუმად მივიდა მასთან და სამთითა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მუცელზე დასცხო.

ჩობანა უცბად წამოხტა და თავი ფრონეში დურთა. გაცურა მეორე მხარეს და იქიდან დაუწყო ლუკა ბიძიას ლანძღვა-გინება:

— რათა მკლავ, შე ოჯახდაქცეულო, რა დაგიშავე?

— შენზე ამბობენ, ბაღებში და ვენახებში დაძვრებაო! — მშვიდად მიუგო ლუკა ბიძიამ.

— მერე, შენც როცა მომასწრებდი შენს ვენახში, მაშინ გეცემე, წინასწარ რატომ მცემ? — სცადა საკითხში გარკვევა ჩობანამ.

— როცა მოგასწრებ, დანარჩენს მაშინ მიიღებ, ეგ რაც იყო, ავანსად ჩათვალე! — დაარიგა ლუკა ბიძიამ ჩობანა და თავის გზას გაუდგა.

***ტარიელ მარგველაშვილი, ქარელი***

## 3. ეშმაკი მელია

ჯემალ მანჯგალაძემ მშობლიურ სოფელს მიაშურა, მეუღლის დაბადების დღისთვის თბილისში ხორაგი რომ წაეღო. თან სანადირო თოფი გაიყოლა, მაგრამ ვინ აცალა, ქეიფში ამოხადეს სული. წამოსვლის დღეს კი, როგორც იქნა, მოახერხა დილაადრიან წაენადირა. ბევრი სიარულის შემდეგ ხაფანგში გაბმულ მკვდარ მელას წაადგა.

— აუ, რას გავახარებ ჩემს ცოლს, თანაც ნატყვიარიც არ ექნება ტყავს!.. — გაიფიქრა ჯემალმა და მელიით ხელდამშვენებული დაბრუნდა მშობლების სახლში, სადაც უკვე სანოვაგით დატვირთული მანქანა ელოდა. მელია და სანადირო თოფი ისევე ჩადო საბარგულში და გეზი თბილისისკენ აიღო.

პოლიციის საგუშაგოს რომ უახლოვდებოდა, უცებ გაახსენდა, რომ თოფი გაწყობილი ჰქონდა და მანქანა გააჩერა, რომ იარაღი დაეშალა. ახადა საბარგული და... უცებ ისკუპა მელიამ და მოკურცხლა სართიჭალის მინდვრებში. საბარგულში კი „ხელუხლებლად“ მხოლოდ ღვინო დარჩა, რადგან მელიას სასმელი მაინცდამაინც არ ეჭაშნიკება. ხოლო გოჭი, ინდაური და ქათმები კი... ეჰ! დეზერტირების ბაზარში გაუხდა ჯემალს საყიდელი.



თურმე ნუ იტყვით და მელია მართლაც ეშმაკი ყოფილა — ხაფანგში გაბმულს თავი მოუმკვდარუნებია...

***ვახტანგ კასრელიშვილი, გურჯაანის რაიონი, სოფელი ვაჩნაძიანი***

## 4. „მოტყუებული“ თავადები



ჩემი დიდი ბაბუა, ტარიელ წერეთელი სოფელ ლაშეში ცხოვრობდა, მაგრამ მთელ ხარაგაულში იყო ცნობილი როგორც ენამოსწრებული კაცი. გადიოდა წლები. ბაბუა დაბერდა. ერთ მშვენიერ დღეს ყრმობის მეგობარი გრიშა აბაშიძე ესტუმრა. გზაზე მას ტარიელ ბაბუას მოყვარე შეხვდა და ჰკითხა, ტარიელი რავა მყავს, ხომ არ დამიბერდაო. ბაბუაჩემის მოყვარე ბაბუაჩემზე ნაკლები ენაკვიმატი არ იყო და უპასუხია, კარგად არის, ოღონდ ყურთ დააკლდა ცოტა და თუ ხმამაღლა არ ელაპარაკე, ვერაფერს გააგონებო. მერე სტუმარს გამოემშვიდობა და უმოკლესი გზით იარა, ისე რომ გრიშას მიესწრო და ტარიელს ამცნო, ძმაკაცი ჩამოგივიდა, ოღონდ, ბიჭო, გრიშას სმენა დაჰკლებია და თუ არ უყვირე, ვერას გააგებინებო.

როგორც იქნა, გრიშაც ამოვიდა (ტარიელ ბაბუა ზემო ლაშეში ცხოვრობდა).

— გამარჯობა, ტარიელ, ბიჭო!

— გაგიმარჯოს, ძმაო!

— რავა ხარ, შე ძველო?

ესალმებიან ძმაკაცები ერთმანეთს, თან მხრებზე ხელებს უტყაპუნებენ და რაც ძალი და ღონე აქვთ, გაჰყვირიან ისე, რომ მთელ ლაშეს ესმის და მთებიც ბანს ეუბნებიან...

ურთიერთგამოკითხვის შემდეგ დასხდნენ და ტარიელ ბაბუამ ცოლს წყნარი ხმით უთხრა, შენებურად დატრიალდი ახლა და სუფრა გაგვიშალეო, ცოლიც ჩვეულებრივი ტონით დაელაპარაკა. გრიშამ გაოცებულმა შეხედა ორივეს და ტარიელ ბაბუას ეკითხება:

— ტარიელ, ბიჭო, შენ ყურთ არ გაკლია?

— არა, ბიჭო, შენ?

— არც მე. მაგრამ ეს რა იყო, მთელი ლაშე რომ ავიკელით ყვირილით.

— მე ვიცი, ვისი ნამოქმედარია მაგი. გზაზე ჩემი მოყვარე ხომ არ შეგხვედრიაო? ამასობაში მოყვარეც მოვიდა და სუფრაც გამხიარულდა.

***ნინო წერეთელი, გორი***

## 5. ხწრაფი გურული

ბაბუაჩემი გურული კაცია. გურულების სისწრაფის ამბავი მოგეხსენებათ და არც ბაბუაჩემია გამონაკლისი. თავისი სისწრაფით ბევრჯერ ჩავარდნილა ხიფათში.

ერთხელ გურიაში ვისვენებდით. მამამ საქანელა გაგვიმართა. ეს საქანელა ისეთი გამძლე გამოდგა, დიდებიც კი სიამოვნებით ნებივრობდნენ. ჰოდა, ბაბუამაც მოინდომა საქანელაზე დაჯდომა. ბავშვები შორიახლოს ვთამაშობდით და რასაკვირველია, დავინახეთ, როგორ მიუახლოვდა მოხუცი საქანელას. ოღონდ, რატომღაც დაჯდომა ისე მოინდომა, რომ თოკისთვის ხელი არ მოუკიდია. როგორც კი დაიხარა დასაჯდომად, საქანელა უკან გადაიწია, ბაბუა წაბორძიკდა და ძირს დავარდა. იქვე ახლოს კიბე ჩადიოდა და ზედ ამ კიბეზე დაგორდა. ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ მიშველება ვერ მოვასწარით. ამ დროს მამაც მოვიდა და ძლივძლივობით ამოვიყვანეთ ბაბუა. სასწაული იყო ის, რომ არაფერი დაშავებოდა. ეს ამბავი თვითონაც გაუკვირდა. მამამ ჰკითხა, კი მაგრამ, ეს როგორ მოგივიდაო.



ბაბუამ კი უჩვენა: აი ასე მივუახლოვდი საქანელას, ხელი არ მომიკიდია თოკისთვის, ისე მინდოდა დაჯდომა, საქანელა კი გაიწია და გადავყირავდიო. ამ ლაპარაკის დროს იგი თან იმას აკეთებდა, რასაც ჰყვებოდა და... ზუსტად ისევ ისე დაუსრიალდა საქანელა და ისევ ჩაგორდა კიბეზე. ახლაც, ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მამამ ვერც კი მოასწრო დაეჭირა. ისევ მივვარდით ბაბუას და ამოვიყვანეთ... კიდევ კარგი, ისევ მშვიდობით გადარჩა.

***ია ჯანყარაშვილი, თბილისი***

# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს.

თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ.

თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

| კურიოზების კონკურსი |
| --- |
| საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ____ |
| კვირის პალიტრა №8 |

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 25 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 26 თებერვლის 13 საათამდე.*

**1-ელი მარტის ნომერში თქვენ შეიტყობთ თებერვლის თვის გამარჯვებულთა ვინაობას.**

**წარმატებებს გისურვებთ!**

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

**6.** ფსიქიატრიულში შემოწმებაზე არიან მისულები სამინისტროდან. ათვალიერებენ პალატებს და ეცნობიან პაციენტებს.

ერთი პალატიდან ისმის, — შვიდი, შვიდი, შვიდი!.. ერთ-ერთი სტუმარი დაინტერესდა, რა ხდებაო და სანამ რამეს ეტყოდნენ, კარის ჭუჭრუტანიდან შეიჭყიტა.

იქიდან გიჟმა თვალში თითი წაატაკა და გააგრძელა — ესეც რვა, რვა, რვა!..

***ბადრი ხელაძე, ვანი***





**7.** პატარა მიხომ მასწავლებელს მაგიდაზე ბუზი დაუხატა. მასწავლებელი რომ შემოვიდა, დაჯდა და მაშინვე მუშტი უთავაზა „ბუზს“. რომ გაიგო, დახატულიაო, მიხვდა, ვინც დახატავდა და მამამისი დაიბარა სკოლაში.

მეორე დღეს მამამისი რომ მოვიდა, მასწავლებელმა აუხსნა, რაც მოხდა და გაბრაზებულმა ისიც დაუმატა, რომ მისი შვილის წყალობით ლამის ხელი მოიტეხა.

მამამ ამ დროს შარვლის ტოტები აიწია, დამტვრეული მუხლის თავები დაანახვა და თან უთხრა:

— ეგ კიდევ არაფერი, გუშინ მაგ მაიმუნმა იატაკზე ტიტველა ქალი დამიხატაო...

***შ.ლ., მცხეთა***

## მილოცვა



ვულოცავთ **ხუტა (ვილგემ) იობაძეს** 80 წლის იუბილეს. ბედნიერები ვართ, რომ ოჯახისა და ერის წინაშე ვალმოხდილი, დღესაც მწყობრშია და წელგამართული, ამაყი დაიარება.

*უმცროსი ძმების მეკვლე ხარ,*
*გვითესე სიყვარულია,*
*არ მოჰკლებოდეს შენს ოჯახს*
*სითბო და სიხარულია,*
*დიდხანს მენახე დღეგრძელი, დავლოცავ ყველა შენიანს,*
*სიამტკბილობით გეჭიროს ღვთის ნაბოძები დღენია.*
*შენი უმცროსი ძმა ენგული ოჯახით.*

**სოსო ავსაჯანიშვილს!**



პალაკიჩ, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ იმ ღირსეული ნაბიჯებით სიარულს, ღრმა სიბერმდე, რომელიც დღემდე კაცურკაცობით, სტუმართმოყვარეობითა და სიკეთის თესვით მოიპოვე. გკოცნით, გეფერებით, შენი დისშვილები და ძმისშვილები.

*თამუნა, რაფო ფიცხელაურები; ნუკრი, ნინო, მინდია, ელიკო არაბულები; ლადო, ხათუნა, ეკა ავსაჯანიშვილები*

## ბინები

სასწრაფოდ! იყიდება 2-ოთახიანი ბინა 2(3) დიდი ლოჯიით, ევრორემონტით, წაბლის კარ-ფანჯრით, ჭერი 3,5 მ, ს/ფ 80კვმ, სველი წერტილები – კაფელით. ფასი $30.000. მის. ალმაშენებლის №197. ტელ: 36-39-47; 899 24-66-77

იყიდება 3-ოთახიანი ბინა, ტელეფონით, ბ/აირით, მ/დენით, სართულზე სათავსოებით, მე-4 სართულზე. ფასი $30.000. ტელ: 35-16-36

ქირავდება 1, 2 და 3-ოთახიანი ბინები, ასევე 1 ოთახი – დღიურად, კერძო საოჯახო სასტუმროსავით, ჩამოსულ და ადგილობრივ მცხოვრებლებზე. ერთდროულად მივიღებ 10-15-კაციან ჯგუფს და მეტს. მიიღება წინასწარი შეკვეთებიც. ფასი 1 და 2 ადამიანისათვის ერთნაირია და ნომრების შერჩევით ღირს 15$, 30$, 40$, 50$ და 100$. არის შეღავათებიც. ტელ: 99-94-67; 92-03-85; 893 33-03-86; 899 91-69-98. სტუმრების მიღება სადღეღამისოა

ქირავდება ფართი – 23კვმ, ხვიჩიას ქუჩაზე (გამოდის ქუჩაზე), I სართულზე, ახალგარემონტებული, სველი წერტილით. ტელ: 37-48-14 (საღამოს)

გირავდება (შესაძლოა გაყიდვაც) მ. „წერეთელთან" ახალაშენებული, კაპიტალური, პრივატიზებული, ბელეტაჟის ბინა (დაბლა ორი ოთახით და ცალკე სათავსოთი). ბინაში დარჩენილია ელემენტარული კოსმეტიკური სამუშაოები. მის: ფოთის ქ. №17 (შესასვლელი ეზოდან). ტელ: 35-45-59; 899-96-40-18; 899-95-61-56

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 38-31-59; 893 33-18-86

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

Новому филиалу крупной международной компании требуются сотрудники с высшим образованием. Возраст 30-45 лет. Предварительная запись на собеседование по тел: 29-00-54

Внимание! Иностранная компания проводит подбор в офисе, для людей с высшим и ср/тех образованием. Тел: 72-31-40. Грузия/Баку

ყურადღება! უცხოურ ორგანიზაციაში მიმდინარეობს ახალ თანამშრომელთა შერჩევა. გვესაჭიროება კადრები საორგანიზაციო სამუშაოს შესასრულებლად. ანაზღაურება მაღალია. აუცილებელი პირობებია: ინტელექტი, პოზიტიური განწყობილება და ასაკი 25-55 წელი. ტელ. 30-09-49; 893-37-33-00

სასიყვარულო პრესის ლიდერი – გაზეთი „სისხლიანი სიყვარულის" რედაქცია სამუშაოდ იწვევს 18-დან 35 წლამდე მანდილოსნებს სარეკლამო მენეჯერის თანამდებობაზე. მის: თბილისი, კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. №2-დან). ტელ: 93-49-72; 899-56-32-59

კომპანიას მუდმივ სამუშაოდ ესაჭიროება რუსული ენის მცოდნე უმაღლესი განათლების მქონე 30-დან 40 წლამდე ასაკის თანამშრომლები. ტელ: 22-20-55

იჩქარეთ! ენერგიულ და შესაბამისი ინტელექტის მქონე პიროვნებებს დავასაქმებთ ნაწილობრივ ან სრულად. საქმიანობა პერსპექტიულია და მაღალანაზღაურებადი. ასაკი – 20-55 წლამდე. ტელ: 893 96-73-24. თათია. e-mail: d bagrationi@mail.ru

GIJ – პირველი ქართული Au-pair სააგენტო გთავაზობთ გერმანიაში გამგზავრებას Au-pair პროგრამით. ასაკი – 18-25 წლამდე. შუამავლობა უმოკლეს ვადებში, კონსულტაციები და ცნობარები უფასოა. საშუამავლო თანხა – 78-90 ევრო ლარებში (წინასწარ – ნახევარი). ტელ: 34-66-02; 91-19-61

## მომსახურება

ვაწარმოებთ ლამინირებული „დეესპესაგან" სამზარეულოებს, კომპიუტერის მაგიდებს, კარადებს და ნებისმიერ საოფისე ავეჯს. ტელ: 69-45-18. დათო

რბილი ავეჯის რესტავრაცია, ერთ ან 2-საწოლიანი ტახტების არაბულ სტილში შეკვეთით დამზადება, მეორადი სამეულების აღდგენა, მშრალი წმენდა. ტელ: 76-01-33. გია

კომპიუტერული მომსახურების ფირმა „კომლაინი" ადგილზე მისვლით გთავაზობთ: კომპიუტერების ტექნიკურ და პროგრამულ გამართვას სტაბილური მუშაობის გარანტიით, პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებას, პროგრამულ უზრუნველყოფას, ვირუსებისგან გაწმენდას, ინფორმაციის აღდგენას, ქსელის ადმინისტრირებას, სპეციალისტის კონსულტაციას. მის: ზაქარიაძის ქ. №4. ტელ: 899 54-40-84

საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი გთავაზობთ კომპიუტერულ ეპილაციას. კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 10 ლარი. მის: ვ. აბაშიძის №8 (ოპერასთან). ტელ: 93-62-13; 899 22-47-23

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ეპილაცია უნემსოდ, ფრანგული აპარატით, უმტკივნეულოდ, უკვალოდ და ყველაზე შედეგიანად. ერთი ამოღებით თქვენ გათავისუფლდებით ჭარბთმიანობისაგან; სახის გაწმენდა მცენარეული ნაყენით, ორთქლზე, მუწუკიანი და ნამუწუკარი ლაქების უმოკლეს დროში განკურნვა. შემოგთავაზებთ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებულ კოსმეტიკურ საპნებს, კრემებს, ლოსიონებს. თქვენ უთუოდ კმაყოფილი დარჩებით. კოსმეტოლოგი ნათელა. ტელ: 33-33-18

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

## მკურნალობა

დაგეხმარებით პრობლემების მოწესრიგებაში: ნერვოზები – შიში, უძილობა, დეპრესია; ჰიპერტონია, სისხლძარღვოვანი პრობლემები, არითმიები, გულის ქრონიკული უკმარისობა, ინსულტისა და ინფარქტის შემდგომი პრობლემები, ვარიკოზი, ბუასილი, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, სისხლში შაქრის კორეცია, განგრენა, სახსრები, მარილები, ოსტეოქონდროზი. კრემლის ლაბორატორიის ბაზაზე აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდი, რომელსაც ანალოგი არ გააჩნია, ემსახურება ორგანიზმის ეფექტურ გაჯანსაღებას – მუშაობს უშუალოდ დაავადებების გამომწვევ მიზეზებზე, გამოჯანმრთელების მაღალი ხარისხით. ტელ: 899 22-63-90; 53-08-02

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე იაპონური აპარატით 10 წუთში ხსნის ტკივილებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, რადიკულიტს, სახსრების ტკივილს, ხერხემლის გამრუდებას, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, ყურებში ხმაურს, სექსუალურ დარღვევებს, ბუასილს, თმის ცვენას, ტროფიკულ წყლულს, ფსორიაზს, ფრჩხილების სოკოს, ორგანიზმში დაგროვილ სითხეს, ზრდადაუსრულებელი ბავშვების სიმაღლეში ზრდას. მკურნალობის კურსი 10-დღიანია. მის: მ. „მარჯანიშვილი", აღმაშენებლის 113 და 93. ტელ: 95-74-29; 96-38-27; 893 39-04-87

გაჯანსაღება უახლესი მეთოდით – მაქსიმალურად სწრაფი შედეგებით: არითმიები, ჰიპერტონია, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ქრ. პნევმონია, ბრონქული ასთმა, ალერგია, გასტრიტი, ბუასილი, პროსტატიტი, ფსორიაზი, კატარაქტა, კონიუნქტივიტი, გლაუკომა, რევმატიზმი, მასტოპათია, დიფუზიური ჩიყვი, ანტითამბაქო. ტელ: 32-39-46; 99-75-90. ნათია

თირკმლის, შარდის ბუშტის, შარდსაწვეთის კენჭების დაშლა ქირურგიული კვეთის, ნარკოზის და ტკივილის გარეშე, ყველაზე თანამედროვე ევროპული ტექნოლოგიით. მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 29, რესპუბლიკური საავადმყოფო, VI სართული, პროფესორი თემურ ტაბუცაძე. ტელ: 39-52-05; 899-56-94-83

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი ($t = 37,2^{0}C$), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03

გაჯანსაღება უახლესი მცენარეული პრეპარატებით, რომელიც შველის: თმის ბუდობრივ ცვენას, პროსტატიტს, იმპოტენციას, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, წონის კორექციას, ართრიტს, სოკოს, ბუასილს, პარადონტოზს, შარდის შეუკავებლობას. ტელ: 899 72-39-20

ადამიანის მთლიანი ორგანიზმის უზუსტესი კომპიუტერული დიაგნოსტიკა ბიორიტმების საშუალებით. შესაბამისად ინიშნება მკურნალობის კომპლექსური კურსი უვნებელი მცენარეული პრეპარატებით და აპითერაპიის (ფუტკრის) პროდუქტებით. მის: ალმაშენებლის №109 (ეზოში, ხელმარცხნივ, ნაცრისფერი გისოსებიანი ოფისი). ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. მიღება წინასწარი ჩაწერით, 10-18 სთ, გარდა კვირისა: 94-19-84; 96-35-92 (სამს); 897 58-29-18

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 91-18-33; 877 41-50-30

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

მაქსიმალური გარანტიით! აკ. ვა. ლიხარიოვის მიერ შემუშავებული სამკურნალო პროდუქცია, რომელიც აპრობირებულია რუსეთის (ВИЛАР) ლაბორატორიაში: მაღალი წნევა, ინფარქტის შემდგომი პერიოდი, ნერვოზი, უძილობა, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, დისბაქტერიოზი, ბრონქიალური ასთმა, დიფუზიური ჩიყვი, სოკო, ფსორიაზი, შარდის შეუკავებლობა, სახსრების ანთება. ტელ: 899 22-94-92; 99-75-90. თამრიკო

სიახლე D.V.V. კომპანიისაგან! ახალი ტექნოლოგიის პრეპარატები, ხარისხის ნიშნით, ეფექტური მოქმედებით: თამბაქოსა და ალკოჰოლისაგან განთავისუფლება, სახსრები, რევმატიზმი, მარილები, ართროზი, ოსტეოქონდროზი, სისხლძარღვები, ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია, ვენების ვარიკოზი, ბუასილი, კუჭ-ნაწლავის პრობლემები. ტელ. 99-75-90; 893 36-87-62. ავთანდილი

პირველად საქართველოში! აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდით და ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებზე დაყრდნობით შექმნილი D.V.V.-ისა და ПООВИТ-ის პროგრამებითა და პროდუქციით მხოლოდ ჩვენთან, ექსკლუზივის უფლებით, მიმართულია შემდეგ ნოზოლოგიებზე: შიში, დეპრესია, უძილობა, თავის ტკივილები, ნევროზი, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, კლიმაქსი, სკლეროზი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა, ფიბრომა, კისტა, მიომა, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, კოლიტი, დიაბეტი, ასთმა, ალერგია, სოკო, ეგზემა, ფსორიაზი, სახსრები, ვარიკოზი, ცისტიტი, ქოლეცისტიტი, ქრონიკული ჰეპატიტი. ტელ: 893 96-94-51; 35-17-48 (საღამოს)

სრული გაჯანსაღება! რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ნებადართული უნიკალური პროდუქციით: ნერვოზი, უძილობა, შიშები, დეპრესია, თავის ტკივილები, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, პროსტატიტი, თვალის დაავადებები, ფსორიაზი, კუჭის წყლული, სახსრების მარილოვანი დაავადებები, ასთმა. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

გთავაზობთ უახლესი მცენარეული საშუალებებით ორგანიზმის სრულფასოვან გაჯანსაღებას: უძილობა, ნერვოზები, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული, კანის დაავადებები, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, სახის კანის მოვლა უახლესი კოსმეტიკით. ტელ: 99-75-90. გიორგი

ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, გვერდითი მოვლენების გარეშე. ტელ: 893 965-032. მაია

## ვასწავლი

ვარ თარჯიმანი (სინქრონის სპეციალისტი). ვამზადებ ინგლისურ ენაში აბიტურიენტებს და TOEFL-ის გამოცდისთვის. მოვამზადებ მსურველებს კემბრიჯის სერტიფიკატის გამოცდისთვის და სალაპარაკო ინგლისურშიც. ჩვეულებრივი კურსი კვირაში სამჯერ, 2 საათი. 12 გაკვეთილი – $50. სწრაფი კურსი ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 2სთ. 20 გაკვ. – 100$. ტელ: 64-79-30; 893 27-47-98

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, sagamomcemlpo da grafika: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-დიზაინი: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან", რესტორან „სამოთხის" უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

კურსები „ელიტა-სკ" იწვევს 15-დან 18 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებს, ამერიკის, გერმანიისა და საფრანგეთის სკოლებში, აკადემიური წლის (10 თვის) პროგრამით. მის: ქავთარაძის ქ. №12. ტელ: 30-39-20

## იყიდება

ა/მ „ფორდ მონდეო-ჩია", ქარავანი, 1994 წლის, ლურჯი მეტალიკი, ავტომატიკა, ძრავი 2.0, კონდიციონერით, 2 აირბალიშით, ალუმინის დისკებით, 4 ელშუშის ამწეთი, სრული ელპაკეტით, კომპიუტერით, სარკეების ელრეგულირებით, ელლიუკით, ცენტრალური საკეტით, სპორტული და ეკონომიური რეჟიმით, ახალი ჩამოყვანილი. ს/ფ – $4200. ტელ. 893 32-14-12

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

მაღაზია – იარაღის სახელოსნო „ოქროს ვერძი" გთავაზობთ: პისტოლეტები და რევოლვერები, გლუვლულიანი და ხრახნილლულიანი თოფები; ექსკლუზიური საჩუქრები მანდილოსნებისათვის, სუვენირები მამაკაცებისათვის! ვმუშაობთ ყოველდღე, 11-19 სთ (კვირას და უქმე დღეებში – 12-18 სთ). მის: რესპუბლიკის მოედანი, რუსთაველის №37, გასასვლელში. ტელ: 98-22-58

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური ვაგზლის შენობა, მე-2 სართ, მაღაზია „ესთეტი", 12-16 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.






### ლამარა დარასელიას ხსოვნას!

მუდამ ღიმილიანო, სიყვარულითა და სათნოებით ალსავსე, სულიერად და გარეგნულად ლამაზო ლამარა!

ულმობელმა სიკვდილმა მოულოდნელად წაგვართვა და შენი თავი, გულწრფელი ცრემლებით დავტირით შენს ცხედარს. შენ ხომ ყველასათვის დედასავით მზრუნველი იყავი და პასუხად ასევე უსაზღვრო სიყვარული და შენი სიკვდილით გამოწვეული ზღვა ცრემლი დაიმსახურე. მოულოდნელმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი, მაგრამ შენი ხსოვნა მარად ჩვენთან დარჩება.

*სტუ, პრობლემური ლაბორატორიის თანამშრომლები*

### გოგა კაპანაძის მონატრება



დღის ტკივილი და მონატრება უსაზღვროა, ჩემო ვაჟკაცო, ჩემო რაინდო. 33 წლის ასაკში ერთმა წუთმა განაზღვრა შენი ამ ქვეყნად გადასახლება და თვალზე შეუშრობელი ცრემლი მარგუნა. ჩემი გული ვერასოდეს მოიშუშებს ამ იარას და ვერც ვერასოდეს დაგივიწყებს. ვერასოდეს დაგივიწყებენ შენი ახლობლები და მეგობრები, რომლებმაც იცოდნენ სითბო და სიყვარული გიჩუქნის, რამდენსაც ალბათ არც ელოდი. შენი ამ ქვეყნიდან უეცარი წასვლა მარტო ჩემს ტკივილად არ ჩათვალეს და მუდამ იმის ფიქრსა და ზრუნვაში არიან, შენს ლამაზ სულსა და სახელს არაფერი მიაკლონ. შენი დამწუხრებული დაიკო, შენით რომ ამაყობდა, ჩემთან ერთად ილოცებს ცრემლად. იმნე მშვიდად მარადიულ სასუფეველში და ჩემი ცრემლი განბანავს მიწას.

*დედა ლილი კაპანაძე*

### მაყვალა ტოტოლაშვილი-მღებრიშვილის გახსენება



დედა, ძალიან მენატრები შენს ქმარ-შვილს. 26 თებერვალი შენი დაბადების დღეა. 56 წელი შეგისრულდებოდა, დედა. უშენოდ დაცარიელებულ სახლის ვერაფერი შეავსებს. მოვალთ შენს საფლავზე, მოგიტანთ ყვავილებს, დაგინთებთ სანთლებს და თვალცრემლიანები დავბრუნდებით შინ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩემო საყვარელო დედა.

*შენი მაიკო ქმარ-შვილით*

ჩემო ძვირფასო მაყვალ! როგორ მიჭირს, საფლავზე მეურე რომ უნდა მოგილოცო დაბადების დღე. არ მყოფნის სიტყვები, შენი ქალობა რომ აღვწერო. შენ ჩემთვის მხოლოდ კი არა, დედა იმდენი იყავი. რამდენიც უნდა მოვეფერო შენს მაიკოს, ვიცი, დედის ფასი სულ სხვაა. ვილოცე მე ცოცხალი ვიქნები, შენი სახელი ჩემს გულში არ წაიშლება.

*შენი მახარე ნათელა პაპაშვილი*

### შოთა (მაკარა) ტურიაშვილის მონატრება



შენმა მოულოდნელმა სიკვდილმა თავზარი დაცა შენს ოჯახს. აი, პირველი დაბადების დღე მოდის უშენოდ. 22 თებერვალს 22 წლის უნდა გამხდარიყავი, დედის ნანატრო ბიჭო! მაგრამ არაკაცებმა ვერ აიტანეს შენი ვაჟკაცობა, ძლიერება, სილაღე და ტყვით გამოაცალეს სიცოცხლე. ამას სხვა რა მოერევა შენს ძლიერ სხეულს? რა სიხარულით შემეგებოდით შენი დედა, შენ ხომ ჩვენი სიხარული იყავი, ჩვენო ულამაზესო, ძლიერო, კეთილო ბიჭო! შენმა დაკარგვამ გულში სამუდამო ტკივილი დაგვიტოვა. შენი მშობლები კი დღესაც დაუსჯელები დადიან.

უსაზღვროდ გვენატრები, ვეფერებით შენს სურათებს და იმედად შენი პატარა ლუკა დაგვრჩენია, რომელიც ასე ძალიან გგავს შენ. შენი დისშვილები კი დღესაც შენით ამაყობენ. ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროს. დალოცე შენი დიდი ოჯახი, რომელიც ღმერთს ავედრებს შენს ლამაზ სულს. გვიყვარხარ, გვაკლიხარ, გვენატრები. ნათელი ეფინოს შენს ლამაზ, ძლიერ სულს, ჩვენო შოთა!

### ეთერ (ლეკა) გრძელიშვილის ხსოვნას!



დედიკო, ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. გვიჭირს უშენოდ შენი დაბადების დღის, 28 თებერვლის შეხვედრა. შენ ყველასთვის ჩვენთან იქნები და იმით დარჩები, როგორიც იყავი: შეუდარებელი დედა და და, ერთგული მეუღლე, სამაგალითო რძალი, მოსიყვარულე ბებია, თავდადებული მასწავლებელი, ულამაზესი შვილისა, სათნო ქალბატონი, ზღვარ დამიანი და ბუნებით ქალი ყოველთვის ქედმაღალი და სულიერად ამაყი.

ნუგეშად ისლა დაგვრჩენია, დაბადების დღე სასუფევლიდან თვალცრემლიანებმა მოგილოცოთ და მარადისობაში გადასულს შენი საყვარელი მამიზები მოგართვათ.

*შენი ახლობლები*

### ლევან შუშანიას მონატრება



26 თებერვალი ოჯახის ტრაგედიის დღეა. ერთი წელია, რაც აღარ გვესმის შენი მხიარული, ალალი სიცილი. ყველასგან გამორჩეულს სიკვდილიც გამორჩეული გერგო — შემზარავი და ტრაგიკული ყველასთვის. თავზარდამცემი იყო შენი ამ ქვეყნიდან მოულოდნელი წასვლა. ყოველი დღის გახსენება უშენოდ ახალი სიკვდილია შენი მშობლებისა და ძმებისათვის. შენ მარადიული სიჭაბუკე გერგო. უსაზღვროდ გვენატრები. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ცრემლითა და ყვავილებით ავავსოთ შენი საფლავი. დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*გაა, ფაუსტო, გრიშა შუშანიები*

### ლეილა ჯანჯღავას მონატრება



25 თებერვალს შენი დაბადების დღეა. 19 მარტს კი 5 წელი შესრულდება შენი გარდაცვალებიდან. რამდენი გაზაფხულ და დარდი გამოიარე და როცა გეგონა, რომ ყველაფერი უკან დარჩა, მაშინ დაკარგე ძვირფასი მეუღლე, შენი ანზორი. ვეღარ გაუძელი ამხელა ტკივილს და შეგეწყვა გაჭირვეულება. შენ ამშვენებდი ოჯახს, სანათესაოს, სამეგობროს. გასცემდი უზომო სიკეთეს, სიყვარულს. ყველას მხსნელი, დამხმარე, უანგარო მოამაგე იყავი. ჩვენ აუტანელი ტკივილი დაგვიტოვე. გვიჭირს უშენოდ. ღმერთმა სამოთხეში დაგიმკვიდროს სასუფეველი.

*შენი და-ძმები*

### ოთარ (ოთო) ბაქრაძის გახსენება



ჩვენო ოთო! აი, უკვე მესამედ, უშენოდ მოვიდა გაუსაძლისი ტკივილით, ცრემლითა და მწუხარებით სავსე 27-ე დაბადების დღე. დღე, ოდესღაც ლამაზი 24 თებერვალია. აღარ ხომ დიდი ზეიმით, სიხარულითა და სიყვარულით ვხვდებოდით. დღეს კი ისღა დაგვრჩენია, გამოგიგზავნოთ ლამაზი ყვავილები, ცრემლი და წმინდა სანთელი. გვჯერა ოთო, შენი უხილავი სული ჩვენთან არის. ეს რწმენა გვამშვიდებს, გვენატრება შენი ხმა, შენი ღიმილი, შენი საუბარი, შენი მოფერება, შენ ყოველთვის ჩვენთან ხარ, ჩვენო საყვარელო.

ყოველი დღე შენს მონატრებაში თენდება და ღამდება. რა ძნელია და მტანჯველი უშენობა, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო!

*ოჰ! რა მტკივნეულია წუთისოფელი,*
*თუ კი გაგწირა ბედმა,*
*ოჰ! რა ძნელია ჩვენი ცხოვრება,*
*სანამ წამოვალთ შენთან.*

ღმერთმა სასუფეველში ამყოფოს შენი უმწიკვლო სული.

*შენი მონატრებით დატანჯული მშობლები, ბებია-ბაბუები და ძმა*

### ოთარ ბაქრაძის ხსოვნას!

*წუთია წუთისოფელი...*

სევდამ ცრემლი იცის, მწუხარებამ — სიჩუმე... გული დასეტყვილი თუ იტყვის, ვის ტრაგიკული სიცოცხლეც შეაგრძნობს, ალბათ მაშინ...

ჩვენო ოთო!

შენი პედაგოგების სულში არასოდეს წაიშლება ავადმოსაგონარი 16 აგვისტო. ალბათ, განგებამ გამოგიტყუა, რჩეულობას გაზიარა თანატოლთა შორის, თორემ რა ძალას უნდა შეეძლო შენი ვაჟკაცური სიცოცხლის ჩაქრობა?!

ელვარე, მჩქეფარე სანთელივით ჩაიქროლე შენი პედაგოგების წინ... დატოვე ზღვა სითბო, ზღვა სიყვარული, დღეს კი გაუსაძლისი ტკივილით გაჯერებული... მოდის სუსხიანი, სევდიანი, ცრემლიანი 24 თებერვლის დღე. უშენობის ბურუსი რომ ფარავს. ეს დღე შენ პედაგოგებს ერთხელ კიდევ ჩასწვდება სულის სიმებს.

ჩვენი პედაგოგიური სითბოთი გეფერებით და უკვე გვწამს, რომ მართლაც, წუთია წუთისოფელი.

*წრფელი მონატრებით, შენი პედაგოგები*

### ოთარ (ოთო) ბაქრაძის ხსოვნას!

2001 წლის 16 აგვისტოს ავტოკატასტროფამ შეწყვიტა შენი ლამაზი სიცოცხლე — სიცოცხლე 24 წლის ვაჟკაცისა, რომელსაც გქონდა უღიდესი ნიჭი, გიყვარდა ყველა, ყველასთვის სითბო გაგეწილებინა, ყველას მოპყრობოდი, ყველას დახმარებოდი. ჩვენ კი უძლურნი აღმოვჩნდით შენი სიკვდილის წინაშე, ვერ გადავცვლით შენს ბედისწერას და დღეს მხოლოდ შენი მოგონებით, შენს სულზე ლოცვით, შენს საფლავზე მისვლით ვცდილობთ, შევავსოთ უშენობით გამოწვეული დანაკლისი. შენს ადგილს ჩვენს გულებში ვერავინ დაიკავებს. მხოლოდ მოგონებები გვანუგეშებს შენ მიერ კაცურად განვლილი ცხოვრებიდან.

ყოველ 24 თებერვალს მოვალთ შენს საფლავთან და მოგილოცავთ დაბადების დღეს, დაგინთებთ სანთლებს.

დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

ძალიან გვენატრები ყველას.

*შენი მეგობრები*

### გურამ იაკობიძის მონატრება



უკვე სამი წელია, რაც ჩვენს თვალებს მოაკლდა შენი მოციმარი სახე. სამი გრძელი წელიწადი გავიდა, აღარ გვესმის შენი გულიანი სიცილი. 2 მარტს შენი დაბადების დღეა. შენი წასვლით იმდენი სიცარიელე და ტკივილი დაგვიტოვე, რომ სასოწარკვეთამ დაისადგურა ჩვენს გულებში. გვეგონა, აღარ არსებობდა სამართალი, რადგან ღმერთმა ასე გაგწირა, მაგრამ უფლის რჩეულნი ალბათ უფრო ადრე მიჰყავს ამქვეყნიური ჯოჯოხეთიდან. სიყვარულის განსახიერება იყავი ყველასათვის. ყველას მოაკლდი. ოჯახმა დაკარგა მოსიყვარულე, ერთგული მეუღლე, მზრუნველი მამა, დებისათვის თავდადებული გულშემატკივარი ძმა, რომელსაც მუდამ ახარებდა სხვისი სიკეთე და გაჭირვებაში მყოფს მარტოს არ დატოვებდა. მართალია შენ აღარა ხარ, მაგრამ შენს ორ პატარა სიცოცხლეს შევხარით და ვესიყვარულებით. უზომოდ გვენატრები. რაც დრო გადის, უფრო მძაფრად ვგრძნობთ უშენობას. უფრო მეტად გვტკივა შენი უდროო წასვლით მიყენებული, მოუშუშებელი იარა.

*შენი მეუღლე, დები*

### ამირან გაგოშიძეს!



*ხენეშით გათენდა იანვრის დილა, მოწმენდილ ცაზე*
*გაკრთა მეხი,*
*შავად ჩაცმული და უძლური, თვალებ გეპყრა*
*სიკვდილის ეშლი*
*არ მოელოდა ღმერთისგან წყევას, ვერც ნახე ხვალის*
*მისგან გამხელა,*
*როგორც ქნეული წნორად და მშვიდად, საყვარელ*
*საქმით იყავ გართული.*
*მინდორს თითქოს ზეცამ და მიწამ და უჩუმარად*
*დაგატირეს თვითონ,*
*ალბათ ეს იყო ღრმა მისტერია, რომ მიდიოდნენ სამოთხის კართან.*
*თვალი უხილავ სიკვდილს ლოდინით, ჟამსა ბრუნვისგან იყავ დაღლილი,*
*გენატრებოდა გაგუხის ნაპრა და ჟიპრული გულის წადილი*
*სიცოცხლის ჯაჭვის გაიწყდა რგოლი, მოიწყდა ცხოვრებას, ყოფას წამიერს,*
*შენზე ცრემლდაღვრილ ლიდ სამგზავროს ვეღარ უმღერებ „მრავალჟამიერს“.*
*წუთისოფლის სუფრაზე იჯექ და ჭეშმარიტად გქონდა ადგილი,*
*ქალ დაგვიტოვე მოსაგონებლად, გზები კაცურად შენგან გავლილი.*
*შენზე იტყვიან იყო ძლიერი, მაგრამ არ ჰქონდა ოქრო და ფული,*
*შენი სიმდიდრე იყო სახელი, სიუკაცე და კაცური სული.*

*შენი და მირანდა*

### თემურ კრაწაშვილის უკვდავყოფა!



*„შენ კი არ მოკვდი, გამაღე სარკმელი ზეცის*
*და ანგელოზებს შეუერთდი ფარფატა ფრთებით!“*

ჩვენო საყვარელო მეგობარო, ჩვენო თემუკა! რაც შენ ეს ქვეყანა ტრაგიკულად დატოვე, მას შემდეგ ჩვენს გულებს სამუდამოდ დეშმკვიდრა სიხარული. შენმა უდროოდ დაღუპვამ ლიდ დღე დაასვა ჩვენს ცხოვრებას, მოუშუშებელმა ტკივილმა სამუდამო ნაკვალევი პოვა ჩვენს სულებში. შენს მონატრებაში გაილია ტანჯვისა და წამების ოთხი თვე.

უსაზღვროდ გვენატრები, გულის ტკივილამდე გვაკლიხარ! შენ ისეთი ლამაზი და ყველასგან გამორჩეული იყავი. რას წარმოვიდგენდი, რომ შენ — ჯანღონით სავსე, კეთილშობილ ადამიანს ასე ნაადრევად გამოეთხოვებოდა წუთისოფელი.

ამბობენ: უფალსაც რჩეულები მიჰყავსო... ამ სიტყვების მწარე სიმართლე მაინც ამინც შენი სიკვდილით რატომ უნდა გვეგრძნო, რატომ?!

იმ დღეს უსაზღვროდ წვიმდა. ალბათ ზეცა დაგტიროდა. შენ ისეთი კეთილი იყავი, რომ ზეცასაც შეეცოდე, მასაც ჩვენსავით დასწყვეტოდა გული. სული მიკვდება — მე ხომ ვიცი, რომ გულზე გაწვიმს, მაგრამ ჩვენ, შენს მეგობრებს არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია, გარდა იმისა, რომ ღმერთს შევთხოვოთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, ფაქიზი სული.

16 თებერვალს 20 წელი შეგისრულდებოდა. გილოცავ დაბადების დღეს! მშვიდი ყოფილიყოს შენთვის იმქვეყნიური ცხოვრება.

*„ჩემო ვარსკვლავო, ვერ არ გაქრები, ჩემზედ არავინ არ აცტირი.*
*მე ხომ ისედაც ცეცხლში ვიწვები და ბოლოს ფერფლად გადავიქცევი,*
*მე ხომ ისედაც არ დავბრუნდები და ბოლოს მაინც აღარ ვიქნები!“*

*თამუნა კონიაშვილი*

### ლევან (ნიკოლოზ) ქვათარაძის მონატრება



პირველად მოვიდა გაუსაძლისი, ტკივილით, ცრემლით, მწუხარებით სავსე შენი დაბადების დღე. 24 თებერვალს 51 წელი შეგისრულდებოდა.

უკვე ექვს თვეზე მეტია, ჩვენ შორის აღარ ხარ. თავზარდამცემი იყო შენი ამ ქვეყნიდან მოულოდნელი წასვლა. უშენობა უჭირთ შენს ოჯახსა და ახლობლებს.

*შენზე უზომოდ მონატრებული ოჯახი*

### ვანო დვალიძის მონატრება



რა უკან გავიდა 3 წელი. გიგონებ და მიჭირს იმ რეალობასთან შეგუება, რასაც უშენობა ჰქვია. დანწულს ვერ ამიხსნა, ასეთი შემზარავი და ტრაგიკული სიკვდილი რატომ გერგო?

გულისტკივილით სავსეა მონატრება. აღარ ხარ და უკლებლივ ყველას დასწყვეტია გული, რადგან განსაკუთრებულად კარგი იყავი ყველასთვის.

წასვლი და გვასწავლე მონატრება. ისეთი ახლობელი გახდა სიკვდილი, უშენოდ დარჩენილებს უკვე აღარ გვეშინია მისი, რადგან შენ გვეგულები იქ...

*შენი გაა*

### გურამ კიზირიას, სოსო მშველიძის ხსოვნას!





ულმობელი ყოფილა სიკვდილი. ერთი წელია, ვიგონებ ავადმყოფობით გატანჯულ შენს სახეს, მენატრება შენი ღიმილი, ჩემო გურამ.

ორი წელია გელოდები, ჩემო ძმიკო სოსო.

ცხრა თვეა, შენც მიმატოვე ჩემო დედიკო, თუმცა მარტო არასოდეს მტოვებთ, ჩემი ფიქრები, ცრემლები, დარდები თქვენთან ხართ. მიყვარხართ, მაკლიხართ, მენატრებით.

19 და 26 თებერვალს თქვენს საფლავებს ცრემლებს დავაფრქვევთ, აგინთებთ სანთლებს და ღმერთს შევევედრებით თქვენი სულის უკვდავებას.

*თქვენი ზოია*

### ლალი ყურუას მონატრება



გარდა ცრემლისა და ტკივილით აღსავსე ოთხმა წელმა ვერ ვეგუებით შენს დაკარგვას, ჩვენი თვალები ყველგან შენ გეძებს. უსაზღვროდ გვენატრები, გვაკლიხარ. შენი ღიმილი გვენატრება და გვიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი, სიკეთის განსახიერებავ, ირგვლივ სიკეთეს რომ თესდი. ვაი, რომ ვეღარ შევძელით უდროოდ შენკენ მომავალი სიკვდილის შეჩერება და 44 წლის ასაკში გამოგვეცალე ხელიდან.

ქებრები ყველას, შენს კარგ ქალობაზე ლაპარაკობენ, გახსენებენ თბილად და სიყვარულით.

ვლოცულობთ შენზე და უფალს ვთხოვთ, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიული სასუფევლისაკენ.

*შენი დამწუხრებული დედა ათინო, ძმა ვლადიმერ, დები — მანანა და ნონა ყურუები*

### თამარ ვაშაკიძის ხსოვნას!



აი, წელიწადი გავიდა იმ ულმობელი დღიდან, რომელმაც ყველაფერი თავდაყირა დაგვიყენა, გაგვაოგნა და დღემდე ამ სასტიკ რეალობასთან უსასრულოდ დაგვტოვა. რატომ შენ? რისთვის? რატომ? — ვფიქრობთ, უფალმა ასეთი გამორჩეული პიროვნული თვისებების გამო გაგარიდა ამ ცოდვილ წუთისოფელს, რაც ჩვენთვის გაუგონარი, თუ რატომ სწრაფმავალია წუთისოფელი, ყოველი წუთი. შენ ეს ეტაპიც განვლე. ჩვენ ყველას ეს წინ გვაქვს. ერთი რამ გვიკლავს გულს — რომ შენ, რომელიც ყველას ეხმარებოდი, კრიტიკულ მომენტში ვერავინ დაგეხმარა! ვინ იცის, ვის უხმობდი საშველად. ერთი რამ ცხადია, — ბედისწერას ვერავინ გაექცევა და კიდევ ერთი წლით შემცირდა შენთან შეხვედრის დრო.

აკლიხარ შენს კარიერას, მთელ დასახლებას, შენს ოჯახს, სადაც შენი ძალი, შენი სისხლი და ხორცი ღირსეულად აგრძელებს შენს სახელს. დალოცე ის, დალოცე შენი ტანჯული დედა, რომელიც გმირულად იბრძვის, რომ არ აგრძნობინოს მას უდედობა. მხოლოდ ასეთი ძლიერი სულის ქალს შეეძლო აღეზარდა სამშობლოსთვის ასეთი, ყველაფრით გამორჩეული, ულამაზესი ფიზიკური მონაცემების და ამაღლებული სულის შვილი — ეტალონი დედობისა, ქალობისა, ელეგანტურობისა და მისი პირდაპირი პროფესიული მოვალეობისა, რომელსაც ერთხელაც არ უღალატია ექიმის ფიცისთვის და მიუხედავად მიზრული ანაზღაურებისა, მაინც ეხმარებოდა უპოვარს — მეზობელი იქნებოდა ის თუ პაციენტი.

აი ასე, დღემდე გაოგნებული ვხვდებით შენი მარადისობაში გადასვლის წლისთავს და გვჯერა, რომ შენ მიერ დათესილი ყოველდღიური სიკეთე სინათლის სხივად დაგიდგება სულთა საუფლოში.

ნათელში იყავი.

*მუდმივად „მადლიერი“ შენი მეგობრები.*

### შოთიკო ბერიძის ხსოვნას!



ყოველთვის სიხარულით ველოდით 28 თებერვალს, რადგან გვჯეროდა, რომ მრავალჯერ და სიხარულით აღსავსე იზეიმებდი ამ დღეს, შენს ოჯახთან და მეგობრებთან ერთად.

აი მოდის, შვილო, ეს დღეც, მაგრამ არა ლამაზი და ბედნიერი, არამედ ტკივილიანი და ცრემლიანი. ცრემლი, რომელიც ისედაც არ აკლდა შენს უბედურ დედას, მამაშენის დაკარგვის.

შოთიკო, შვილო, პირველად უნდა შევხვედრო ამ დღეს უშენოდ, მაგრამ არ ვიცი, როგორ. რა მწარე იქნება ის დღე, შვილო, რომლის გათენებაც ასე გვიხაროდა. გვიყვარხარ და გვენატრები, შვილო. უშენობა გაუსაძლისი შეიქნა ჩემთვის, დედიკო გენაცვალოს.

28 თებერვალს 32 წელი შეგისრულდებოდა. გილოცავთ დაბადების დღეს, შვილო! მოვალთ, დედიკო, შენს საფლავზე, ყვავილებს მოგიტანთ, სანთლებს აგინთებთ და უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*დედა ლია, ძმა ლევანი, ბებია ივლიტი, ბაბუა შოთა, მამიდა ლუიზა*

### დავით ჩიტიანაშვილის მონატრება



ორმოცი გაუსაძლისი დღე გავიდა დარდით და ცრემლებით სავსე. წარმოუდგენლად მიჩნია შენს მაჩრის შენ გარეშე ცხოვრება, ანას და რეზიკოს ჯერაც ვერ დაუჯერებიათ, რომ აღარ შემოაღებ კარს და სულ შენს მოლოდინში არიან. შენ ნათლისღების წმინდა დღეს დაგვტოვე, დავით და მჯერა, შენი სული ყოველთვის ნათელში იქნება.

ჩვენი დანთებული წმინდა სანთლები გინათებდეს და გიმშვიდებდეს შენს წმინდა სულს.

მჯერა, შენც ილოცებ შენს უზომოდ საყვარელ ოჯახზე. გვტკივა უშენობა, გვიყვარხარ და გვენატრები.

*შენი პატარა მეგობარი მაიკო.*

### თემურ ძიძიგურის მონატრება



პირველად გილოცავ დაბადების დღეს ზეციურ სასუფეველში, თემურ საყვარელო. თვალცრემლიანი ვემთხვევი შენს ხატადქცეულ საფლავს, ლოცვით მოგილოცავ დაგინთებ 41 წმინდა სანთელს. ჩვენი სიყვარულის უკვდავსაყოფად მოგიძღვნი ცრემლით დანამულ ლამაზ ყვავილებს. სევდანარევი ჩურჩულით ვამბობ ტკივილიანი მონატრების შესახებ, რომელსაც ათი თვეა გულით დავატარებ.

ლამაზად განვლილი ცხოვრების ორმოცდაერთი საუკუნო ჩავიტყდა და დარჩი მარად ახალგაზრდა, სიცოცხლეზე და ოჯახზე მოტრფიალე კაცილექტიცს: შეუდარებელი შვილი, მამა, მეუღლე, მეგობარი და საერთოდ ადამიანი ღვთისგან დაჯილდოებული ღირსებებით, ხასიათში შერწყმული ლამაზი თვისებებით, სიკეთით, მოყვასის სიყვარულითა და დიდი ღირსებით.

წრფელი სიყვარულით შევქმენით ლამაზი ოჯახი. შენ მიზიარე ბედნიერება. ჩვენი უკვდავი სიყვარულის ფესვებზე ოთხი ულამაზესი ყლორტი აღმოცენდა — „ჩემი შვილები ჩემი სიმდიდრეა“. თავდაუზოგავად შრომობდი, შვილებს ანებივრებდი, — ჩემს ხელში მაინც იყვნენ გალაღებულები, იქნებ რა მომავალი აქვთო. გული გიგრძნობდა, რაღაცას, ჩემო ძვირფასო. ყოველთვის გეჩქარებოდა და ოჯახისკენ მოისწრაფოდი, გინდოდა დრო ამოგევსო, დრო დაკარგული ბედნიერებისა. ეტყობა აღარ დამიხვრეული ბედნიერებას, რომელსაც ვერასოდეს ავცდებით. შენ იყავი ჩვენი დიდი ოჯახის საყრდენი ბურჯი. ღმერთის ნაბოძებ ყველაზე ძვირფას შენს სიცოცხლეს ჩვენ ხომ თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდით. შენ რატომ არ გაუფრთხილდი, რატომ მოუშვირე სიყვარულით სავსე გული ბოროტმოქმედების ულმობელ ტყვიას?! ნათქვამია, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო. რატომ აგერია გზა და კვალი?! მაშინ, როდესაც საქრთველოს ცეცხლის წვიმა აწვიმდა, შენ ხომ შენი თანამემამულეების გვერდით იდექი მშვიდობის სადარაჯოზე. ღმერთმა შინ უვნებელი დაგაბრუნა.

და ახლა, როცა სიცოცხლე კიდევ უფრო შეგიყვარდა, როცა ახლა შენი სანუკვარი ოცნება — სამი ქალიშვილის შემდეგ ნაოცნებარი ვაჟიშვილი ჩაგორდე მკლავებში, სწორედ მაშინ გიმტყუნა მუხთალმა ბედისწერამ და უბედურებას გაზიარე. შენი გორგი ისეთი ეთეთერი დატოვე. კლუბში მიზის და ცრემლიან ნანას ვუმღერი. დღით დღე მაში ცოცხლდები და იზრდები. შენს სურათებს იკრავს გულში და გეფერება.

მდღიანი ადამიანო, მადლიან დღეს, ბრწყინვალე შუადღის კვირაში, დიდ ხუთშაბათს შენი სპეტაკი სული ანგელოზებმა ფრთებზე შეისვეს და ტაძრ აიტაცეს. უფალმა სამოთხის კარი გაგიღო და მართალთა შორის მოგიჩინა სავანე. ოთხი შვილის მფარველ ანგელოზად იქცი. შენს პატარა ანგელოზებს კი შენი ნამუშევარის მადლიანი კალთა გადააფარე თავზე. ჩვენი შვილები შენს ნაკვალევზე დათესილ სიკეთეს ნაბიჯ-ნაბიჯ იმკიან. ყველა დალოცვა, ვინც ამ მოურჩენელი ტკივილის გადატანაში გვეხმარება. დალოცე შენი ღრმად ყურადღებიანი კოლექტივი. მადლობას ვუხდი თანადგომისთვის თითოეულ მათგანს. გზა სიცოცხლიდან სიკვდილამდე ისე გამოვიარე რომ აღარაფრის მეშინია. თვალს არ დავახამხამებ, ისე დავადგები იმ ბილიკს, რომელიც შენთან მიმიყვანს. მაგრამ ვფიქრობ, მხოლოდ იმაზე, ვილოცავ, რომ სიცოცხლეზე გულდაწყვეტილის ზეცაში მოგანიჭო ბედნიერება. ღმერთს ვევედრები, გამაძლიეროს, რომ შვილები დავაბინავო. მინდა, შენთან ვაღიმებული მოვიდე.

მშვიდად იძინე ლვთისგან დადგენილ დღეს მეც შენთან მოვალ. ჩემი სამყაროც ხომ შენთან არის.

შევიშრობ ცრემლს და ვილოცებ შენი სულისთვის.

*დიდი სიყვარულით, შენი თამილა*

### თემურ ძიძიგურს!

შენ გაგინათებს სასუფეველს შვილების ლოცვა. ტკივილიანი მონატრებით ვლოცულობთ ოთხნი — ელენე, ლანა, ნინო. სანთლებს გინთებს გიორგი. მამა, დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ხატებავ.

გვენატრები, მამიკო!

*შენი შვილები*

### თემურ ძიძიგურის ხსოვნას!

განგებამ ასე ინება, რომ დაბადების დღე ზეციურ სასუფეველში მოგილოცოთ, ძვირფასო სიძევ, თემურ. რა მოკლე და უსამართლო ცხოვრება, ქვეყნად სამართალი რომ არსებობდეს, შენი გარდაცვალება როგორ შეიძლებოდა.

გარდაცვალება უდროოდ არ არსებობსო, ყოველი გარდაცვალება ღვთისნებაა და დროულიო, ამბობენ, მაგრამ შენ ხომ ანგელოზად მოვლენილი ადამიანი იყავი ამქვეყნად. შენ ღმერთი არ მოგწყვეტდა შენს ლამაზ ოჯახს, იმ არაკაცების გასროლილ ულმობელ ტყვიას რომ არ ემსხვერპლა შენი სიკეთით, სითბოთი და სიყვარულით სავსე გული.

დიდი ტკივილია შენზე წარსულ დროში ლაპარაკი. 22 თებერვალს 41 წელი შეგისრულდებოდა, ჩვენო დიდო იმედო. ბედმა თუ უბედობამ დაგტოვა 40 წლის ახალგაზრდად.

სასოწარკვეთილია დღეს შენი მოყვასი. შენ ჩვენი დედმამიშვილი არ იყავი, მაგრამ შეძენილ ძმად მოგვიჩნდი. გაურჩენალი და ფრთამოკვეცილნი დაგვტოვე შენს ხელში გამოზრდილი ცოლისდები და ერთადერთი ცოლისძმა. სამივე სიძე ცალ-ცალკე დღესასწაული იყავით, მაგრამ ურთიერთსიყვარული გერთიანებდათ. ლვიძლი ძმისგან არ გვასხვავებდი, უზომოდ დიდ პატივს გვცემდი, ბავშვივით გიხაროდა ჩვენი სტუმრობა. სტუმრობაც კარგი იცოდი, მასპინძლობაც. ალალგულავ, სანათესაოსთვის ნაღები, აღარ დაგვინთილი სანთელი, უზომოდ შევაყვარე თავი და ხანმოკლე სიცოცხლით მწარედ დაგვწყვიტე გულები.

არასოდეს ვფიქრობდით იმას, თუ ვებერთელა სიყვარულის დატევა შენს პატარა გულს რამე მოაკლებოდა... და თანაც როგორ. შენ მხოლოდ ჩვენი კი არა, ქინდის სანაქებო სიძე იყავი. დავრჩით ფრთამოჭრილნი, იმედგაცრუებულნი. მწუხარის ჟამს მამჩვენის ოჯახში, რატომ გაუწყვიტე სიმრე შენს დედას და ჩვენს მშობლებს, შენ ხომ მათი სიამის სიძე იყავი, თანაც შეუდარებელი.

ყველას დიდი ტკივილი ხარ. ტირიან ჩვენი პატარები, ლოცვით გილოცავენ დაბადების დღეს. ვიგონებთ შენს ლამაზ წარსულს, ხანმოკლე ბედნიერებას, სინანულით და გულისტკივილით და ცრემლი თავისით პოულობს გზას.

შენ ხომ რჩეულთა შორის რჩეული იყავი და ამიტომაც ბრწყინვალე შუადღის კვირაში სამოთხის კარი ფართოდ გაიღო შენთვის და ანგელოზად მოვლენილი სული ანგელოზებმა ჩაიბარა უფალმა, სამუდამო სამყოფელში.

ნუგეშად დაგვრჩა შენი კაცური სახელი — თემურ ძიძიგური, რომლითაც ვამაყობდით და კიდევ ვიამაყებთ მუდამ, შენი საფლავი და დაობლებული შენი ცოლ-შვილი. უშენობით დაცარიელებულ გულებს ვერაფერი ამავსებს, მაგრამ შენს სიყვარულს შენს პატარა ანგელოზებზე გადავიტანთ და ამ ტკივილის გადატანაში დავეხმარებით.

შენ კი მშვიდად იძინე, ძვირფასო სიძევ, მსუბუქი იყოს შენთვის შენი საყვარელი მცხეთის მიწა. შენს სახელზე დანთებული სანთელი არასოდეს ჩაქრება, ჩვენო მწარე ტკივილო.

ვევედრებით უფალს შენს სპეტაკ სულს და ტკივილიანი მონატრებით გილოცავთ დაბადების დღეს შენი ცოლისძმა და ცოლისდები.

*გიორგი, ნანა, ხათუნა ოჯახებით*

### მედიკო (მარიამ) ჩხაიძე-თალაკვაძის ცხოვრების გახსენება



ორმოციან წლებში, პლეხანოვის ქუჩის იტალიურ ეზოში, პატარა ქაჭა გოგო ცხოვრობდა. უხილავი ბავშვობა, ნაადრევად ანწყვეტა ფიქრი, ამიტომაც მის თვალებში ბავშვურ სიცელქესთან ერთად, სევდაც ფრინდებოდა. მოკრძალებულად გაატარა სკოლისა და სტუდენტობის წლებიც.

...როცა გათხოვდა, ლერი მეკამეტე წევრად შემატა ჩვენს „შანტრაპას“ (მისი ბიძაშვილ-დეიდაშვილების წრეს). მეუღლის ძლიერი ფრთის ქვეშ, ორი შვილის დედამ, ლამაზი ოჯახი შექმნა.

...როცა მინსკში ცხოვრობდა (რამდენიმე წელი ქმარ-შვილთან ერთად), მის ახლობლებში მრავლად გაჩნდა სითბოთი სავსე ის წერილები, რომელთა სტრიქონებს შორისაც სიყვარული და მონატრება იკითხებოდა.

როცა დაქვრივდა (ლერი იყო ჩვენი „შანტრაპას“ პირველი ტკივილი), კნტად დარჩა ცხოვრებისეული პრობლემების პირისპირ... ეს მარტოობა ისე გათავისა, რომ შეუძლებელიც შეძლო — შვილებს მამობაც გაუწია.

...როცა ოჯახის უღლის ცალად ზიდვამ, სული გაუსაძლისად დაუმძიმა, ნუგეშის სამეებლად, ეკლესიის კართან აღმოჩნდა... ღირსეული მოძღვარი შეხვდა, მლოცველ დიდი მის დაღლილ სულს... დამშვიდდა, ახალი ძალები მოიკრიბა, რომელიც მომავალი შვილიშვილების აღზრდაში უნდა დახარჯულიყო... აღარ დასცალდა...

14 იანვარს, ლერის გარდაცვალებისა და თავისი მარტოსულობის 15 წლისთავი აღინიშა, — იმ მარტოსულობისა, რომელმაც ისე დაისაკუთრა, რომ სიკვდილიც მარტოს შეძლებინა. 16 იანვარს, ყველასთვის მოულოდნელად, საუკუნოდ განშორდა მისი კეთილი სული ლამაზ სხეულს. მწუხარე დატოვა შვილები, გოდებს 90 წლის მამა, გლოვობს მისი ოჯახი, კიდევ ერთხელ ატირდა „შანტრაპა“...

ჩვენო მედიკო! ხვალ, ღვთის სამსჯავროზე, ანგელოზები წარადგენენ შენს მიწიერ კეთილ საქმეებს და იმ წირვა-ლოცვის მადლს, შენი მოძღვარი და მრევლი (ამ 40 დღის მანძილზე) მხურვალედ რომ აღავლენდა... უფალი გაამართლებს შენს სულს და დაგიმკვიდრებს იმ ადგილს, რომელიც ამქვეყნიური ცხოვრებით დაიმსახურე...

გვჯერა, ღვთის ნებით, მართალ სულთა სასუფეველში დაბინავდები...

*„შანტრაპა“*

### გურგენ არაქელოვის მოგონება



დღეს შენი დაბადების დღეა, საყვარელო ადამიანო! ეს თვეა, რომელიც ორივე თარილს იკავებს ამ თვეში სრულდება წლისთავი შენი გარდაცვალებიდან.

ყველასთვის საყვარელი ადამიანი იყავი ყოველთვის ყველას აუწერელი ტკივილი მიაყენე გარდაცვალებით. მე პირადად დიდი ტკივილი მიმაყენე — ტკივილი, რომელიც მალე არ გაივლის.

მე ერთი დამრჩენია, დაბადების დღე მოგილოცო ამ გაზეთის ფურცლებიდან და ვილოცო შენი ბუმბერაზი სულისთვის ყოველთვის გიხსოვდი: მარტო შენი იმედი მქონდა. მე ამ სიტყვებს ყოველთვის ავასრულებ, ყველაფერს გავაკეთებ შენი სულის მოსახსენიებლად. ძალიან მენატრები! მაკლიხარ.

*შენი ოჯახი და მადო*

### ჯემალ გვილავას მოგონება



ძნელი ყოფილა მონატრება, კიდევ უფრო ძნელია შენი დაბადების დღის აღნიშვნა უშენოდ.

23 თებერვალს 66 წელი შეგისრულდებოდა.

მარადისობაში ნათელ გზაზე იარე.

ყოველთვის გვახსოვხარ, როგორც კარგი მეუღლე და მამა.

*შენი ოჯახი*

### თეიმურაზ სანდუხაძის გახსენება



26 თებერვალს ერთი წელი შესრულდება, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. შენ თბილი, კეთილი, უღალატო კაცი იყავი. აუტანელი ტანჯვა მიაყენე შენს მშობლებს, შვილებს, და-ძმას და ყველას, ვინც შენ გაფასებდა. ვერ მოუსწარი შენი შვილების — სოფიკოსა და ნათიას ბედნიერებას, რაზეც ბოლო დროს ასე ოცნებობდი. ერთ აუწერელი დარდი და მწარე მოგონება დაუტოვე სოფიკოს, რომელიც მოსკოვში გელოდებოდა. მაგრამ ბოლოს ისე სწრაფად განვითარდა მოვლენები, ცოცხალსაც ვერ ჩამოუსწრო.

დაე ჩვენმა ლოცვამ, უფლის ნებით დაგიმკვიდროს ნათელი სამუდამო სასუფეველში.

*მეუღლე და შვილები*

---

გარდაიცვალა

**ამირან კუკურის ძე ბანძავა.**

*პანაშვიდები:* 22,23 თებერვალს, 16 საათზე;
*გასვენება:* 24 თებერვალს, 15 საათზე.
*მისამართი:* თბილისი, გალის ქ. №3.

---

კვირის პალიტრის რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ზაზა *თვარაძეს,* დედის

**ლეილა იონას ასული აბაშიძის**

გარდაცვალების გამო.

---



მეუღლე ლერი კვაჭაძე; შვილები: მანანა, თამარ; და ლილი ჯღარკავიშვილი ოჯახით; დედამთილები: მედეა, დიანა ლათუკაშვილები; ბიძაშვილები: ირაკლი, ნანული, გურამ ჯღარკავიშვილები, ვახტანგ, ნატალია, გიორგი კვაჭაძეები, ლიზა სართანია ოჯახებით იუწყებიან

**რუსუდან ილიას ასულ ჯღარკავიშვილი-კვაჭაძის გარდაცვალებას.**

*პანაშვიდი:* 23 თებერვალს, 16 საათზე;
*დაკრძალვა:* 24 თებერვალს, 14 საათზე.
*მისამართი:* ვაჟა-ფშაველას პროსპ. I კვარტალი, 21-ე კორპუსი (ნუცუბიძის ქ. №54), II სადარბაზო, III სართული.

---

ფირმა „ბარიონ რესაიქლინგის“ ხელმძღვანელობა თანაგრძნობას უცხადებს *თემურ მახარაძეს* დედის

**გულიკო მიქაძე-მახარაძის**

გარდაცვალების გამო.

# ღვთის ქურდის სასჯელი

...ტოლები მინდორში ვთამაშობდით. ჩირგვში გაჩრილი შავად მოლაპლაპე „ჯოხი“ დავინახე. მომეწონა. მივწვდი და... ყინულივით ცივი, ცოცხალი სხეული უცბად ხელიდან გამისხლტა. ანგარიშმიუცემლად გავეკიდე. წამიც და ჩემ წინ კუდზე შემდგარი გველი ამოიზიდა. დგას გაშეშებული. ფეხს ვერც მე ვიცვლი. გონება დამებინდა. მხოლოდ შავად აყელყელავებულ წყეულს ვხედავ. სადაცაა, დამაცხრება და მორჩა...

ბედზე თურმე ზაქრო ძია მოდიოდა სათიბიდან... ფოლადმა იელვა. შუაგაწყვეტილი წყეულის კუდი ქვას მიენარცხა სხმარტალით. ტანმა კამარა შეჰკრა და მაყვლის ბუჩქს ჩამოეკიდა. ზაქრო ძიამ დამტაცა ხელი და შარაგზისკენ გამაქანა. თურმე დაგესლილი ვეგონე. გამვლელი სატვირთო მანქანა გააჩერა და საავადმყოფოში მიმარბენინა. ექიმებმა რაღაც ნემსები მაინც გამიკეთეს, მომასულიერეს... ეზოში ისევ გველოდა მანქანა. კაბინაში მოვკალათდით, მძღოლიც ამოვიდა და საჭეს მიუჯდა. — ჰა, როგორა ხარ, ძმისწულო? — მკითხა და ჩემკენ მოაბრუნა სახე... მძღოლს ყბა განზე ჰქონდა მოქცეული, მობრეცილი პირიდან ჩაყანგული კბილები მოუჩანდა, ულვაშებიც მარჯვნივ, ლოყაზე ჰქონდა აწკვერტილი. ლაპარაკის დროს ენა პირიდან უვარდებოდა — საზარელი სანახავი იყო. ისე მომნუსხველად იმზირებოდა, როგორც ქვეწარმავალი. გადმომხედა თუ არა, მეგონა, ჩემ წინ ისევ ის წყეული იყო აღმართული, უფრო გადიდებული, გველეშაპად გადაქცეული... ხნიერი დედაკაცები იმის დანახვაზე გადააფურთხებდნენ — ფუი, ეშმაკსო და ზურგს აქცევდნენ.

გვიან გავიგე, რომ ყბაჩურა თურმე წმინდა გიორგის ეკლესიიდან შეწირულობებს იპარავდა. ერთხელ საგანძური მთლიანად გამოუხვეტია. გუდით მოჰქონდა ზურგზე აკიდებული და შინ მისვლამდე ყბა გვერდზე მოჰქცევია. გამვლელებმა ნახეს ხის ძირას მოკრუნჩხული. ურემზე დასვეს და ისე მიაცილეს სახლში. ვერცხლის ფული და ნაპარავი ერთმა მათგანმა შეამჩნია, მაგრამ ყბაჩურამ განძეული არ დათმო. გაყიდა და ორსართულიანი სახლი აიშენა. ექიმებთანაც დიდხანს დადიოდა „ნერვის ანთების“ სამკურნალოდ, მაგრამ არაფერი ეშველა. დარჩა ასე ყბამოქცეული და სოფელმაც თვალი შეაჩვია...

იმ დროს წმინდა გიორგის საყდარი ჩამონგრეული იყო. ხალხი მაინც იხდიდა დღესასწაულს და შესაწირავსაც უხვად ტოვებდა გაუქმებულ საყდარში. იქ ახალთახალი ტანსაცმელიც მინახავს, სამკაულებიც და ქაღალდის ფულიც. სულ მიკვირდა: ლოცვა-კურთხევას კრძალავენ, უპატრონოდ მიტოვებულ საყდარში შესაწირს ვისთვის ან რისთვის ეზიდებიან-მეთქი.

სოფელი გონიერიაო, — ნათქვამია... შეგროვილ შესაწირს უხუცესები ქვრივ-ობლებს უნაწილებდნენ, ფულს ავადმყოფებს ურიგებდნენ. საყდარში კი, ხატის წინ ცოტაოდენ ვერცხლეულს მაინც ტოვებდნენ.

ერთ-ერთი დღესასწაულის წინ ბაბოჩემმა სკივრიდან პაპის ნაქონი ვერცხლის ქამარხანჯალი ამოიღო, საგულდაგულოდ გაწმინდა, გააპრიალა და შესაწირად გაამზადა. ამასო — თქვა — მაინც ველარავინ მოიხმარს, ამ ქამარ-ხანჯალში ყევარი ხარი მისცა პაპაშენმა, იქნება ას თუმნად მუზეუმში ჩაიბარონ, ომში დაღუპულ პავლეს შვილებს ზამთრისათვის თითო წყვილი ფეხსაცმელი მაინც მოუვათო. წაიღო. საკურთხეველთან დადო, აქეთ-იქიდან თავის ხელით ჩამოქნილი კელაპტრები დაუნთო, დაიჩოქა, ილოცა და შინ გახარებული დაბრუნდა. წესი იყო: შესაწირავი სამ დღეს მაინც უნდა დავანებულიყო ეკლესიაში და მერე ურიგებდნენ უპოვართ.

მალე სოფელს ავი ამბავი მოეფინა: ვიღაც ხელმრუდეს ის ქამარ-ხანჯალიც მოეპარა, ონოფრიაანთ დედაკაცის შეწირული ვერცხლის ორი შიბიც, ფული ხომ პირწმინდად ამოეხვეტათ საკურთხევლის წინ საგანგებოდ დადგმული სპილენძის ჯამიდან. ქველმოქმედი დედაკაცები გაოგნებული იყვნენ, მაინც არავინ დაუწყევლიათ, ღმერთს არ ვაწყენინოთო.

გამოხდა ხანი. სოფლის კლუბში საშვიდნოემბრო ზეიმს იხდიდნენ. დარბაზში ნემსი არ ჩავარდებოდა. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ გამომსვლელები, მომღერლები. ერთი წერწეტა ბიჭი ისე მომხიბვლელად ცეკვავდა, ტაშის გრიალმა ჭერი ჩამოიღო. ახალგაზრდა რამდენჯერმე გამოიძახეს სცენაზე. ბოლოს რომ გამოვიდა, პატარა ილეთიც გაითამაშა. უცებ შეტორტმანდა და იატაკს მოწყვეტით დაენარცხა. ხალხი აჩოჩქოლდა — ყბაჩურას ბიჭია, ყბაჩურას ბიჭიო. ეცნენ მოცეკვავეს. კულისებში გაიყვანეს დაკრუნჩხული, ყბამოქცეული...

იმ საღამოს ყბაჩურას ბიჭს პაპაჩემის ნაქონი ქამარ-ხანჯალი ახსნეს წელიდან...

***თუთი რატიანი***

# ჩვენ გვწერენ

## სადილი უცხოპლანეტელებთან ერთად

— ჩვენი კათედრის გამგე ფრიად უცნაური კაცი იყო — აიხირებდა, ეს აუდიტორია მავნე შრეშიაო და ცოცხალი თავით ლექციაზე იქ არ შევიდოდა. ან დაიჩემებდა, ამა და ამ დღეს ცუდი ამბავი მოხდებაო და იმ დღეს სტუდენტებს ლექციიდან ათავისუფლებდა — შინიდან ცხვირი არ გამოყოთო. ჩუმ-ჩუმად დავცინოდით. კიდევ ერთი რამ სჩვეოდა. პარასკევს არც ერთ ლექციას ან შეხვედრას არ დანიშნავდა. ეს



ვიცოდით და თუკი ვინმე სტუმრად უნდა მოსულიყო, საგანგებოდ პარასკევს ვიბარებდით, მერე ჩვენს კათედრის გამგეს შინ ვურეკავდით, — ბატონო, პროფესორო, ესა და ეს კაცი გვეწვია და იქნებ მობრძანდეთო. ცივ უარს ამბობდა: — ოღონდ დღეს არა და თუნდაც კვირას მოვალ სამსახურშიო. მიზეზს თუ ვკითხავდით, მოკრძალებით გვიხსნიდა, — დღეს, 4 საათზე, უცხოპლანეტელთან ერთად ვსადილობო. კათედრის ახალგაზრდა თანამშრომლები სიცილით ერთმანეთს ვაწყდებოდით ზურგს უკან, პირისპირ კი ვითომდა დაინტერესებულები კითხვას კითხვაზე ვაყრიდით: როგორია უცხოპლანეტელი, ჩვენ თუ გვგავს, რომელი საჭმელი ურჩევნია — საცივი თუ ჩახოხბილი, მართლა ჭამს თუ უბრალოდ სუფრასთან ზისო.

ის გადაკრულებს ვერ ხვდებოდა და ასაკის მიუხედავად (75 წელს იყო მიტანებული), ყმაწვილური ხალისით გვიამბობდა:

— მოცისფრო, ლითონივით პრიალა კანი აქვთ. ათას მეცნიერულ საკითხზე ვმსჯელობთ... ამას წინათ საკონფერენციო თემა რომ მოვამზადე, მითხრა, ზერელე ცოდნა გაქვთ ამ საკითხშიო და თავიდან დამაწერინა... დამპირდა, მომავალ პარასკევს დედამიწის ქერქის შესახებ ახალ ცნობებს მოგაწვდიო...

ეჭვმა გამკენწლა: ვინ იცის, ეგება სიმართლესაც ამბობს ეს დროული კაცი-მეთქი და მოკრძალებით ვთხოვე: პარასკევს სადილად მეც მოვალ, ძალიან მაინტერესებს ეს მეცნიერული საკითხები-მეთქი. ცოტა უხერხულად შეიშმუშნა: ჯერ მას ვკითხავ, შენი მოწვევის ნებას თუ დამრთავსო. შაბათს, დილით გახარებულმა დამირეკა: გუშინ ჩემმა სტუმარმა მითხრა, რომ პარასკევს შენც შეგიძლია შემოგვიერთდეო.

სული ძლივს მივიტანე პარასკევამდე და ოთხს რომ ათი წუთი აკლდა, კათედრის გამგესთან გავჩნდი. სუფრას მივუსხედით. უცხოპლანეტელი არ ჩანდა. ზუსტად 4 საათზე მოვიდა... არა, კარიდან არ შემოსულა, მგონი, კედელში გამოიარა. რაზეც ვისაუბრეთ, იმისი მოყოლის უფლება ნამდვილად არ მაქვს. ერთს კი გეტყვით: მან დედამიწის მოდელი გვიჩვენა ხმელეთისა და ოკეანეების ზედა შრის გარეშე. ეს მოდელი ძალიან ჰგავდა ტელეეფექტით ნაჩვენებ თვალსაჩინოებას, თუმცა უცხოპლანეტელს ეჭირა ხელში. იგი ატრიალებდა და წვრილად გვიხსნიდა, ზედაპირის დანაგვიანების გამო ქვედა შრეებში რა ცვლილებები მიმდინარეობდა და როგორ უნდა გვეზრუნა ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

როცა კიდევ ერთხელ დავაპირე სადილობა უცხოპლანეტელთან, კათედრის გამგემ მომიბოდიშა, — ჩემმა სტუმარმა მითხრა, — ჯერ მზად არ არის, როცა მზად იქნება, თვითონ დავუკავშირდებიო.

მას მერე ველი... აგერ უკვე 72 წლისა მოვიყარე. ის კი არ ჩანს.

***აბესალომ კ., თბილისი***

### „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხეზი

I. აბა, გამოიცანი:

1) — ბ); 2) — გ); 3) — დ); 4) — გ); 5) — ა); 6) — ა); 7) — ბ); 8) — დ); 9) — გ).

II. 1-დ; 2-ბ; 3-გ; 4-ა.

III. ლიფტი.





## ცოცხალი სეისმოგრაფი

რამდენიმე წლის წინ, ევროპელმა მეცნიერებმა, რომლებიც აფრიკის ბუნებრივ ნაკრძალებში სპილოებს აკვირდებოდნენ, საინტერესო დასკვნა გააკეთეს. აღმოჩნდა, რომ სპილოები, უზუსტესი სეისმოგრაფების დარად, გრძნობენ მიწისძვრის მოახლოებას და ამის შესახებ აფრთხილებენ არა მარტო „ნათესავებს", არამედ იმ ტერიტორიაზე მობინადრე სხვა ცხოველებსაც. ისინი ხმამაღლა იწყებენ ყვირილს — ეს კი განგაშის ნიშანია. სპილოები ყოველთვის ასწრებენ გაქცევას მიწისძვრის მოსალოდნელ ზონას. როგორ ახერხებენ?

ზოოლოგების აზრით, სპილოები, თავისი ფართო და ბრტყელი ტერფებით, მყარად ეხებიან მიწის ზედაპირს, მისი კანი აღიქვამს ნიადაგის ოდნავ შესამჩნევ რყევასაც კი და საგანგაშო იმპულსებს ტვინს გადასცემს.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ სპილოებში ჩაბუდებულია გენეტიკური მახსოვრობა მიწისძვრების მიმართ, რომელიც მათმა შორეულმა წინაპრებმა არაერთხელ განიცადეს.

*ნიო №4*

## სექსუალური რევოლუციის ბელადი

პოპულარული სიტყვათშეხამება, „სექსუალური რევოლუცია", უბრალოდ ტერმინი არ არის, მას იდეური სულისჩამდგმელიც ჰყავდა. გასული საუკუნის 50-იან წლებში აშშ-ში ნამდვილი რევოლუცია მოხდა. მან საფუძვლიანად შეარყია საზოგადოების ზნეობა. ბრალი ამაში ერთ კაცს მიუძღვის. მანამდე უცნობმა მეცნიერ-ენტომოლოგმა, პეპლების და ხოჭოების შესწავლაში აღიარებულმა კინსიმ უცნაური ამოცანა დაისახა — გადაწყვიტა სქესი პირობითობებისა და აკრძალვებისაგან გაეთავისუფლებინა. 50 წლის წინ მან გამოაქვეყნა სენსაციური წიგნი სქესის შესახებ, რომელიც ბესტსელერად იქცა და მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა. წიგნში თავმოყრილი იყო სხვადასხვა ისტორია, რომლებითაც ავტორი დაასკვნიდა, რომ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში მთავარია სქესობრივი აქტი, სიყვარული კი უსარგებლო ფანტაზიაა. კინსი ამტკიცებდა, რომ სექსი სასარგებლოა ადამიანისათვის. იმ დროისთვის ექსტრავაგანტური კინსის თეორია მსოფლიოში სწრაფად გავრცელდა. წიგნს უამრავი მკითხველი ჰყავდა. კინსის დაარსებული სექსის საკვლევი ინსტიტუტი კი აშშ-ში დღესაც მუშაობს.

*ტაიმი*

## ისწავლეთ კატის ენა



კატა ადამიანის მეგობარი კი არა, პარტნიორია. მასთან სიახლოვე ხსნის კომპლექსს, ამშვიდებს და ძალას მატებს ადამიანს, უამებს სატკივარს... მთავარია მიხვდეთ, რას გელაპარაკებათ საყვარელი ცხოველი. როცა კნავის, გეკითხებათ ან რაიმეზე აზრს გამოთქვამს, თუ კრუტუნებს — გეფერებათ, ხრუტუნებს — მადლობელია სიამოვნებისთვის, უკმაყოფილო — ფრუტუნებს, გაბრაზდება და — ქსუტუნებს... კატისთვის მთავარია ოჯახში იყოს სიმშვიდე და მყუდროება; მისი თანდასწრებით არ იხმაუროთ, არ იყვიროთ, ელაპარაკეთ მას ალერსიანად. თუ რაიმე არ მოსწონს — გკარნახობთ სახის გამომეტყველებით. თუ ყურები დაცქვიტა და თვალები მოჭუტა — გაეცალეთ, დაგკაწრავთ, წინ წამოწეული ყურები და ფართოდ გახელილი თვალები — ნდობის ნიშანია, ფეხებზე მოტმასნება — მეგობრობისა, თუ მხრებზე შეგახტათ და თავით მოგეფერათ — უმაღლესი ნეტარებისა. ვერტიკალურად ამართული კუდი — კმაყოფილების ნიშანია, კუდის მოუსვენარი თამაში — უკმაყოფილების, ჰორიზონტალურად გაშვერილი და ბოლოაპრეხილი — სიბრაზის, თუ ფისო აიბურძგლა — გაეცალეთ კატას რაც ხშირად ეთამაშებით — უკეთესია. მისთვის ყველაფერი სათამაშოა, რაც მოძრაობს ან ხმას გამოსცემს.

*მეგაპოლის-ექსპრესი №6*

## კლინიკაში თვითმფრინავით მიიყვანეს

315 კგ წონის ნეპალელი ქალი საავადმყოფოში სამხედრო თვითმფრინავით მიიყვანეს. სამხედროებისა და მეხანძრეების დაუხმარებლად ის საავადმყოფოში ვერ მოხვდებოდა. 46 წლის პაციენტი, ოთხი შვილის დედა, ბოლო ბავშვის დაბადებამდე 75 კგ იყო, მშობიარობის შემდეგ თვალის დახამხამებაში მოიმატა წონაში. საავადმყოფოში მადის დარღვევით გამოწვეული იშვიათი დაავადების სამკურნალო კურსი გაიარა. მეხანძრეებმა ამწე მექანიზმების და საგანგებო სავარძლის დახმარებით ქალი სახურავზე აიყვანეს, იქ ჩვეულებრივ თვითმფრინავთან შედარებით გაცილებით ტევად სამხედრო თვითმფრინავში ჩასვეს და კლინიკაში მიიყვანეს, სადაც საგანგებო საწოლი დაახვედრეს, რათა პაციენტს კომფორტულად ეგრძნო თავი.

*პოსლედნიე ნოვოსტი №5*

## მთავარია ორეულის შოვნა!



დანია ყოველთვის გამოირჩეოდა ლიბერალური კანონებით. ამას ერთი კურიოზული ფაქტიც ადასტურებს: ახლახან დანიაში ციხეების ინსპექცია ჩატარდა. როგორც აღმოჩნდა, ასზე მეტი პატიმარი ნამდვილი დამნაშავეების ორეული იყო. ორეულები განსაზღვრული საზღაურის ფასად პატიმრობას იხდიან. გასამრჯელოს ოდენობა განაჩენის ვადაზეა დამოკიდებული. კაზუსი უპირველესად იმან გამოიწვია, რომ ციხეების სამმართველოს უფლება არ აქვს მსჯავრდადებულს ფოტოიანი პირადობის მოწმობა მოსთხოვოს. ამასთან, განაჩენსა და პატიმრობის ვადის მოხდას შორის ზოგჯერ რამდენიმე თვეა. საზღაურის ათვლა ორასი დოლარიდან იწყება (დღე-ღამეში). დაქირავებული ორეული ციხის ადმინისტრაციასთან მიდის, ნამდვილი მსჯავრდადებულის გვარს ასახელებს და მასაც დაუბრკოლებლად მიაბრძანებენ გისოსებს მიღმა.

*ლიბერასიონი*

## ილოცეთ ინტერნეტში შესვლისას!

„ღმერთო, დამეხმარე, რათა გავწმინდო კომპიუტერი ვირუსებისა და იმ საძაგელი ფოტოებისგან, რომლებიც რყვნის ჩემს გონებას და ხელს მიშლის მუშაობაში!" — დაახლოებით ასე ჟღერს ინტერნეტის მომხმარებელი მორწმუნე იუდეველებისთვის საგანგებოდ შექმნილი ლოცვა.

ლოცვა უძველესი იერუსალიმური ქალაქის, ცფატის მთავარმა რაბინმა შმუელ ელიაჰუმ შეთხზა. იგი ინტერნეტის მომხმარებლებს ურჩევს, ტექსტი კომპიუტერის ეკრანზე დააფიქსირონ და მსოფლიო კომპიუტერულ ქსელში ყოველი შესვლისას წაიკითხონ.

რაბინის აზრით, მსოფლიო ქსელში იმდენი უხამსობაა, რომ მათი გავლენა ოჯახებსაც კი ანგრევს. უამრავი ჩატი ხელს უშლის ნორმალურ აზროვნებასა და ფიქრს. ასე რომ, მორწმუნე იუდეველებს ინტერნეტში მუშაობისას ამიერიდან ლოცვა დაიფარავს ცდუნებისაგან.

*ეხო პლანეტი №5*

## სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს



თურქმენეთში დიდმა თურქმენბაშიმ კიდევ ერთი „ბრძნული გადაწყვეტილება" მიიღო. ამიერიდან უცხოელი საქმროები თურქმენი საცოლეებისთვის ყალიმს (გამოსასყიდს) გადაიხდიან.

თურქმენი ქალი სამაგალითო ცოლი, შესანიშნავი დიასახლისია და არც სილამაზე აკლია. სწორედ ამიტომაა, რომ უცხოელი საქმროები სიამოვნებით ქორწინდებიან თურქმენ ლამაზმანებზე. ამ არცთუ ისე მდიდარ სახელმწიფოს სიხარულით ტოვებენ ქალები. თურქმენბაშიმ, რომელიც თურმე ძალზე შეშფოთებული ყოფილა ქვეყნიდან ამდენი ლამაზი ქალის გასვლით, გადაწყვიტა, ხაზინა მაინც გაამდიდროს და სასიძოებს ყალიმი დაუწესა — ახალი კანონის მიხედვით, თურქმენეთის მოქალაქე ქალზე დაქორწინების შემთხვევაში სასიძო 50.000 დოლარს გადაიხდის. ქალის მშობლებმაც უნდა გაიკრან ჯიბეზე ხელი და ხაზინაში 1.000 დოლარი შეიტანონ. ასე რომ, თურქმენი ქალების სიყვარული ძვირია, ბატონებო!

*დენგი №4*

## ტრიუფელების დღე

ტრიუფელების ტრადიციული დღე წელს ფრანგებმა გინესის რეკორდების წიგნის შესაფერი მიღწევით აღნიშნეს.

გარის დეპარტამენტის ქალაქ იუზესში, „შავი ბრილიანტების" ცენტრში (ასე უწოდებენ ამ ძვირად ღირებულ სოკოებს) ტრიუფელებიანი უზარმაზარი ომლეტი მოამზადეს.

მის მოსამზადებლად კულინარებს 3,5 კგ წვრილად დაჭრილი ტრიუფელი და 3000 კვერცხი დასჭირდათ. ომლეტის შესაწვავად, 6 ლ მცენარეული ზეთი და 3კგ ნაღების კარაქი დაიხარჯა.

ნაჭრებად დაჭრილი ომლეტი ტრიუფელების მოყვარულებმა თვალის დახამხამებაში დაიტაცეს. თითოეული ულუფა საკმაოდ ძვირი — 10 ევრო ღირდა, მაგრამ ტაფა მაინც სწრაფად დაცარიელდა.

გარში 18 წელიწადია ომლეტებს „გიგანტური ომლეტების საძმო" ამზადებს. საძმო ტრიუფელების საპოპულარიზაციოდ შეიქმნა.

სოკო ტრიუფელი ძალზე ძვირი სიამოვნებაა და იგი ჩვეულებრივ შეძლებული ხალხისთვისაა ხელმისაწვდომი. გასული წლის გვალვებმა კი ერთიორად გაზარდა სოკოს ფასი — კილოგრამი ტრიუფელი 1000 ევრომდე ღირდა.

*ვოკრუგ სვეტა №5*

## უინსტონ ჩერჩილმა გასცა რუსი სამხედრო ტყვეები

რუსი ტყვეების ბედი მრავალი წლის მანძილზე საიდუმლოებით იყო მოცული. ომის შემდგომ გერმანელების მხარეზე მეომარი მრავალი რუსი მებრძოლი ჩაჰბარდა მოკავშირეებს იმ იმედით, რომ განსაზღვრული დროის შემდეგ გაათავისუფლებდნენ. მაგრამ ჩერჩილმა და რუზველტმა ისინი გასცეს. იალტის კონფერენციაზე სტალინის დაჟინებული მოთხოვნით მათ დათმეს ტყვეები და გადასცეს რუსეთს. ყველაზე ძვირფასი ტყვე მათთვის კაზაკი გენერალი პეტრე კრასნოვი იყო. იგი ბოლშევიკებს 1918 წელს ებრძოდა.



კრასნოვს იმედი ჰქონდა, ბრიტანელები დაიფარავდნენ, მაგრამ კრასნოვი, რომელიც არასდროს ყოფილა საბჭოთა ქვეყნის მოქალაქე, რუსეთს გადასცეს და 1947 წელს, სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, დახვრიტეს.

რუსმა სამხედრო ტყვეებმა კარგად იცოდნენ, რომ სამშობლოში წამებით სიკვდილი ელოდათ ტყვეთა ცნობილ ბანაკებში. გასაკვირი არ იყო, რომ ასობით ტყვე, ცოლშვილიანად წყალში გადავარდნას ამჯობინებდა იმ ხიდიდან, სადაც მათი გადაცემა მიმდინარეობდა. შემზარავი იყო მდინარის მეორე ნაპირზე ხეზე შერჩენილი გვამების ყურება. იალტაში ჩამოყვანილებს იქვე, საწყობის უკან, ხვრეტდნენ და, რათა უცხოელებს არ გაეგონათ სროლის ხმა, იქვე, დაბლა გუგუნით დაფრინავდნენ საბჭოთა თვითმფრინავები.

სტალინმა მხოლოდ რუსი ტყვეების დაბრუნება სთხოვა, ჩერჩილმა კი ძღვნად დაამატა ბალტიისპირელები და იუგოსლაველები. მათაც, რა თქმა უნდა, იგივე ბედი ხვდათ წილად.

1946 წლის ტრაგიკულ ამბებზე მოგვითხრობს სამხრეთ გერმანიის ბანაკში გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც 60 წელი ვაშინგტონის ნაციონალურ არქივში იდო.

მრავალმა ბრიტანელმა დღემდე არ იცის, რომ უინსტონ ჩერჩილს ასიათასობით ადამიანის სისხლში აქვს ხელი გასვრილი...

*მირ ნოვოსტეი №6*

## ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ლევ ტოლსტოის სიტყვებს ამოიკითხავთ.**

დ ა ი ს ვ ე ნ ე თ ჩ ვ ე ნ ს გ ა ზ ე თ თ ა ნ ე რ თ ა დ

ო ა ს ე ო ა მ ძ ა ს ა ე ქ ა უ გ ა ი ი დ ა ი ო უ

**დ.** ზღაპრული ურჩხული; **ა.** მთავარი არტერია, რომელიც არტერიული სისხლით კვებავს სხეულის ყველა ორგანოს (ფილტვების გარდა); **ი.** სისხლის აღრევა; **ს.** ავსტრალიის ყველაზე დიდი ქალაქი; **ვ.** ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ე.** კუნძული, რომელზეც პირველად გადაასახლეს ნაპოლეონი; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ე.** საზოგადოებაში თავის დაჭერის წესები; **თ.** გარდამავალი ჯილდო რაიმე სპორტულ შეჯიბრში გამარჯვებისათვის; **ჩ.** თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი კაპიტანი; **ვ.** გერმანიის რესპუბლიკის სახელწოდება 1918-1933 წლებში; **ე.** რა ერქვა ჰემინგუეის; **ნ.** ერი; **ს.** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **გ.** ელდარ რიაზანოვის ერთ-ერთი ფილმი; **ა.** ტროპიკული ხილი; **ზ.** წელიწადის დრო; **ე.** რა ერქვა დათა თუთაშხიას დას; **თ.** ხელსაწყო, რომლითაც რაიმე ზედაპირის ჰორიზონტალურობას ამოწმებენ; **თ.** წვრილი ღვედი; **ა.** 1646 წელს იგი აბატ დ'ერბლედ ინოდებოდა. რა ერქვა მას 20 წლით ადრე; **ნ.** ღმერთის მიერ ევას შესაქმნელად გამოყენებული „ნახევარფაბრიკატი"; **ე.** ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი მუსლიმანურ ქვეყნებში; **რ.** ლექსის სხვადასხვა სტრიქონში ბოლო ბგერების განმეორება; **თ.** თავის ქალის ზედა ნაწილი; **ა.** ინგლისის უძველესი სახელწოდება; **დ.** საჯარო კამათი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
**ჩ.** ჩიყვი; **ვ.** ვივალდი; **ე.** ელეგია; **ნ.** ნილოსი; **თ.** თიანეთი; **ა.** აბზაცი; **ნ.** ნოე; **ე.** ერმაკი; **რ.** როენა; **თ.** თეტიდა; **ა.** აკიდო; **დ.** დიმიტრი; **ა.** აუზი; **რ.** რეესტრი; **მ.** მალარო; **ო.** ოსვალდო; **ი.** ილიადა; **წ.** წენგო; **ყ.** ყლორტი; **ე.** ერმოვი; **ნ.** ნეილონი; **თ.** თვალი.
**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ყველაზე მეტი მზე ღვინოშია.**

# გრიბოედოვი და საჭურისები

## „იცელქა“ რუსმა დიპლომატმა და... ცოლად ნინო ჭავჭავაძე შეირთო



რუსი დიპლომატისა და გამოჩენილი დრამატურგის, ალექსანდრე გრიბოედოვის მკვლელობა თეირანში და ამ მკვლელობის მიზეზები დღემდე უცნობი რჩებოდა. დღეს, როცა სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ ორი ცივილიზაციის, ორი კულტურის შეჯახებაზე, გრიბოედოვის მკვლელობის თემა კვლავ აქტუალური ხდება.

მაშინდელი „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ წერდა: „თეირანიდან მიღებული წერილი იუწყება, რომ აჯანყებულმა მოსახლეობამ თითქმის მთლიანად ამოწყვიტა რუსული მისია გრიბოედოვის მეთაურობით. იარაღასხმულმა ხალხმა გაარღვია სამხედრო დაცვა, შეიჭრა საელჩოში, შეამტვრია ყველა კარი და თითქმის ყველა რუსი ამოხოცა“. „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ მომდევნო ნომერში გრიბოედოვისა და მისი თანამებრძოლების დაღუპვაში ბრალს სდებდა ინგლისელ აგენტებს — ბრბო მათ წააქეზესო.

### ინგლისური კვალი

მაშინდელ სპარსეთში მხოლოდ ორი ევროპული მისია იმყოფებოდა: რუსული და ინგლისური. ცხადია, არსებობდა მათ შორის დაპირისპირება, ისევე როგორც ურთიერთინტრიგა და შპიონაჟი.

უნდა ითქვას, რომ ინგლისელებს სპარსეთში უფრო მყარი მდგომარეობა ჰქონდათ, ვიდრე რუსებს. ისინი შაჰს სესხად აძლევდნენ ფულს, უგზავნიდნენ არმიისათვის ინსტრუქტორებს, ინჟინრებს, ექიმებს. მუსლიმებისთვის ინგლისელებიც და რუსებიც „გიაურები“ იყვნენ, მაგრამ ინგლისელებს მეტი ზეგავლენა ჰქონდათ სპარსული შარიათის მეთაურზე, რომელიც ხელმძღვანელობდა ჯანყს. მიუხედავად ყველაფრისა, გრიბოედოვის მისიის წარმატება ხელსაყრელი სწორედ ინგლისელებისთვის იყო. საელჩო სპარსეთში მშვიდობიანი ტრაქტატის გასაკონტროლებლად ჩამოვიდა. ტრაქტატის მთავარი პუნქტი სპარსეთს ავალდებულებდა, გადაეხადა რუსეთისათვის გიგანტური კონტრიბუცია ათი კურარის ოდენობით. ერთი კურარი უდრიდა ორ მილიონ ვერცხლის რუბლს და ინგლისელები მონდომებულნი იყვნენ, რუსებს მიეღოთ თავისი წილი. შაჰი ხომ სწორედ ინგლისელებისგან სესხულობდა ფულს და, ამგვარად, სპარსეთი მყარად „ჯდებოდა“ ინგლისურ სუფსიდიაზე. ეს კი ნიშნავდა, რომ ქვეყანა მომავალ პოლიტიკას სამუდამოდ უკავშირებდა დიდ ბრიტანეთს....

### არადიპლომატიური ხერხები

XIX საუკუნის სპარსული ქრონიკები, ინგლისური წყაროები და რუსული მისიის გადარჩენილი წევრები ელჩის დაღუპვის მიზეზად მის ამალას ასახელებენ. სპარსი ისტორიკოსები ლაპარაკობენ თეირანისადმი რუსეთის საელჩოს მიერ გამოვლენილ უპატივცემულობაზე, რუსი ავტორები ფრთხილად საყვედურობენ ელჩს ჩინოსანთა არასწორ შერჩევას.

თეირანს მიმავალი გრიბოედოვი მცირე ხნით თბილისში გაჩერდა და ცოლად შეირთო ახალგაზრდა თავადის ასული, ნინო ჭავჭავაძე,



შაჰის კარზე

რომლის მამასთან, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან მეგობრული ურთიერთობის გამო, სპარსეთის ელჩმა ხალხი თავისი ამალისათვის სწორედ სიმამრის რჩევით შეარჩია. ასე მოხვდა საელჩოს შემადგენლობაში ბევრი თბილისელი ქართველი თუ სომეხი, რომლებიც მაინცდამაინც ვერც ერთგულებით დაიკვეხნიდნენ და ვერც ზნეკეთილობით. სკანდალი ჯერ კიდევ მგზავრობისას დაიწყო. ელჩიონის სანოვაგით მომარაგება ევალებოდა ადგილობრივ მოსახლეობას. მოქარავნეთა მნე, რუსტამ-ბეგი, ისე იქცეოდა, როგორც დამპყრობელი დაპყრობილ ქვეყანაში. თუ საჭირო მარაგის მიცემა არ შეეძლო სოფელს, იგი მოითხოვდა, გადაეხადათ ფული, თუკი ვერც ფულს გადაიხდიდნენ, მაშინ ბრძანებას იძლეოდა, გაეშოლტათ ურჩები. ამგვარი ხერხით, თეირანში ჩასვლამდე, ელჩიონმა 200 თუმნამდე შეაგროვა. თითქოს გრიბოედოვმა არაფერი იცოდა ამის შესახებ, მაგრამ სპარს გლეხებს მიაჩნდათ, რომ რუსტამ-ბეგი რუს დესპანთან შეთანხმებით სჩადიოდა ამას. ელჩიონს ყველგან საჩუქრებით ხვდებოდნენ, თვითონ კი საპასუხოდ არაფერს იმეტებდნენ, ამიტომ გრიბოედოვის ამალას ძუნწის სახელი გაუვარდა.

სპარსელებთან პირველი შეტაკება ჯერ კიდევ ქ. ყაზვინში მოხდა. აქ გრიბოედოვი სპარს დიდმოხელეებს და არმიის მაღალჩინოსნებს შეხვდა. რუსი ელჩის პატივსაცემად ვახშამი გაიმართა. სანამ გრიბოედოვი მასპინძლებთან ერთად ილხენდა, რუსტამ-ბეგმა შეიტყო, რომ ადრე ერევანში ნამსახურები პიროვნების ოჯახში ცხოვრობდა თბილისიდან ჩამოყვანილი ახალგაზრდა გერმანელი კოლონისტი ქალი. რუსტამ-ბეგი გამოეცხადა ერევნის ყოფილ გამგებელს და გერმანელი ქალის გადაცემა მოითხოვა. აღმოჩნდა, რომ სპარსელს ქალი ცოლად შეერთო და მისგან ორი შვილიც ჰყავდა. ამან ვერ შეაჩერა რუსტამ-ბეგი. თანმხლებ კაზაკებს უბრძანა სპარსის მოედანზე გაყვანა და გაჯოხვა.

ამ ამბავმა საშინლად აღაშფოთა ყაზვინის მოსახლეობა.

იმ დღეს ქალაქი ჯანყისაგან იხსნა სპარსმა მესტუმრემ, მირზა-ნაბიმ, რომელიც ყაზვინში დახვდა რუს დესპანს. მან ურჩია მოედანზე



ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავი თბილისში, მთაწმინდის პანთეონში. საფლავის ქვაზე წარწერაა: „გონება და საქმენი შენი უკვდავეია რუსეთისათვის, მაგრამ უშენოდ ვით გასძლოს სიყვარულმა ჩემმა. ნინო გრიბოედოვა“

დასასჯელად მოყვანილ ყოფილ გამგებელს, რუსი ელჩისათვის წარედგინა გერმანელი ცოლი და შვილები. გრიბოედოვმა ქალს ჰკითხა, — საქართველოში დაბრუნებას ხომ არ ისურვებო, მაგრამ უარი მიიღო და შინ გაუშვა.

### უადგილო ეპატაჟი

შაჰის კარზე გრიბოედოვმა თავი იმით გამოიჩინა, რომ უარი თქვა, დაეცვა კარის ეტიკეტი. მიღებული წესით, ელჩს სეფედარბაზში შესვლამდე ერთხანს ქეშიყ-ხანეში — მცველთა ოთახში უნდა დაეცადა. ინგლისელი დიპლომატები ამ წესს იცავდნენ, მაგრამ გრიბოედოვმა უარი განაცხადა ეტიკეტზე და სკანდალი მოაწყო. გარდა ამისა, არც ფეხსაცმელს იხდიდა შაჰთან ხლების წინ, რაც გაუგონარი უპატივცემულობა იყო. პირველ აუდიენციაზე რუსეთის ელჩს სტუმრობა გაუგრძელდა. შაჰმა დაღლა იგრძნო და შეწუხდა, თუმცა არაფერი აგრძნობინა ელჩს. მეორე აუდიენციის დროს კი შაჰმა ველარ მოითმინა და შეხვედრა „მურაჰასით“ (დამასვენეთ!) შეწყვიტა. შეურაცხყოფილმა გრიბოედოვმა მკვეთრი ნოტით მიმართა საგარეო საქმეთა მინისტრს და შაჰი ტიტულების გარეშე მოიხსენია, რაც უკვე მეტისმეტი იყო. რუსეთის ელჩი ასევე უდიერად ექცეოდა შაჰის ვეზირებს, რომლებიც მის მიმართ უკმაყოფილებას ვერ ფარავდნენ და ამაზე ფარეშებთან ლაპარაკსაც კი არ ერიდებოდნენ. ფარეშებმა ეს ამბები ქალაქში გაიტანეს...

ყველას აღაშფოთებდა რუსტამ-ბეგი და გრიბოედოვის ძიძიშვილი ალექსანდრ დმიტრიევი. ისინი გამომწვევად იქცეოდნენ, აყალმაყალს ტეხდნენ ქუჩებსა და ბაზრებში. მთვრალი რუსტამ-ბეგი თეირანის ქუჩებში ხანჯლით დარბოდა და სპარსებს ემუქრებოდა. საელჩოს თანამშრომლები სასმელს ეძალებოდნენ, ქალებში ერთობოდნენ. უკმაყოფილება იზრდებოდა...

გრიბოედოვმა თავრიზში გამგზავრება გადაწყვიტა. იქ თავის ახალგაზრდა ცოლს უნდა დახვედროდა. გამგზავრების წინ შაჰს ეწვია გამოსათხოვარ აუდიენციაზე. ისევ მომაბეზრებლად დიდხანს დაყოვნდა, ისევ გაისმა — „მურაჰას!“.



ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა

იმავე საღამოს საელჩოში უცნობი კაცი მივიდა — ვინმე მარქარიანი, რომელიც 15 წლის წინ ერევნიდან ტყვედ წამოეყვანათ და დაესაჭურისებინათ. ახლა ამ ადამიანს იაყუბ-მირზას ეძახდნენ. ტყვეობის წლებში მას ბრწყინვალე კარიერისთვის მიეღწია: შაჰის მეორე საჭურისობისთვის გამოეკრა ხელი.

### საბედისწერო საჭურისი

გრიბოედოვი დიდხანს ესაუბრა იაყუბ-მირზას და გადაწყვიტა, სამშობლოში დაებრუნებინა ტყვე. შეუძლებელია, ელჩს არ სცოდნოდა, რას უქადდა ასეთ რისკზე წასვლა — იაყუბ-მირზა ხომ შაჰის კარის ნდობით აღჭურვილი პირი იყო, მან თეირანის ელიტის ყველა ხლართი და ინტიმური საიდუმლო იცოდა. იაყუბზე გავლენიანი მხოლოდ პირველი საჭურისი, ისიც თბილისელი სომეხი — მანუჩარხანი იყო, შაჰის უახლოესი ადამიანი. მანუჩარ-ხანი ინგლისელებს უჭერდა მხარს და არ არის გამორიცხული, რომ გრიბოედოვმა იმიტომ გადაწყვიტა გაეყვანა ქვეყნიდან იაყუბი, მნიშვნელობით მეორე ფიგურა, რომ ესარგებლა მისი გავლენით თუ არა, ინფორმაციებით მაინც.

რუსი ელჩის გადაწყვეტილებამ თავზარი დასცა სპარსებს: შეიძლებოდა გიაურების ხელში აღმოჩენილიყო ის ინფორმაცია, რომელსაც სპარსეთის უმაღლესი ხელისუფლება გულმოდგინედ მალავდა.

საელჩოში ოცჯერ მაინც მივიდნენ შაჰის წარმომადგენლები და ცდილობდნენ აეხსნათ, რომ ჰარამხანის საჭურისი პატრონისთვის იგივეა, რაც ცოლი და იაყუბის წაყვანა შაჰისთვის ცოლის წაგვრას ნიშნავდა. პასუხად კი მიუგეს — ელჩს უკან დახევა არ სჩვევიაო. იმ დღეს სასახლიდან მოსულმა უკანასკნელმა მაცნემ განაცხადა, — იაყუბ-მირზას შაჰის სალაროს ვალი აქვს — 50 ათასი თუმანი და ამიტომ ლამობს გაქცევასო. მაგრამ ვერც ამ ფაქტმა შეაცვლევინა აზრი გრიბოედოვს. დაბნეულმა სპარსელებმა საქმის მოგვარება მანუჩარ-ხანს მიანდეს. ეს უკანასკნელიც ამაოდ დაშვრა. მდგომარეობა დაიძაბა. სპარსელები მიხვდნენ, რომ „კანონით“ ვერაფერს გახდებოდნენ. ამასთან, მათ აგენტებს საელჩოდან მოჰქონდათ ცნობები — იაყუბი დაუფარავად უყვება „გიაურებს“ შაჰის ცხოვრების ყველაზე ინტიმურ ამბებსაც კი, რითიც მსმენელებს ერთობ ამხიარულებსო.

### სკანდალის ახალი გორგალი

იაყუბმა ელჩს უამბო — რამდენიმე სომეხი, ქართველი და გერმანელი ქალი სპარს დიდებულებს ჰარამხანებში ჰყავთო. ელჩიონის ერთმა ნაწილმა, რუსტამ-ბეგის მეთაურობით, დაარწმუნეს გრიბოედოვი, რომ ეს ქალებიც დაეხსნათ ჰარამხანიდან. საბუთებიდან ჩანს, რომ რუსტამ-ბეგის ხალხი უანგაროდ სულაც არ ირჯებოდა. თბილისში, ტყვე ქალთა ნათესავებისაგან, ქალების უკან დაბრუნების პირობით, უკვე აღებული ჰქონდათ „საჩუქრები“. გრიბოედოვმა ამ საქმის მოგვარება რუსტამ-ბეგს მიანდო. მან, რამდენიმე თბილისელ მხლებელთან ერთად, ჩხრეკა მოაწყო.

ერთ-ერთი დიდგვაროვნის, ალი-იარ-ხანის სახლში აღმოაჩინეს ახალგაზრდა ქალი და 13 წლის გოგონა. მათ უარი თქვეს საქართველოში დაბრუნებაზე, მაგრამ რუსტამ-ბეგის კაცებმა ორივენი მაინც წაიყვანეს საელჩოში და დაიყოლიეს, მათთან რამდენიმე დღით დარჩენილიყვნენ. საელჩოს სპარსი თანამშრომლები შეეცადნენ, დაერწმუნებინათ გრიბოედოვი, ქალები უკან დაებრუნებინა. იმავეს სთხოვდნენ ელჩს შაჰის მდივანი და საგარეო საქმეთა მინისტრი. არ შეისმინა!

თეირანიდან გამგზავრებამდე ორი დღით ადრე ქალები აბანოში წაიყვანეს. სპარსი ავტორის აზრით, „ეს უგუნურების მწვერვალი იყო“. უკან დაბრუნებისას ალი-იარ-ხანის მსახურებმა მათი მოტაცება სცადეს. რუსტამ-ბეგის ხალხმა თავდასხმა მოიგერია, მაგრამ ქალები აყვირდნენ — ელჩის ძიძიშვილი, ალექსანდრ დმიტრიევი, იაყუბ-მირზას ხელშეწყობით, შემოგვივარდა ოთახში და გაგვაუპატიურაო... იმავე დღეს ბაზრის მოედანზე დიდი ჩხუბი ატყდა — გაბეზრებული ხალხი დმიტრიევსა და რუსტამ-ბეგს შეება...

### ჯანყი

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ხალხის რისხვა შეიძლებოდა თვით შაჰს დასტყდომოდა თავს. მოახლოებული კატასტროფა აშინებდა ყველას, გარდა რუსეთის ელჩისა. მასთან, ცხადია, მიდიოდნენ შაჰის წარმომადგენლები და აფრთხილებდნენ მოსალოდნელ საშიშროებაზე, მაგრამ გრიბოედოვი ყველას უხეშად აბრუნებდა უკან — ფაქტობრივად, ამან გამოიწვია ჯანყი თეირანში.

30 იანვარს, განთიადზე, მთავარ მეჩეთთან, უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. მოლებმა ხალხს მიმართეს, — იბღალება ისლამი და სპარსეთის ზნეჩვეულებებიო და მოუწოდეს, მისულიყვნენ რუსეთის საელჩოსთან და მოეთხოვათ, გადაეცათ მათთვის იაყუბ-მირზა და ქალები.

საელჩოს ხელკეტებით, ქვით, სატევრებით შეიარაღებული ხალხი მიაწყდა. იაყუბ-მირზა სასახლეში ფეხის შედგმისთანავე ხანჯლებით აკუწეს, ქალები კი წაიყვანეს. ხანმოკლე შებრძოლებისას ეზოში მოკლეს სპარსთა საძულველი თავადი დადაშევი, ერთი კაზაკი და ორი მსახური. სპარსთაგან კი სამი კაცი დაიღუპა.



არზრუმში მიმავალი ალექსანდრ პუშკინი გზად შეეყარა სპარსეთიდან მომავალ ალალს, რომელიც გრიბოედოვის ცხედარს თბილისში მიასვენებდა...

...თითქოს ყველაფერი მიწყნარდა, მაგრამ საათ-ნახევრის შემდეგ ბრბო საელჩოსთან დაბრუნდა. მათ შორის იყვნენ ჯარისკაცებიც, გამოჩნდა თოფები...

### მეორე აქტი

ბრბო ნგრევის და სისხლის წყურვილით იყო ანთებული. მოჯანყეებმა შენობაში ჭერიდან შეაღწიეს. პირველი გასროლით მოკლეს ალექსანდრ დმიტრიევი. ალყაში მოქცეულებმა თავშესაფარებლად სასტუმრო ოთახში გადაინაცვლეს.

გრიბოედოვს თავი ქვით გაუხეთქეს, სახეზე სისხლი ჩამოსდიოდა — ასეთი იხილა იგი უკანასკნელად საელჩოს თანამშრომელმა სპარსმა. ელჩს მკერდი ხანჯლით ჰქონდა დაჩეხილი.

საელჩოს დიდჩინოსანთაგან მხოლოდ ერთი — მალცოვი გადარჩა. მან შენობის მეორე ნახევარში, მსახური ქალის ოთახში მოახერხა დამალვა. მოგვიანებით ის ქალაქიდან სამხედროებმა გაიყვანეს.

გრიბოედოვს არ უნდოდა სპარსეთში წასვლა და იქ სამსახური. არ უყვარდა ეს ქვეყანა, იქაური წესები. იგი ოცნებობდა, ემოგზაურა ევროპაში, ეწერა, შეეთხზა ლექსები. მაგრამ დედამისს შვილის გატაცება ქარაფშუტობად მიაჩნდა, ამიტომ მისი დიდი მონდომებით აღმოჩნდა გრიბოედოვი, როგორც თავად წერს, „უძრაობის, ფანატიზმისა და თვითმმართველობის ცენტრში“. თეირანში გამგზავრებამდე პოეტი ნაღვლობდა, მომავალი სამსახურის გახსენებაც კი გუნებას უშხამავდა, იქნებ ფიქრობდა, იმპერატორი გადაიფიქრებს ჩემს ელჩად დანიშვნასო და სპარსეთში წასვლისგან თავის დასაღწევად თბილისშივე დაიწყო „ცელქობა“. ახალგაზრდა თავადის ასულის, ნინო ჭავჭავაძის ცოლად შერთვა შეიძლებოდა სკანდალით დასრულებულიყო. მას, როგორც სახელმწიფო მოხელეს, არ შეეძლო ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე დაქორწინება. მართალია, რაპორტი გაგზავნა, მაგრამ პასუხს აღარ დაელოდა...

შესაძლოა, სპარსეთში მის ქცევასაც ის განაპირობებდა, რომ გრიბოედოვს არ სურდა დარჩენილიყო ამ ქვეყანაში. ყველაფერი განგებ კეთდებოდა, თითქოს გააზრებულად და გეგმაზომიერად, თუმცა ყველაფერი პოეტისათვის ტრაგიკულად დამთავრდა. სპარსელთა და მათ ზნე-ჩვეულებათა ზიზღი, ახალგაზრდა ძიძიშვილისა და მისიის წევრთა საქციელზე თვალის დახუჭვა სარისკო თამაშს ჰგავდა. შედეგიც სავალალო აღმოჩნდა.

**ოგონიოკი №47**

# ბიშოვეცი კვიპროსის ტურნირმა შეაშინა

გასულ კვირას, დაპირებულზე ოდნავ დაგვიანებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ თავისი არჩევანი გააკეთა — საქართველოს ნაკრების მწვრთნელის რანგში ფრანგ ჟირესსა და რუსეთის პასპორტის მქონე უკრაინელ ბიშოვეცს შორის უპირატესობა ამ უკანასკნელს მიანიჭა.

ეს ხდება კვიპროსის ტურნირის დაწყების წინადღეს, სადაც საქართველოს ნაკრებს სამი თამაში ჰქონდა ჩასატარებელი.

არჩევანი თავისთავად გულისხმობდა იმას, რომ ახალ მწვრთნელს სანაკრებო ბატალიებისთვის მიედევნებინა თვალი და სათანადო რჩევა-დარიგებებით ხელი შეეწყო გუნდის წარმატებისთვის. მაგრამ კვიპროსის ტურნირზე საქართველოს ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა. ახალდანიშნულმა სპეციალისტმა უარი განაცხადა თავის თავზე აეღო მოუმზადებელი გუნდის შედეგები, ფაქტობრივად გუნდი წინასწარ იყო განწირული მარცხისთვის.



როგორც მერაბ ჟორდანიამ განაცხადა, მიღწეულია ანატოლი ბიშოვეცთან პრინციპული შეთანხმება და კონტრაქტი ოფიციალურად ამ დღეებში გაფორმდება, თუმცა იანვრის დასაწყისში სწორედ ფედერაციის მაღალჩინოსანთა მხრიდან დაახლოებით, იმავე აზრმა გაიჟღერა ანრი მიშელთან მიმართებაშიც. მაშინდელმა „თითქმის მიღწეულმა შეთანხმებამ“ ჩაილურის წყალი დალია. ამიტომაც ამ ეტაპზე რეალურად შეიძლება ითქვას, ის, რომ პრინციპული შეთანხმება სრულიადაც არ ნიშნავს საქმის კონტრაქტამდე მიყვანას. ამიტომ დაველოდოთ და ვნახოთ, რა განვითარება ექნება ანატოლი ბიშოვეცის და საქართველოს ნაკრების ურთიერთობას. თუმცა, მიშელსა და ბიშოვეცს შორის არის დიდი განსხვავება — თუკი მიშელისთვის საქართველოს ნაკრების გაწვრთნა არ იყო დიდად მომხიბვლელი წინადადება, ბიშოვეცისთვის ჩვენი ნაკრების თავკაცობა მართლაც რომ დიდი პატივია, თუმცა, ცხადია, რომ რუსი უკრაინელი უკვე რაღაც ხრიკებს მიმართავს.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა გაცხადდა, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასრულებისთანავე საქართველოს ნაკრებს უცხოელი სპეციალისტი ჩაიბარებდა, მერაბ ჟორდანიამ განაცხადა: „საქართველოს ნაკრებში იმუშავებს იმ დონის სპეციალისტი, რომელიც ყველასთვის მისაღები იქნება“.

საკითხავია, რამდენადაა ანატოლი ბიშოვეცი ყველასთვის მისაღები და რაც მთავარია, სასურველი კანდიდატურა? რამდენად შეუძლია უკრაინელს საქართველოს ნაკრების წინაშე დასახული ამოცანა რეალობად აქციოს და ჩვენი ეროვნული გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანოს?

ბუნებრივია, რთულია ცალსახა, მით უმეტეს დადებითი პასუხის გაცემა. მიზეზი მარტივია — საქართველო ამ გადაწყვეტილებით რჩება პოსტსაბჭოთა სივრცეში, რაც განვითარების საკმაოდ შეზღუდულ არეალს გულისხმობს. უმთავრესია საქმისადმი მიდგომის მენტალიტეტი, რომელსაც არაერთხელ მოუტანია კონფლიქტი ქართულ ფეხბურთში. ბოლო წლებში ბოსკამპის მოღვაწეობის მაგალითიც ამის დასტურია.

ერთი სიტყვით, ბიშოვეცის საქართველოს ნაკრებში დანიშვნით ქართული ფეხბურთი, რომელიც უპირველესად ნაკრებს გულისხმობს, პოსტსაბჭოთა სივრცის ნაწილად რჩება. ბუნებრივია, ბევრს ექნება იმის სურვილი, რომ მიგვანიშნოს ანატოლი ბიშოვეცის უმთავრესი მიღწევის შესახებ — მისი ხელმძღვანელობით 1988 წლის სეულის ოლიმპიადაზე საბჭოთა კავშირის ნაკრები ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. თუმცა, ბუნებრივია, ამ ფაქტით აპელირების მსურველთ უნდა გავახსენოთ, რომ ათი წლის შემდეგ ფიოდოროვიჩის მიერ გაწვრთნილმა რუსეთის ეროვნულმა გუნდმა ექვსი მატჩი ზედიზედ წააგო და ბიშოვეცმა სკანდალურად დატოვა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი. ასე რომ, საქართველოს ნაკრების ახალი დამრიგებელი უახლოესი სამწვრთნელო მიღწევებით ვერ დაიკვეხნის.

საქართველოს ნაკრები ანატოლი ბიშოვეცისთვის მეხუთე გუნდი იქნება სანაკრებო დონეზე. ის ადრე სსრ კავშირის, დსთ-ის, რუსეთისა და კორეის ნაკრებებს წვრთნიდა.

ბიშოვეცის ბოლო სამუშაო ადგილი მოსკოვის ოლქის „ხიმკი“ გახლდათ, სადაც ფიოდოროვიჩი ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე ირჯებოდა. თებერვლის დასაწყისში ბიშოვეცმა დატოვა სამსახური და კვიპროსზე საკუთარ ვილაში გადაწყვიტა დასვენება, ამ დროს კი მას სულზე მოუსწრო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას წინადადებამ.

რამდენი იქნება ბიშოვეცის ანაზღაურება, ამას ამ ეტაპზე არავინ ამბობს, თუმცა, ის კი ცნობილია, რომ რუსეთის პასპორტის მქონე უკრაინელი სპეციალისტი ყოველთვის ამბიციურობით გამოირჩეოდა — დიდ ანაზღაურებას ითხოვდა. ცნობილი ამბავია, კორეის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნისას მხოლოდ ერთი მოთხოვნა ჰქონდა — მისი ხელფასი უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ყატარში მომუშავე ვალერი ლობანოვსკის გასამრჯელო. მაშინ კორეელები დაეთანხმნენ ბიშოვეცის ამ მოთხოვნას. სწორედ ამგვარი პრინციპულობის გამო მოუწია ბიშოვეცს თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი უქმად გაეტარებინა. ფაქტია, რომ, როცა ამა თუ იმ მწვრთნელს ათავისუფლებდნენ რუსეთში, ყოველთვის ახსენდებოდათ ბიშოვეცი. ბოლო ხანს ასე მოხდა მოსკოვის „დინამოდან“ ვიქტორ პროკოპენკოს გათავისუფლებისას, თუმცა მოსკოველებმა ჩეხ სპეციალისტს გრჟებეკს მიანიჭეს უპირატესობა.

**ანატოლი ბიშოვეცის** პირველი კომენტარი მის ახალ სამუშაოსთან დაკავშირებით ასეთია: „მე მომწონს ქართული ფეხბურთისთვის დამახასიათებელი სტილი, რომელიც სანახაობრივი და ტექნიკური თვალსაზრისით გამოირჩევა, მაგრამ მიჭირს იმის თქმა, თუ რატომ არ ჰქონდა საქართველოს ნაკრებს ბოლო ხანს დამაკმაყოფილებელი შედეგი. ამ ეტაპისთვის არა მაქვს სათანადო ინფორმაცია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ქართველი ლეგიონერები სერიოზულ ევროპულ კლუბებში გამოდიან და იქაც გამორჩეულნი არიან. ასე რომ, საინტერესო სამუშაო მელის.“

გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ „პრინციპული შეთანხმების“ მიუხედავად, მას არ გასჩენია სურვილი კვიპროსზე დარჩენილიყო და იქ მიმდინარე ტურნირის სამი მატჩისას შეევლო თვალი იმ რეზერვებისთვის, რაც ქართულ ფეხბურთშია.

რაც შეეხება კვიპროსის ტურნირზე საქართველოს ნაკრების გამოსვლას, თუკი მიმდინარე პროცესებს მივადევნებთ თვალყურს, დავინახავთ, რომ ეს ტურნირი არავის სჭირდებოდა — არც ქართველ ლეგიონერებს, რომელთაც ვერ დაინახეს მოტივაცია, თუ რატომ უნდა ეთამაშათ უმწვრთნელოდ დარჩენილ ნაკრებში და არც ნაკრებში მივლინებულ თბილისის დინამოელთა დიდ არმიას, რომელიც კვიპროსის საწვრთნელი შეკრებისას მიღებული დიდი დატვირთვების ფონზე ამ ეტაპისთვის ვერ იქნებოდა მზად ნაკრებისათვის, არც დროებით სამწვრთნელო შტაბს, რომელმაც ფეხბურთის ჩინოვნიკთა გადაწყვეტილებით საკუთარ თავზე აიღო ნაკრების წარუმატებელი გამოსვლა.

ერთი სიტყვით, აღნიშნული მიზეზების გამო სრულიად ლოგიკური იყო კვიპროსის ტურნირზე ჩვენი ნაკრების კრახი. ქართველებმა პირველი შეხვედრა რუმინელებთან დათმეს 0:3, მეორე დღეს კვიპროსთან დამარცხდნენ 1:3, მეშვიდე ადგილისთვის ბრძოლაში კი ჩვენი ნაკრები სომხეთთან დამარცხდა— 0:2.

# ზიდანი — „რეალის“ სტაბილურობის გარანტი



ზინედინ ზიდანს მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობამ 2007 წლამდე გაუგრძელა კონტრაქტი. ამასთან დაკავშირებით, პირველი კომენტარი გააკეთა თავად ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავმა.

ზინედინ ზიდანი: „ბედნიერი ვარ, რომ ჩემი და კლუბის ხელმძღვანელთა სურვილი ერთმანეთს დაემთხვა. ჩემთვის უმთავრესია, რომ ვითამაშო ფეხბურთი. მადრიდის „რეალში“ თამაშით კი უდიდეს სიამოვნებას ვიღებ.“

სამეფო კლუბის სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ განმარტა, თუ რატომ მიიღო კლუბმა ასეთი გადაწყვეტილება: „ჩვენი სურვილია, რომ კლუბში სტაბილურობა სუფევდეს, ამის მიღწევის მშვენიერი საშუალებაა, „ზიზუს“ კონტრაქტი კიდევ ორი წლით გავუგრძელოთ. ახლა ჩვენ ზიდანის თამაშით 2007 წლამდე დავტკბებით.“

ვალდანოს არ აღელვებს ის ფაქტი, რომ კონტრაქტის დასრულების დროისთვის ზიდანი 35 წლის იქნება. „მისი საუკეთესო თვისებები ტექნიკა და იმპროვიზაციაა, ამიტომაც დარწმუნებულნი ვართ, რომ ზიდანი მომავალშიც სათანადო დონეზე ითამაშებს.“

# ბრაზილიელი რომერო „დინამოელია“

კვიპროსის საწვრთნელი შეკრებიდან დაბრუნდა თბილისის „დინამო“, რომელმაც კუნძულზე რამდენიმე მატჩი გამართა. მთავარი სიახლე ისაა, რომ ორი ბრაზილიელი ლეგიონერიდან, რომელიც საქართველოს ჩემპიონის რიგებში ისინჯებოდა, გუნდში ჩაირიცხა რომერო, 23 წლის ნახევარმცველი. იგი „ალანიაში“ გადასულ ვიტალი დარასელიას შემცვლელად მოიაზრება.

**ივო შუშაკი** (თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი): „კვიპროსის შეკრებით კმაყოფილი ვარ. ვითამაშეთ რამდენიმე სპარინგი, სადაც ჩვენმა გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. საკონტროლო მატჩებისას მთავარია სათამაშო პრაქტიკა და არა შედეგი. ამიტომ ბუნებრივია დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ შედეგებს, რაც საკონტროლო მატჩებისას ფიქსირდება. ჩემთვის მთავარი გახლდათ თამაშის ხარისხი. იყო მატჩები, სადაც მართლაც საუკეთესოდ ვითამაშეთ. იაროსლავლის „შინიკთან“ მატჩი მინდა გამოვყო, რომელიც მართალია წავაგეთ, მაგრამ ბევრი კარგი კომბინაცია გავითამაშეთ, ასევე გამოვარჩევ „ბრნოს“ წინააღმდეგ ჩატარებულ შეხვედრას, რომელიც ფრედ დასრულდა. უკმაყოფილო ვარ „სარტიდთან“ შეხვედრის, — ბევრი შეცდომა დავუშვით.

კვიპროსზე გამოვცადეთ ორი ბრაზილიელი — ჯეფერსონი და რომერო. ორივე მათგანმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა, კმაყოფილი ვარ, რომ ორივემ კარგად წარმოაჩინა თავი, მაგრამ ჩვენი გუნდის ფინანსური მდგომარეობა ორივეს დამატების საშუალებას არ იძლეოდა. მათგან ერთი უნდა ამერჩია. მეც არჩევანი რომეროს სასარგებლოდ გავაკეთე, რომელსაც უდავოდ შესწევს უნარი ჩვენი გუნდი გააძლიეროს.



ივო შუშაკი

ბევრი სამუშაო გვაქვს დაცვაში. ამისულაშვილისა და ხიზანეიშვილის შემცვლელების მოძებნა მართლაც რთულია, გარკვეულწილად რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით თავდასხმის ხაზშიც, რადგან ჩვენი გოლების უმეტესობა ვიტალი დარასელიასა და რატი ალექსიძეზე მოდიოდა. დიდი დანაკლისია ლადო ახალაიას ტრავმაც, რომელმაც ხელი მოიტეხა და სულ მცირე თვენახევარი ვერ დაგვეხმარება. მიუხედავად ამისა, ჩვენს გუნდში არის იმის რეზერვები, რომ წასული ფეხბურთელები სრულფასოვნად შევცვალოთ. ამიტომაც ჩვენი მიზანი უცვლელია, „დინამო“ საქართველოს ჩემპიონობასა და თასის აღებას გეგმავს. ამ მიზნის მიღწევისთვის დიდი შრომა მოგვიწევს.“

# ესპანეთი — საქართველო 6:6

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა პირველი წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ, მეორე მატჩი გამართა ევროპის ერთა თასის გათამაშებაზე. ამჯერად ბორჯღალოსანთა მეტოქე ესპანეთის ნაკრები იყო.

გასვლითი მატჩის წინ საქართველოს ნაკრებში ცვლილებები მოხდა. ბორჯღალოსანთა სამწვრთნელო კვარტეტის გადაწყვეტილებით, ერთბაშად შვიდი ცვლილება განხორციელდა, რაც იძლეოდა იმის იმედს, რომ ესპანეთის ნაკრებთან, რომელმაც ჩვენი ნაკრების მსგავსად პირველი შეხვედრა წააგო, უკეთესად ვითამაშებდით.

როგორც ჩანს, ცვლილებებმა მხოლოდ ნაწილობრივ გაამართლა, მატჩი ფრედ დასრულდა — 6:6.



# ფიგუს მეასე სანაკრებო



პორტუგალია — ინგლისის სპარინგ მატჩი გამორჩეული იყო ოთხშაბათს გამართული სხვა შეხვედრებიდან. მატჩი ევროპის ჩემპიონატისთვის სპეციალურად აგებულ სპორტულ არენაზე გაიმართა.

თუმცა, გარდა სპორტული ინტერესისა, ეს დაპირისპირება იმითაც იქცევდა ყურადღებას, რომ პორტუგალიური ფეხბურთის ვარსკვლავი ლუიშ ფიგუ თავის მეასე მატჩს ატარებდა სანაკრებო დონეზე.

შეხვედრის ორგანიზატორებმა, რა თქმა უნდა, გაითვალისწინეს ეს მნიშვნელოვანი მოვლენა, ფიგუმ ტრიბუნიდან სამადლობელი სიტყვით მიმართა საკუთარ გულშემატკივრებს და ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ზაფხულში სწორედ პორტუგალიაში უნდა გაიმართოს, გამარჯვებისათვის ბრძოლას შეჰპირდა.

„რეალის“ წამყვანი მოთამაშეების, ორი „დიდი შვიდიანის“ — ბექჰემისა და ფიგუს დაპირისპირება ფრედ 1:1 დასრულდა.

# ბოისას რეკორდით „ოლიმპია“ ტოპ-16-ში მოხვდა

დასრულდა საკალათბურთო ევროლიგის ჯგუფური ეტაპი, სადაც უნდა გარკვეულიყო 16 საუკეთესო გუნდის ვინაობა, რომელიც გააგრ-



ვოვა ბოისა

ძელებს ბრძოლას ტიტულის მოსაპოვებლად.

მას შემდეგ, რაც მანუჩარ მარკოიშვილი იტალიის „ბენეტონმა“ გერმანიის ბუნდესლიგის „მიტელდოიჩერში“ იჯარით გაუშვა, ევროლიგას ერთადერთი ჩვენებური, ვოვა ბოისა შემორჩა.

სწორედ ვოვა ბოისა გახდა ევროლიგის ჯგუფური ეტაპის დასკვნითი ტურის გმირი. მან „ციბონასთან“ გადამწყვეტ მატჩში საუკეთესოდ ითამაშა და 27 ქულა დააგროვა, რაც მისთვის ევროლიგაზე სარეკორდო მაჩვენებელია. ასეთი შედეგით ბოისამ საკუთარ გუნდს, სლოვენიის „ოლიმპიას“ ევროლიგის საუკეთესო 16 გუნდისკენ გაუხსნა გზა.

ბოისას წარმატებული თამაში მით უფრო დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ოლიმპია“, რომლის კაპიტანიც ჩვენებური გახლავთ, ფინანსურ კრიზისს განიცდის, რის გამოც მისი რესურსები კადრების თვალსაზრისითაც შეზღუდულია. „ოლიმპიას“ შემადგენლობაში მთელ მატჩს ფაქტობრივად შვიდი კაცი თამაშობს.

**ვოვა ბოისა:** „მიუხედავად იმისა, რომ „ციბონას“ განაღდებული ჰქონდა შემდეგ ეტაპზე გასვლა, მეტოქემ არაფერი დაგვითმო. თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობა გვქონდა. პირველ სამ პერიოდში 12 ქულით ვიგებდით. მაგრამ ბოლო პერიოდში, როგორც ჩანს, ვერ მოვთოკეთ ემოციები, ნაადრევად დავიგულეთ თავი გამარჯვებულად და სწორედ ამით დაგვსაჯა „ციბონამ“ — თორმეტი ქულა „ამოგვიქაჩეს“ და თამაში ოვერტაიმში გადავიდა. იქ კი მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საკმაოდ დაღლილები ვიყავით, მოვიკრიბეთ ძალა და საბოლოო გამარჯვებამდე მივიყვანეთ თამაში.

ახლა ევროლიგაზე ტოპ-16-ის ეტაპია. აქ მართლაც ურთულესი მატჩები გველის. თუკი რაიმე არ შეიცვალა, რთულია წარმატებებზე ფიქრი. თითქმის მთელ სეზონს მხოლოდ შვიდი კალათბურთელი ვთამაშობთ და როგორც კი ერთი გამოგვაკლდება, მაშინვე ურთულეს მდგომარეობაში ვვარდებით. ბუნებრივია, ასეთ დროს შეიძლება ერთი ან ორი თამაში მოიგო, მაგრამ უფრო მასშტაბურ წარმატების მიღწევა არარეალურია.“

**გვერდი მოამზადა**
**გიგა ხირსელმა**

ლურჯი შავი წითელი

## №7 (385) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 530 მკითხველი გამოეხმაურა. 4 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 207-მა ქალმა და 319-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რა გვაქვს დღეს ქართველებს საამაყო ყველაზე მეტად?“**

ამ კითხვით რესპონდენტებს 1999 წელსაც მივმართეთ და ვფიქრობთ, ხუთი წლის წინანდელი და დღევანდელი შეფასებების შედარება საინტერესო სურათს იძლევა.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ქართველები მაქსიმალურად ამაყობენ წინაპართა გმირული საქმეებით. რესპონდენტთა 43%-მა შეაფასა ეს გრაფა 9 ქულით. **7,48** საშუალო ქულით „გმირული წარსული“ პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზეა „კულტურული მემკვიდრეობა,“ საშუალო ქულაა 6,74% ზუსტად ანალოგიურად გადანაწილდა I-II ადგილები ხუთი წლის წინანდელ რეიტინგშიც.

რაც შეეხება მესამე ადგილს, მას წინა გამოკითხვაში „გეოგრაფიული მდებარეობა“ იკავებდა, დღეს კი, ამ პოზიციაზე პრეზიდენტია. აღსანიშნავია, რომ ხუთი წლის წინ პრეზიდენტი მერვე ადგილზე იყო და მხოლოდ „აწმყოს“ უსწრებდა, როგორი აწმყო გვქონდა მაშინ (და თუნდაც ახლა) — აფხაზეთსამაჩაბლოდაკარგული, ეს ყველამ კარგად ვიცით.

დღევანდელ რეიტინგში „გეოგრაფიულმა მდებარეობამ“ პრეზიდენტის შემდეგ — მეოთხე პოზიციაზე ჩაინაცვლა.

როგორც ვხედავთ, ამ საამაყო ღირსებათა შორის უმრავლესობა მარადიულია და დროთა სვლას არ ემორჩილება, გამონაკლისი მხოლოდ აწმყო და პრეზიდენტია. მკითხველთა უმრავლესობის აზრით, მაშინაც და დღესაც ყველაზე ნაკლებად საამაყო აწმყოა. რესპონდენტთა 71%-მა შეაფასა დღეს „აწმყო“ მინიმალური — 1 ქულით.




საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 21 წლის სიღნაღელი **ბიჟიკო ბეგიაშვილია.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 25 თებერვალს, 17 საათზე.

## №8 (386) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვას და მონაწილეობა მიიღოთ **«მკითხველის პრემიაში»**.

**№8 (386) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 25 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 26 თებერვლის 13 საათამდე.**

© თბილისი

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

თემა №8(386) — პრეზიდენტის კეთილგანწყობა

**თქვენი აზრით, რომელი პერსონა სარგებლობს პრეზიდენტ სააკაშვილის კეთილგანწყობით ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)**?**

დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№8(386) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | გიორგი ბარამიძე | |
| 2 | ზურაბ ჟვანია | |
| 3 | თედო ჯაფარიძე | |
| 4 | ნინო ბურჯანაძე | |
| 5 | ვანო მერაბიშვილი | |
| 6 | ზურაბ ადეიშვილი | |
| 7 | ლადო ჭანტურია | |
| 8 | ირაკლი ოქრუაშვილი | |
| 9 | გიორგი არველაძე | |

**დამატებითი კითხვა**

თქვენი აზრით, გენპროკურატურის მიერ „ომეგა ჯგუფზე“ განხორციელებული შეტევა არის თუ არა თავისუფალი სიტყვის შეზღუდვის მცდელობა?

| დიახ | არა | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

ასაკი ______ ტელეფონი ______

თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „დამატებით კითხვასა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

**ახალდანიშნულ მინისტრთაგან ვის უწინასწარმეტყველებთ ყველაზე წარმატებულ კარიერას?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გიორგი ბარამიძე — შს მინისტრი | 30.5% |
| 2. | გიორგი წერეთელი — ჯანდაცვის მინისტრი | 13.5% |
| 3. | ირაკლი ოქრუაშვილი — გენერალური პროკურორი | 11.6% |
| 4. | გიორგი გაბაშვილი — კულტურისა და სპორტის მინისტრი | 6.4% |
| 5. | ირაკლი რეხვიაშვილი — ეკონომიკის მინისტრი | 4.1% |
| 6-7. | გელა ბეჟუაშვილი — თავდაცვის მინისტრი | 3.8% |
| 6-7. | ზურაბ ჟვანია — პრემიერ-მინისტრი | 3.8% |
| 8. | ზურაბ ნოღაიდელი — ფინანსთა მინისტრი | 3.6% |
| 9-10. | ზურაბ ადეიშვილი — უშიშროების მინისტრი | 2.9% |
| 9-10. | გიორგი ხაინდრავა — სახელმწიფო მინისტრი | 2.9% |
| | სხვა მინისტრები | 7.7% |
| | არცერთი | 5.4% |
| | მიჭირს პასუხის გაცემა | 3.8% |

როგორც ვხედავთ, მინისტრთა შორის მკითხველებმა გენერალური პროკურორიც დაასახელეს. ათეულში მხოლოდ ცნობილი სახეები მოხვდნენ. ათეულს გარეთ დარჩენილ ახალ სახეებს კი ერთი ჩვენი მკითხველის სიტყვებს მივუსადაგებთ –„Поживем, увидим“.

*მკითხველის რეიტინგში 425-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა*

# ·ფოტოპალიტრა· © ფოტოანტიკვარი

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას ლაარქმევდით?

______________________

______________________

______________________

______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________

ქალაქი (რაიონი) ______________



კოლინ პაუელი, მიხეილ სააკაშვილი

„ფოტოანტიკვარში“ ვერც ერთმა მკითხველმა ვერ ამოიცნო ამ პატარა გოგონას ვინაობა. ვერც მინიშნებამ უშველა — „დიქტორი ვერ გავხდი, მაგრამ ტელეეკრანზე ხშირად მხედავთ...“

დასახელებულთა შორის უმრავლესობა ტელეჟურნალისტია — ლუბა ელიაშვილი, ნატო ონიანი, ინგა გრიგოლია, ირმა ნადირაშვილი, ნანიკო ხაზარაძე, ნინო დარასელი, ეკა ხოფერია. ყველაზე მეტჯერ მაინც ნატო ონიანი დასახელდა (18%).

მათ შორის არიან ასევე — ეკა კახიანი, ია ფარულავა, თამრიკო ჭოხონელიძე, ხათუნა გოგორიშვილი და სხვები.

ვერავინ მიხვდა, რომ ეს გოგონა დღეს პოპულარული მომღერალი **თამუნა ამონაშვილია.**







თამუნა ამონაშვილი, სამი წლის

## ფოტო განწყობისთვის



— სიზმრების მინისტრად მაინც დამნიშნეთ, რა...

ორი ჩუქჩა ოკეანის სანაპიროსთან სეირნობს:

— 10-დოლარიანი ვიპოვე.

— ვაა, რა მაგარია. მაჩვენე აბა!..

— გადავაგდე. ყალბი აღმოჩნდა.

— რა იცი?

— შტერო! სად გინახავს 10-დოლარიანი ორი ნულით?!



**28/II** ☽

**პირველი მეოთხედი**

**მაგნიტური დღეა:**

**25/II 16-დან 18 საათამდე**

## წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. მადლი; 2. მსოფლიო; 3. იტალია; 4. ოტავა; 5. ნეტ; 6. ალია; 7. ლერწი; 8. ათათურქი; 9. ნარკოლოგი; 10. თაფლი; 11. რიბენტროპი; 12. ქნარი; 13. იო; 14. რუანდა; 15. ბიურო; 16. აია; 17. მა; 18. ბურატინო; 19. ტუ; 20. ბოტიჩელი; 21. ბაია; 22. მოლბერტი; 23. ია; 24. ზებუ; 25. ალიონი; 26. ურო; 27. ნო; 28. იონი; 29. წერი; 30. გეა; 31. ბუ; 32. წონა; 33. ვალიკო; 34. წიბო; 35. კალვე; 36. ბოა; 37. ზაირი; 38. ასპიდი; 39. აიდა; 40. ალა; 41. პუმა; 42. რიტმი; 43. იორი; 44. გვირისტი; 45. დოდე.

1. თურმანები; 2. გამოუსწორებელი მწეველი.

***პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.***






**თარაზულად:** 1. ყვავილი, რომელსაც ჩუქნის ივ სენ-ლორანი ლეტიცია კასტას; 4. ჰუმანიტარული მეცნიერება, რომლის სახელწოდებაც ბერძნულად წარსულის მონათხრობს ნიშნავს; 6. პოპმუსიკის მიმდინარეობა, განსაკუთრებით პოპულარული 70-იანი წლების მეორე ნახევარში; 7. სოფელი ახმეტის რაიონში; 8. ალკოჰოლიანი სასმელი; 9. წმინდა გამარჯვება იაპონურ ორთაბრძოლებში; 10. არგონავტთა წინამძღოლი; 13. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; 16. ფალიაშვილის ოპერა; 18. საიუველირო ფირმა, რომლის დამფუძნებელმაც ჰუგენოტების დევნის გამო დატოვა საფრანგეთი და მეორე სამშობლო სანქტ-პეტერბურგში პოვა; 19. სერიალ „დინასტიის“ მარად უბერებელი ვარსკვლავი; 20. ბუნებრივი ყავისფერი პიგმენტი; 22. ფრანგი კულინარი, რომლის სახელიც შერჩა საბჭოთა პერიოდში მეტად სახეშეცვლილ მის სალათას; 23. ძიუდოისტის სამოსი; 25. მჩატე, ფოროვანი (წყალში ჩაუძირავი) ვულკანური მასა; 27. ამერიკელი მსახიობი და როკმუსიკოსი, რომლის სახელიც ჰავაიურ ენაზე ჟღერს, როგორც „მთიდან მონაბერი გრილი ქარი“; 28. კეთილი საქმე; 29. ჩრდილოეთი მეზღვაურთათვის; 30. ერთი და იმავე ქიმიური ელემენტის ატომები განსხვავებულნი ატომური წონით; 31. თხილი, ყოფილი პრეზიდენტის — კარტერის სიმდიდრის წყარო.

**შვეულად:** 1. ბორდოს ხსნარი; 2. ვექილი; 3. მოძრავი კიბე; 4. საბჭოთა მსახიობ გალინა ლოგინოვასა და იუგოსლავიელი პედიატრის მსახიობი, მომღერალი და მოდელი ქალიშვილი; 5. მადის მომგვრელი სპირტიანი სასმელი; 11. ალოეს ქართული შესატყვისი; 12. აღმოსავლური სამაგიდო თამაში; 14. ცეცხლსასროლი იარაღის ამერიკელი კონსტრუქტორი, მეწარმე და ფირმის დამაარსებელი; 15. მუსიკალური ფორმა, რომელშიც მთავარი თემა ხშირად მეორდება; 16. სამხრეთკორეული უმსხვილესი კორპორაცია; 17. 1563 წელს დაარსებული ქალაქი და დეპარტამენტი პერუში; 21. იგივეა, რაც გოლეადორი; 22. ფოტოაპარატის უმნიშვნელოვანესი ნაწილი; 24. მიმტანი რესტორანში; 25. იაპონური მულტფილმი, რომლის ერთ-ერთი პერსონაჟი პიკაჩუა; 26. ჯარისკაცის სამხედრო აღჭურვილობა.

**შეადგინა რამაზ ალანიამ**






**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## ⑧ უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№8 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 26 თებერვლის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.


შავი ყვითელი ლურჯი წითელი